ISSN 0132-6023

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცისკარი

9

1979

ეროვნული
ბიბლიოთეკა



„გოგონები“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ცისკარი

268

გამოცემის ოცდამესამე წელი

9

სექტემბერი

1979

თბილისი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შინაარსი

3. საგალობელი შემოდგომისა

პროზა, პოეზია

5. თეიმურაზ მაღლაფერიძე — ცხრაკარა. დოკუმენტური რომანი
30. იორამ ქემერტელიძე — ლექსი
35. ამირან ჭიჭინაძე — უცნაური ეტიუდი. მოთხრობა
41. ვახტანგ ჯავახაძე — ლექსები
46. კარლო კობერიძე — ცხენი. მოთხრობა. დასასრული
80. ნარგიზა მგელაძე — მოთხრობები
85. ტარიელ ჭანტურია — ლექსები
95. ტაგუ მებურიშვილი — ლექსები

ახალი თარგმანები

99. პოლ ვალერი — თანადროული სამყარო თვალის გადავლებით. თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ.

ნარკვევი

120. ვახტანგ გორგანელი — სადაც დიდებულს...

კრიტიკა, პუბლიცისტიკა

124. რევაზ ჯაფარიძე — აკაკი წერეთელი და ისტორია
128. რევაზ ჩხარტიშვილი — მწერლის ახალი სიცოცხლე
138. თეიმურაზ მირიანაშვილი — უდროოდ წასული პოეტის პორტრეტი
144. ავთანდილ ნიკოლეიშვილი — უძილოდ ნანახ სიზმართა ექო
150. უშანგი რიჟინაშვილი — ისტორიული მეცნიერების ინფორმაციით უზრუნველყოფა

პოლემიკა

152. ვიქტორ კახნიაშვილი, გიორგი ნიშნიანიძე — მანძილი არსებულსა და არარსებულს შორის

პირველი შთაბეჭდილება

155. ნოდარ გაფრინდაშვილი — საფო
156. ამირან რობაქიძე — „მზე და ჩრდილები“

158. კულტურული ცხოვრების ქრონიკა

მთავარი რედაქტორი
**მორის ფოცხიშვილი**

სარედაქციო კოლეგია:
ჭაბუა ამირეჯიბი,
გივი გეგეჭკორი,
გურამ გვერდწითელი,
რისმაგ გორდეზიანი,
გიორგი გუგლია,
ნოდარ დუმბაძე,
მერაბ ელიოზიშვილი,
ედუარდ მენაბდე,
იოსებ ორჯონიკიძე,
ოტია პაჭკორია
(მთ. რედაქტორის მოადგილე),
გურამ ფანჯიკიძე,
ნუგზარ შატაიძე,
ჯანსუღ ჩარკვიანი,
გივი ძნელაძე,
ნუგზარ წერეთელი,
თამაზ წივწივაძე,
ტარიელ ჭანტურია,
რეზო ჭეიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საგალობელი შემოდგომისა

მობრძანდა შემოდგომა! ფერიცვალება დაეტყო ბაღ-ვენახებს, ველ-მინდვრებს, ტყეებს.

მობრძანდა შემოდგომა. თვალს ახარებს მტევნებში მზეჩამდგარი ვენახების მზერა. რთველი იწყება საქართველოში, დიდი რთველი!

რთველი — დღესასწაულია!

ვაზი — ქართველი კაცისთვის სიწმინდის, შრომისა და სიძლიერის სიმბოლოა, სიყვარულისა და სიცოცხლის სათავეა. ამიტომაც ამშვენებს ჩვენს ციხე-ტაძრებს, ეკლესია-მონასტრებს ამოჩუქურთმებული ყურძნის მტევნები. ამიტომაც გაისმის დაუბერებელი და უწმინდესი საგალობელი სიცოცხლისა „შენ ხარ ვენახი“ — მრავალხმოვანი და მრავალსაუკუნოვანი.

ვაზს გლეხკაცი დაჰფოფინებდა ოდითგანვე — „ვაზო შვილივით ნაზარდოო“ მიეფერა კიდეც, დაკოჟრილი ხელით მიუალერსა, დაკოჟრილი ხელი ბებერი ვაზის ძირს მიუგავდა, ღონიერ ძირს, მომხვდურებმა რომ ვერ ამოძირკვეს.

მალე, სულ მალე, დიდ-პატარა შეესევა ზვრებს კახეთსა და იმერეთში, ქართლსა და რაჭა-ლეჩხუმში — ყველგან, ყველგან სადაც ეს ფესვმადლიანი მცენარე ხარობს და გამრჯე კაცს ახარებს.

დიდი მოსავალი მოვიწიეთ შარშან — ყველაზე ბევრი ყურძენი შარშან დაიკრიფა და ჩაბარდა სახელმწიფოს. განსაკუთრებით კახელმა მევენახეებმა გამოიჩინეს თავი. მიუხედავად სეტყვისა და უამინდობისა, გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს. წელს ახალი გეგმებია, ახალი სიმაღლეებია დასაპყრობი, საამისოდ კი მოსავალს კარგი პირი უჩანს.

გამრჯე გლეხკაცი მართლაც შვილივით უვლის ვაზს... ვაზს უყურადღებობა არ უყვარს, გარჯას, მოვლას და სიყვარულს მოელის მევენახისგან. ვინც მოვლას და სიყვარულს არ დააკლებს, ვაზმა მისი დაფასებაც იცის, ამზევებულ, ქარვისფერ მტევნებს შეაგებებს შემოდგომაზე.

ნამდვილი მევენახე დღედაღამ ცის მომზირალია. მალიმალ შეავლებს ხოლმე თვალს სივრცეს იმის შიშით: „ემანდ სეტყვის ღრუბელი არ შემოეხეტოს ცაზეო“. არა და სეტყვა სწორედ კახეთის შესანიშნავ ზვრებს ემტერება. ხალხმა ისწავლა სეტყვით დაზიანებული ვენახის მკურნალობა, დროული მიშველება, გამეჩხერებული ზვრების შევსება და მოვლა-პატრონობა. ჩვენი პარტია და მთავრობა უდიდეს ყურადღებას აქცევს სოფლის მეურნეობის, კერძოდ მევენახეობის განვითარებას. ხალხიც გულისყურით და სიყვარულით ეკიდება ამ სახელმწიფოებრივ საქმეს.

მობრძანდა შემოდგომა! ალაზნის ველზე მალე მაჭრის სურნელი დატრიალდება. მზეს მიეფიცხებიან ჯარისკაცებივით ჩამწკრივებული ჩურჩხელები. მალე შეივსება პირდაღებული ცარიელი ქვევრები, ყურძნით დატვირთული მანქა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნები იქროლებენ გზებზე. დიდ-პატარა ზვრებს შეესევა და გაჩაღდება რთველი.

აწკრიალდა სკოლის ზარი და ახალი სასწავლო წლის დაწყება მიახარა მოსწავლეებს, მასწავლებლებს, მშობლებს — განსაკუთრებით კი იმათ, რომლებმაც პირველად გაშალეს დედა-ენა და მზის სხივებივით ნათელი თითები გააყოლეს პირველ ასოებს, სათავეს ქართული ანბანისას — და გაუბედავად, დამარცვლით ამოიკითხეს —„აი, ია".

უმაღლეს სასწავლებლებს მიაშურეს ჩვენმა სახელოვანმა სტუდენტებმა, მესამე შრომითი სემესტრი სახელოვანი, დაუზარელი გარჯით დააგვირგვინეს, უფრო გაკაჟდნენ და გამოიბრძმედნენ.

მობრძანდა სექტემბერი!

განა მხოლოდ მევენახეებს დაუდგათ ჟამი ბარაქიანი რთველისა?!. მწერლებიც შემოდგომით მოიწევენ ხოლმე მთელი წლის ნაშრომ-ნაღვაწს, — მითუმეტეს, რომ პოეზიის შესანიშნავი დღესასწაული ყოველწლიურად შემოდგომობით ტარდება. პოეზიის დღეები თავისებური რთველია მხატვრული სიტყვისა, საუკეთესო სიტყვისა. მწერლები კვლავ თქვენს გვერდით იქნებიან, ყველაფერს იღონებენ რათა თქვენი გმირული შემართება უფრო ფართოდ, უფრო ამაღელვებლად აისახოს ჩვენს შემოქმედებაში.

სოფლის სიძლიერე ქვეყნის სიძლიერეს ნიშნავს, სოფელი კი გონიერი და გამრჯე ხალხითაა ძლიერი. ბარაქიან რთველს გისურვებთ, სახელოვანო მევენახეებო!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თეიმურაზ მაღლაფერიძე

მკითხველს ვთხოვ, მხედველობაში მიიღოს: წიგნში ზოგი რამ ისეა, როგორც შეიძლებოდა მომხდარიყო და არა ისე, როგორც სინამდვილეში მოხდა.

# ცხრაკარა

დოკუმენტური რომანი

მაგრამ ნელ-ნელა შევიგენ თითქოს
მნელია უხმო აჩრდილებს მიჰყვე.
ყოველდღე, ლოდი ცვივოდა თითო, —
და მტკივნეულად ოხრავდა ციხე.

მირზა

ავტორისაგან:

**იმ გაზაფხულზე** გამუდმებით თქორავდა თბილისში. მთაწმინდაზე, სადაც ჯერ კიდევაა შემორჩენილი აივნიანი, ხვეულკიბიანი და პატარა ეზოიანი, ძველებური სახლები, ფუნთხმა წვიმამ ტყემლის, ნუშისა და ალუჩის ხეებს ახლადგამოფეთქილი ყვავილი დააყრევინა და ფანტელებივით დააფინა მიწას. მხოლოდ ქამითქამამდე თუ აცხუნებდა მზე და მაშინ მამადავითის მთის განიერ მკერდს თეთრად გაუდიოდა ბურბური, ხოლო მთაწმინდის უბნის ერთიმეორეზე მიჯრილ, ოკრობოკრო, პილპილისფერ სახურავებს ორთქლის მსუბუქი ჯიდა ულიცლიცებდათ ნიმბივით. ზოგჯერ შორს, ცრიატ ნისლეულში, მყინვარწვერის შაქრისფერი წვეროც გაიკრთომებდა ხოლმე. ქვემოთ კი, მტკვრის ორივე ნაპირის აფერდებამდე, ნელიად ფშვენდა თბილისი და ბებერ ძარღვებში, ვინ მოთვლის მერამდენედ, გაზაფხულის გამთანგავი ჟრიამული უვლიდა. ოი, რა ნეტარი დრო იყო! დრო სიჭაბუკისა, სიყვარულისა, რწმენისა და იმედისა. ჩვენ მაშინ, რამდენიმე უახლოესი მეგობარი, ხშირად ვიყავით ერთად. სწორედ აქ, მთაწმინდის უბანში, კოტე მესხის ქუჩაზე ვიკრიბებოდით ხოლმე, სადაც, კარგა მოზრდილ სახლში, ერთ-ერთ მეგობარს პაწაწკინტელა ოთახი ჰქონდა დაქირავებული.

ეს სახლი ტიპიური თბილისური სახლია: ციცქნა ეზოში აკაციის ორი ბებერი ხე დგას, საერთო ონკანიდან გამუდმებით მოჩხრიალებს წყალი, აივნებზე ნაირფერი სარეცხეულია გამომზეურებული, ისმის ნარდის ქვების აზარტული ჩახაჩუხი და ათასი ჯურის ენაზე თუ კილოკავზე ყაყანი, ხოლო ბავშვების ჟივილხივილისაგან მართლაც რომ ილაჯია გაწყვეტილი. გვიყვარდა, ძალიან გვიყვარდა ვიწრო, მიხვეულ-მოხვეული ფოლორცებით აქ ამოსვლა და, ლადო ასათიანისა არ იყოს, „ნატეხ პურზე და ლიტრ ღვინოზე“ მეგობრულ სერობათა გამართვა. ბაასი, რაღა თქმა უნდა, უმეტესწილად ლიტერატურას, ხელოვნებას, საკუთრივ პოეზიას შეეხებოდა. ჩვენ მაშინ იმ ასაკისანი გახლდით, როცა ლიტერატურაზე მხოლოდ ემოციებით ლაპარაკობენ და საკუთარ აზრი ერთადერთ სწორ აზრად მიაჩნიათ. ამიტომ ხაუბრები, ხშირად, მწვავე კამათში გადადიოდა და, თუ არ ნოდარ ჩხეიძე, რომელიც ჩვენთა სერობათ უცვლელად თავკაცობდა, ალბათ წვრილმან კინკლაობაშიც დახურდავდებოდა არცთუ იშვიათად. ნოდარ ჩხეიძე ჩვენზე ასაკოვანი იყო რამდენიმე წლით და იმდროინდელი ლიტერატურული ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა. მისი ანალიტიკური ჭკუა, კოლოსალური ცოდნა, მძაფრი სარკაზმი და სიკეთით გატენილი გული გვხიბლავდა, ძალაუნებურად

გვიმორჩილებდა და გავლენაში გვიქცევდა. თუმცა, ეს არასოდეს ყოფილა მძიმე უღელი გავლენისა, ამას კეთილისმყოფელი გავლენა უფრო ეთქმოდა. აბა ვინ იფიქრებდა, თუ რამდენიმე წლის შემდეგ ასე ულვთოდ, ასე უაზროდ გამოგვეცლებოდა იგი ხელიდან და მის სიკვდილთან ერთად ჩვენი სიჭაბუკის ნეტარ ხანასაც სამუდამოდ დაესმოდა წერტილი?!..

ჰო იმ გაზაფხულზე გამუდმებით თქორავდა თბილისში. კარგად მახსოვს, ერთ საღამოს, წვიმისა და გაზაფხულის ოხშივარით გაბრუებული, როგორ ავყევი ბესიკის აღმართს, როგორ წკაპუნობდა წვიმის წვეთები აკაციის ჩვილ ფოთლებზე, როგორ მივადექი გრძელ, ჩაბნელებულ ტალანს, ეზოში რომ უნდა შევეყვანე და სრულიად შემთხვევით, როგორ დავინახე კედელზე მიმაგრებული წარწერა „კოტე მესხის ქ. № 8“. დავინახე და გონებაში მაშინვე გაკრთა მირზა გელოვანის ბალღობიდანვე შესისხლხორცებული სტრიქონები: „გაზაფხული მუქად ჩამოიბარდა და სითეთრე ჰყვაოდა ალუჩაზე. აი სახლი, რომელიც მე მიყვარდა, № 8, კოტე მესხის ქუჩაზე“... ამ წარწერისათვის მანამდე არასოდეს მიმექცია ყურადღება. უნებლიე ჟრუანტელმა დამკრა. თვალნათლივ წარმოვიდგინე ჭაბუკი მირზა აი, იმ ბებერ აკაციასთან ატუზული და განათებული სარკმლებისაკენ მზირალი, ეგებ გამოჩნდესო „სახე, გულზე ამოსერილი“...

მერმე ჩვენ, მაგიდის ირგვლივ შემომსხდარნი, ვბაუბრობდით მირზა გელოვანის ტრაგიკულ ბედზე, რიგრიგობით ვამბობდით ლექსებს და „სახლში, რომელიც მას უყვარდა“, დიდ ხანს გაისმოდა მისივე შუშხუნა სტრიქონები. აქ ნოდარ ჩხეიძეს, ცხადია, ვერავინ მიეტოლებოდა. მხოლოდ ეგ იყო, უკვირდა და სწყინდა კიდეც — რატომ პირველად მე არ შევნიშნეო, რომ ეს სახლი „ნომერი რვააო“. მერმე, როგორც სჩვეოდა ხოლმე, თვალები მოწკურა, მომაჩერდა და მითხრა: „რაკილა ეს „აღმოჩენა“ შენ გეკუთვნის, კარგი იქნება თუ ჩაუჯდები და წიგნს დაწერ მირზა გელოვანზე, ხომ იცი, ქართული მწერლობა დიდ ვალშია ამ მზიური ჭაბუკის წინაშე“.

უყვარდა მოულოდნელი იდეების უეცარი გადმოსროლა და ამით ხშირად დიდებულ შედეგს აღწევდა, ადამიანებს ქმედების წყურვილით მსჭვალავდა. მეც და ჩემი მეგობრებიც მაშინ „ძმობის, ლექსის, სიყვარულის“ მძაფრი ექსტაზით ვიყავით შეპყრობილნი და ამიტომაც იყო, წინააღმდეგობა არ გამიწევია, როცა საზეიმო ფიცი დამადებინეს: წიგნს აუცილებლად დავწერდი, თან, რაც შეიძლება მალე! მალე დაწერისა რა მოგახსენოთ, გაზაფხულის იმ თქორიანი საღამოს შემდგომ ბარე თხუთმეტმა წელმა ჩაიხრიალა, მაგრამ ფიცი, როგორც ხედავთ, მაინც შევასრულე:

წიგნი, ავად თუ კარგად, დაიწ[illegible]
მადლობა ძვირფასი ნოდარის [illegible] სულს, ჩემს მეგობრებს და ყველას, ვინც ამ საქმეში დახმარების მარჯვენა უშურველად გამომიწოდა.

კარგად მახსოვს, პირველად როდის გახმიანდა ჩემში მირზა გელოვანის სახელი. პიონერთა სასახლის ლიტერატურულ წრეში მასწავლებელმა ფაცია პაიჭაძემ გვაჩვენა მოყავისფროყდიანი წიგნაკი, კრებული ლექსებისა, რომელსაც ავტორის სურათიც ჰქონდა დართული. პირშიშველა მოყმეს მაზარა ეცვა, „ბუდიონოვკა“ ეხურა და ოდნავ თავგადაწეული, უჯიათი მზერით იყურებოდა. მაშინ ომი ახალდამთავრებული იყო და ამ კრებულიდან თითქოს აშკარად მოისმოდა ფუგასური ბომბების სკდომის ხმა, ტანკების გრუხუნი, ქვემეხების ბათქი, მხედართა ყიჟინა... იგრძნობოდა, აგრეთვე, დაურვებული ნაღველი ყოველივე იმაზე, „რაც დარჩა“ იქ, შორს, საქართველოს უტკბილეს მიწაზე... განსაცვიფრებლად ნამდვილი, გულწრფელი, რაინდული, საგნობრივად კონკრეტული ხილვები გამოკრთოდა ამ ლექსებიდან და ამიტომაც იყო, რომ მათი ავტორი მაშინვე განუყრელად დაგვიმეგობრდა ყველას. ასე ცხოვრობდა მას შემდეგ მირზა გელოვანი ჩემში და ჩემთან ერთად. ხოლო მერმე, მოგვიანებით, გაზაფხულის ერთ თქორიან საღამოს, მოგეხსენებათ, წიგნის დაწერაც გადამაწყვეტინეს მეგობრებმა. პირველ რიგში, რაღა თქმა უნდა, მირზას და და უნაზესი სულიერი მეგობარი რუსუდან გელოვანი გამახსენდა. ვიცოდი, რომ იგი თიანეთში ასწავლიდა ქართულ ენასა და ლიტერატურას. აღარ დამიყოვნებია, ბარათით შევეხმიანე — თქვენს ძმაზე წიგნის დაწერას ვაპირებ და იქნებ მომეხმაროთ-მეთქი. ვწერ ამ სტრიქონებს და დავცქერი ჩაყვითლებულ ფურცელს, საპასუხო ბარათს ქ-ნი რუსუდანისას. ახლა, როცა იგი ცოცხალთა შორის აღარ არის, ამ პატარა წერილს განსაკუთრებული ფასი ადევს ჩემთვის.

„პატივცემულო თეიმურაზ!

ბოდიშს ვიხდი, რომ პასუხი დაგიგვიანეთ. დიდი მადლობა მომიხსენებია ჩემი ძმის სიყვარულისათვის. მე სიხარულით დაგეხმარებით ამ საქმეში, მაგრამ მირზას ბიოგრაფიულ ნარკვევზე უკვე მუშაობს ერთი ამხანაგი, მასალებიც მასა აქვს დაგროვილი (მირზას ნაამხანაგარია იგი). თუ თქვენ ეს ხელს არ შეგიშლით, სიამოვნებით მიმსახურეთ“.

პატივისცემით რ. გელოვანი.

ამ ბარათმა კიდეც გამახარა და, რაღა დავმალო, დავთრებიც ამირია; თუ მირზას ნაამხანა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარი უკვე მუშაობდა ბიოგრაფიულ ნარკვევზე და ყველა საჭირო მასალაც ხელთ ჰქონდა, მე სხვა აღარაფერი დამრჩენოდა, თუ არა განზე გადგომა და მოლოდინი. მაგრამ ეს ლოდინი ძალზე ხანგრძლივი და ბერწი გამოდგა — ბიოგრაფია მირზასი არ ჩანდა და არა. მე დღესაც არ ვიცი, ვინ აპირებდა მის დაწერას? ანდა რატომ აღარ დაამთავრა, რამ შეუშალა ხელი? ასე იყო თუ ისე, ამ მოლოდინში მე სხვა ლიტერატურული საქმეებით გავერთე და მირზაზე ფიქრი, ნება-უნებლიეთ, მეორე პლანზე გადავიდა.

გაიარა წლებმა.

მერმე, სრულიად მოულოდნელად, გარდაიცვალა რუსუდან გელოვანი, ქალი, რომელსაც წმინდანის ნიმბი დაშვენდებოდა... ეცნობი რუსუდანის და მირზას უფაქიზეს, შარავანდით მოსილ ურთიერთობას და გახსენდება ძვირფასი სახელები მაიკო ორბელიანისა და ტატო ბარათაშვილისა. რუსუდანს ბედმა საკუთარი ძმის მაიკო ორბელიანობა არგუნა და ვინაც ჯერ არს — იცის, რაოდენი ღირსეულობით მოიხადა მან ეს დიდი ვალი. რომ არ ყოფილიყო რუსუდან გელოვანი, ვინ იცის, რა ბედი ეწეოდა არმურში გადაშვებული პოეტის შემოქმედებას: ანდა, დაიწერებოდა თუ არა ის პირადი წერილები მირზასი, რომლებიც სამუდამო მშვენებად დარჩებიან ქართული ეპისტოლარული ლიტერატურისა?

გასულ ზაფხულს თიანეთში გახლდით. მოვინახულე გელოვანთა სახლ-კარი, სტუმართმოყვარე თიანეთელმა მეგობრებმა მომატარეს მირზასეული ადგილები, ბოლოს იმ ნაღვლიან სასაფლაოზეც ვიყავი, სადაც მირზას მშობლები, ძმა თეიმურაზი და რუსუდანი განისვენებენ.

მირზა კი, თანამებრძოლებთან ერთად, შორს, ბელორუსიის მიწაში ინაცრება.

მე თითქოს თვალნათლივ ვხედავდი გელოვანთა დიდებული ოჯახის მატიანის დასასრულს. რამდენი ასეთი ოჯახი გააპარტახა და აღგავა პირისაგან მიწისა წყეულმა ომმა, რამდენი — ეკზიუპერის სიტყვებით რომ ვთქვათ, „მოცარტი ჩაკლა“! მირზაც ხომ ერთი ასეთი მოცარტთაგანია, ოღონდ საბედნიეროდ, ბოლომდე ვერჩაკლული. და მე მივხვდი, ახლა უკვე საბოლოოდ, რომ უნდა დამეწერა წიგნი მირზაზე. უეჭველად უნდა დამეწერა და დამერქმია „ამაღლება“.

აქვს მირზა გელოვანს ლექსი, რომელიც ფრონტიდან გამოგზავნილ მოკლე ბარათშია ჩართული. ლექსი უსათაუროა და პირველი სტრიქონის მიხედვით შეიძლება ასე დასათაურდეს: „იქ, სადაც სხვები ქვებს დაემსგავსნენ“. ხსენებული ლექსი იქნებ არ ეკუთვნოდეს პოეტურ შედევრთა რიცხვს, მაგრამ ერთი ღირსება კი უდავოდ აქვს: მირზას პიროვნებას ხსნის და მის სულში ჩახედვის საშუალებას იძლევა. ჭაბუკი პოეტი თითქოს თავისთავს აანალიზებს, საკუთარი შინაგანი ბუნების გასაღებს გვაწვდის. ამ ლექსის ლირიკული გმირი წარმოგვიდგება ადამიანად, რომელიც უკიდურესი ძნელბედობის ჟამს, როცა „სხვები ქვებს დაემსგავსნენ“, „ხანძრებს, ღამეთა კალთებზე გაშლილთ, გზებზე ჩახერგილ ღამეთა ლოდებს“ უცქერის „თვალები ბავშვის“. აი, სწორედ ეს „ბავშვის თვალები“ გამოარჩევდა მირზა გელოვანს ყველგან და ყველასაგან — იქნებოდა ჟამი მშვიდობისა თუ ჟამი არნახული სისხლის წვიმებისა. ერთი სიტყვით, იგი პოეტი იყო, მაგრამ ისეთი პოეტი, რომელიც არასოდეს ჰკარგავდა რაინდულ „სიმაღლეს თვისას“...

მე სხვადასხვა დროს მისაუბრია მირზა გელოვანის ნათესავებთან და ნაცნობ-მეგობრებთან. ისინი ერთხმად აღნიშნავენ: მირზას ხასიათის მთავარი თვისება თანდაყოლილი რაინდობა იყოო. მთათა მომლახველი, მიზანდაუმცდარი მონადირე და მოცურავე, ჭირთამთმენი, ხიფათის მაძიებელი და განსაცდელში ჩავარდნილი მოყვასისათვის საკუთარი სიცოცხლის ფასად ხელის გამწვდენი, მოკრძალებული, მაგრამ უკომპრომისო, კაი დამრტყმელი, მეფანდურე, მომღერალი და მომლხენი... ბოლოს, ჩინებული ლექსების მწერალი — ასეთი იყო მირზა გელოვანი. ასეთად ვხედავ მე მას — ბიოგრაფიული ფაქტების, ლექსებისა და მიმოწერის შესწავლის შემდეგ და მაინც, წიგნი, რომელიც ხელთ გიპყრია, ძვირფასო მკითხველო, მიზნად არ ისახავს მირზა გელოვანის ბიოგრაფიის დოკუმენტური სიზუსტით წარმოდგენას შენს წინაშე. გარდა იმისა, რომ ეს ახლა ალბათ შეუძლებელიც იქნებოდა, ვეჭვობ — საჭირო იყოს. დოკუმენტებისა და მოგონებების მიღმა მე ჩემეული მირზა გელოვანის განჭვრეტა მინდოდა და ვეცადე ისეთი დამეხატა, როგორადაც მე ვხედავ მას.

ერთი სიტყვით, ძვირფასო მკითხველო, ამ წიგნში მხოლოდ და მხოლოდ ჩემს მირზა გელოვანს შეხვდები. ღმერთმა ჰქნას, სწორედ ასეთი მაილო და შეიყვარო იგი.

მირზა ახლა სამოცზე მეტისა იქნებოდა. არც სიცოცხლეში და არც სიკვდილის შემდეგ, როცა მისი სამუდამო სიცოცხლე დაიწყო, მას არ დაუკარგავს „სიმაღლე თვისი“. დღეს იგი უკვე ისტორიაა, ჩვენთან ერთად მცხოვრები, მარად ცოცხალი ისტორია. ღრმადა ვარ დარწმუნებული, რომ მისი ლამაზი ცხოვრება და შემოქმედება კიდევ მრავალს აალებინებს კალამს და დასვამს წერად...

ღმერთმა ყველას ხელი მოუმართოს.

---

ᲗᲔᲘᲛᲣᲠᲐᲖ ᲛᲐᲦᲚᲐᲤᲔᲠᲘᲫᲔ

ᲪᲮᲠᲐᲙᲐᲠᲐ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნაწილი პირველი

# „თეთრი ვილა“

(1926—1936)

მინდორი, ჭალები, ტყეები,
დღეები, ბავშვობის დღეები...

გალაკტიონი

## თავი პირველი

### 1.

საღამოს დადგომა განსაკუთრებით უყვარდა ბიჭს. ამ დროს ოჯახში სიმყუდროვე და ფაქიზი, გამჭვირვალე ბინდბუნდი ისადგურებდა. უზარმაზარი ბუხარი რცხილის კუნძებითაა გამოტენილი, ცეცხლს სასიამოვნო გურგური გაუდის, ხოლო ჭერზე და კედლებზე ფანტასტიური ჩრდილები ლივლივებენ. ჩრდილთა თამაში მართლაც რომ საკვირველია და უცნაური. რაგინდარა სურათები არ იქმნება: აგერ, ზღაპრული ფასკუნჯი მიფრინავს ფრთების შემაზარები ფრაშფრაშით, აგერ, ქაჯეთის ციხეზე მიტევებული მხედრები მიაგელვებენ ცხენებს, არის ერთი გნიასი და წყვეტება. აგერ, სამკუთხა შეკრული წეროების გუნდი მიაპობს ნისლით ჩამობურულ ტატნობს, მიფრინავენ და ყივიან სულისწამლები ნაღვლით... ვინ მოსთვლის, კიდევ რამდენნაირ სურათს ხედავს ბიჭის გაფართოებული, ცისფერი თვალები კედლებზე მიმოფენილი შუქჩრდილების თამაშში. ვინ მოსთვლის... ამ დროს, მამა, ჩვეულებისამებრ, ტახტზეა წამოწოლილი, თავი ჭრელ, ფოჩებიან მუთაქაზე მიუსვენებია, მუხლი მუხლზე შემოუდვია და გაზეთებს ათვალიერებს. გვერდით სულ პატარა თემო უწევს, იგი გულმოდგინედ ცდილობს მამას მიბაძოს, მასავით გადაიდოს ფეხი ფეხზე და სერიოზული სახე მიიღოს, მაგრამ ვერ ახერხებს. რუსუდანი უზარმაზარ, შინნაქსოვ შალში გამოხვეულა და მთლად ბებერს დამსგავსებული, ჩუმად მოკუნტულა ბიჭის გვერდით, ლოგინთან. ისიც ბიჭივით მეოცნებეა და თავი ათასნაირი ფანტაზიით აქვს გამოტენილი. ამიტომ ბიჭსა და რუსუდანს უსიტყვოდაც მშვენივრად ესმით ერთმანეთისა. ხოლო როენა, ახაკით და-ძმებში ყველაზე უფროსი, დედის მუხლებთანაა მოკალათებული. ჰი, დგება უბედნიერესი წუთი: დედა ბაფთიან, ძველებურ გიტარას იღებს, ნიავივით ელამუნება სიმებს და წყნარი, ტკბილი ხმით მღერის. მშვიდად, ძალიან მშვიდად, საამოდ მღერის დედა, მხოლოდ ერთხელ და ისიც ზმანებაში ქართველ ქალთა ძვირფასი სამება რომ უნახავს თურმე... მერმე რუსთაველიც რომ გამოჩენილა — ის სულმნათი და მგოსანი და, ხელთ რომ „ვეფხისტყაოსანი“ სჯერია... როენა ბავშვურ, წკრიალა პირველს გაუბედავად აყოლებს დედის ხმას, ხოლო მამა დარბაისლური, დაბალი ბანით ავარაყებს ცოლშვილის სიმღერას... მართლაც რომ ნეტარი წუთებია. ამას გრძნობენ შვილები, ეს იციან მშობლებმა და ექვსივენი ბედნიერები არიან. ასე გადის დრო...

### 2.

ბიჭი ჯანსუსტი იყო, დაბადებიდან მოყოლებული ერთთავად ავადმყოფობდა და თითქმის ყველა საყმაწვილო სენი ჯერ კიდევ წამოჩიტებამდე მოიხადა. არ დაჰკლებია წითელა, ყელჭირვება, ქუნთრუშა, ყივანახველა და ბატონები. მერმეც, მოჩიტვის შემდეგაც, ნიავის უბრალო დაქროლვაც საკმარისი იყო, რომ ხამიზდი (სურდო) შეჰყროდა და მაღალი სიცხით გაბურბურებულიყო. უცნაურია, მაგრამ ავადმყოფობა უყვარდა კიდეც. სიცხე რეალური გარემოდან სთიშავდა ბალღს და ისედაც გამახვილებულ აღქმის უნარს ერთი ათად უმახვილებდა. ღამღამობით, როცა ყველა იძინებდა და იგი მარტო რჩებოდა, ყვითელი მთვარის სხივებს ზღაპრული ეთერი შემოჰყვებოდა ოთახში, სასთუმალთან ჩამოუჯდებოდა და თვალცრემლიანი უამბობდა თავისი და აბესალომის გაუხარელი სიყვარულის ამბავს. ეს ამბავი დედისაგან უკვე იცოდა ბიჭმა, მაგრამ თვით ეთერისაგან ნაამბობი მაინც სულ სხვა იყო. მერმე ეთერი კოჭამდეწვდენილ ოქროს დალალებს გაიშლის, ბიჭს ტალღებად გადააფენს და ყურში უჩურჩულებს: „ჩვენს უკან დიდი ველია, ია დგას, ვარდი ჰფენია, კოშკი დგას მარმარილოსი, წვერი ცას მიუბჯენია, შიგა ზის ქალი ლამაზი, თავის თმისაგან ბნელია, მას სავარცხელი რად უნდა, დარალა ოქროს ფერია“. ბიჭი ლამის დაიბნიდოს ეთერის თმათა სურნელით, სული ეკმევა, სხეული ევსება უცნაური ჩუხჩუხით და ნეტარების ცრემლები ღვარად გადმოსდის თვალთაგან. ოთახის კედლები რუსუდანის მოკრეფილი მინდვრის ნაირფერადი ყვავილებით არის მოჩითული. იგი ყოველდღე მიმოირბენს ხოლმე თიანეთის შემოგარენს — ცხრაკარას ფერდობებს თუ ივრის ნაპირებს, ოღონდ ცოცხალი ყვავილები არ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოაკლოს ავადმყოფ ძმას. ყვავილები სულ სხვანაირი სიყვარულით უყვარს ბიჭს, ვერ ძღება მათი ცქერითა და ალერსით. მერმე, მრავალი წლის შემდეგ, ომის ქარცეცხლში გაკაშკაშებული, ასეთ სტრიქონებს მოიწერს ფრონტიდან: „გემუდარებით, ფეხი არ დაადგათ ყვავილებს“... თენდება და ღამდება, დღეს დღე ცვლის. სამსახურიდან დაბრუნებული მამა ცოტა ხნით წათვლემს ჭრელ, ფოჩებიან მუთაქაზე თავმიდებული, მერმე ვაჟიშვილს ჩამოუჯდება სასთუმალთან და გელოვანთა გვარის ასავალ-დასავალზე ესაუბრება, წინაპართა აჩრდილების გამოხმობას ლამობს საუკუნეთა ბნელი საშოდან. თურმე ქართველთა დიდი დელის — თამარის მეფობის ჟამს გელოვანთა გვარის კაცი უკვე გამოჩინებული და ფრიად აღმატებული ყოფილა. მამას ხელთ უპყრია დიმიტრი ბაქრაძის მიერ გამოცემული ბატონიშვილ ვახუშტის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ და დინჯად კითხულობს: „არამედ ხელისუფალნი თამარის პირველ მეფობასა ესენი იყვნენ: სპასალარი სარგის მხარგრძელი, მანდატურთუხუცესი ჭიაბერი, მეჭურჭლეთუხუცესი კახაბერ ვარდანისძე, ამილახორი თორელი გამრეკელი და ერისთავნი ესენი: ბარამ ვარდანისძე სუანთა, კახაბერი კახაბერისძე რაჭისა, დადათო შარვაშისძე აფხაზთა, ამუნელისძე ცხოშისა, ბედიელი ოდიშისა, ლიხთიმერ-ამერთა რატი სურამელი, ბაკურ ძაგანისძე, გრიგოლ ასათისძე ჰერეთისა, ბოცო ჯაყელი სამცხისა და ვეზირად და მდივანთ უხუცესად დაადგინა ანტონი გელოვანი, კაცი ბრძენი და გონიერი“... ბიჭს თვალები უფართოვდება, ტანზე ბურძგლები აყრის. გაუთავებელი კითხვებით აღარ ასვენებს მამას. ესე იგი, ანტონი გელოვანი მეფე თამარის ვაზირი და მდივანთუხუცესი იყო? ალბათ ხშირ-ხშირად ნახულობდა თამარს? რას უბრძანებდა ხოლმე დედოფალი? ეტყობა, დიდად ენდობოდა მეფეთმეფე, რაკიღა მემატიანე „ბრძნად და გონიერად“ იხსენიებს?! ხომ შეიძლება შოთა რუსთაველიც სცნობოდა ანტონი გელოვანს? ცხადია, შეიძლებოდა! იქნებ მეგობრებიც კი იყვნენ? მაშ, ვის აირჩევდა შოთა მეგობრად, თუ არა „ბრძენსა და გონიერს?“ ვინ იცის, „ვეფხისტყაოსანსაც“ კი უკითხავდა?.. მერმე? მერმე რა ბედი ეწიათ გელოვანებს? მეტი აღარაფერი სწერია მაგ წიგნში? ბიჭი წრიალებს, მამას ეპოტინება, თვალებში შეცნობის წყურვილი აქვს ჩატბორილი. და მამა კიდევ კითხულობს: „გამეფდა შემდგომად დავით მეფისა ძე მისი ბაგრატ V. შემოკრიბნენ კათალიკოზ — ეპისკოპოზნი, დიდებულნი და წარჩინებულნი და აკურთხეს ქუთაისს. ამან დაიპყრა ყოველი ივერია საბრძანებელსა შინა თვისსა, რამეთუ იყო მხნე, ახოვანი, ტანითა ძლიერი, შუენიერებითა ჰაეროვანი, უცთური მოისარი, სამხედროთა სრული, სამღუდელოთა პატივისმცემელი, მშვიდი, მოწყალე, შემმართებელი ძლიერ. არამედ ამის მეფობისა მეორესა წელსა დაბნელდა მზე და უკუდგნენ სუანნი, გარდმოვიდნენ, მოსტყუევნნეს ქუთათისი და მოწუეს. სცნა რა ესე ბაგრატ მეფემან, მსწრაფლ მივიდა ქუთათისს, მუნ შემოიკრიბნა სრულიად სპანი გიორგიისანი და ჰერ-კახთა, წაიძღუანნა რაჭველნი და უბრძანა მათ მისვლა რაჭიდამ და დადიანი, გურიელი და აფხაზნი და სომხითარნი მიუგზავნა ოდიშიდამ ეცერსა ზედა. ხოლო თვით წარიძღუანნა ლეჩხუმელნი და პიატანნა მესხი, კლარჯნი და იმერით-ამერით მიჰყვა თვითცა და შევიდა ესრეთ. არამედ მხილველნი სუანნი ძლიერებისა მისისანი ვერღარა წინაალუდგნენ. მაშინ მეფემან ურჩნი და შემცოდენი თვისნი მოსწყვიდნა, მოსტყუევნა და დაიმორჩილნა ნებასა შინა თვისსა, აღიხვნა ციხენი და სიმაგრენი მათნი და უმეტეს პირველსა მორჩილი ჰყვნა, ხოლო იტყვიან, მაშინ იყო ერისთავი სუანთა ვარდანისძევე. შეიპყრა იგი მეფემან და პატიმარ ჰყო. შემდგომად რაოდენთამე ჟამთა შეიწყალა და მისცა გურია საერისთაოდ და სუანთა ერისთავად დასუა სხუა, რომელსა იტყუიან გელოვანსა“. მაშ, მეთოთხმეტე საუკუნიდან გელოვანები სვანთა ერისთავები არიან? ვინ იყვნენ ისინი, რა გონებრივი და სულიერი ავლადიდება გააჩნდათ? რით და როგორ ემსახურებოდნენ მამულს — საქართველოს? ან ემსახურებოდნენ კი საერთოდ? ამაზე არაფერს ამბობს. სდუმს ისტორია და ვახუშტი ბატონიშვილიც ძალზე მოკლედ შენიშნავს თავისი დიდებული მატიანის წერის ჟამს, მეთვრამეტე საუკუნეში: „უწარჩინებულესნი და შემძლებელნი იყვნენ სუანეთს გელოვანნი, ხოლო აწინდელთა ჟამთა არღარა ეგოდენისა ძალისა და უფლებისა მქონე სუანთა ზედა“. რა მოხდა, რა ქარბორბალა დატრიალდა გელოვანთა საგვარეულოს თავზე? სახელოვანი ანტონი გელოვანის ჩამონავლებს ასე როგორ გადაუტყდათ ხერხემალი? არავინ იცის დანამდვილებით! მართალია, მომდევნო საუკუნეებში აქა-იქ კვლავაც გამოასხივებდა ხოლმე ნიჭი და უნარი გელოვანთა, მაგრამ ეს მაინც მკრთალი ნაჩრდილიღაა წინაპართა საგმირო საქმეებისა. ბიჭი წუხს, ვერ მოუნელებია გელოვანების ასეთი დაკნინება, ხოლო მამა გულკეთილად იღიმება ულვაშებში. რატომ დაკნინება? განა მაინცდამაინც დიდვაზირი უნდა იყო, რომ სახელოვან კაცად იხსენიებოდე? აი, მაგალითად, ბაბუა ოტია გელოვანს, მღვდლად კურთხევის შემდგომ — კონსტანტინეს, მთელი თელავის მაზრა იცნობდა და დი-

თეიმურაზ მაღლაფერიძე
ცხრაკარა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დად საპატივცემულო მოძღვრადაც მიიჩნევდა... აქ ისევ მძაფრად იფაფრება ბიჭის სამანდაუდებელი წყურვილი ცოდნისა და ხარბად უსმენს მამის დარბაისლურ მონათხრობს: ობოლი ყოფილა ოტია, ქვემო სვანეთი მიუტოვებია და ლეჩხუმში, სოფელ სპათაგორში სამადლოდ შეჰკედლებია შორეულ ნათესავებს. უპატიურად ექცეოდნენ ნათესავები ობოლს, ლუკმას უთვლიდნენ. გამწარდა ბიჭი, მთლად ჩალამდა და ჩაიმდუღრა ზვიად გელოვანთა ჩამონავალი. „სიკვდილმა ჩამოიარა, ობოლი დახვდა წინაო: მე წამიყვანე სიკვდილო, არავინ მივის შინაო“. ცივი უარი უთხრა თურმე სიკვდილმა, რა დროს ეგააო, ხელი გაანძრიე, ხალხში გამოდიო, აქ რას უდგეხარო. მართლაც, დაჰკრა ფეხი ოტიამ და, ერთ მშვენიერ დღეს სამუდამოდ დაემშვიდობა სვანეთ-ლეჩხუმის მთებს. დაადგა მზით თეთრად გალვარლვალებულ კირქვიან გზას, ჩაიარა ალპანა, ტვიში, ქუთაისს გელათი მოილოცა, მიდგა-მოდგა, მაგრამ ვერსად დაეფუძნა, ამერეთში გადმოვიდა, სვეტიცხოვლის კედლებს სასოებით ემთხვია და მთლად უხამური ჩავიდა ტფილის-ქალაქს. თვალი მოსჭრა თურმე უამრავი ეკლესიის გუმბათთა ლაპლაპმა და სმენა დაუტკბო მირიადი ზარების მდორე გუგუნმა ცისკრისას თუ მიმწუხრისას. მაგრამ ვერც ტფილისქალაქში მოიკიდა ფეხი ობოლმა ბიჭმა. ეგ კი იყო, ხუცური და მხედრული წერა-კითხვა ისწავლა, წიგნებს, განსაკუთრებით სასულიეროს, დაეწაფა და სახარების უკვდავი ჭეშმარიტებანი ერთხელ და სამუდამოდ დაიჭდევა გულის ფიცარზე. ობლის კვერი ცხვა, ცხვა, გვიან გამოცხვა, მაგრამ კარგად გამოცხვა. სვანეთიდან დაძრულმა პილიგრიმმა, კახეთში, ქალაქ თელავში, ჰპოვა ბოლოს მყუდრო ბინა და სამუდამო სამკვიდრებელი. ღვთის მადლით ცხებულმა ახალგაზრდამ ღვთის სამსახური აირჩია სარბიელად, ჯვარი დაიწერა ვარდისუბნელ ლიზა ჩიკვაიძის ქალზედ, ეკურთხა მღვდლად და ერისკაცობაში ოტია გელოვანი, მამაო კონსტანტინედ გადაიქცა. ტკბილი, პატიოსანი, სათნო ოჯახი ექვს შვილს გააჩენს, რომელთაგან უფროსი, გედეონი, ტფილისის სასულიერო სემინარიაში სწავლაგასრულებული, მამის მიცვალების შემდეგ, უმცროს ძმას, შაქროს აიყოლებს, თელავიდან თიანეთს გადავა, იქ დაივანებს და მალე ცოლ-შვილსაც მოეკიდება. ასე დაედო სამანი გელოვანთა გვარის ხანგრძლივ ოდისეას. უსმენს ბიჭი, უსმენს მამის ტკბილქართულად მონათხრობს, უნებლიეთ რული ერევა და იძინებს შფოთიანი, ზმანებებით გატენილი ძილით. მონაყოლი ახლა უკვე სიზმარეულ ჩვენებებში უცოცხლდება და ჩვენებანი გაცილებით რეალურია და კონკრეტულად საგრძნობი. ბიჭი ხედავს ბერულ ჩოხაში გამოხვეულ ანტონი გელოვანს, რომელსაც დედა-თამარის წინ მოუდრეკია მუხლი, ხედავს ცადაწვდილ, თოვლ-ყინულიან მწვერვალებს სვანეთისას და ბაბუა ოტიას, რომელიც ფეხშიშველა მიაბიჯებს ქვიან, მზით გავარვარებულ, თეთრ შარაზე... მერმე ბაბუა ოტია ხელში აიყვანს ბიჭს და ლურჯ ჰორიზონტს დაანახვებს, ხოლო დედას ჩონგური უჭირავს და ნაზად უმღერის იმ სიმღერას, სულ პაწიას რომ უმღეროდა ოდესღაც: „დედის არუქ-მარუქო, მამის ციხე-ქალაქო, ბიძის ქამარ-ხანჯალო, პაპის ოქროს გუთანო, ბებოს მწვანე ბოსტანო, მამიდის წითელო ვაშლო“... ჩაესმის ბიჭს დედის ნაზი სიმღერა და ტკბილმწარე, მტანჯველ სიამოვნებას განიცდის.

ასე გადის დრო...

3.

მამას ჩინებული ბიბლიოთეკა ჰქონდა. ბიჭი ნამდვილ ნეტარებას ეძლეოდა, თუკი კედლის გაყოლებაზე ჩარიგებულ, წიგნებით გამოტენილ თაროებში ჩხრეკის საშუალება მიეცემოდა. მაშინ აღარც ჭამა უნდოდა, აღარც სმა და ასე გასინჯეთ, აღარც რუსუდანთან თამაში. ვერ იქნა და ვერ მიეჩვია იმ საოცრების უბრალოდ აღქმას, რასაც წიგნი ერქვა. როგორ ხდება ეს, რა ჯადოქრობითა და სასწაულით? გადაშლი წიგნს, კითხულობ ასოებს და სიტყვები გამოდის, სიტყვებს მიღმა კი მუდამ „რაღაცა“ იმალება, ხოლო ეს „რაღაცა“ უცნაურად მოქმედებს შენზე — უნდა გატირებს, უნდა გაცინებს, უნდა ზეცაში აგაფრენს, უნდა და — მთელს ქვეყნიერებას მოგარონიებს... როგორ ხდება ეს? როგორ? განსაკუთრებით უყვარდა დიდი, ორნამენტებით დამშვენებული წიგნის თვალიერება. ეს „ვეფხისტყაოსნის“ ქართველიშვილისეული გამოცემაა ზიჩის ნახატებითურთ. სურათები, რა თქმა უნდა, საინტერესოა, მაგრამ ბიჭისთვის ათასწილ უფრო განსაცვიფრებელი მიჯრით მიწყობილი სტრიქონებია. „დანა დაიცა, მოცაკვდა, დაეცა, გასისხლმდინარდა“... თითქო ელვამ გაანათა მოულოდნელად. სიტყვები ისე არიან ერთმანეთში ჩაწნულ-ჩაგრეხილი, როგორც ის ლურჯი მთები, სარკმლიდან რომ მოჩანს. ბიჭი კითხულობს და გიჟური რიტმით აყვანილს ტანში მხურვალება დაუდის, ხოლო ხელ-ფეხი ეყინება. ჩერდება და თვალებს ხუჭავს, უსმენს შინაგან ჟრიამულს. გრძნობს, აშკარად გრძნობს, რომ ტვინში სიტყვები, სიტყვები აქვს გაჩხერილი, ეს სიტყვები გამოსავალს ეძებენ, წვალობენ, ერთმანეთს ეჯახებიან, ყელყელაობენ, მაგრამ ვერ ეწებებიან ერთმანეთს, ვერ მთლიანდებიან... ბიჭმა არ იცის, რა ამბავია მის თავს, წუხს, ვერ მიმხვდარა, რომ სულში, თავისდა უნებლიედ, ლექსი უმწიფდება. ამას იგი მერმე მიხვდება, ცოტა უფრო მოგვიანებით. მანამდე კი, სხვათა ნათხზავის სასიამოვნო ტყვე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ობაში იქნება. წიგნები... წიგნები... ბიჭს ყანაში სამკალად გასული ვაჟას მინდიასავით ემართება. უნდა, რომ ყველას ერთბაშად მისწვდეს, ყველა წაიკითხოს, საჩქაროდ გაათავისუფლოს და გაითავისოს წიგნებში ჩამარხული დედოსული, მაგრამ საამისო არც ასაკი დასდგომია ჯერ და არც ინტელექტუალური შესაძლებლობა. ეგეც არ იყოს, ქართული წიგნის გამოცემის საქმე საიმდროოდ ჯერ კიდევ ვერ დგას სახარბიელო დონეზე, ცოტაა ქართული წიგნი, რუსულში კი გვარიანად მოიკოჭლებს ყმაწვილი. გარდა წიგნებისა, მამას რევოლუციამდელი ჟურნალ-გაზეთების კომპლექტებიც აქვს შემონახული. რას არ ნახავთ აქ: „ივერია", „დროება", „სახალხო გაზეთი", „თეატრი და ცხოვრება", და სხვა მრავალი. მათი ჩაყვითლებული ფურცლები და სპეციფიური სუნი ძლიერ იზიდავს ბიჭს. საათობით შეუძლია ფურცლოს თვითეული მათგანი და იკითხოს აკაკის, ვაჟას, ვასილ ბარნოვისა და სხვათა თხზულებანი. მაგრამ წარმოიდგინეთ მისი გაკვირვება და სიხარული, როცა 1913 წლის „სახალხო გაზეთის" თვალიერებისას, უცებ, გედეონ გელოვანის ხელმოწერით, კარგა მოზრდილ წერილს (მთელი „სარდაფი") წააწყდება: „თუშები და მათი ზნეჩვეულებანი". ცოტას კიდევ გადაფურცლავს და, კვლავ მამის მოზრდილი წერილი: „არხოტის საუღელტეხილო გზა". ცხადია, ამ წერილებში აღძრული საკითხები განსაკუთრებულ საკვებს ვერ მიაწვდიან ყმაწვილის ტვინსა და გულს, მაგრამ ამ შემთხვევაში მთავარი ისაა, რომ მამა, მისი სათაყვანებელი მამა, გაზეთებში იბეჭდებოდა თურმე. კიდევ მეტი სიხარული ელოდა ბიჭს ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების" ფურცვლისას. აქ არამარტო წერილები და კორესპონდენციები ნახა დასტამბული გედეონ გელოვანის ხელმოწერით, არამედ... ლექსებიც! ღმერთო, დიდებულო! მამა ლექსებსაც წერდა თურმე. ჩვენ უკვე ვახსენეთ, რომ გედეონ გელოვანს ტფილისის სასულიერო სემინარია ჰქონდა გასრულებული. იგი 1878 წელს იყო დაბადებული და სემინარიაში სწავლა იმ პერიოდში მოუწია, როცა ეს უკანასკნელი ნამდვილი ბუდე იყო რევოლუციონერთა. ამ რევოლუციონერებმა შემდგომ განუზომლად დიდი როლი ითამაშეს რომანოვების ტახტის აფეთქებისა და რუსის იმპერიის ნგრევის საქმეში. გედეონ გელოვანი მათ გზას არ გაჰყოლია. არც მამის გზას გაჰყოლია, ანაფორა არ ჩაუცვამს, თუმცაღა სრული შესაძლებლობა ჰქონდა. „სახალხო გაზეთში" თანამშრომლობა გვაფიქრებინებს, რომ იგი ქართველი ინტელიგენციის იმ ფრთას ეკუთვნოდა, რომელიც არჩილ ჯორჯაძის იდეურ ბელადობას აღიარებდა და საიმდროოდ ძალზე მტკივნეული ეროვნული საკითხის ირგვლივ მისეულ მოსაზრებებს იზიარებდა... ხსენებული ინტელიგენტები ძალზე მაღალი ზნეობით გამოირჩეოდნენ და სულით-ხორცამდე ეროვნულ-საზოგადოებრივი ინტერესებით იყვნენ გამსჭვალულნი. ისინი უმეტესწილად მასწავლებლობდნენ, ცდილობდნენ ხალხში განათლების შეტანას, აგროვებდნენ ფოლკლორულ-საეთნოგრაფო მასალას, წერდნენ პუბლიცისტურ წერილებს ერის საჭირბოროტო საკითხებზე და დროდადრო ლექსებსაც და მოთხრობებსაც აქვეყნებდნენ, რომლებსაც, რა დასამალია, ჭარბად ასდიოდა ეპიგონობის არასახარბიელო სურნელი. ინტელიგენციის ეს ნაწილი, რაღა თქმა უნდა, მთელი არსებით მონატრული იყო რუსის იმპერიის დამხობასა, მაგრამ დამხობის შემდეგ საქართველოს გზა და ბედ-იღბალი ცოტა უფრო სხვაგვარად ჰქონდა წარმოდგენილი, ვიდრე რეალურმა ვითარებამ მოიტანა. ამისდა მიუხედავად, საბჭოთა ხელისუფლების დამყარება მათ განსაკუთრებული ტკივილების გარეშე მიიღეს და არც შინაგანი გაორებით დატანჯულან მაინცადამაინც. მხოლოდ ეგ იყო, უმრავლესობა ჩამოსცილდა საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზს. ზოგი კვლავაც დარჩა მასწავლებლად, წვრილ მოხელედ და სხვა, ზოგიც მეურნეობას მიეკედლა და საერთოდ გაითქვიფა მასაში. არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ გედეონ გელოვანი ერთი იმათთაგანი იყო... მაგრამ ჩვენ სასაუბროს გადავუხვიეთ, ამიტომ პირველსავე სიტყვას მოვიდეთ:

ხშირმა ავადობამ და სუსტმა ჯანმა ბიჭს ტოლ-სწორებში ყოფნისა და თამაშ-გართობის სურვილი დაუკარგა. საშინლად აზარტული ბუნებისა იყო, თუ რამეში ჩაერთობოდა, ამორთვა ძალიან უჭირდა, პირველობისა და თავკაცობის ჟინიც ზომაზე მეტად ჰქონდა მიმადლებული, მაგრამ როცა ხედავდა, რომ საამისო ფიზიკური ღონე არ მოსდევდა და სხვები უსწრებდნენ, გამახვილებული თავმოყვარეობა უფლებას არ აძლევდა კვლავაც მათთან დარჩენილიყო, გაცლას ამჯობინებდა. ერჩივნა უფროს დასთან, რუსუდანთან, ბაღლისათვის შეუფერებელი სიდინჯით ესაუბრა პოეზიაზე, ანდა სულაც მარტო გაეტარებინა დრო. კაცმა რომ თქვას, მარტოობა მაინც ყველაზე უკეთესი იყო. საათობით შეეძლო ჯდომა მზით განათებულ ფანჯარასთან, თვალების მილულვა და ბანაობა თბილ, ოქროსფერ სხივებში. თითქოს დედის მოსიყვარულე თითები ელერსებაო, ინაბებოდა და ჩურჩულებდა თავისთვის: „მზე დედაა ჩემი..." იქნებ ამიტომაც, თავის ბავშვურ ცდებს პოეზიაში ფსევდონიმად „მზის შვილს" აწერდა. უყვარდა ყოფნა პატარა ბაღჩაში, რომელიც სახლს ერტყა აივნის მხრიდან. ვერცხლისფრად ელავდნენ კო-

მზოსტოს კვლები, იდგა ქინძისა და მზედაცხუნებული პამიდვრის სუნი. აქ, ვაშლის, ტყემლისა და თუთის ხეთა ჩრდილებში სასიამოვნო გარინდება ეწვეოდა ხოლმე. ჩაიმუხლებდა და უმზერდა, როგორ ფუთფუთებდნენ ჭიანჭველები ბუდის გარეშემო, როგორი ჯიუტი შეუპოვრობით მიათრევდნენ თავისაზე ათჯერ მოზრდილ ტვირთს. იქვე, ბებერი, დაფუღუროებული ვერხვი იდგა. მისი პრიალა ფოთლები ნიავის ოდნავ მობერვაზეც შრიალებდნენ და ირხეოდნენ გაუთავებლად. უმზერდა ბიჭი ფოთლებს, უმზერდა და ბუტბუტებდა თავისთვის: „მსუბუქი ტანი გაქვს, სურვილს აყოლილი, ნეტა შენ... არ ვგავართ ერთმანეთს მე და შენ. ქარს გინდა რომ აჰყვე და სივრცეს სულ ევლო? ღედიკოს რომ მოსწყდე, დასჭკნები სულელო“... გაოცება, გაოცება და ბოლომდე გაუცნობიერებელი განცდა სიყვარულისა, ერთის წამითაც არ ტოვებდა ბიჭს. გაოცებული იღვიძებდა დილით — აი, ისევ გათენდა! — და უყვარდა ეს დილა, უყვარდა პაწია ტოტზე ჩამომჯდარი, ზევით-ქვევით მოქანავე მსტვინავი ჩიტი, ღია ფანჯრიდან იაპონურ გრავიურასავით რომ ჩანდა მზით გაჩახჩახებულ ეზოში, უყვარდა წყალი, ნაზი სრიალით რომ ესხურებოდა ხელ-პირის დაბანისას, პეშვში იგროვებდა, დასცქეროდა და უყვარდა... „წყნარად! ჩიტი გალობს ხეზე, მოლაღური პაექრობს, ცხვრები თეთრად ჩანან მთებზე, წყალი ბარად ჩასვლას ჩქარობს, იღუნება ხის კენწერო, ხხივებს იღებს საჩუქარად, ჰა, ვიპოვნე ჩვენთვის ჩერო... დაჯექ წყნარად!“ ნელ-ნელა, თანდათან, თავისით, სიტყვებმა ურჩობას უკლეს, თითქო გაიხედნენ, მწყობრში ჩადგნენ, ერთმანეთს ხელი გადაჰხვიეს და დამეგობრდნენ კიდეც, ახლა მათი უერთმანეთოდ წარმოდგენა აღარ შეიძლება და ბიჭი განიცდის ლექსის დაბადებით გამოწვეულ ბედნიერებას. პირველი მსმენელი, რაღა თქმა უნდა, რუსუდანია, ძვირფასი და ჭკვიანი დაია. უსმენს რუსუდანი, უსმენს და თვალები სიხარულის ცრემლებით ევსება, მერმე იქვე, ახლომახლო, ხის ტოტებს მიამტვრ-მოამტვრევს, ბალახბულახსა და მინდვრის ყვავილებსაც მოჰკრეფს, სახელდახელო გვირგვინს მოსწნის და ძმას კისერზე ჩამოჰკიდებს, თვითონ კი გარეშემო უვლის ტაშისცემით — ულვთოდ ლამაზი, მოქნილი, მკვრივი, დაქალებისაკენ მიდრეკილი... და ეს გვირგვინია პირველი და ალბათ უკანასკნელი ნამდვილი ჯილდო, რასაც ბიჭი თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე მიიღებს პოეზიისათვის.

ასე გადის დრო...

4.

შაქრო გელოვანი მთელს თიანეთის მაზრაში იყო განთქმული. თუ მისი უფროსი ძმა, გედეონი, ჩუმი, მოკრძალებული, სათნო ხასიათით გამოირჩეოდა და ცხოვრება ისე განვლო, ჭიანჭველისათვის ფეხი არ დაუდგამს, შაქრო სრულიად სხვა ბუნებისა გახლდათ. სახლიკაცისაგან იგი, უპირველეს ყოვლისა, მდევური აღნაგობით განსხვავდებოდა. ტორები ჰქონდა — რკინას გაღვერავდა და გავეშებულ ბუღას წამოაჩოქებდა. ხასიათითაც სხვადასხვანი იყვნენ ძმები. თუ გედეონს ერთი კარგი წიგნი ქვეყანას ერჩია და სიამოვნებით დაათენდაალამებდა ზედ, შაქროს ნადირობაზე, თევზაობაზე, ტყე-ღრეში ხეტიალზე, ცხენზე და იარაღზე მისდიოდა სული და ამ საქმეში მართლაც რომ ძვირად დაეძებნებოდა ჯუფთი და ტოლი. ცაში აჩრდილივით შაურიანს ტყვიით ხვრეტდა, მისი მოსმული ბადე მომცდარი არავის უნახავს, მისი ცხენის გამსწრები ერწოთიანეთში და ახმეტაში არ მოინახებოდა, ხოლო იარაღს ნუღარ იკითხავთ: ის რომ შვინდისფერ ჩოხაში გამოეწყობოდა, დამწვარი ვერცხლით მოსევადებულ ქამარ-ხანჯალს და ბარძაყზე დაუდევრად მოხტუნავე ხისბუდიან მაუზერს ალმედად გადაიკიდებდა, ბარემ ერთ ნახევად ღირდა. ხევსურულ ტანმორჩილ ცხენზე გადამჯდარს ფეხები ლამის მიწისათვის დაეწვდინა, მაგრამ მდევური ტანი ჩიტივით მსუბუქად ეჭირა და ავაზასავით იყო შემართული. ათასგვარი ლეგენდა ვრცელდებოდა თიანეთში შაქრო გელოვანზე. ერთხელ, თურმე, ქალაქიდან ფეხით მოდენილა. საბადურის კურუმ ტყეში ყაჩაღები დახვედრიან. ვერ უცვნიათ და უბრძანებიათ: ეგ იარაღი აიყარე და ფულიც გამოაყოლეო. შაქროს იარაღი არ აუყრია, მაგრამ არც უშიშვლია, ხელდახელ დარევია მომხდურებს და ისეთ დღეში ჩაუყრია, გაჩენის დღე უწყევლინებია. ახლადა მიმხვდარან ყაჩაღები, ვისთანაც ჰქონიათ საქმე და უყვირიათ: „მეეცათ, თავს უშველეთ, ცეტი შაქროა, ცეტი შაქროო“. ამისთანა თავგადასავლებს ვინ მოსთვლის, რომელი ერთი უნდა გაიხსენოს კაცმა. თვითონ შაქროს რომ ჰკითხავდნენ — მართალია თუ არა, რასაც შენზე ამბობენო, ხელს ჩაიქნევდა — აბა, ხალხის ყბას რა ამოჰკერავს, საქმე არაფერი აქვთ და ენაც ექავებათო. ცხრაას ხუთში ტყეში იყო გასული და თიანეთის მაზრის უფროსს — ჯანდიერს სისხლი გაუშრო. რუსხელმწიფის დამხობა, რაღა თქმა უნდა, სიხარულით მიიღო, მაგრამ მენშევიკების მთავრობა არ დაუჯდა ჭკუაში და დუშეთის გლეხთა აჯანყებას, სხვებთან ერთად, შაქრო გელოვანიც თავკაცობდა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას დიდი იმედით შეხვდა, მაგრამ მასზეც მალე აიყარა გული. ცხრაას ოცდაოთხის გამოსვლების ჟამს, სხვებთან ერთად ალესვინეს ვირის აბანო, ლამის კედელთანაც მიაყენეს, მაგრამ მენშევიკების საწინააღმდეგო მოქმედებათა გამო აპა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტიეს და თან მკაცრად გააფრთხილეს — შენს ტყავში დაეტიეო. ეგ იყო და, შაქრომ სამუდამოდ მოიშალა პოლიტიკაში არამცთუ გარევა, ლაპარაკიც კი, აღმა-დაღმა ნავარდს თავი ანება, დაეფუძნა და მეურნეობას მიჰყო ხელი, მაგრამ ხამუშ-ხამუშ ძველი ჟინი წამოუვლიდა, აიყოლებდა ამფსონებს, ივრის სათავისაკენ აიღებდა გეზს, ნადირობდა, თევზაობდა და ნადავლით უხვად დატვირთული და ჟინმობანილი ბრუნდებოდა უკან. ბრუნდებოდა და მერმე თიანეთში ერთ კვირას ისმოდა მისი ზარივით წკრიალა, დაკიდული პირველი: „ზამთარი ვარდსა დააჭკნობს, ფოთლები ჩამოსცვივაო"... ერთადერთი, გამზრდელი ძმა და მისი ოჯახი საკუთარ სულს ერჩივნა შაქროს, საიმდროოდ ჯერ კიდევ დასანიშნი იყო და მამური სიყვარულის მოთხოვნილებას ძმისშვილებთან ლაციცით იქარვებდა. ნადირობიდან ისე როგორ დაბრუნდებოდა, მათთვის ან მტრედის ხუნდები არ მოეყვანა, ან ბაჭიები, ან კიდევ მელის ლეკვი. ერთხელ, დათვის ბელებიც კი მოასხა, ორი, ყავისფერი, ბუთქუნა, სველდრუნჩიანი და გაოცებით მომზირალი ბელი... ოი, რა სიხარული იყო! დაისვამდა ხოლმე შაქრო ძმიშვილებს მუხლებზე, „ოქროს წიწილებს" ეძახდა მათ, ჯაგარა წვერით შხუნავდა და ეფერებოდა მოუხეშავად. რაღა თქმა უნდა, როენაც უყვარდა, რუსუდანიც და პატარა თემოც, მაგრამ ცისფერთვალა, თავის ფიქრებში დანთქმული, ჩუმი ბიჭი მაინც გამორჩეული ჰყავდა, გული ეტანჯებოდა მისი ხშირი ავადობით და სულ იმას ჩასჩიჩინებდა ძმასაც და რძალსაც — მაგ ბალღს საავადო არაფერი სჭირს, გამოუშვით, ჩემთან ერთად იაროს ტყე-ღრეში, მდინარეში იტყაპუნოს, შიშველ მიწაზე დაიძინოს, სასთუმლად სიპი ქვა ამოიდოს და აბა ნახეთ, რა მალე გამოკეთდეს, ისე გაკაჟდება, თავსაც არ წამოიტკიებსო. მშობლებმა ათასნაირად აწონ-გაზომეს ბიძის ნათქვამი და ბოლოს დაჰყვნენ, ბიჭისთვის სანადირო თოფის ყიდვა გადაწყვიტეს. მამა კიდევ ვერ გაბედავდა საბოლოო სიტყვის თქმას, დედას რომ არ ეძალავნა: „ჯაბანი შვილი რად მინდა, ან მოკვდეს, ან ვაჟკაცი გამოვიდესო",— თქვა და გაათავა. ამ სიტყვებმა იქნებ გადამწყვეტი როლიც კი ითამაშა ბიჭის შემდგომ ცხოვრებაში. გაივლის წლები და, დიდი ომის დაწყების დღეს, იგი ასეთ სტრიქონებს მოსწერს დედას: „მე ისეთი ხალისიანი ვიქნები ომში, ისეთი მშვიდი და ხელმოუცარავი, როგორც იხინჯის გორაზე მონადირე ვყოფილვარ მუდამ. როგორი მადლობელი ვარ, დედაჩემო, იარაღი რომ შემაყვარეთ ბავშვობიდან, იარაღი, სიმართლე და ვაჟკაცობა. ქართველი დედები უცრემლოდ ისტუმრებდნენ შვილებს აუცილებელ სიკვდილთან, რადგან სამშობლოსათვის სიკვდილს არ უხდება ცრემლი". დედაზე ჩვენ არაერთხელ გვექნება საუბარი ამ წიგნში, ამიტომ აქ სიტყვას არ გავაგრძელებ. ვიტყვი მხოლოდ, რომ ამ კეთილშობილებით ალსავსე მანდილოსანმა არაპარტო დედობა, არამედ მეგობრობაც გაუწია შვილს... ასე იყო თუ ისე, ცალპირა, ორკალიბრიანი სანადირო თოფი ბიჭს მართლაც უყიდეს და ერთ მშვენიერ დღეს, მამის, ძია შაქროს და და-ძმის თანდასწრებით, დედამ გადასცა კიდეც. ბიჭი კინაღამ გაქვავდა. როგორ? ეს ახალთახალი, ზიკზიკა თოფი ამიერიდან მისი იქნება? ერთხანს არ დაიჯერა, ეჭვით შეხედა უფროსებს თვალებში, მაგრამ მიხვდა, რომ არ აქილიკებდნენ, თოფი მართლაც მისი იყო. მაშინ კი სწრაფად გადახსნა ლულა, ქაკანის ვაზნა შეაცურა ხვრელში, ჰახუნით გადაკეტა, თოფი ცალი ხელით ასწია, სასხლეტს გამოჰკრა და ქუხილი შეასკდა ზეცას. კინაღამ წააქცია ძლიერმა უკუდარტყმამ, მაგრამ ვაჟკაცურად შეიმაგრა თავი, ხარბად, ნესტოების ბერვით შეიყნოსა დენთის მომწარო სუნი. კიდევ გატენა და გაისროლა. მერმე კიდევ... თვალებში უცნაური, ფოლადისფერი შუქი და კაცის სიცივე ჩაუდგა. ძია შაქრომ იმავ წუთს მიულექსა: „თოფმა თქვა— ჩემსა პატრონსა ჩემს უკეთესი რა ჰქონდა, ზედ მესხა ვერცხლის ჩახმახი და ოქრო უბით დამქონდა. ჩემი ნახოცი ნადირი ყვავსა და ყორანს გაჰქონდა. ერთი ისეთი თხა მოვკალ, შვიდი მტკაველი რქა ჰქონდა". მას არც თოფოსანი ბალღის უცნაური იერი გამოჰპარვია. „სხვა ვინმე დადგება, სხვა, განსხვავებული",— გაიფიქრა თავისთვის კმაყოფილებით. ხოლო გვიან, ღამე, დედამ ჩვეულებისამებრ მზრუნველად დაუარა გულის ძილით ჩაძინებულ ბალღებს, ერთს საბანი შეუსწორა, მეორეს სასთუმალი და, როცა ბიჭის ლოგინთან მივიდა, ელდანაკრავი შედგა, მერმე ნელ ნელა, სიყვარულით გაიღიმა. ბიჭი თოფს ჩაჰხუტებოდა, ჩვილი ლაწვი ლულისათვის მიეყრდნო და ეძინა სადარაჯოზე წამით ჩათვლემილი ჯარისკაცივით. დედა შეეცადა ფრთხილად აერთმია თოფი, მაგრამ ბიჭი ძილღვიძილში წაეპოტინა და უფრო მაგრად ჩაიხუტა. რა იცოდა მაშინ ან დედამ, ან შვილმა, რომ გავიდოდა დრო, ბიჭი მართლაც სამუდამოდ დაუძმობილდებოდა იარაღს და მისი წერაც გახდებოდა დიდი კაცობრიული ხოცვა-ჟლეტის ჟამს, სადღაც შორს, ბელორუსიის მიწაზე...

## თავი მეორე

### 1.

იმხანად, როცა რეზო გელოვანი მეხუთე კლასში იყო, ე. ი. 1930 წელს, თიანეთში შვიდ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წლედის გარდა, პედაგოგიური ტექნიკუმიც არსებობდა. თეთრ, წაგრძელებულ შენობაში მოთავსებულ სკოლასა და ტექნიკუმს წინიდან ბებერი ცაცხვების ხეივანი ჰბურავდა. ამ დროისათვის რუსუდანს უკვე მოესწრო ხსენებული ტექნიკუმის დამთავრება და თიანეთთან ახლოს, სოფელ თეთრახევაში მასწავლებლად გამწესებული, უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელებაზე ოცნებობდა. ხოლო რეზო, როგორც ითქვა, მეხუთეკლასელი ბიჭუკელა იყო, ცამეტიოდე წლისა. აბა რას იფიქრებდა იგი მაშინ, რომ გაივლიდა დრო და ამ სკოლას მირზა გელოვანის სახელი დაერქმეოდა, ხოლო ცაცხვებსშორის, ყვავილნარში, მისი ბიუსტი დაიდგმებოდა, — მარმარილოსაგან ნაკვეთი, ნუკრივით ყელაღერილი ჭაბუკი ფართოდგახელილი თვალებით შეაცქერდებოდა მარადისობას. არა, ამას სიზმრადაც ვერ წარმოიდგენდა ბიჭი, ყოველ დილით ჩანთიანი რომ აირბენდა ხოლმე ხის კიბეს და მიაშურებდა საკლასო ოთახს, სადაც შეხუთული ჰაერი და მერხების მომჟავო სუნი იდგა. რა დასამალია, სკოლა მაინცადამაინც გულზე არ ეხატებოდა ბიჭს. მხოლოდ ლიტერატურასა და ისტორიას სწავლობდა სიამოვნებით, დანარჩენი საგნების მოსამზადებლად კი ძალისხმევა სჭირდებოდა. ვერაფრით ვერ ჩახვდა ალგებრული კომბინაციების იდუმალებათა ამოხსნის აუცილებლობას. კარგი, ვთქვათ, მავანი მაგალითი ან ამოცანა გამოვიყვანეთ, მერმე? რა გაკეთდება ამით? ან, თუ ვერ გამოვიყვანეთ, რა წახდება? ვერა და ვერ ხერხდებოდა ცინცხალი, ემოციებით სავსე შინაგან სამყაროსა და მკაცრ, რაციონალურ სილოგიზმებს შორის შემაერთავი ხიდის გადება. ხულ სხვა იყო ლიტერატურა, თუნდ ისტორია: აქ ყველაფერი ნაირ-ნაირი ფერადებით ელვარებდა, გულ-გონებას გამუდმებულ საკვებს აწვდიდა, ალაგზნებდა, ამდიდრებდა... მათემატიკური საგნებისადმი ბიჭის ასეთი განწყობილების ჩამოყალიბებაში მასწავლებლებს, რაღა თქმა უნდა, ლომის არჩივი ედოთ, მაგრამ თვითონ სრულიადაც ვერ გრძნობდნენ ამას. მათ წარმოდგენაში რეზო გელოვანი ერთი უყურადღებო, დაფანტული, გამაღიზიანებლად თავისებური ყმაწვილი იყო და მეტი არაფერი. მისცემდი რამე შეკითხვას, ზანტად წამოიზლაზნებოდა, გიყურებდა ლურჯი, ფართოდგახელილი თვალებით; გიყურებდა, მაგრამ ვერ გხედავდა, თავის ფიქრებში იყო დანთქმული და აბა რომელ მასწავლებელს ჰქონდა იმის უნარი და ნერვები, რომ ბიჭის დაბინდული მზერის შიგნით შეღწევაზე ეზრუნა, მის ფიქრთა დენას გასცნობოდა და სათუთი გულისყურით მოჰკიდებოდა? არც ერთს! ჰოდა, მათაც ის გამოსავალი იპოვეს, რომ საერთოდ მიანებეს თავი. ბიჭსაც ეგ უნდოდა! ფანჯარასთან უყვარდა ჯდომა, კუთხეში. ადრე დილით, ამომავალი მზე ჯერ ბებერი ცაცხვების ტოტებში გაიხლართებოდა, მერმე ნელიად აიწევდა მაღლა, ასცილდებოდა ხეთა კენწეროებს, ალმაცერად ჩაანათებდა საკლასო ოთახში და ფანჯრის მინებს ცეცხლისფრად მოავარაყებდა. რეზო უმზერდა, უმზერდა, თან გონებაში ნაირ-ნაირი სურათები უცოცხლდებოდა: ხან ბავშვობის რომელიმე შთაბეჭდილება გაუკრთებოდა თვალწინ, ხანაც წიგნში ამოკითხულ ამბავს დაინახავდა საკვირველი სიცხადით და გარე სამყაროსაგან სრულიად გამოთიშული, მთელი არსებით ტკბებოდა ამ ხილვებით. თუ გაკვეთილი არ აინტერესებდა, ეს კი არც მთლად იშვიათი მოვლენა იყო, მუხლებზე წიგნს რასმე დაიდებდა, თავს ჩაღუნავდა და კითხულობდა. ვინ იცის რამდენჯერ, ისე გაუტაცნია კითხვას, რომ მასწავლებელი წამოსდგომია შეუმჩნევლად, მხოლოდდა ამხანაგების დაუოკებელ სიცილ-ხარხარს გამოურკვევია და ალანძული წამომდგარა ფეხზე. ჩვეულებრივ, ასეთი ინცინდენტი წიგნის წართმევით და დიდაქტიკური სიტყვების კორიანტელით თავდებოდა ხოლმე, მაგრამ ერთხელ, სრულიად საპირისპირო ამბავი მოხდა: ახალგაზრდა კაცმა, რომელიც თიანეთის სკოლაში გეოგრაფიის მასწავლებლად იყო გამოგზავნილი, დინჯად გამოართვა ბიჭს წიგნი და დიდი ყურადღებით დაუწყო ფურცვლა. სტენდალის „წითელი და შავი" — გერონტი ქიქოძის თარგმანი. სულ ახლახანს გამოცემული. მასწავლებელს თვალები აენთო და შეემუდარა ბიჭს — რომ დაამთავრებთ, თუ შეიძლება, მეც მათხოვეთო. შემცბარმა, მთლად დაბნეულმა რეზომ, რასაკვირველია, აღუთქვა. საერთოდ, ეს ახლად მოვლენილი მასწავლებელი უცნაურ შთაბეჭდილებას ახდენდა როგორც მოწაფეებზე, ისე კოლეგებზეც. ზომაზე მეტად გამხდარსა და აწოწილს, ქარის დღესავით სძულდა უსაგნო ლაპარაკი და მიეთმოეთი. ერთთავად წიგნებში ჰქონდა ცხვირი ჩაყოფილი და ხშირად ქუჩაში მავალიც არ იშლიდა კითხვასა და თავისთავთან ბუტბუტს. ამიტომ ახალგაზრდა კაცი, დავარქვათ მას ფარნაოზ მასწავლებელი, თიანელთა გაუთავებელი ქილიკისა და კაფიობის საბაბი გამხდარიყო. მის გაკვეთილზე, პირველ ხანად, ვისაც რა უნდოდა და არ ეზარებოდა, იმას სჩადიოდა. თვითონ ფარნაოზ მასწავლებელი შემოიტანდა მსოფლიო რუკას, დაფაზე ჩამოჰკიდებდა, ორიოდე მოწაფეს გამოიძახებდა, ჩვეულებრივ, ნიშანს არ დაუწერდა, მერმე ერთს კი იტყოდა — მომისმინეთო, თუ მოუსმენდნენ, ხომ კარგი, თუ არა და, ვითომც აქ არაფერიო, დინჯად, აუჩქარებლად, მკაფიოდ დაიწყებდა თხრობას აფრიკის ჯუნგლებზე, დავით ლივინგსტონზე, მაგელანის მოგზაურობაზე, ანდა კიდევ ევერესტის დამლაშქვრელ ინგლისელთა ექსპედიციაზე. ეტყობოდა, მას ღრმად სწამდა, რომ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დღეს იქნებოდა თუ ხვალ, მოწაფეები აუცილებლად მოუსმენდნენ და ოდნავადაც არ დელავდა, სიმშვიდესა და კეთილმოსურნეობას ინარჩუნებდა. უფრო მეტიც, ბალღებს „თქვენობით" ელაპარაკებოდა, რითაც გვარიანად აბნევდა მათ. მერმე ის იყო, ბიჭს წიგნის თხოვება შეეხვეწა და სამაგიეროდ, თავისი უსაყვარლესი წიგნის მოტანას დაჰპირდა. ყოველივე ეს ფარნაოზ მასწავლებელმა ისე ბუნებრივად, ძალდაუტანებლად მოიმოქმედა, რომ ბალღები მაშინვე მიხვდნენ, — იგი არ ჰგავდა სხვებს, მისი ნდობაც შეიძლებოდა და მოსმენაც. ამ დღიდან დაიწყო შეგირდებისა და ოსტატის ნამდვილი მეგობრობა. გაიარა ცოტა ხანმა და, ფარნაოზ მასწავლებელმა მართლა მოუტანა რეზოს თავისი უსაყვარლესი წიგნი — სერვანტესის „დონ-კიხოტი", ჩინებულად თარგმნილი ნიკო ავალიშვილის მიერ. მოაქუამამდე ბიჭი სტენდალის გმირების სამყაროში ტრიალებდა: ეს თვითონ იყო, ჟიულიენ სორელი კი არა, ბ-ნი დე რენალის რკინის ჰიშკართან მორცხვად ატუზული რომ რეკავდა ზარს. თვითონ მოჰკიდა ხელზე ხელი ქალბატონ დე რენალს თავგანწირული გაბედულების ფასად. დე ლამოლის ფანჯარასაც მან, და არა ჟიულიენმა, მიადგა კიბე და მატილდამაც მხურვალე კოცნით სწორედ მას დაუფარა სახე... ოო, პატარა, პროვინციელი გუვერნიორის ავანტიურისტული თავგადასავლები დიდხანს და მძაფრად ფლობდა ყმაწვილი რეზო გელოვანის გულსა და გონებას. ერთი ხანობა ფსევდონიმადაც კი დაირქვა „ჟიულიენ სორელი" და ყველა ფურცელსა და რვეულს ამ სახელსა და გვარს აწერდა, მაგრამ აი, ხელში აიღო სერვანტესის საოცარი წიგნი და რამდენიმე გვერდის წაკითხვა სავსებით საკმარისი აღმოჩნდა, რომ სამუდამოდ დატყვევებულიყო. ესპანელი იდალგოს დახვეწილმა კეთილშობილებამ, ბოროტებასა და უსამართლობასთან შეუპოვარმა ბრძოლამ წარუხოცელი კვალი დაახინა ყმაწვილის გაუფრჩვნელ სულს. მზად იყო თვითონაც აცხედრებულიყო, ფარ-შუბი დაეკავებინა და საჭურველმტვირთველის თანხლებით ყოველგვარ უკეთურებათა დასათრგუნავად ამგზავრებულიყო, რათა „რკინის საუკუნეში ოქროს საუკუნე დაემყარებინა". თიანელნი, ბოლო დროს, სულ უფრო ხშირად ხედავდნენ ერთად ფარნაოზ მასწავლებელსა და რეზო გელოვანს გაცხარებულ საუბარში გართულებს და ხელის ჩაქნევით ამბობდნენ: „ერთიც შერეკილია და მეორეცო". სალაპარაკო და სამსჯელო კი მართლაც რომ გამოულევლადა ჰქონდათ ოსტატსა და შეგირდს. უყვარდათ ცხრაკარას ციხის ნანგრევებში განმარტოება, ანდა წნორებით დაჩრდილული ივრის აბიბინებულ ნაპირებზე ინახად ჯდომა და საუბარი. მათი საუბრის თემა, უმეტესწილად, ისტორია და ლიტერატურა იყო. დამეგობრების პირველ ხანებში ფარნაოზ მასწავლებელი ფრთხილად, მოზომილად ირჯებოდა, ტაქტიანად ცდილობდა, რომ თავისი ცოდნისმიერი უპირატესობა ბიჭის წინაშე ხელაღებით არ გამოემჟღავნებინა და ამით უნებლიეთ არ ლაეჩაგრა, თავმოყვარეობა არ შეელახა მისთვის, მაგრამ მალე საპირისპირო აღმოჩნდა: თურმე ბიჭი სრულიადაც არ აპირებდა მასწავლებლისთვის ტოლის დადებას. ეს პოეზიაზე ითქმოდა განსაკუთრებით. რეზოს მართლაც გასაოცვიფრებელი მეხსიერება და ლექსის დასწავლის ყოვლად უნიკალური ნიჭი ჰქონდა. ერთხელ წაკითხვა ან მოსმენა ჰყოფნიდა, რომ ზუსტად, სიტყვასიტყვით გაემეორებინა საკმარისად გრძელი თხზულებაც კი. იმჟამად ახალი გამოცემული იყო ვახტანგ კოტეტიშვილის „ხალხური პოეზია", რომელიც თავის წინასიტყვაობა-კომენტარებითურთ თითქმის ზეპირად იცოდა ბიჭმა და ფარნაოზ მასწავლებელს განუზომელ აღტაცებას ჰგვრიდა მისი ჯერ კიდევ დაუწმენდავი ხმით წაკითხული: „ხალხური პოეზია საუკუნეების გადმოწვდენილი ხმა არის, უხსოვარ დროიდან მომდინარე მრავალ ეპოქათა ტევრში გამოვლილი, ის განმტკიცებულა, დახვეწილა და შეკრულა. მიზნიდველიც ამ სიმტკიცითა და ფორმის გამძლეობით არის. რამდენ დიდი ფორმის და დიდი ნიჭით დაწერილ მხატვრულ ნაწარმოებს გაუსწორდება ეს ოთხსტრიქონიანი ლექსი, რომელიც ანტიური გემმასავით პატარა არის, მაგრამ გენიალური საკვეთით ნაქანდაკევი: „ბეთლემის კარზე ჰკიდია ვოჟა ჯურხაის ფარიო, მაუვლის ომის წადილი, ხანდისხან შაძრავს ქარიო"... ამის შემდეგ ლექსების თქმასა სთხოვდა მასწავლებელი და ბიჭიც ამბობდა, ამბობდა თავდავიწყებით, სამუდამოდ იძვალრბილებდა გამონაშუქს მარადიული ქართული სულისას. უცნაური იყო და, შეგირდსაც და ოსტატსაც ძლიერ უკვირდათ, რომ ერთი შეხედვით იოლად გასაგები ლექსი, თურმე ფესვითა და ძირით ათასგვარ რეალიებთან იყო დაკავშირებული და მასში ბოლომდე წვდომა მხოლოდ დიდი ცოდნითა და სპეციალური კვლევა-ძიებით იყო შესაძლებელი, მაგრამ ეს სულაც არ უშლიდათ ხელს ჟრუანტელით შეძრულიყვნენ ასეთი საოცარი სტრიქონების კითხვისას: „გამაგრდით არხოტიონნო, გატეხით რა იქნებისა? ვისაც მოგვიკვლენ დავმარხოთ, სხვა კიდევ დაიზრდებისა". არანაკლებ საინტერესო და ღირსსაცოდნელი იყო ამ ლექსის კომენტარი კოტეტიშვილის ხსენებულ წიგნში: „არხოტი არის ხევსურეთის ერთი კუთხის სახელი და საზღვრავს ღილღვეთის (ინგუშეთის) ავტონო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიურ ოლქს. არხოტი ოთხი სოფლისაგან შედგება და მოსახლეობა უდრის დაახლოებით 70-80 კომლს. ეს კუთხე მოწყვეტილია პირაქეთ ხევსურეთს, რადგან დიდი მთები ჰყოფს და მათთან კავშირი შესაძლებელია მხოლოდ ზაფხულში. შემდეგ თოვლისაგან მიუვალი ხდება. არხოტის ბოლოზე, დიღლვეთის ოლქის საზღვარზე არის ვიწრო კლდიანი მისავალი, რომელსაც ხევსურები თამარ მეფის კარს უწოდებენ. აქ ყოველთვის ყარაული მდგარა. ეს ადგილი ისეთია, რომ ორ-სამ კაცს შეეძლო მთელი ლაშქრის შეჩერება, თუ საომარი მასალა არ შემოელეოდათ. არხოტიონნი ცნობილნი არიან გულადობით, სიმტკიცით და საერთოდ ვაჟკაცობით. დღესაც, პირაქეთელი ხევსურები დიდ პატივს სცემენ არხოტიონებს, როგორც არაჩვეულებრივ მეომრებს. გადმოცემა მოგვითხრობს, რომ ერთხელ არხოტივნებს დიდძალი მტერი დასხმიათ თავს. დიდი ბრძოლა გაჩაღებულა. მტერსაც დიდი ზარალი მოსვლია, მაგრამ არხოტივნებიც დიდად შეცოტავებულან, სულ 20-25 მეომარიღა დარჩენილა. მტერი კი ჯერ კიდევ რიცხვმრავალი ყოფილა. არხოტივნები ძლიერ დაქანცულან ამ უთანასწორო ბრძოლაში და დანებებასაც აპირებდნენ, მაგრამ ბელადს ამ ლექსით მიუმართავს მეომრებისათვის. არხოტიონელებზე ლექსს დიდი გავლენა მოუხდენია, მოუკრებიათ უკანასკნელი ღონე და მტერი უკუ უქცევიათ“.

არა, ამ სტრიქონების წაკითხვა აუღელვებლად შეუძლებელი იყო. ორივენი მუხლებზე წამოჩოქილნი, თვალებაელვარებულნი სულმოუთქმელად უმტკიცებდნენ ერთმანეთს, რომ ახლავე უნდა წასულიყვნენ არხოტს, ენახათ იმ კურთხეული გმირების ჩამონავალნი და თაყვანი ეცათ, ქედი მოედრიკათ მათ წინაშე, მაგრამ არხოტში წასვლა არც ისე საყველპურო საქმე ჩანდა, თქმა და ასრულება ერთი რომ ყოფილიყო, ამიტომ სხვა რა ექნათ, ახლომახლო მდებარე ხევსურებით დასახლებული სოფლების გაცნობასა და ისტორიული ძეგლების დათვალიერებას უნდა დასჯერებოდნენ. ფარნაოზ მასწავლებელი დაუდგრომელი მოგზაური და მოხეტიალე გახლდათ ბუნებით. ძველ საქართველოში თუ ეცხოვრა, უცილობლად მოკალმასე იქნებოდა, ან კიდევ ერეკლე მეფის ელჩს — რაფიელ დანიბეგაშვილს წაჰყვებოდა ჰინდოთ ქვეყანაში. თიანეთს ჩამოსვლისთანავე ნიჩოთიარა დაბის შემოგარენი, ძეგლთა ახავალ-დახავალი დაჰკვლია და ამის შემდეგ უქმე დღე ისე არ ჩაივლიდა, რომ მოწაფეები ექსკურსიაზე არ წაესხა, წინაპართა გონებისა და ხელკეთილობის ნაყოფი არ ეჩვენებინა მათთვის. მაგრამ ერთხელ, მორიგი ექსკურსიების ჟამს, მოხდა ამბავი, რამაც დიდი შიში აჭამა ფარნაოზ მასწავლებელსაც და რეზო გელოვანის მშობლებსაც, თვითონ რეზოს კი სამუდამო ნაჭდევი დაუტოვა სულზე.

2.

მზის ჩასვლის შემდეგ სწრაფად დაბნელდა, ხეთა ჩრდილები გამუქდა, ერთმანეთს შეერწყა, გუმბათივით შეიკრა და ტყეში კუნაპეტმა სიბნელემ დაიდო ბინა. რეზოს აღარ ახსოვდა, როდის, ან როგორ ასცდა საცალფეხო ბილიკს, კარგა ხანი იყო უგზოუკვლოდ დაეხეტებოდა, მხოლოდღა გუმანით მიიკვლევდა გზას. მაგრამ მიიკვლევდა კი? ხან ბუჩქნარში იბლანდებოდა და დაკაწრულ-დასისხლიანებული ძლივძლივობით აღწევდა თავს, ხან ხნარცვი რამ დახვდებოდა მოულოდნელად და თავდაყირა ეშვებოდა ხმელი, შარშანდელი ფოთლების რბილ ხალიჩაზე. ხან კიდევ ღრანტეზე მიგორავდა კოტრიალ-კოტრიალით. უკან ამობლატებას, აბა, რა აზრი ჰქონდა, გზას გაიგნებდა თუ კვალს? ამიტომ დაცემის ადგილიდან ეგრევე მიალაჯუნებდა წკვარამში. დიდხანს გაგრძელდა ასე, ბიჭი ულვთოდ დაიქანცა, ქოშინი აუვარდა და ხელ-ფეხში ძალაწართმეული, ლიტაო რცხილის ძირას დასასვენებლად მიეგდო. იწვა ხმელ ფოთლებზე ლოყამიხუტებული, მძიმედ სუნთქავდა და რაღაც გამოუთქმელი სიხარულით აყვანილი, საკუთარ თავს ულიმოდა ბნელში.- როგორ მოხდა, ამ ტყეღრეში რომ მარტოდმარტო აღმოჩნდა ბიჭი? ჰო, ფარნაოზ მასწავლებელმა თხუთმეტამდე პიონერი ყოვლადწმინდის ტაძრის დასათვალიერებლად წაიყვანა. მართალია, სკოლის დირექტორმა ერთი-ორჯერ უკვე დაიბარა იგი და თითის ქნევით უთხრა — იმის მაგივრად, პიონერებს ათეისტურ პროპაგანდას უტარებდე, რაღაც ეკლესიების სანახავად დაგყავსო, თავი ანებე მაგ სისულელეებს, თორემ, ილოდე პასუხი მოგეთხოვებაო, ფარნაოზ მასწავლებელი თავისას არ იშლიდა და შეუპოვრად ამტკიცებდა, რომ საუკუნეთა მიღმა ნაგები ტაძრები ერის სულიერი კულტურის სისხლხორცეული ნაწილი იყო და მოზარდებისათვის მათი საფუძვლიანი გაცნობა ისეთსავე აუცილებლობას წარმოადგენდა, როგორც მშობლიური ლიტერატურისა თუ ისტორიის შესწავლა. რთული, ძალზე რთული დრო იდგა მაშინ: ხელისუფლებას ათასი საშინაო და საგარეო თავსატეხი ჰქონდა და კულტურის სფეროსათვის ჯეროვანი ყურადღების მისაქცევად არ ეცალა. არ ეცალა და თავგასულმა უმეცრებამაც განუკითხავად იწყო პარპაში. ძველი ქართული სასულიერო მწერლობა, მავანთა მიერ ბერ-მონაზონთა და ბნელ კლერიკალთა საუფლოდ იქნა გამოცხადებული, „ვეფხისტყაოსანი“ — ფეოდალური არისტოკრატიის ძეგლად, ბარათაშვილის მერანს ჯაგლაგა ცხენი უწოდა ერთმა პოეტმა, ხოლო ილია ჭავჭავაძის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლანძღვით ათასი ჯურის გარეწარი ითბობდა ხელს. ეკლესია-მონასტრების საწყობებად ან თავლებად გადაკეთება სრულიად ჩვეულებრივი მოვლენა გახლდათ. კიდევ კარგი, თუ ტაძარი სადმე შორს, მთის უბეში იყო შეყუჟული, ან კიდევ ტყეში, მივარდნილ ადგილას იდგა, ისინი რაღაც მანქანებით გადაურჩნენ ხსენებულ ქარტეხილს. როცა სახელმწიფომ ასე თუ ისე სული მოითქვა და მოიცალა, რაღა თქმა უნდა, ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობისადმი ვანდალურ დამოკიდებულებას რკინის ალვირი ამოსდო, მაგრამ ვიდრემდის ეს მოხდებოდა, როგორც ითქვა, დიდი განუკითხაობა სუფევდა. ასეთ დროს პიონერთა წაყვანა ეკლესია-მონასტრების დასათვალიერებლად, შეიძლებოდა სახელმწიფო ბოროტმოქმედებად მონათლულიყო, მაგრამ ფარნაოზ მასწავლებელს თავისი ჭრწამსი ჰქონდა და ჯიუტად არ სურდა მისგან გადაეხვია. ჰოდა, მაისის ერთ დღეს, პიონერები ჟივილ-ხივილით მოედვნენ ყოვლადწმინდის შემოგარენს.

ტაძრის ხავსიან გალავანს უსიერი, ლიტაო ტყე აკრავს. ირგვლივ მთებია მოჯარული, მათ მიღმაც — მთები. რეზო იმთავითვე განმარტოვდა. ალტაცებითა და კრძალულებით შესცქერის ქვაში ნაკვეთ ნატიფ ჩუქურთმებს, მერმე ფეხაკრეფით შედის ტაძარში. ვიწრო სარკმლებიდან ყვითელ სვეტებად ეშვება მზის სხივები. ლიდებული, მონუმენტური ფრესკები გადმოჰყურებენ ბიჭს. თავი გადაუწევია და გაოგნებულმა აღარც კი იცის, რომელ ერთს მიაპყროს მოწყურებული მზერა. თითქო ნაწყვეტ-ნაწყვეტ ჩაესმის კიდეც ძველქართულ საეკლესიო საგალობელთა ხმები და გარდასულ წინაპართა ნაბიჯების ნიავივით ჩუმი შრიალი. შემკრთალი იყურება ირგვლივ. მის მეტი არავინაა. კვლავ ათვალიერებს ფრესკებს, კვლავ იგივე მეორდება. შინაგანად ალტკინებული წაივლებს ყურებზე ხელს და გარეთ გამოვა. ამხანაგები ეძახიან, მაგრამ ბიჭი არც კი იხედება მათკენ, ბილიკს დაადგება და გოროზად წამოყუდებული მთის წვეროსაკენ აიღებს გეზს. სად ჭიდის ბიჭი? თვითონაც არ იცის გადაწყვეტილად, მაგრამ იმას კი აშკარად გრძნობს, რომ უხმობენ მწვერვალები, ჯერეთ უხილავი სივრცეები და ისიც ჭონუსხულივით ემორჩილება ამ ძახილს. მისწყდა პიონერთა ჟივილ-ხივილი. ახლა მხოლოდ ტყეა და ბიჭი. ტყე ათასი იდუმალი ხმით ჩურჩუნებს, სტვენს და ღულურტულებს. ბიჭი უსმენს ამ ხმებს და იღიმება ბედნიერი, გასხივოსნებული. მოულოდნელად ნაკადულს წააწყდება, ლიკლიკ-ჩხრიალით რომ მიუყვება თავის მარადიულ გზას ათასფერად ყვავილებსა და ბალახბულახში. ბიჭი პეშვით აიღებს წყალს, სვამს, მაღლა სწევს პეშვს და წინწკლები ცისარტყელებად ბრჭყვიალებენ მზის სხივებზე. მერმე კვლავ მთის წვერისაკენ მიუყვება მომღერალ ბილიკს. „არის დრო ქვეყნად, როცა ელერის საგანი ყველა, ყვავილი მღერის, ღამე მღერის, ბილიკი მღერის“, აქვს ასეთი სტრიქონები ერთ პოეტს. სწორედ მსგავსი განცდა დაუფლებოდა მწვერვალისაკენ მიმავალ ბიჭს და უსაზღვროდ ბედნიერი იყო. მზის მრგვალი დისკო რბილად გაგორდა თეთრ, ხუჭუჭა ღრუბლებზე, ჰორიზონტს მიღმა ჩასაძირად მიიდრიკა, როცა ბიჭმა თხემს მიაღწია, უზარმაზარ ლოდზე ახოხდა და თვალი მოატარა ირგვლივ. ქვემოთ, ტყიანი მთის დავაკებაზე, იწყებოდა და ვრცელ ველ-მინდვრებად, სათიბებად თუ სოდაბუნებად გაშლილიყო ერწოს მიდამოები, აქა-იქ მიმოფანტული, მწვანეში ჩაფლული სოფლებითურთ. ბიჭს გაახსენდა, რომ ერთი იმ სოფელთაგანი, თოლენჯი, მისი სათაყვანებელი ბიძის — შაქრო გელოვანის სამოსახლო იყო და, ბევრი აღარ უფიქრია, ეგრევე ჩაჰყვა ქარაფს. როგორც არასდროს, ისე მოუნდა ბიძისა და ბიძაშვილების ნახვა. მიდიოდა, თან იმას იხსენებდა, ირემზე სანადიროდ რომ წაიყვანა ძია შაქრომ გასულ შემოდგომას. მყვირალობა იწყებოდა და შაქრო მთელ დღეებსა და ღამეებს ტყეში ატარებდა, ხოლო ძმისწული ნუკრივით ჰყავდა ადევნებული. რა უცნაური იყო, იმ დღეს, თითქო განგებ, ერთთავად ნადირთპატრონზე ლაპარაკობდა ძია შაქრო. ხშირად პატარა ტანის ქალად ეჩვენებაო მონადირეებს, გრძელი გაშლილი თმები აქვსო, ხელში ჯოხი უჭირავს და ხან უკან მისდევს თავის სამწყსოს, ხანაც წინ მიუძღვის და ნელის ხმით მიუსტვენსო. ადრიანად მიწვა ბიძა-ძმისწული, თვალი უნდა წაეტყუებინათ რომ ღამიანზე გასდგომოდნენ გზას ირემთკალოსაკენ, მაგრამ ნაბადში გახვეული ბიჭი ზმანებებმა გააწვალა. ვერ იქნა და ვერ მოიშორა თვალთაგან ღალალებჩამოშლილი, მწყაზარი ქალას ხატება. მაცდური ღიმილით უქნევდა თითს, ჩახსნილი გულისპირიდან განზე გაზიდული მკვრივი ძუძუები უჩანდა, თავზე მინდვრის ყვავილების გვირგვინი ჰქონდა დარქმული... ღმერთო, რა ლამაზი იყო, რა მიმზიდველი! ამასობაში კიდეც შეეხმიანა ბიძა — ადგომის დროაო. ღრუბლის ნაფლეთები დაიზლაზნებიან ცაზე და მთვარეს გამონათებას უშლიან. მყუდროებაა. შორს, ძალიან შორს, საბრალო ხმით გაჰკივის ბუ. მიდიან ტყე-ღრეებზე სვენებ-სვენებით, თან ყური მახვილად უჭირავთ. თენებამაც მოატანა, გაირიჟრაჟა. როგორც იქნა მიაგნეს ირმის კვალს. აი, მისი ნაბოტარი. ირმის სუნი ახდის თხილისა და წიფლის ბუჩქებს, ეგევე სუნი აქვს ბუერებსა და ბალახს, რისთვისაც კი ირემს დრუნჩი მიუკა-

---

თეიმურაზ მაღლაფერიძე

ცხრაჭარა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რებია. ფაჩიფუჩი მოისმა, ჩინჩხვარი გატყდა. შაქრო ბიჭს უბიძგებს — დაწექით, თვითონ ხეს აეკვრის, თოფს მოიმარჯვებს. რეზოს გული ამოვარდნაზე აქვს, გაფართოებული თვალებით მისჩერებია დგნალებს. აგერ, ირმის რქები... თავი... აუჰ, რა რქებია, კელაპტრებივით ანათებს მისი ჯლდეები! ირემს მკერდი გამოუჩნდა, ისაა, უნდა დახხლიტოს ძია შაქრომ ჩახმახი, რომ ხედავს ბიჭი: ირემს წინ აეფარა თეთრებში გამოწყობილი პატარა ქალი, გულისპირიდან განზე გაზიდული, მკვრივი ძუძუები მოუჩანს, თავზე მინდვრის ყვავილების გვირგვინი დაუხურავს და ოქროსფერი ტევრი თმისა კოჭამდე სწვდება. ხელებგაშლილი ილიმის მაცდურად... „ნუ! არ ესროლო, ძიავ! არ ესროლო!“ — ჰკივის ბიჭი და ბიძას ფეხებში უვარდება. იქუხა თოფმა, ტყვია მიწას შეეგალა. „რა მოხდა, ბალღო?“ ბიჭი პირქვე აგდია და გონს ვერ მოსულა. როდის, როდის დაუბრუნდება ცნობა... იხსენებს ყოველივე ამას ბიჭი და უნებლიედ ეღიმება. რამდენი ეხვეწა და ეაჯა მაშინ ძია შაქროს — არავის უამბო ჩემი შერცხვენის ამბავიო, ხოლო ბიძა პირიქით ამშვიდებდა: რაკილა ნადირთპატრონი თავად გამოვეცხადა, ნამდვილი მონადირე გამოხვალო. მხოლოდ ეგაა, არ უნდა გაეთვალვინო და მისი სიყვარული არამცდაარამც გულს არ გაიკარო, თორემ აი, მაშინ კი ნამდვილად დაიღუპებიო. ბიძის ამ საუბარს ბიჭი კიდევ მაშინ გაიხსენებს, როცა ერთ მშვენიერ დღეს, გელოვანთა სახლში თბილისიდან ჩამოსული ლანდიების ოჯახი დაიდებს დროებით ბინას და მათს ქალიშვილს, ნანის ახლად შეღერებულ ქალწულს, ელდანაცემი შეავლებს თვალს. ნანი გაჰრილი ვაშლივით ჰგავდა ბიჭისაგან ტყეში ზმანებულ ნადირთპატრონს — ოქროსფერი გრძელი დალალებითა და მაცდური ღიმილით. სამოსიც თითქოს განგებ, თოვლისფერი ეცვა და ბიჭმა მყისვე იგრძნო: გოგონა ზმანებასავით უკვალოდ არ გაქრებოდა მისი ცხოვრებიდან. არც უმტყუნა გუმანმა, მაგრამ ეს მერმე მოხდა, ცოტა მოგვიანებით,... კურუმი სიბნელე ის იყო ბაცდებოდა, როცა ბიჭმა ტყიდან გააღწია, მოდიდებული ღელე გატოპა და მთლად გათოშილმა, აძაგძაგებულმა, უწია ძაღლებით აღავლუვებულ სოფელს, ნელიად რომ ილვიძებდა. ყიოდნენ მამლები, აქა-იქ უკვე ისმოდა ნაჯახის ხეთქების ხმა. ბიჭი არასოდეს ყოფილა ასე კარგად. კიდეც დაიღალა, კიდეც დაიმშა, კიდეც გაითოშა და დაიკაწრა, მაგრამ გული მაინც სიხარულით უჩქროლავდა. ეს იყო მისი პირველი დამოუკიდებელი მოგზაურობა და კაპიტანიც თვითონ იყო მოგზაურობისა. აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებ, თუ როგორ მიაღწია ყმაწვილმა სოფელ თოლენჯსა და ბიძისეულ სახლს, როგორი შიშნარევი გაკვირვებით გამოეგებნენ დიდებიცა და პატარებიც, როგორ საჩქაროზე გაათბეს, დააპურეს და მოასვენეს, ხოლო გამოღვიძებულმა როგორ დაინახა: ძია შაქრო სახინკლე ხორცის კეპვას შესდგომოდა გაალმასებული ხანჯლით. არ გავაგრძელებ ამაზე სიტყვას, მაგრამ ის კი უნდა ითქვას, რომ ჯერ ფარნაოზ მასწავლებელსა და პიონერებს, შემდეგ რეზოს ოჯახსა და სამეზობლოს ელეთმელეთის ქარი შეუდგათ. სად დაიკარგა ბიჭი? ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ? წამსვე დაკაზმეს ცხენები, ამხედრდნენ და საძებრად მოედვნენ თიანეთის შემოგარენს, მათ შორის, რაღა თქმა უნდა, დედაც იყო. იგი, ვითარცა ფშაველის ქალს შეეფერება, საუცხოოდ ჯდებოდა ცხენზე და თავის დროზე კარგ მოჯირითედაც ითვლებოდა. (ევა მაჩურიშვილის ქალი გახლდათ. გადმოცემით, მაჩურიშვილების წინაპრები გოგოლაურები ყოფილან და ერთი მათგანის, მაჩურას შთამომავლებს, მაჩურიშვილი მიუღიათ გვარად. ევას მშობლებს სოსიკოსა და ანა სამხარაულის ქალს, თერთმეტი შვილი ჰყოლიათ, მაგრამ ერთადერთი ევა დარჩენიათ ცოცხალი). დედას ალბათ, დედურმა გეშმა და ალღომ უკარნახა — სად უნდა ეძებნა შვილი და მართლაც, ის იყო ძალომ ხინკლის პირველი ჯერი ამოყარა, ხოლო ძია შაქრომ წინწანავარით დილის მადლი ჩამოილოცა, რომ გარედან ძახილი მოისმა: „ოჯახიშვილნო!“ და ბიჭს მდუღარე ხინკალი თითებში შეაცივდა. ყველაზე დიდი ხათრი ამქვეყნად დედისა ჰქონდა. საერთოდ, დედასა და შვილებს შორის იმთავითვე უსიტყვო, უთქმელი ურთიერთგაგება იყო დამყარებული. დედის წარბის შეკვრა კმაროდა, რომ ბალღებმა იცოდნენ, რაც უნდა გაეკეთებინათ. თავის მხრივ, დედა უკიდურეს წვრილმანებამდე იცნობდა ოთხივე შვილის ზნეს, ხასიათსა და მიდრეკილებებს და ჩუმად, ზედმეტი ლაპარაკის გარეშე ცდილობდა სულისა და გუნების შესატყვისი გარემო და ვითარება შეექმნა მათთვის. ასე იყო მაშინ, როცა ბალღები კალთას შეფარებულ ბარტყებად ითვლებოდნენ, ასე იყო მერმეც, როცა დაფრთიანდნენ და ბუდიდან ფრენა ისწავლეს. ნიშანდობლივია და საგულისხმო, რომ მირზა გელოვანი ფრონტიდან მოწერილ ბარათებში დედას ყოველთვის „თქვენობით“ მიმართავს, უინტიმურეს პოეტურ განცდებსა და ზრახვებს უზიარებს, ხოლო 1943 წელს ფრონტზე დაწერილი ლექსი „დედას“, ქართულ პოეზიაში ერთ-ერთ საუკეთესოდ უნდა ჩაითვალოს. „როდესაც ვწევარ ცივ სანგარში და ბრძოლა დამღლის, მოდის თქვენი ხმა, როგორც კვნესა საკუთარ ძვლების და თქვენ რომ არა, თქვენი ლოცვა, მე ჩვილი ბალღი, ამ სასტიკ გრიგალს ვერ გავუძლებდი“, — არის ასეთი შემძრავი სტრიქონები ხსენებულ ლექსში. (მიაქციეთ ყურადღება: ლექსშიც „თქვენობით“ მიმართავს პოეტი დე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დას). უნდა ვივარაუდოთ, რომ შვილის ახსნა-განმარტება დედისადმი ზემოაღწერილ დილას, ბიძისეულ სახლში, დიდხანს არ გაგრძელდებოდა. დედა მყისვე აუღებდა ალღოს შვილის სულისკვეთებას, მიხვდებოდა, რომ სხვაგვარად მოქცევა არ შეეძლო, იმასაც უეჭველად მიხვდებოდა, რომ ამ ერთ ღამეს მარტოდმარტო, უგზოუკვლოდ ხეტიალი ბიჭს გაცილებით მეტს შესძენდა, გაუხსნიდა და გაუფართოებდა სულს, ვიდრე მავან მასწავლებელთა მიერ პედაგოგიკის ყველა წესის დაცვით ჩატარებული მრავალი გაკვეთილი და, გულში ჩაიღიმებდა თავისთვის, უსიტყვოდ. ამასღა ეტყოდა ალბათ: „თუ სხვა დროსაც იზრახო, შვილო, მსგავსი რამ, წინასწარ გაგვაფრთხილე, თორემ ხომ ხედავ, როგორ დავიზაფრენითო“. ეტყოდა და ბიჭიც წამოწითლებული ჩაღუნავდა თავს. ამით დასრულდებოდა საყვედური. მერმე, რაღა თქმა უნდა, ცხელ ხინკალს შეექცეოდნენ, ძია შაქრო რძალსა და ძმისწულს გზას დაულოცავდა და თავის შავრაზე შესვამდა ბიჭს. თოლენჯიდან თიანეთამდე საკმაოდაა სავალი. რაზე ლაპარაკობდა გზაში დედა-შვილი? რას მისაუბრობდნენ? შენი არ ვიცი, ძვირფასო მკითხველო, მე კი ღრმადა ვარ დარწმუნებული, რომ დედა მკერდისმიერი, სასიამოვნო ხმით, თითქო თავისთვის, მაგრამ ისე, რომ ბიჭს თავისუფლად გაეგონა, „ბახტრიონის“ განსაცვიფრებელ სტრიქონებს კითხულობდა. ყმაწვილი უსმენდა მონუსხული. ხოლო როცა კვირიას სიზმარი ჩაამთავრა დედამ, აცახცახებული ხმით შეევედრა, გაიმეორეო „დღე იყო მეტად მრისხანე, ცა მოღრუბვლილი, მჭეხარი... მივდივარ ტრიალს მინდორზედ თავ-მომწონარი მხედარი. შავს ცხენზე ვიჯე, მიჭქროდა, მეგონა, გზივარ ქარზედა. სამი დაენთო სანთელი ჩემის ფრანგულის ტარზედა. შუქი ციური ჯვარადა გამომესახა ფარზედა. მინდორი იყო ტრიალი, არა რაი ჩნდა მაზედა, ყოილი, ხშირი ყოილი დაფენილიყო გზაზედა... გავხედე, მინდვრად მოცურავს შავი ვეშაპი ქშენითა, ყოილთან მიწას მაჰლოკდა ცეცხლის მსროლელის ენითა. პირითაც ცეცხლი სდიოდა, საზარელ იყო მეტადა. მნახა, გულზვავად მომმართა, ვუნდოდი დასაკვნეტადა. პირი დაალო ვეება, ჩასაყლაპავად მიტია, მაგრამ ხმლითა ვეც, გავუპე თავი, როგორაც ფიტია. მოკლულმა შემომანთხია ბოროტი სისხლი პირზედა. ცხენი წამექცა, თვითონაც მიწას დავეცი ძირზედა. გონი წამსვლიყო... გონთ მოვედ, მეოცა სახილებელი: ქვეშ მეგო თეთრი ლოგინი, ტკბილადა საძინებელი, გვერდს ეგდო ჩემივე ცხენი, ცრემლითა სატირებელი, თავს მედგა დიდი ჭანდარი, სიცხეში საჩრდილობელი, ზედ იჯდა ბერი ქედანი, დამღუღუნებდა თავზედა. მზეც ამობრწყინდა... მეჩვენა, მნახა, გაბრუნდა წამზედა, წითლად გაწირა ხოლოდა ობოლი სხივი მთაზედა. გაბრუნდა, თვალთ დამიბნელდა, და მიმეძინა მკლავზედა“.

ვაჟა-ფშაველა მაშინ უკვე იჭერდა თავის შეუნაცვლებელ ადგილს ყმაწვილის სულიერ სამყაროში. მან ბავშვობიდანვე იცოდა, რომ ვაჟა და მამამისი, გედეონ გელოვანი, მეგობრები იყვნენ, ხოლო უფროსი და, როენა, ვაჟას ნათლულად ითვლებოდა ოჯახში. იცოდა ეს, თუმცა კვირიას თავზარდამცემი სიზმრის შემოქმედსა და ჩვეულებრივი, ყოფითი საწუხრით მოცულ ლუკა რაზიკაშვილს ერთმანეთთან ვერაფრით ვერ აიგივებდა, ის ღმერთი იყო, ეს — ადამიანი. არაფერს ადრე წაკითხულს თუ გაგონილს ისე არ შეუძრავს რეზო გელოვანი, როგორც კვირიას სიზმარს. თანაც, სწორედ დედისაგან წარმოთქმულს — თოლენჯიდან თიანეთისაკენ მიმავალ გზაზე. თუ გავიხსენებთ რომ მას უნიკალური მახსოვრობა ჰქონდა და ლექსის დასწავლის განსაკუთრებული უნარი, თუ არც იმას დავივიწყებთ, რომ ვაჟა-ფშაველა მისი ხანმოკლე სიცოცხლის განუყრელი მასწავლებელი იყო, მაშინ თავისუფლად შეგვიძლია ვიფიქროთ: ობოლ კვირიას ტრაგიკული წინათგრძნობით აღსავსე სიზმარი არც იქ, სისხლის წვიმების ჟამს მიატოვებდა რეზო გელოვანს და გარდუვალი, ამაღლებული დაღუპვის ტკბილ-მწარე წინათგრძნობით დაბანგავდა! ასეთი გახლდათ ერთი ფრიად დასამახსოვრებელი ღამე და დღე ბიჭის ცხოვრებისა.

3.

მართლაც რომ უებარ წამლად შეერგო ძია შაქროს ნასურვილარი ბიჭს: ნადირობამ, თევზაობამ, ცხენზე ჯირითმა მკლავ-მუხლი გაუმაგრა, ხასიათი გამოუწრთო და ცოტა არ იყოს, ნაადრევადაც დაავაჟკაცა. სუსტი, მინაზებული, პირყვითელა ბიჭი დავიწყების ბინდბუნდში მიილიბრა. ახლა, როცა სარკეში ჩაიხედავდა, იქიდან გამოსცქეროდა ზღვისფერთვალება, ხორბლისფერთმიანი, აშვეტილი და ბეჭებში ლაღად გაშლილი ჭაბუკი, მკლავებზე კუნთები რკინის კვერებივით რომ ებურცებოდა. მან თითქო გამოტოვა ბავშვობა-ყრმობის მოზრდილი ხანა და პირდაპირ ჭაბუკობაში გადაალაჯა. ახლა თავის კბილა ყმაწვილებთან ურთიერთობა აღარც აკმაყოფილებდა და კიდევაც ეჩოთირებოდა. უკვე სისხლხორცეულად მიჩვეულიყო დროულ მონადირეებთან, მწყემსებთან და კაცობაში ფეხშედგმულ ჯეელებთან (ფარნაოზ მასწავლებელზე რომ აღარაფერი ვთქვათ) მეგობრობას. მონადირეებს უხაროდათ მისი სიმარჯვე და როგორც თანატოლს, ისე გაიპატიჟებდნენ ხოლმე სანადიროდ ეს ჭკვადამჯდარი, გამოცდილი თოფოსნები, მერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე, მოგვიანებით. ერთ-ერთ წერილში ასეთი სტრიქონები დაიწერება: „ჩემში ახალი არაფერია. ვარ ჩვეულებრივ. ზოგჯერ გარდასულზე ვფიქრობ და მენანება — სხვა არაფერი. კარგა ხანია ნადირობა მომინდა. დილით სიბნელეში ვდგებით და, თოფს რომ ავიღებ, ასე მგონია, მონადირეები მიცდიან და იქით წავალთ, საითაც უმრავლესობა იტყვისო“. ხოლო ცოტა უფრო მოგვიანებით, იგი სევდითა და სინანულით გაიხსენებს იმ დროს, როცა ნება-უნებლიეთ, ბავშვობის „გამოტოვება“ მოუხდა. „მე მაქვს უბავშვო ბიოგრაფია, თქვენ უსირცხვილოდ სტყუით ბატონო“ — ეს მისი ლექსის სტრიქონია. 1943 წელს ფრონტიდან მშობლებისადმი გამოგზავნილ ბარათში კი ვკითხულობთ: „ზოგჯერ ვფიქრობ და ვერ გამიგია: რად იყო ჩემი ცხოვრება თითქმის უბავშვო? მე ისე ცოტა ხანს ვიყავი პატარა და მაშინაც უცნაური-თავისებური. არასოდეს მიზიდავდა ტოლებში უწყინარი თამაში. მქონდა სურვილი, მისწრაფება არაბავშვური“. და მაინც ბევრი, ძალიან ბევრი რამ გამოჰყვა ბავშვობიდან. ისიც ხომ, ეგზიუპერისა არ იყოს, „თავისი ბავშვობიდან იყო მოსული“. სხვას რომ თავი დავანებოთ, ლექსი, ლექსის ამოთქმის წყურვილი კვლავაც ძლიერად, გარდაუვალად ჰფლობდა მის სულს. განვლო იმ დრომ, ბავშვურ ნავარჯიშევს ფსევდონიმად „მზის შვილს“ რომ აწერდა. „აყვავებულ ალუჩებს ქარნი არა ხრიანო, ვაშლი რხევას აყუჩებს, რომ წვიმამ იჩხრიალოს... მერე ლეხ აზარნიშებს ალი, ლალი, ემალი და რაღაცას მანიშნებს ჩვენი თეთრი ტყემალი“, — ახლა ასეთ სტრიქონებსაც ბუტბუტებს იგი დროდადრო. კითხულობ ამ პაწია ლექსს და თითქო „სიმწვანის მხარეში“ მოხვდი, თვალები გევსება გაზაფხულის ნაირ-ნაირი ფერებით, ხუნთქავ წმინდა, ცინცხალ ჰაერს — ნაწვიმარზე რომ იცის ხოლმე და უმიზეზოდ გიხარია რაღაც. თუმცა, რატომ უმიზეზოდ: გიხარია, რომ ბუნების სასწაული არსებობს და პოეტმა უშურველად გაზიარა ამ სასწაულს. ერთი სიტყვით, ახლა უკვე ასეთ ლექსებსაც წერს ბიჭი. წერს და ფსევდონიმად „მირზას“ აწერს. მირზა გელოვანი... დაბადებით მას რეზო ჰქვია. შინაურები რეზიკოს ეძახიან, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს, როგორც საერთოდ სჩვეოდა, ჯიუტად მოისურვილა და მირზა დაირქვა. რატომ მირზა? რაღა მაინცადამაინც მირზა? გადმოგვცემენ, თითქო რაღაც წიგნი წაეკითხოს, მთავარ გმირს, მირზად წოდებულს, დიდი შთაბეჭდილება მოეხდინოს მასზედ და ფსევდონიმიც თითქო აქედან იღებდეს სათავეს. რაკი აგრეა, მოდი, ამიერიდან ჩვენც მირზა დავუძახოთ.

მორჩა, გათავდა, ყველაფერი გარკვეულია: მირზა ნელ-ნელა, მაგრამ მტკიცედ მიდის იმ აზრამდე, რომ მოქმავალი სამუდამოდ დაუკავშიროს პოეზიას. მან, რა თქმა უნდა, არ იცის, კონკრეტულად როგორ მოხდება ეს, თუმცალა ურყევად სწამს: ულექსოდ ყოფნა არამც და არამც არ შეუძლია. მაგრამ სწორედ ამხანად მის ცხოვრებაში გათამაშდება ერთი ამბავი, რომელიც ძირფესვიანად ააფორიაქებს ყრმას...

## თავი მესამე

### 1.

თიანეთი, უფრო ზუსტად — ერწო-თიანეთი, არცთუ იშვიათად მოიხსენიება ქართულ ისტორიულ ანალებში. ვახტანგ გორგასალი „თვით მოვიდა თიანეთს სპითა და მუნ მოერთნენ მეფენი კავკასთანი მხედრითა“, — გვამცნობს მემატიანე. ხოლო მეფე დიმიტრი თავდადებულის ჟამს თათარნი „წარმოვიდნენ და მომართეს მთიულეთს, მოაოხრეს ქართლი, ერწო-თიანეთი და დადგნენ მუხრანს და ერწოთიანეთს და სტყვევნიდიან, სადა ვის მოახელიან“... მსგავსი ამონაწერების მოყვანა კიდევ მრავლად შეიძლება.. ჩანს, თიანეთსა და მის შემოგარენს არაერთი ქარბორბალა გადაუტანია ბნელით მოცულ საუკუნეებში საქართველოს ისტორიისა. ეს ალბათ იმით უნდა აიხსნას, რომ ქართლიდან თიანეთზე გადიოდა უმოკლესი და უმარჯვესი გზა შიდა კახეთისაკენ მიმავალი. ამავე გზით შეიძლებოდა დაკავშირება როგორც ფშავ-ხევსურეთთან, ისე თუშეთთან, ქისტეთთან და დაღესტანთან. გაიარა დრომ, XIX საუკუნეში საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება მტკიცედ გაჰედილ რკინის კალაპოტში მოთავსდა და თიანეთი, ისევე როგორც სხვა მრავალი ისტორიულად ნიშანდებული ობიექტი, გახუნდა და ჩრდილში მოექცა. მხოლოდ გასული საუკუნის დასასრულს კვლავ ამოტივტივდა ხსენებული ტოპონიმი ქართველი საზოგადოებრიობის ცნობიერებაში და ამჯერად ეს ვაჟა-ფშაველას წყალობით მოხდა. ჩარგალში მარტოობით შებეზრებული და კულტურულ ცხოვრებას დანატრებული ვაჟა, როცა საბოლოოდ გადაუწყდებოდა თმენის ილაჯი, მოახტებოდა ცხენს — „ნიკორს“ და შეუდგებოდა საშუბის გორის სახვევიან ბილიკებს, რათა თიანეთში გონების წყურვილი დაეკმაყოფილებინა და ძმასთან გიორგისთან, რომელიც იქ სახელმწიფო სამსახურში იმყოფებოდა, სჯა-ბაასით გული მოეოხებინა. უნდა ვივარაუდოთ, რომ საკმაოდ მალე გადაივაკებდა საშუბის უღელტეხილს. ივრის ხეობაში ლეჩაქივით გამჭვირვალე ბურუსი იქნებოდა ჩაწოლილი. ილტოსა და ბაბხის თავიდან გედებივით თეთრი ნისლები მოცურავდნენ ალბათ თრემთკალოსაკენ. სასოვეთ თავის მწვერვალი კი ამაყად გადმოჰყურებდა ბაჩლისა და ივრის ხეობებს. თავქვეზე ცხენს არ შეაწუხებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჟა, ნახევარ გზას ფეხით ჩაივლის. ასე მიაწევს ხატიხევის ჭალას და კვლავ ამხედრდება. აქედან იწყება ივრის ხავერდოვანი, ლამაზი ნაპირები. გაღმით თუ გამოღმა ზურმუხტოვანი მოლი და ველებია გადაშლილი. მიქეფარე, ბროლივით გამჭვირვალე ღელეების ნაპირები ყოლ-მაყვლიანითა და ბრტყელფოთოლა ბუერებით შებარდნულან... და მზის დასვლას ჯერ ისევ აკლია, რომ თიანეთის მიდამოებიც დაჩნდება. რაღა თქმა უნდა, ვაჟა თიანეთში მხოლოდ დროსტარებისა და ინახად ჯდომისათვის არ ჩადიოდა. რაც უნდა იყოს, ხსენებული დაბა ადმინისტრაციული საკრებულო გახლდათ და ინტელიგენციასაც მეტი სარბიელი ჰქონდა მოღვაწეობისა თუ ჰკუა-გონების ალებ-მიცემობისათვის. ვაჟა ჩასვლისთანავე ებმებოდა თიანური ცხოვრების ფერხულში და წერილს წერილზე უგზავნიდა ტფილისურ გაზეთებს — „დროებას“, „ივერიას“, „ნოვოე ობოზრენიეს“, სადაც თიანეთის ავ-კარგი პირუთვნელი გულშემატკივრობით იყო გამომზეურებული. სულ ათი ფელეტონი დაუწერია ვაჟას — კათაკმეველის, მგელა ხინკალჭამიაშვილისა და ჟულაკა გოგოშურის ფსევდონიმით და თუ ვინმე მოისურვებს გასული საუკუნის მიწურულისა და ჩვენი საუკუნის დასაწყისის თიანური ყოფის სრულად წარმოდგენას, ამ ფელეტონების გარეშე ძალზე გაუჭირდება. კითხულობ ზემორე წერილებს და თვალწინ გეხატება პროვინციული დაბა დასახლებული უვიცი ექიმებით, წუწკი მღვდლებით, გარუსების გზაზე შემდგარი ინტელიგენტებით, რომელთაც ერთადერთი სამკითხველო სამიკიტნოდ უქცევიათ, თვით კი ბაზუსის ტრფიალების გზას დასდგომიან, მექრთამე „პისარებით“, სომხის ჩარჩ-ვაჭრებითა და მიკიტნებით, სასამართლოს მოხელეებით, ჭორიკანა მანდილოსნებით, გაზულუქებული თავადებით, ლოთი ურიადნიკებითა და სალდათებით, აგრეთვე, ფშაველ-ხევსური გლეხებით, რომლებსაც ამა სოფლის ბრუნვისა არაფერი გაეგებათ და გულის ვარამს ფანდურის ჩხაკუნითა და ძველი საგმირო ლექსების დამღერებით იქარვებენ. ჭუჭყი, ტალახი, სიბნელე... აი, გარდასული თიანეთის მეტნაკლებად სრული სურათი, რომელიც ასე უტყუვრად მოგვაწოდა ვაჟა-ფშაველამ. იმჟამად, ე. ი. მაშინ, როცა მირზა გელოვანი შვიდწლედს ამთავრებდა, ვაჟას დღევური ნატერფალები ჯერ ისევ მკაფიოდ აჩნდა დაბა თიანეთს. გედეონ გელოვანზე რომ არაფერი ვთქვათ, მრავალი პირი მოიძებნებოდა ისეთი, რომლებსაც თავის დროზე მჭიდრო ურთიერთობა, ახლობლობა, მეგობრობაც კი აკავშირებდათ ვაჟასთან, ცხადად ახსოვდათ მისი ყოველი სიტყვა თუ ნამოქმედარი და უშურველად, ერთგვარი სიამაყითაც უამბობდნენ ყველას, ვინც ამის მოსურნე იყო. აქა-იქ ვაჟას დაუბეჭდავი, უცნობი ლექსების მოძევაც შეიძლებოდა იმხანად. მირზამ დიდი ენთუზიაზმით მიჰყო ხელი მათს შეგროვებას და ალბათ მაშინ გაუჩნდა აზრი ვაჟას ცხოვრების მატიანის შედგენისა. ამის თაობაზე ძუნწი ცნობა მოიპოვება პოეტ გრიგოლ ცეცხლაძის ადრესით გაგზავნილ ბარათში (ამ მიმოწერას ჩვენ ქვემოთ ვრცლად შევეხებით): „ვწერ ვაჟას ცხოვრებას პროზად და ვაგროვებ მის დაუბეჭდავ ლექსებსო“, — აცნობებს მირზა. ახლა ძნელია თქმა, რა კონკრეტული შედეგი გამოიღო ხსენებულმა საქმიანობამ: მართლაც დაიწერა თუ არა „ვაჟას ცხოვრება პროზად“. ან სახელდობრ, რომელი დაუსტამბავი ლექსი იქნა მის მიერ აღმოჩენილი (ყველაზე რეალური იქნება, თუ ვიფიქრებთ, რომ ჯერ კიდევ სრულიად ყმაწვილს, ასეთი მძიმე ტვირთის ასაწევად ძალღონე არ ეყოფოდა!), ყოველ შემთხვევაში, ამ სამუშაოს კვალი ჩვენამდე არ მოღწეულა. თუმცა, ეს კია, ვაჟას სამყაროში დაჟინებულმა ფუთფუთმა, სხვა მრავალთა შორის, ერთი ნაყოფიც გამოიღო: მუდამ მაძიებელ და ახალ-ახალი იდეებით თავგამოტენილ ფარნაოზ მასწავლებელს დიდი ხანი იყო, რაც სცენისმოყვარეთა ძალებით სპექტაკლის დადგმა ჰქონდა გადაწყვეტილი, მაგრამ შესაფერი პიესის უქონლობა უშლიდა ხელს. და აი, მირზას დაჟინებით, არჩევანი ვაჟას „მოკვეთილზე“ შეჩერდა. მართლაცდა, სად უნდა დადგმულიყო „მოკვეთილი“, თუ არა აქ, თიანეთში, სადაც ვაჟას გულის ძალუმი ფეთქვა ჯერაც უშუალოდ განიცდებოდა? სადაც ფშავლების, ხევსურების, თუშების, ქისტების და, ასე გასინჯეთ, ლეკების ნამდვილი საკრებულო იყო. (იხ. ვაჟას „ხმა მთიდამ“, ტ. V, გვ. 368) და პოეტის მიერ აღწერილი ზნე-ჩვეულებანი, თუ სხვადასხვა მოქმედებანი, რაღაც გარდასულ ეგზოტიკად კი არ აღიქმებოდა, არამედ როგორც ცოცხალი, მომქმედი ყოფა? ტექსტი პიესისა „მოამბეში“ იყო დაბეჭდილი (1894 წ, № 4). ეს ჟურნალი შემთხვევით აღმოაჩინა მირზამ მამისეულ ბიბლიოთეკაში. როლების განაწილებაზე დიდი შეხლა-შემოხლა ატყდა. ფარნაოზ მასწავლებლის „რეჟისორული ჩანაფიქრით“ ბახას როლი უეჭველად მირზას უნდა ეთამაშა, მაგრამ მირზა ცივ უარზე იდგა — სამშობლოს მოღალატისა და თემისაგან მოკვეთილის როლს ცოცხალი თავით ვერ ვითამაშებო. ვითარებას ისიც ართულებდა, რომ ბახასათვის ჩონთასაგან წაგვრილი საცოლის, მზევინარის როლი თბილისიდან ახლად ჩამოფრთხიალებულ ულამაზეს გოგონას — ნანი ლანდიას უნდა შეესრულებინა. მირზა, რაღა თქმა უნდა, უკვე თავდავიწყებით იყო მასზე შეყვარებული და ამიტომ დამარცხებული,

---

თეიმურაზ მაღლაფერიძე

ცხრაკარა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავლაფდასხმული რაყიფის როლში გამოსვლა არაფრით არ აძლევდა ხელს. ნანი... ეს სახელი მირზას არაერთ ჭაბუკობისდროინდელ ლექსშია გაცხადებული შეფარვით. ძალზე უცნაურად გადაახლართა ბედმა მათი ცხოვრება ერთმანეთს. ნანის მამა, ილიკო ლანდია, იმხანად თიანეთის რაიონის ჯანმრთელობის განყოფილების გამგედ იქნა გამწესებული. ვიდრე შესაფერ საცხოვრისს მოძებნიდა, გედეონ გელოვანის თავაზიანი მასპინძლობით ისარგებლა და ცოლშვილიანად მის ოჯახში დაიდო ბინა. ნანისთან პირველი შეხვედრა ელდისმომგვრელი იყო მირზასთვის: მის წინ ტყეში ანაზდად მოლანდებული ნადირთპატრონი იდგა, თეთრებში გამოწყობილს თავთუხისფერი თმა წელზე სცემდა, ლურჯ თვალთა კილოები საფეთქლებამდე ჰქონდა განიდული და ხშირი, გრძელი წამწამებით ჩამობურვილი. ლოყაზე ხალი აჩნდა პაწია, ხოლო ღიმილის დროს მძივებივით ჩარიგებულ, ქათქათა კბილებს აჩენდა. ნანის, ის იყო, შეედგა ფეხი ქალობაში, თავისი მომხიბლაობა სისრულით ჰქონდა შეგნებული, ადამიანთა შორის მხეცთა მომთვინიერებლის ამაყი, მოქნილი ნაბიჯებით დარონინებდა და საკუთარი თავის ბადალი და ღირსი ცისქვეშეთში არავინ ეგულებოდა. სიყვარული მისთვის, მაშინაც, როცა ქალიშვილობას იწყებდა და მერმეც, უფრო მოგვიანებითაც, სახალისო, გასართობი თამაში უფრო იყო, ვიდრე ყოფნა ან არყოფნაა, ამიტომ გულმოწყალედ იძლეოდა ხოლმე უფლებას, ტრფობით შემსჭვალვოდნენ, თვითონ კი, წესისამებრ, გულგრილი რჩებოდა. „თქვენ, ხეებო, თქვენ მაინც ჩააგონეთ ნამდვილად, რომ ლოდინით დავდუმდი, რომ მონა ვარ იმ ავის, რომ ასეთი კარგი ვარ და ასეთი სათუთი“, — თხოვნით შეჰკვნესოდა მირზა ხეებს, მაგრამ ქალიშვილი ჭაბუკი პოეტის მხურვალე ღაღადისს ისე მიითვლიდა, ვითარცა კუთვნილს და დამსახურებულს, თანამგრძნობელობას კი მაცდური ღიმილით იოიდებდა. მისთვის თითქმის არაფერს ნიშნავდა, მირზა რომ „ასეთი კარგი იყო და სათუთი“... აი, ამიტომაც არ უნდოდა მირზას უარყოფილი და გაბახებული მიჯნურის თამაში სცენაზე, მაგრამ დიდის მეცადინეობით, როგორც იქნა დაითანხმეს. აქაც ნანის თხოვნა აღმოჩნდა გადამწყვეტი, მირზა მართლაც „მონა იყო იმ ავისა.“ სპექტაკლმა მშვენივრად ჩაიარა, მთელი თიანეთი ალაპარაკდა, განსაკუთრებით აღნიშნავდნენ და-ძმა გელოვანების, რუსუდანისა და მირზას ხალას აქტიორულ უნარს. მე დამავიწყდა მეთქვა, რომ რუსუდანი ბახას დედის, ჯავარას ურთულეს როლს განასახიერებდა. ჟრუანტელის მომგვრელი იყო მისი შეძახილი ფინალში: „ბახავ, სადა ხარ, შვილო, ჩახოცეს ფშაველები! ვაჰმე, ჩამოგიდნით! უშველე, შვილო, მაგ ურჯულოებმა გაწყვიტეს ხალხი... ბახავ, სადა ხარ, წაიღეს ჩვენი დროშა, შვილო, ამოწყვიტეს ფშაველები, შვილო!“... „მოკვეთილის“ შემდეგ მირზამ ლამის საბოლოოდ ირწმუნა, რომ მსახიობობა მისი ერთადერთი, ნამდვილი მოწოდება იყო და მოსვენება დაჰკარგა. იმდროინდელ თიანეთში პრესის საშუალებით ყრუდ აღწევდა დიდი თეატრალური ცხოვრების ამბები. მარჯანიშვილი თურმე სასწაულებს ახდენდა ქუთაისში. დუღდა და გადმოდიოდა სანდრო ახმეტელის დაუტევნელი ნიჭი. „დურუჯელები“ სულის მოთქმას არ აცლიდნენ საზოგადოებას და ზედიზედ აწვდიდნენ გენიალურ სპექტაკლებს: „ლამარა“, „ანზორ“, „თეთნულდ“, „ინ ტირანოს“, „რღვევა“... მირზას მთელი არსებით უნდოდა ამ ბობოქარი, ეპოქის შესატყვისი ხელოვნების ქმნადობის თანამონაწილე ყოფილიყო. თან, რაც მთავარია, გულწრფელად სჯეროდა, რომ შეეძლო სახელოვანი აქტიორი გამოსულიყო. ვინ იცის, იქნება არცა ცდებოდა! შვიდწლედი რომ დაამთავრა, დაიჟინა — თბილისს უნდა წავიდე, თეატრალურ სტუდიაში უნდა გავაგრძელო სწავლა. ძლივს დაარწმუნეს, რომ შვიდწლედდამთავრებულს თეატრალურ სასწავლებელში არავინ მიიღებდა და იძულებული შეიქნა თიანეთის პედტექნიკუმს დაბრუნებოდა. ეს ის დრო გახლდათ, როცა გელოვანიანთ უფროსი ქალიშვილი — როენა, უკვე თბილისში აგრძელებდა სწავლას, ხოლო რუსუდანს პედტექნიკუმი დამთავრებული ჰქონდა, იქვე, თიანეთის ახლოს, სოფელ თეთრახევში მასწავლებლობდა და ოცნებობდა უნივერსიტეტში შესვლაზე. „მოკვეთილის“ წარმატებამ ფრთები შეასხა სცენის ახალბედა მოყვარეებს. ჯერ იყო და, ყაზბეგის „ხევისბერი გოჩა“ დადგეს საკუთარი ინსცენირებით, მერმე კი, ვინმე დარისპანაშვილის თავის დროზე გახმაურებული პიესა „სამი მეგობარი“ ითამაშეს. სხვათა შორის, გაზეთ „ახალ თიანეთში“ ამ ორიოდე წლის წინ დაიბეჭდა პენსიონერი პედაგოგის მ. გონჯილაშვილის მოგონებანი, სადაც მირზაზე, როგორც მსახიობზე, არის ნათქვამი რამდენიმე წინადადება. „მე მირზასთვის არ მისწავლებია, მაგრამ სცენისმოყვარეთა ძალებით გამართულ სპექტაკლებში მიიპყრო ჩემი ყურადღება. ახლაც ღრმად მაქვს მეხსიერებაში ჩარჩენილი მირზას მიერ შესრულებული რევოლუციონერი მუშის სახე დარისპანაშვილის პიესაში „სამი მეგობარი“. ჭაბუკი პოეტი ისეთი გრძნობით, ლაღად და თავისუფლად თამაშობდა როლს, რომ გეგონებოდათ, დასრულებული სცენის ოსტატიაო. ვფიქრობდი კიდეც, რომ ამ გზას დაადგებოდა“. აი, ეს ხუთიოდე წინადადება გახლავთ მირზა გელოვანის „თეატრალური მოღვაწეობის“ შემფასებელი პირველი და უკანასკნელი „რეცენზია“. ახლა, რაღა თქმა უნდა, შეუძლებელია განსაზღვრა — მართლა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რეალური ძალა დაკარგა თუ არა ქართულმა თეატრმა მირზა გელოვანის სახით, მაგრამ თანამედროვეთა ხსოვნაში შემონახულია მის მიერ ნათქვამი ერთი ფრაზა, „ან პოეტი გამოვალ, ან მსახიობი“ — ეს კი ალბათ იმაზე მიგვანიშნებს, რომ მირზასთვის, თუ საერთოდ არა, გარკვეულ დრომდე მაინც, პოეზიასა და თეატრს თითქმის თანაბარი მიმზიდველობა და ხიბლი გააჩნდა. მაგრამ მირზა გელოვანი, უპირველეს ყოვლისა, პოეტი იყო, ბუნებისაგან პოეტად შექმნილი და უკვე იმ დროისათვის, როცა მის სულში პოეზია და თეატრი ერთმანეთს ეტოქებოდა, რამდენიმე ისეთი ლექსის ავტორი გახლდათ, რომლებიც აქამომდე ინარჩუნებენ ნამდვილ მხატვრულ ღირებულებას. „იჯექ წყნარად“, „აყვავებულ ალუჩებს“, „ზღაპარი“, „ხომ ხედავ, თოვლი ცვივა“, „სიმწვანის მხარეში“, „თეთრი მიწა“, „ფიქრები ფანტელებში“ და ზოგიც სხვა, სწორედ ასეთ ლექსებად შეიძლება მივიჩნიოთ. რა თქმა უნდა, არავინ დაგვიჯერებდა და სამართლიანადაც, თუ ხსენებულ ლექსებს შედევრებად მოვნათლავდით. გაწაფული მკითხველი ამ ლექსებში დაუძაბავად შეამჩნევს ზოგიერთი წინამორბედი პოეტისაგან მომდინარე ნაცნობ ინტონაციებს და სხვა „ტექნიკურ წუნს“, მაგრამ ობიექტურ შემფასებელს არც ის უნდა გამოეპაროს, რომ ლექსების მიღმა ნამდვილი ნიჭიერებით დაღდასმული ახალგაზრდა დგას. საერთოდ, სიტყვამ მოიტანა და უნდა ითქვას, რომ მირზას იმთავითვე ჰქონდა (თანდაყოლილი ჰქონდა!) პოეტისათვის ერთი ყოვლად აუცილებელი (იქნებ ჯადოსნური!) თვისება, თვისება გულწრფელი თქმისა. რასაც ამბობს იგი, ყველაფერს უღრმესი გულწრფელობით ამბობს. სწორედ ამიტომ, მისი ლექსების ერთი წყება, რომლებიც ბანალობის ზღვარზე ქანაობენ, მაინც დაზღვეულნი არიან ამ დამღუპველი საფრთხისაგან.

2.

სახლის უკან, მყუდროში, დაგვარჯლული ტყემლის ხე იდგა. ჩაშავებულ, რკინასავით მაგარ ტანზე უამრავი ნორჩი ყლორტი გამოეტანა, ჩრდილი ფართოდ გაეშალა და იდგა ბობლია დევივით. აბა ვინ იფიქრებდა, რომ ეს შავი, კბილებჩაცვენილი ბებრუხანა გაზაფხულობით ყველაზე ადრე იფეთქებდა მირიადი თეთრი ყვავილით და თავმომწონედ გადახედავდა დანარჩენ ხეებს გამოკოხტავების ბაიბურში რომ არ იყვნენ ჯერ. ეს სწორედ ის ტყემალი გახლდათ, მირზამ რომ ახსენა ლექსში: „და რაღაცას მანიშნებს ჩვენი თეთრი ტყემალი“... უყვარდა მირზას ამ ტყემლის ქვეშ ჯდომა, დაიგებდა ხოლმე თუშურ, ჭრელ ფარდაგს და კითხულობდა. აი, როგორ იგონებს მირზას ცხოვრების ამ პერიოდს ცნობილი მთარგმნელი ვახტანგ ბეწუკელი: „მირზას მშობლებს მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონდათ და ლიტერატურის მოყვარე ნიჭიერი ახალგაზრდა ხარბად დაეწაფა ქართველ, რუს და უცხოელ კლასიკოსთა და თანამედროვე მწერლების ნაწარმოებთა კითხვას. იგი ამ დროს უკვე ლექსებს სწერდა. მის მახლობლებს, ამხანაგებსა და მეგობრებს გვხიბლავდა მისი ლექსები უშუალობითა და გულწრფელობით... ბუნებით მირზა ძალზე დაუდგრომელი, ხიფათისა და თავგადასავლების მაძებარი ჭაბუკი იყო, თანატოლებში ყოველთვის პირველი და ყოველგვარი განზრახვის წამომწყები. მახსოვს, რა დიდი გატაცებით ვკითხულობდით იმ დროს ახლად გამოქვეყნებულ მიხეილ ჯავახიშვილის ისტორიულ რომან „არსენა მარაბდელს“. ეს წიგნი განსაკუთრებით საყვარელი შეიქნა მირზასთვის. მან დაუყონებლივ შექმნა „არსენას რაზმი“ (არსენა მარაბდელი, რაღა თქმა უნდა, თვითონ იყო), რაზმელები შეაიარაღა და დაიწყო ბატონყმური და სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ ვაუთავებელი ბრძოლა. „გაუთავებელს“ იმიტომ მოგახსენებთ, რომ გიორგი კუჭატნელისაგან არსენას მოკვლა მირზას ინსცენირებაში არ შედიოდა“. ტყემლის ქვეშ მალე მირზას უახლოესებმაც იწყეს შეკრება: დაიკო რუსუდანი, ნანი ლანდია, ფარნაოზ მასწავლებელი, ვახტანგ ბეწუკელი, ილო კოჭლაშვილი, რომელსაც მირზამ მშვენიერი ლექსი „ერთადერთი ბარათი“ უძღვნა და სადაც ასეთ წინასწარმეტყველურ სტრიქონებსაც ვკითხულობთ: „ეკლიან გზაზე მცილდებიან ახალ-უხლები, ქარში ცვივდება უამრავი ნატვრა დიდების, მაგრამ მე მომდევს მონადირის სალი მუხლები და საუკუნეს ფრანგულივით დავეკიდები“. (საგულისხმოა, რომ ილო კოჭლაშვილმაც, მეგობრის მსგავსად, ომის ქარცეცხლში დაამთავრა სიცოცხლე). იკრიბებოდნენ მეგობრები და საუბრობდნენ ვინ იცის, რაღაზე არა, ხმამაღლა კითხულობდნენ „მნათობს“, სადაც იმხანად კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცება“ იბეჭდებოდა გაგრძელებებით და მოუთმენლად ელოდნენ მომდევნო ნომრის გამოსვლას, მსჯელობდნენ ახალი სპექტაკლის დადგმის თაობაზე, როლებს ანაწილებდნენ ანდა, უბრალოდ, ნარდის თამაშით ირთობდნენ თავს. ნანი განსაკუთრებული ერუდიციით არ ბრწყინავდა ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებში, სამაგიეროდ, ნარდს მართლაც ოსტატურად თამაშობდა და იოლად უგებდა ყველას. ათასნაირ ნაძლევს დებდა ხოლმე მოპირდაპირესთან და პატივმოყვრულად სიამოვნებდა, როცა მოგე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბული რჩებოდა. ერთი ასეთი თამაშის დროს მირზამ ლექსის დაწერა წააგო და სწორედ მაშინ უნდა იყოს შეთხზული ის უსათაურო ლექსი, რომელშიც სიყვარული ყოველგვარი მიკიბმოკიბვის გარეშეა გაცხადებული: „ნარდის თამაშში მომიგე ლექსი, ერთხელაც მთხოვე, დავწერო მინდა. ლამაზი, როგორც მზის ანაკვნესი, ივრის ფშანივით ლალი და წმინდა. ჭრელი გრძნობები გულს არ იცნობენ, ყველაზე ლექსიც არ იწერება... ო, მაპატიე, ნურც გაიოცებ, ნაზი არ არის ეს ამღერება. იცოდე მხოლოდ, ღმერთების ტოლო, ამ ლექსის ავტორს ელება ბოლო“. ვერა, ვერ ხვდებოდა „ღმერთების ტოლი“, რომ ამ საკმაოდ მძიმე ლექსის ავტორს მართლაც ბოლო ელებოდა, ან უფრო სწორად, იქნებ უნდოდა კიდეც, რომ უფრო მეტად „მოლებოდა ბოლო“, რადგან საერთოდაც უნდოდა რომ მისი თაყვანისმცემელი ყოფილიყო ყველა. რაო, არ ეკუთვნოდა თუ? ფარშევანგივით პატივმოყვარეს, ეს დიდ კმაყოფილებას ანიჭებდა...

3.

საყვარელო ოლა![1] ვილებ კალამს იმისთვის, რომ მინდა შენთან ლაპარაკი. იმისთვის, რომ ვგრძნობ, მონათესავე გული მხოლოდ შენშია. მე შენში ვპოვებ ნამდვილ ადამიანსა და მეგობარს. სხვების გულები ბოროტებით და გესლით არიან სავსენი. ოლა, რომ იცოდე, რა ტყუილად გვიყვარს თიანეთი... განა თიანელებისთანა მეშურნე ხალხი კიდევ იქნებაღა სადმე? მხოლოდ ეხლა გავიგე, რანი ყოფილან აქაურები. მხოლოდ ეხლა გავიგე და გული გამიფუჭდა. მე ბეჩავს, ყველა ჩემი გულისა მეგონა. ამ წერილს რომ ვწერ, ძაან გაჯავრებული ვარ. მიზეზი შემდეგია: ერთი ლევაქცევა და ჭირი შეუდგათ აქაურებს, მე რომ თეთრახევაზე მასწავლებლის ადგილი ვიშოვნე. ვინ იცის, ვილას არ გაერჭო ჩემი მახვილი. ნეტა ზოგ ადამიანს რადა აქვს გველის გული? ოლა, მზადა ვარ ისეთ ადგილას წავიდე, საცა ადამიანები არა ცხოვრობენ, ან თუ ცხოვრობენ, ასეთი ბოროტნი არ არიან. მაგრამ ვინ გამიშვებს? სიცოცხლეს არ დავიშურებდი, ოღონდ მთლად უსწავლელი მწყემსი მქნა. იცოდე, უფრო ბედნიერი ვიქნებოდი მთის კალთებზე ნახევრად მშიერ-მწყურვალი, ვიდრე ამ უგემურ თიანეთში. მე, როგორც გითხარი, თეთრახევაზე დამნიშნეს მასწავლებლად. ჯერ არ დამიწყია მეცადინეობა, მხოლოდ ორჯერ ვიყავი, სახლი ვიშოვნე. ალბათ ამ ორ დღეში წავალ... სხვა რა მოგწერო? ჰო, კიდევ არის ახალი ამბავი: ევა გათხოვდა. შენი თქმისა არ იყოს, ნეტა ზოგს სად პაპაჩემთანა აქვს თვალები? ეს ოხერი, რატომ მე კი არავინ მამეწონა? ან ცოლიანი უნდა იყოს ჩემი მოწონებული (ეეხ, ბიძია!), ან შეყვარებული, ან კიდევ — წაწლებიანი! ჰაა, არ გაგეცინოს კი მეტი გზა არ დამრჩენია, ამ ზამთარს ერთ თეთრახეველი ფშაველის ბიჭზე უნდა დავიწერო ჯვარი. ეჰ, ნეტა რა მეხუმრება? ჩემი ამხანაგები უნივერსიტეტში აგრძელებენ სწავლას, მე კი აქ უფრო დიდ უნივერსიტეტში ვარ, „გოროდ“ თეთრახევას უნივერსიტეტში... რას იზამ! მშვიდობით, გაკოცებ ურიცხვს.

**შენი რუსუდანი**

P. S. თუ ვინმეს დიდი ადგილი უნდა და პატარას არა სჯერდება, განცხადება გამომიგზავნოს: „გოროდი“ თეთრახევა, მსოფლიო უნივერსიტეტი, რექტორ რუსუდანს! მხოლოდ იცოდე, ადგილს მაშინ გავიმეტებ, თუ კაი მოსული ბიჭია. თუ არა და, შენც არ მომიკვდე, ტყუილად თავს არ შევიწუხებ.

**რუსუდანი**

სალამი საყვარელ მეგობარ ოლას: მივიღე შენი წერილი თეთრახევაზე. შემოაღო კარი გაკვეთილზე მოწაფემ და მომცა წერილი. ვიცანი შენი ხელი და, დედა არ მომიკვდეს, სიხარულისაგან შევკივლე. გოგო, რომ მსაყვედურობ — წერილს არა მწერო, მირზას მზეს გეფიცები, ორი ღია ბარათი გამოგიგზავნე, არ ვიცი რაშია საქმე, რატომ არ მიგიღია? აბა რამ გაფიქრებინა, რომ დაგივიწყე! უმალ ქვეყნის დანგრევას ვიფიქრებ! მე ვარ ისე, როგორც ჩიტა ბატკანი. არ გაიცინო, ხომ იცი ფშაველებში ვცხოვრობ, რა მომაწყენს? ახლა ფშაურ ტალავარს ვიკერავ, ვერცხლის ფულებიანს, ასე რომ მთლად გაფშაველებას ვაპირებ.

შენ კი ქალაქელი ქალი ხარ!

ამ წერილს გაკვეთილზე ვწერ. უნდა გაჩვენა, როგორ გაჭიმული ვზივარ. სულ ტყავ-ჩოხიანი მოწაფეები მყვანან. დამიგდე ყური, ახლა ფშაურად უნდა გელაპარაკო, შეხე, როგორ წმინდად ვისწავლე: რა რიგადა ხარ, გენაცვალე, დამიბაროდი, თუ რა გიჭირს, შე მწერელთ შვილო, შე მტკნარო, არაის შნო გაქვის, ორსამჯერ წერილი გამოვიგზავნე, ერთხელაც ვერ მოგიხელთავის, დავმეხე შენი თავ-პირი, შეუგონთ მყოფო, შე დახელთილო, აყუდებულხარ და ჰკვა კი არ გაბადია... გეხუმრები, გენაცვალე, დიავ, კი არ გეწყინოს ჩემ საუბარი! შე ჰკვადაბნეულო, შენა, ჩემ სურათი რაად აჩ-

[1] პოეტი ქალის, მანანა აბრამიშვილის შემწეობით ხელთ ჩამივარდა სამი წერილი რუსუდან გელოვანისა, მინაწერი ვინმე ოლასადმი. ამ წერილებში, ჩემის აზრით, მშვენივრად ჩანს როგორც ახალგაზრდა რუსუდანის ხასიათი, ისე მისი იმდროინდელი გუნება-განწყობილებანი და ამიტომ საჭიროდ ვსცანი მათი აქ ჩართვა, მცირეოდენი კუპიურებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვენე ფშავლის ბიჭას, ი დამეხილსა?... ხედავ, რა ყინჩად დავეჭრამეგ ფშაურ საუბარში, ეღარ ვამბობ ჩვენი ჯანაზედა, სუ გადამხელთა ჩემ დობილ მარიამმა. გოგოა თოვლის ზვავშ დაიტანის, ბეჩავისა ყუდია, ბაძია და ხირჩლა კარგა არიან. ხაჩო-ერბოს რო შავჭამ, სულ ვულზე მადგება, ველარ ჩავთქავე, შენ მაგონდები. ქოთ მაგწყინდა ჩემ საუბარნი, მშვიდობით, დის სილალევ.

რუსუდანი

ჩემო ძვირფასო დაიკო ოლა! გაკოცებ ზევრსა და გისურვებ ბედნიერ მომავალს. მივიღე შენი წერილი. მწერ, შენი წერილები უზომოდ მახარებსო, ახლა შენ დაგანახვა, როცა შენ წერილს ვკითხულობ, რა სიხარულს განვიცდი?! მართლა, ოლა, ძია შაქრო დაბრუნდა — ზაფხულს ერთი კვირით მთაში წაგიყვან ცხენიაშიო. ასე რომ მეცხვარე უნდა გავხდე და ერთი კარგა ვთარშიყებ მწყემსებში (ჰაი, რის ცინი, რა გაგიკვირდა, მართალია, მე და შენ არშიყობა არ ვიცით რა ხილია, მაგრამ ჰიტყვის მხიალაა, შე კაი ქალო!). გოგო, აი, კიდევ ახალი ამბავი: მე ჩემ ფშაველებს, ჩემ „გოროდ“ თეთრახევას მომაშორეს და მასწავლებლად ზემო თიანეთში გადამიყვანეს. ცოტა კი შემნანდა, მაგრამ არა უშავს, კაი დროს ვატარებთ აქა, სხვა მასწავლებლებიც არიან, წარმოდგენებსა ვდგამთ ხოლმე — ვაჟას, ყაზბეგს, აკაკის და სხვებს. რასაკვირველია, მე და მირზა „სამი გლავნი“ არტისტები ვართ თიანეთისა, მაშა! ასე, ჩემო კარგო, იყავი ჯანმრთელად, მეტი რა მოგწერო. „ფიცვერცხლი ვჭამოთ, ოლიავ, წესია ჩვენი მთისაო“... ეს ლექსი უცბად წამომაგონდა და ჩაგიწერე. მართლა, შემოდგომაზე უეჭველად ჩამოვალ ქალაქში, გამოცდების ჩაბარების დროს, უნდა ვცადო ბედი უნივერსიტეტში, იქნებ გამიმართლოს და მაშინ ჩემზე ბედნიერი ვილა იქნება ქვეყანაზე? ამ ზაფხულს აქ ვიქნები, ვიმეცადინებ. შენც ჩამოდი, ზაფხული მაინც გავატაროთ ერთად.

შენი მოსიყვარულე მეგობარი რუსუდან გელოვანი.

ამ ბარათების დამწერი 19-21 წლის, სიცოცხლით სავსე, ლაღი ქალიშვილი გახლავთ. მე, რაღა თქმა უნდა, ვერ გავბედავდი მათს გამომზეურებას, ქალბატონი რუსუდანი, დამსახურებული მასწავლებელი, შეგირდთა მრავალი თაობის აღმზრდელი, ახლა რომ ცოცხალთა შორის იყოს. უღრმესი ბოდიში მომიხდია პატივცემული მანდილოსნის ნათელი სულის წინაშე, მაგრამ ვერ ვძლიე ცთუნებას. თვითონვე განსაჯეთ, რაც გინდ მეწვალა და მევაგლახა, უკეთეს პორტრეტს ახალგაზრდა რუსუდანისას ვერ დავხატავდი. კომენტარები აქ მართლაც ზედმეტია. რაღა საჭიროა კომენტარები, როცა ამ ბარათებიდან ისედაც წყაროსთვალივით სჩქეფს რომანტიული სულის ქალიშვილის ფიქრები. განცდები, მისწრაფებანი, საოცრად ბუნებრივი, ცინცხალი იუმორი და გულწრფელი სევდა... რუსუდანის მხილველნი ერთხმად ადასტურებენ და შემორჩენილი ფოტოსურათებიდანაც მშვენივრად ჩანს, რომ იგი, როგორც ყმაწვილქალობაში, ისევე მერმეც, ხანდაზმულობის ჟამს, უადრესად შთამბეჭდავი გარეგნობის ქალი ყოფილა. ტემპერამენტის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, თავდავიწყებული სიყვარულისათვის გაეჩინა ღმერთს, მაგრამ ცხოვრების ბრუნვა ზედმეტი სიმკაცრით მოექცა და ბევრ სურვილსა თუ ოცნებას ჩანასახშივე დაუზრო კვირტი. „სარეველა ბალახი მქნა სათიბებში გარეული, შენ მონადირედ გაქცია, მე ჯიხვი მქნა გარეული, წმინდა წყაროს წინწკლები მქნა, შენგან ვიყო დალეული, ხელში მომცა სალამური სიმღერაში გალეული, მე მწყემსის გოგოდ მაქცია ცხვარი გვყავდეს არეული, ლანდურად ხომ ივარგებდა ჩემი ტანი მთვარეული?!“ ეს ლექსი რომ ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებთან ერთად გვენახა დასტამბული, ეჭვი არაა, შედევრთა რიცხვს მივაკუთვნებდით. არის აქ რაღაც პასტორალურ-ამაღლებული, ბიბლიურ „ქებათაქებასთან“ და ქალი ხვარამზეს ლექსებთან მონათესავე ინტონაციები. ამ ლექსის დამწერი ნამდვილი პოეტია, სიცოცხლის დაუოკებელი წყურვილითა და ჯანსაღი ეროტიზმით დაღდასმული. ბიბლიური სულამითივით მასაც უსასრულოდ შეუძლია იგალობოს სამიჯნურო ჰიმნები და ბოლომდე მაინც არ დაიხარჯოს...

გაიარა დრომ. რუსუდანმა დაამთავრა უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი, სანაქებო მასწავლებელი დადგა და მშობლიურ თიანეთს დაუბრუნდა. ამასობაში მირზაც და მეორე ძმაც — თეიმურაზიც ჯარში წაიყვანეს. სულ მალე ომმაც იქუხა და დაიწყო გაუთავებელი, ერთფეროვანი, მტანჯველი დღეები მოლოდინისა. მოხუცი მშობლები... პედაგოგიური საქმიანობა... კერიის მოვლა... ვისღა ახსოვდა საკუთარი თავი. მერმე მირზას დაღუპვის მეხი! ალბათ არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ რუსუდან გელოვანის ცხოვრებას, გარკვეული აზრით, სწორედ ამის შემდეგ დაესვა წერტილი. კი, მირზას დაღუპვის მერმე საკმაო ხანს იცოცხლა, მაგრამ სული გაუტყდა და დაეშაშრა მაშინ. თოვლმა — ცივმა, სველმა, მძიმემ, სამუდამოდ დაივანა მის სულში. ჟრჟოლის გარეშე შეუძლებელია გახსენება, რომ უკვე იმ ქვეყნისაკენ მიდრეკილმა, დაწერა უსასოო ნაღველით გამსჭვალული ლექსი: „გუშინ იყო, განა წინად, ფანტელები პაწაწინა დასცემიან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემს ბაღს ჩუმად, ქურდულად და ყაჩაღურად. დაუბრკვნიათ ყვავილები, ნატვრით ამოყვავილებული და ლამაზი ფერადები წაუშლიათ ხელადებით. ყმაწვილობაც ასე უცბად დაითოვა, გულში მხოლოდ მოგონება დაიტოვა, გაზაფხული ბუნებაში ისევ მოვა, სიჭაბუკემ სამუდამოდ მიმატოვა". აი, ამ ორ ლექსს შუა დევს რუსუდან გელოვანის შარავანდით მოსილი, გარნა გაუხარელი ცხოვრება... იმთავითვე უჩვეულოდ ლამაზი, ამაღლებული ურთიერთობა დამყარდა და-ძმას შორის. ამას, უპირველეს ყოვლისა, ის აპირობებდა, რომ ბუნებით პოეტი იყო ერთიც და მეორეც. და კიდევ ის, რომ რუსუდანს ღვთისაგან ბოძებული ნიჭი გააჩნდა: ნიჭი სხვისი სულის გაგებისა, თანადგომისა, თანალმობისა. მან პირველმა წაიკითხა და შეაფასა მირზას ლექსები. მან პირველმა განუმტკიცა რწმენა ჭაბუკს, რომ მისი ერთადერთი ნამდვილი მოწოდება პოეზია იყო. და მირზა ბოლომდე დარჩა რუსუდანის მადლიერი. „ახლა, როცა ამას ვწერ, როცა სულში მიცურავს სიხარულის ბორანი, დარჩეს დაო ძვირფასო, ეს ლექსები სახსოვრად, როგორც მოსაგონარი. და თუ ოდეს დავშორდეთ საუკუნოდ ერთმანეთს, გულში მაინც დარჩება, როგორც ღამის ლამპარი, როგორც წმინდა დაძმობის ცრემლით გამოსარჩლება". ამ ლექსით იწყება და მირზას მთელს ცხოვრებასა და შემოქმედებას, განსაკუთრებით პირად წერილებს, გასდევს უახლოესი სულიერი მეგობრის, რუსუდანის სახე. (იმ ოცდათორმეტი წერილიდან, რაც დღესდღეობით ჩვენამდეა მოღწეული, აბსოლუტური უმრავლესობა რუსუდანისადმია გამოგზავნილი. მაგრამ, ცხადია, მხოლოდ რაოდენობაში არაა საქმე. ეს წერილები მირზას სულის უინტიმურეს აღსარებათა შემცველი გახლავთ). სხვათა შორის, 1940 წელს ხარკოვიდან გამოგზავნილ ერთ-ერთ ბარათში ვკითხულობთ: „დაო რუსუდან, მე ვწერ პოემას შენდამი. გიგზავნი ნაწყვეტს. იგი არასოდეს დაიბეჭდება ჩვენს სიცოცხლეში, მაგრამ ამაზე შენ არ დამემდურები". რა პოემაა ეს? ანდა, რა იქნა ის ნაწყვეტი, რომელიც მირზას გამოუგზავნია რუსუდანისათვის? ძნელია რაიმეს თქმა, არადა, საინტერესო კი იქნებოდა. ცალკეა აღსანიშნავი ლექსი „დისადმი". უცნაურია, მაგრამ ეს ლექსი 19 წლის ჭაბუკს დაუწერია და თამამად უნდა განვაცხადო, მთელს მის შემოქმედებაში მე არ მეგულება უფრო მძაფრი ტრაგიზმით აღბეჭდილი ლექსი. აქ თითქო უხილავად მონაწილეობენ ფრანსისკო გოიას სულისშემძვრელი „კაპრიჩოები" და ვან-გოგის დაუურვებელი ხედვით აელვარებული, თვალისმომჭრელად ყვითელი ფერი... მშვენიერია ბოლო სტრიქონები: „დაო ძვირფასო, დაილალნენ ჩემი მუხლები. ჩემი სხეული საკუთარმა ძალამ წალეკა, ქვეყნად შენ ერთი ჩემს ამნაირ ბედზე სწუხდები და გაამაყებს უცნაური ჩემი წამება". ნიშანდობლივია, რომ ზემოხსენებულ ლექსში, „დისადმი", პირველად მირზას შემოქმედებაში გაკრთება ფატალური შეგრძნება საკუთარი დაღუპვის გარდუვალობისა. ეს „მოტივი" აქედან, ამ ლექსიდან აიღებს სათავეს და აგორებული ზვავივით მოედება მის ლექსებს, რაც მირზას ნათელხილვის ძლიერ უნარზე მეტყველებს. დიახ, ქართულმა ლიტერატურამ იცის მაგალითები მონათესავე სულთა მაღალ პოეტურ რეგისტრში აყვანილი მეგობრობისა. გავიხსენოთ გრ. ორბელიანის „ჩემს დას ეფემიას", ტატო ბარათაშვილისა და მაიკო ორბელიანის ნათლითმოსილი ურთიერთობა, ტერენტი გრანელის დამოკიდებულება დებთან — მაშოსთან და ზოზიასთან, ბორის პასტერნაკის და ნინო ტაბიძის ჭეშმარიტად გასაოცარი მეგობრობა და სხვა. მირზას და რუსუდანის ურთიერთობაც სწორედ ამ რანგისა გახლავთ. და მადლობა, დიდი მადლობა, რუსუდანის ნათელ სულს! P. S. რუსუდანს აუხდება ნასათუთარი ოცნება. წარმატებით ჩააბარებს მისაღებ გამოცდებს და უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის სტუდენტი გახდება. ასე რომ, მას ხანგრძლივი დროით მოუწევს თიანეთის დატოვება, მაგრამ ვიდრემდის გაემგზავრებოდეს, ეშმაკური ღიმილით იხმობს მირზას, თან, ზურგს უკან რაღაცას დამალავს და ეტყვის: „აბა, გამოიცან, რა მაქვს". მირზა დგას საგონებელში ჩავარდნილი: რა არის ნეტავ? რა უნდა ჰქონდეს ამ კუდიანს? ვერა, ვერ გამოიცნო. მაშინ რუსუდანი ლურჯყდიან წიგნს გაუწოდებს. „აჰა, გქონდეს ჩემ სახსოვრად". ესაა გალაკტიონ ტაბიძე, ლექსები, 1927 წლის გამოცემა, პირველსავე გვერდზე გაკრული, წვრილი ფაქსიმილეთი რომ სწერია: „რა ამოძრავებს კიპარისის ტანს, ჩუმი შრიალი საიდან არი? ქარი არა ჩანს, ქარი არა ჩანს, მაინც მწვერვალებს ედება ქარი"... ამიერიდან, ეს წიგნი მირზას ცხოვრების განუყრელი თანამგზავრი გახდება და ერთადერთი, რასაც საქართველოდან თან წაიღებს ომის გზებზე, სწორედ ეს წიგნია. „სისხლის წვიმებში, ტყვიების ჩქერში" გადაშვებული მირზა იქიდან მოსწერს გალაკტიონს: „მე მზრდიდა წიგნი ლურჯი ზარნიშით, მე თქვენს სახელზე ვლოცულობ ახლაც". ასე შევიდა და სამუდამოდ დაივანა მირზას ცხოვრებაში გალაკტიონის პოეზიამ. და ესეც დაიკო რუსუდანის წყალობით მოხდა.

## თავი მეოთხე

### 1.

თოვლს, ხვავრიელ, ბარაქიან თოვლს დაუფარავს თვალსაწიერი. თოვლი დევს ატეხილ მთებზე — თეთრ კარვებს რომ დამსგავსებიან, თოვლს დაუფარავს სახლთა სახურავები, თოვლია ხეთა ვარჯებზე, გზებზე... თოვლი, თოვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი, თოვლია ყველგან, თეთრი დუმილი და თეთრი გარინდება. მირზა ოთახის სარკმელთან მიმჯდარა, ნაღვლიანი გასცქერის ეზოს. აივნის დათოვლილ მოაჯირზე შემცივნებული, მშიერი ბეღურები დამსხდარან, ჭყივიან საწყალობლად. საჩეხიდან ნაჯახის ჩაკუნის ყრუ ხმა მოისმის და თოვლზე ყვითელი ნაფოტები იფანტება — მამა დინჯად თლის მარხილის საძირეებს. დედა მეზობელთანაა გადასული რაღაც საქმეზე. ძმა, თემო, ჭოკით ხელში დაივლის ბაღს, ხეხილს თოვლს დააყრევინებს, რათა სველი თოვლის სიმძიმემ ხეებს ტოტები არ დაახლიჩოს. თოვლი მხრებზე აცვივა თემოს, იცინის მხიარულად და მირზა ფიქრობს, რომ მისი კასკასი სულაც არ შეეფერება ჩაჩუმქრულ, თეთრი ნაღვლით სავსე გარემოს. საჩეხის ბოძზე ჯაჭვით მობმული ბომბორა ნაგაზი — ჯავრია, ვერ ისვენებს ერთ ადგილას, დრუნჩაღერილი შეჭყმუის გაყინულ, დაწეულ ზეცას, მაგრამ მამა შეუძახებს — გაჩუმდიო და ისიც კუდამოძუებული, წკმუტუნით მიწვება იქვე. ოთახში გიზგიზებს და ოხრავს ბუხარი. ეს ის ბუხარია, რომლის ცქერაც აგრერიგად უყვარდა მირზას ბალღობისას. ბევრმა წყალმა ჩაიჩხრიალა მას მერმე, უზრუნველი ბალღობაც თან წაიყოლა, ახლა მირზა ათასი საწუხარ-საფიქრალით არის შეპყრობილი და ვერც ერთისათვის ბოლომდე ვერ გაურთმევია თავი... როგორ დაცარიელდა და ჩაკვდა ეს ამოდენა სახლი! როენა უკვე გათხოვდა და თბილისში ცხოვრობს მეუღლესთან ერთად, რუსუდანიც, აგერ მესამე წელია, უნივერსიტეტში სწავლობს და მხოლოდ არდადეგებზე თუ იცლის თიანეთში ამოსასვლელად. დედა, მამა, თემო შინ არიან, მაგრამ... რაღაც სხვაზე უფრო შეჰკვნესის გული ჭაბუკს. მართლაც ნადირთპატრონისა არ იყოს, მოლანდებასავით გამოჩნდა მის ცხოვრებაში ნანი, ეს თავნება, ურჩი გოგო, გამოჩნდა და ასევე მოლანდებასავით უეცრად გაჰქრა, კვლავ თავის საბუდარს, თბილისს დაუბრუნდა, მირზას კი მოურჩენელი ტკივილი დაუტოვა. უცნაური ის იყო, რომ ამ ხნის მანძილზე წესიერად ვერც კი დაელაპარაკა, მის პირისპირ მდგომი სირცხვილისა და უხერხულობის განცდით იტანჯებოდა, თვალს ვერ უსწორებდა, მუდამ თავდახრილი ელაპარაკებოდა, თანაც, ისეთ უმნიშვნელო, ბანალურ წვრილმანებზე, რომ მერმე, მარტოდ დარჩენილი, გულს ასკდებოდა ბოლმითა და უილაჯობით. პაწია, წყაროსთვალივით ცქრიალა მტარვალი, მშვენივრად ხედავდა ბიჭის ტანჯვა-ურვას, მაგრამ აინუნშიაც არ აგდებდა, ვითომც ეს ყოველივე სულაც არ ეხებოდა მას. ერთი კი იყო, მიძღვნილ ლექსებს სიამოვნებით ღებულობდა და ინახავდა სათუთად... არადა, კაცმა რომ თქვას, მადლობაც კი ეკუთვნის ამ თავქეიფა ქალბატონს: მას რომ ჯანაგრძნობით გაენებივრებინა ჭაბუკი, საეჭვოა დაწერილიყო ადრინდელი ლექსების დიდი უმეტესობა. ვინ მოთვლის, რამდენი უმშვენიერესი ლექსი დაწერილა გაუზიარებელ სიყვარულზე მსოფლიო პოეზიაში და ვერც მირზა ასცდა ამ ბედს. მართლაც, მის ადრეულ შემოქმედებაში (ადრეულს პირობითად ვუწოდებ 1933-1936 წლებშია დაწერილ ლექსებს, ვიდრე მირზა საბოლოოდ გადასახლდებოდეს თბილისში) დიახაც სჭარბობს ე. წ. სიყვარულისადმი მიძღვნილი ლექსები. თუ 1972 წელს გამოსულ ლექსთა კრებულს, „თეთრ მიწას" დაეჯერება (იგი ყველაზე სრული ჩანს დღესდღეობით დასტამბულ კრებულებს შორის, თუმცაღა შეტანილი არ არის მირზას პროზაული ფრაგმენტები), ჭაბუკ პოეტს 1933 წელს, პოეტური მუშაობის გარიჟრაჟზე, როცა იგი 16 წლის იყო, ორადორი ლექსი დაუწერია: „იჯექ წყნარად" და „ფოთოლი". ახლა, რა თქმა უნდა, ძნელია და შეუძლებელიც, იმ კონკრეტული იმპულსების დადგენა, რამაც ეს ორი პატარა ლექსი დააწერინა მირზას. ალბათ ყველაზე სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ იმპულსი აქ უშუალოდ ლიტერატურიდან მოდის. იგრძნობა გრიშაშვილისათვის დამახასიათებელი იდილიურ-ბუკოლიკური განწყობილება, თუმცა პირდაპირ გავლენაზე ლაპარაკი სამართლიანი არ იქნებოდა, ორთავე ლექსში ნამდვილად ქრის „სუფთა ჰაერი" და არის გრაციოზულობა თქმისა, შესრულებისა... 16 წლის ბიჭებს იქნებ უფრო კარგი ლექსებიც დაუწერიათ, კი, ნამდვილად დაუწერიათ და ამის მაგალითები უამრავია, მაგრამ ზემორე ლექსებში შუქმიბუნდვით მაინც გამოკრთის შემოქმედის პროფილი. გაცილებით ნაყოფიერია ახალგაზრდა პოეტისათვის მომდევნო, 1934-1935 წლები. უდიდესი უმრავლესობა ამ წლებში დაწერილი ლექსებისა, როგორც ითქვა, სატრფიალო თემისადმია მიძღვნილი, მაგრამ არის რამდენიმე ლექსი, განსხვავებული აზრით რომ იქცევენ ჩვენს ყურადღებას. მოდი, ჯერ მათზე შევჩერდეთ. აქ მინდა მთლიანად მოვიყვანო ერთი უსათაურო მინიატურა: „მცივა, მუხლი მეკეცება, ვიღაც მართმევს დევის ძალას. ვაი, ლიბო დამინგრიეს, დამამგვანეს ნარიყალას. „მეტად მწარედ გული მტკივა, მაურყოლებს და ტანში მზარავს". ეს პატარა ლექსი, თუ ვახტანგ კოტეტიშვილის გამოთქმას ვიხმართ, „ერთი მოქნევით გამოკვეთილი გემმაა", რომელსაც ნაღვლიანი შუქით ანათებს გურამიშვილის „წეროს დარად წიგნში მდგარი" (ს. ჩიქოვანი) აჩრდილი. მშვენიერია „ვაი, ლიბო დამინგრიეს, დამამგვანეს ნარიყალას", — დასრულებული პოეტიც მოაწერდა ხელს. საგულისხმებელია, რომ 17 წლის ჭაბუკს უკვე გაშინაგნებული აქვს დიდებული გურამიშვილის შემოქმედება. გაშინაგნებული და გათავისებული! ინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტერესს იწვევს, აგრეთვე, ლექსი „ვაჟას კრიალოსანი". ზემოთ ჩვენ ნაწილობრივ უკვე გვქონდა საუბარი, თუ რა გავლენა მოახდინა ვაჟას ცხოვრებამ და შემოქმედებამ მირზას პიროვნულ და პოეტურ ფორმირებაზე. დამატებით უნდა ითქვას, რომ ე. წ. ვაჟას თემა საერთოდ მოუცილებელია მირზას მთელი პოეზიისათვის. მიძღვნითი ხასიათის ლექსებს რომ თავი დავანებოთ. არის ლექსები, რომლებიც იმ მძლავრ მუხაზე ამოზრდილ ნორჩ ყლორტებად უნდა მივიჩნიოთ, რომელსაც ვაჟა ჰქვია სახელად. „ვაჟას კრიალოსანი" ამ ციკლის ერთგვარი დასაწყისია. „სახლის წინ, ქვაზე, ფიქრებისგან დანამძიმები ვაჟა-ფშაველა სიზმარივით მომელანდება"... ეს სტრიქონები იმის დასტურად გამოდგება, რომ ვაჟა სამუდამოდაა შენივთებული მირზას პოეტურ ფიქრებს. რაც შეეხება „მტირალეებს", ამ ლექსში არის ბუნებასთან საკუთარი დამოკიდებულების გააზრიანებისა და ამ გააზრიანებაში უხილავად მონაწილეობს ვაჟა. „შენი მოთქმის ხმას გადავიტან ჩემს სიმღერებში, რომ წამკითხველმა ჩემს ლექსებში იგრძნოს ტყის გული", — ასე მიმართავს ჭაბუკი პოეტი „მტირალა" წარაფს. (კლდეს). აქ სწორედ ეს „ტყის გულია" მთავარი, ისევე, როგორც ლექსში „ზვავი" შემდეგი სტრიქონები: „ჩვენ მივდევდით ამ ნაპრალებს, სხეულს სჭრიდა ყინვის სიო და ვაბჯენდით ვაჟას თვალებს მკერდდაკაწრულ კავკასიონს". „მტირალეებიც" და „ზვავიც" წმინდა წყლის „ვაჟაური" ლექსებია და მსგავსი ნიმუშების დაძებნა მირზას პოეზიაში უხვად შეიძლება. რა თქმა უნდა, აქ ეპიგონობაზე ლაპარაკიც ზედმეტია, თუმცაღა ჯერაც დაუდულებელი პოეტისათვის არც ეს იქნებოდა განსაკუთრებული ცოდვა. აქ იმ „საწყისის" გააზრიანებასთანა გვაქვს საქმე, რაც ასე მძლავრად დანერგა ვაჟა-ფშაველამ პოეზიაში და რამაც მომდევნო თაობის არაერთი პოეტის შემოქმედებაზე იქონია გამანაყოფიერებელი გავლენა. ახლა კვლავ მივუბრუნდეთ 1934-1935 წლებში დაწერილ მეორე ციკლს ლექსებისას, რომელსაც, პირობითად, ნანი ლანდიასადმი მიძღვნილი ციკლი შეიძლება დაერქვას. „გამხდარხარ ჩემი სახატე, შენც კარგად მოგეხსენება", — ეს სტრიქონები ერთგვარ ეპიგრაფად გამოადგება ამ ციკლს. აღზევებული სული სამყაროს უთვალავი ფერით ამზიანებულს ჰხედავს და ნთელი არსებით უნდა, რომ მისი სასურველიც ასევე ჰხედავდეს, განიცდიდეს ყველაფერს. „ცას შეხედე, ისე კარგად ათოვს, ფიფქია თუ ვარსკვლავები ცვივა?" — შესძახებს იგი, მაგრამ ამ აღზევებასა და აღტაცებას თუ აღტაცებითვე არ უპასუხეს, იმავე წამს „დაიღუპება დასაღუნი ლერწამი, ვაიბზარება ტანი სასალამურე" და სიმღერას შესცვლის უდაბნოში მარტოდმარტო დატოვებული, მომაკვდავი აქლემის — ბეხანის ბლავილი. „შვილა, თუ შეგიძლიან, ნუ დამტოვებ გულმტკივანს, გაუწნულს და ნატირალს", — დასცდება მდუღარე თხოვნა ჭაბუკს. მძიმეა ამის ხმამაღლა თქმა, მაგრამ უფრო მძიმეა შეგრძნება, რომ თხოვნა შეუსმენელი დარჩა. აქ მხოლოდ ერთი გამოსავალია: გათავდეს, მოიკვეთოს სამუდამოდ ყველაფერი! მაგრამ განა ასე იოლია ნასათუთარი გრძნობის გულიდან ამოგლეჯა? „მინდა დაგივიწყო, არ ხერხდება, არა...", — ჩივის პოეტი და აჰა, კიდევ ერთი გაბრძოლება: „იყოს ეს ლექსი უკანასკნელი, ოღონდ დამტოვოს შენზე ღარდებმა, გაიმეორონ ჩემი სახელი ხეებმა, გულის ამხანაგებმა. ძვირფასო, მახრჩობს ეს ნიაგარა, შენი ღიმილი რადგან არ მიცავს, მე აღარ ვიცი რას შევადარო: ყვავილს თუ მთვარეს, ცასა თუ მიწას!" მაგრამ ამაო გამოდგა ეს გაბრძოლებაც: „აღარ იშლები ჩემი ხსოვნიდან, მოგონებიდან აღარ იშლები". მორჩა, ბრძოლა წაგებულია, არ გამოდის, არაფრით არ გამოდის გულიდან ამოგდება იმისა, ვინც ერთხელ და სამუდამოდ შენს „სახატედ" გიქცევია, და: „მე ჩამოვქნი ნაზ სანთლებს, შენს სახვეწრად ასანთებს. ავანთებ და მუხლმოყრით, ცხარე ცრემლთა გადმოყრით, შევავედრებ შენს სახელს წმინდა ნინოს მკრთალ სახეს"... ახლა მხოლოდ წარსულის მოგონებები ასაზრდოვებენ სულს და ამ წარსულის პოეტური წარმოსახვა ერთგვარი შვების მომნიჭებელია: „სუფთა შარა რად არ გახსოვს ჩვენი სახლის ზემოთ?... ჩემი გული რად არ გახსოვს, სიყვარულო ჩემო?! რად არ გახსოვს სუფთა შარა, სუფთა ჩრდილი ხეთა, სადაც ჩუმად, სადაც წყნარად ჩვენ ვისხედით ერთად". ანდა, კიდევ უკეთესი — „ფიქრები ფანტელებში": „ეს რა ხმები აჰყოლია ფანჯარას, ან ეს სევდა ნეტარისთვის ავაგე? ეს ხომ თოვლის ფიფქებია, ეს ხომ შენი ფიქრებია, ვიცანი და გავალე. მოდით, მოდით, ძვირფასებო, თქვენ გელოდით ძალიან... სიყვარული კაცისათვის ან რა დასამალია? ფანტელები ისე ნაზად ცვივიან, მორიდება ანკი როგორ იქნება, ჩემს თმაშიაც მარგალიტის მძივია, არეული თოვლის სუბუქ ფიფქებად. თუ ფიფქებს არ მოჰყვებოდი, ფიქრებს რაღას მიგზავნი? ამოავსეს ჩემი ეზო, ჩემი სახლის ჭიშკარი". დაახლოებით ასეთნაირად წარმოგვიდგება პირველი სიყვარულის ვნება აღქმული, განცდილი და გამოსახული ჭაბუკი მირზა გელოვანის მიერ. ხომ გახსოვთ, ჩვენ იგი ფანჯარასთან მიმჯდარი დავტოვეთ დაფიქრებული და სევდიანი. გარეთ თოვლი და თეთრი მდუმარება. თეთრია ზეცა, თეთრია მიწაც. ნანის თეთრების ჩაცმა უყვარდა... თეთრები ეცვა ტყეში ანაზდად მოლანდებულ ნადირთპატრონ გოგონასაც... ნანი აღარ არის, წავიდა, გაქრა, ტკივილი კი დარჩა, ტკივილი და მონატრება... აი, ასეთი განწყობით იშვა ალბათ ის

ლექსი, რომელიც მირზა გელოვანის ყველაზე პოპულარულ ლექსად შეიძლება ჩაითვალოს — იგულისხმება „თეთრი მიწა“. უნდა დამეთანხმოთ, რომ პირველი შთაბეჭდილება, რაიც მისი წაკითხვით აღიძვრება, არის სისპეტაკის, ხელშეუხებლობის, პირველქმნილი უბიწობის განცდა. აგრეთვე: რაინდული დარბაისლობით დაურვებული, ღრმად შეფარული ეროტიკა. გარდა ამისა, აქ თითქმის ისეთი სიხალავეა მიღწეული, რაც მხოლოდ მაღალ პოეზიას ახასიათებს და რასაც მხოლოდ აქმეს ასაკში აღერხებენ დაუნჯებული პოეტები... „თეთრი მიწით“ მირზამ თითქო გამოიტირა თავისი გაუხარელი გრძნობა (ასე ეგონა თვითონ!), თანაც, დააბოლოვა შემოქმედების ერთი ხანა და დაიწყო მეორე, მაგრამ ჯერ კიდევ მრავალზე მრავალი ბილიკია გადასალახავი, ვიდრე სიმწიფის გზაზე გავიდოდეს (და ნანისთან დამშვიდობებაც ძალზე ნაადრევი გამოდგა!) დღითიდღე უმტკიცდება აზრი, რომ ნამდვილ პოეზიასთან წილნაყრობა ბულბულის უდარდელი გალობა კი არ არის, არამედ მძიმე აღმასვლა ციცაბო წარაფზე. თანაც, რაკილა გაჩნდი ამ „უთვალავი ფერით“ გადაშლილ ქვეყანაზე, რაკილა ლექსის დაწერაც გაბედე, კიდეც უნდა შეიძლო იმდენი, რომ შენმა ნამოქმედარმა მომავალ თაობებს გზასავალი გაუნათოს. ისე, როგორც რუსთაველმა, ბარათაშვილმა, ილიამ... აკი ილიას სიტყვებია: „ყველას გავუძლებ, როგორც კლდე ქვისა, ბედლანა ბრძოლა ვით მეშინება? ხოლო ჩემ თავის არაფრობისა არ ძალმიძს, ძმანო, ვერ რით გაძლება“. ვერა, საკუთარი თავის არაფრობას მართლაც ვერ გაუძლებს მირზა, მაგრამ გააჩნია კი რამე ისეთი, რაც მეტის მოთხოვნის უფლებას მიანიჭებს? აი, ეს იყო თავიდათავი კითხვა, აი, ეს იყო, მოსვენებას რომ უკარგავდა ბიჭს. არადა, აშკარად გრძნობდა, მთელი არსებით იცოდა, როგორ დუღდა და გადმოდიოდა მისი მშფოთვარე სული, როგორ დაუოკებლად მიილტვოდა რაღაც ნამდვილის შექმნისაკენ. მაგრამ რა გზით? რანაირად? ამ მწარე რწმენისა თუ ურწმუნობის ჟამს უნდა იყოს დაწერილი ერთი პატარა უსათაურო: „თუმცა დაეშვნენ გზაზე ბინდები, ცაზე ბინდია მხოლოდ, შენ მაინც, ვიცი, არ შეშინდები, შენ გაიმარჯვებ ბოლოს! შენში გენიის ერთი ბეწვია, უფრო მეტია ნისლი. შენ სიყვარული წამოგეწია და სიყვარული გიხსნის“. ეს ლექსი, მრავალმხრივ არის საინტერესო: ჯერ ერთი, როგორც ვხედავთ, აქ ნათლად იწყებს გამოკვეთას პოეტის მიერ თვითდახასიათების, თვითგანსაზღვრისაკენ სწრაფვა. აგრეთვე, რწმენა, რომ მას განსაკუთრებული მისია აკისრია პოეზიაში, მან უნდა „გაიმარჯვოს ბოლოს“, რადგან გენიასთანაა წილნაყარი. რა ვუყოთ, რომ გენია მასში ბეწვისოდენაა მხოლოდ, ნუ დავივიწყებთ — ეს მაინც გენიაა, თანაც გენია — სიყვარულზე დამყნილი. სწორედ ამ გენიამ, სიყვარულთან შენივთებულმა, უნდა გაფანტოს ნისლი, რომელიც „ბევრია“ და ნამდვილი გამარჯვებაც ამის შემდეგ მოვა... ერთი სიტყვით, ეს პატარა ლექსი, გარკვეული აზრით, განხილული უნდა იქნეს, როგორც საპროგრამო. მაგრამ სხვაა, როცა შენთვის თხზავ საპროგრამო ლექსებს და საკუთარ თავში გენიის მცირე ნაწილს გულისხმობ, ან თუნდაც, სრულსა და მთლიანს, მაგრამ სულ სხვაა, როცა შენს ნაფიქრსა და ნაგულისხმევს ნამდვილი, საზოგადოებრივად დასტურდაცემული ღირებულება გააჩნია! ვინ არის თავდები, რომ ჭაბუკი პოეტის ამ ძნელ, გამომფიტავ შინაგან წუხილს მართლაც აქვს რაიმე ფასი? საჭიროა, აუცილებელია, ვინმე ისეთის დასტური, რომელიც პოეზიაშიც ღრმადაა ჩახედული და ახალგაზრდა კაცის სულის ხვეულების ასავალ-დასავალიც გაეგება. დაიკო რუსუდანი შორსაა, თბილისშია, მშობლების აზრი იმთავითვე იცის, არც ფარნაოზ მასწავლებლის და მეგობრების აზრი აინტერესებს უკვე, იმდენჯერ მოუსმენია მათგან — პოეტი ხარო. ავტორიტეტი, ნამდვილი, წარუვალი ავტორიტეტი სჭირდება ახლა ბიჭს, ხოლო ვინ შეიძლება იყოს ასეთი, თუ არა გალაკტიონ ტაბიძე?! იმხანად, თუმც კი ბოლომდე ვერა, მაგრამ მირზა უკვე გრძნობდა: მთელ ქართულ პოეზიაში, დასაბამიდან მოყოლებული, არ არსებულა მეორე პოეტი, ადამიანის სულის მრავალფეროვნება და სიღრმე ისეთი ინტენსივობით რომ გამოეხატოს, როგორც ეს გალაკტიონმა გააკეთა... ჰოდა, აი, ვის დაუჯერებდა მირზა უსიტყვოდ და ულაპარაკოდ! ამ უეცარმა ნააზრევმა მზესავით გაიკაშკაშა ირგვლივ. მართლაც, რაღა დროს მოცდაა? ჩავა თბილისში, მონახავს მწერალთა კავშირს, იკითხავს გალაკტიონს, გადასცემს ლექსებს, მოუსმენს განაჩენს, და... ყველაფერი საბოლოოდ გაირკვევა! (წამითაც არ შეჰპარვია ეჭვი, რომ გალაკტიონი მოუსმენდა). ამ გადაწყვეტილების მიღება კიდევ უფრო დააჩქარა შემდეგმა გარემოებამ: მამამ, გედეონმა, ერთ მიყრუებულ სოფელში შემთხვევით იპოვნა საბა ორბელიანის „სიტყვის კონის“ ხელნაწერი ნუსხა. ხელნაწერს ჭარბად დაჰკრავდა სიძველის იერი და რაკილა თიანეთში არავინ აღმოჩნდა, რომ მისი ნამდვილი, მეცნიერული ღირებულება დაედგინა, ხელნაწერის თბილისში წაღება და სათანადო სპეციალისტისათვის გასინჯება ყოვლად საშური საქმე შეიქნა. დრო აღარ ითმენდა, „გაზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს (ასე იგონებს ვახტანგ ბეწუკელი), მირზა დაემშვიდობა ამხანაგებს და რამდენიმე დღით თბილისს გაემგზავრა“.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ᲘᲝᲠᲐᲛ ᲥᲔᲛᲔᲠᲢᲔᲚᲘᲫᲔ

# ᲙᲝᲡᲛᲝᲒᲝᲜᲘᲐ

## 1. ᲝᲠᲘ ᲓᲔᲓᲐ

### I.

ორი დედა მყავს, ორი მშობელი,
ორივე დედის მკვებავს სხეული;
ორივ ტკბილია და მახლობელი,
ორივე — მწარე და შორეული.

ერთი დედაა — დედა მშობელი,
ამქვეყნიური ორომტრიალი, —
მიუნდობელი წუთისოფელი —
ხალისიანიც და სევდიანიც...

მეორე დედა — დედა შობილთა,
არდავიწყება თუ დავიწყება, —
ქაოსიდან თუ ზესთა წყობიდან
იპნევა ნამის წვრილ-წვრილ წინწკლებად...

დედა — მშობელი,
დედა — შობილთა, —
ორივ სასრული,
ორივ სათავე, —
ურთმანეთოდ და შეწყობილად
ერთიმეორეს ხელს უმართავენ;

ვერ გაუყვიათ შვილი ვერაფრით
და კოსმოსური ფერფლის ბუდიდან
ერთი მეორე დედას შენატრის
და ერთმანეთი ჯერ არც უხილავთ.

მათ არ უნახავთ ჯერ ერთმანეთი
და საურველსა თუ სალხინებელს —
მთელი ზეცის და მთელი პლანეტის
აზრს და გონებას ინაწილებენ.

დედა — სიკვდილი,
დედა — სიცოცხლე,
დედა — ნუგეში,
დედა — უგულო —
ზედ სასთუმალქვეშ შემომიცოცდნენ,
რომ მეჩურჩულონ და მეგურგურონ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

II.

მე მიყვარს ჩემი დედა — ნუგეში,
წელში მოხრილი და ავადმყოფი,
ჩაღვრილი რომ მაქვს თვალის გუგებში
ლხენად და შიშად ყოფნა-არყოფნის;

მე მიყვარს ჩემი დედა — უგულო,
ათიათასჯერ სხვებზე ბებერი,
სამარადისოდ და საუკუნოდ
ჩემი მფლობელი დ გამგებელი...

ხორცი –– მშობელი,
სული — შობილთა
ბნელში მეძებენ ხელის ფათურით,
ტრიალებს მათი ცა და ორბიტა
და ყოველ გოჯზე ვარ გახლართული...

## 2. სტარტი — საწყისი მდგომარეობა

ჩქარა და ჩქარა!
ჩქარა და ჩქარა! —
მომძახის დედა, დედა მშობელი,
ვინც მაზიარა დარდსა და ვარამს,
ლუკმის დამდგენი და გამყოფელი.

ახლა კი ვიცი, რაც ვარ და ვინც ვარ,
ახლა მე უნდა შევქმნა სამყარო,
ზღვა და ხმელეთი,
ზეცა და მიწა
უნდა შევყარო,
ანდა — გავყარო.

და ჯერ სადა ხართ! —
რაც გაყრილია,
მასაც საერთოს შევრთავ მარაქას,
ზედ წიწამურთან მოვკლავ ილიას,
მერე ვიტირებ სხვის დასანახად.

დიდია ჩემი არე და სივრცე,
ყველაფერს მოვჭრი ერთი ყალიბით;
მდიდარს წავართმევ და ღარიბს მივცემ,
რათა მდიდარიც გახდეს ღარიბი.

და სულ იოლად მიხვდება კაცი,
და ვერც საქციელს დამიწუნებენ, —
რომ თვისობრივად არაფერს არ ვცვლი,
მხოლოდ როლებში ვცვლი შემსრულებლებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აი სასწორი!
ვწონი წვრილწვრილად,
პინა კეთილის,
პინა ბოროტის —
ორივე ერთად წკიპით მიჭირავს
ძაფის სუსტი და წვრილი ბოლოთი.

პინებზე მიდევს მოდგმა მოყვასთა —
მხვნელი,
მთესველი,
მრთველი,
მელექსე;
თუკი აქანდა, ან ჩამოქანდა, —
ერთიდან ვიღებ, ვდებ მეორეზე...

ვერ დავუდგები ვერც ერთს თავდებად, —
ვის საიდან აქვს სახლი, ქონება, —
ვიღებ, რომელიც გამომადგება
პინების გასაწონასწორებლად.

და ერთმანეთი უჭირავთ პინებს,
ერთმა მეორეს უნდა უმადლოს —
თუ გინდა მჩატე,
თუ გინდა მძიმე
ერთს რომ მოვაკლო ან დავუმატო.

აქ ყველას ნახავთ —
დინჯს თუ ონავარს,
პატიოსნებსა თუ ქურდბაცაცებს...
ჩემთვის მთავარი მათი წონაა,
სუყველა მათგანს წონით ვაფასებ...

ვწონი და ვწონი...
ვწონი წვრილწვრილად... —
პინა კეთილის,
პინა ბოროტის —
ორივე ერთად წკიპით მიჭირავს
ძაფის სუსტი და წვრილი ბოლოთი.

## 3. გარდაქმნა — ორბიტა

ჩქარა! —
ეს ხმაა ჩემი სხეულის,
კოსმიურ ბუდში სული შეფრინდა, —
სფეროთა ნავლს და მტვერს შერეული
აღსდექ სამყაროს სულის ფერფლიდან!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩქარა და ჩქარა!
ჩქარა და ჩქარა!
მომძახის დედა, დედა შობილთა;
ვტოვებ მიწიერ დარდსა და ვარამს,
გარდასაქმნელად ბრუნავს ორბიტა.

მაგრამ აქ ჩქარაც აღარ არსებობს,
და არც გჭირდება რამე მიჩქმალო;
ბრუნავს სხეული სულის გარშემო
თავბრუდამხვევად და უსიჩქაროდ.

აღარც სხეულის მიჭირს ტარება,
არც დარდის, ვნების,
და არც ასაკის;
მხოლოდ წესრიგი და ნეტარება
ქმნილის გარდაქმნის და გარდასახვის.

ეს მე ვარ — მკვდარი და გარდაქმნილი,
მძიმე გზებით და გზებით იოლით —
დიდი სამყაროს სულის ნაწილის
ნამცეცის რაღაც ერთი ფიორი.

და მორჩა... მგონი აღარც ვარსებობ,
არც საზღვარი ჩანს და არც ნაპირი.
ვბრუნავ ატომის გულის გარშემო
მარად ცოცხალი და გარდაქმნილი.

## 4. წრიული ორბიტა

თუმცა სულ მუდამ,
მაგრამ დროებით, —
მარადიული და უსასრულო
მეორდებიან სამყაროები
წარსულიანად და უწარსულოდ.

მუდამ დროებით,
მუდამ დროებით,
მაგრამ სულ მუდამ მეორდებიან
მარადიული ამაოების
გამოცანები... ჩვეულებრივად...

ღამე უკუნი,
დილა ცინცხალი,
თუ გზა ათასგვარ ციურ ცდომილის —
მეორდებიან დიდი სიჩქარით,
დიდი ხმაურით ვერშეცნობილით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხოლო ყურები — ჩემი ყურები,
ხოლო თვალები — ჩემი თვალები
გახლავთ მრიცხველი გაუსრულებელ
მიწიერ ხმის და ფერიცვალების.

ჩემივე გულის მესმის ფაჩუნი,
ზღვისფერიც დამკრავს და მთის იერიც,
რადგან მიწაზე ვარ მიჯაჭვული
ყურთასმენით და თვალსაწიერით.

მე მესმის მხოლოდ თოვლის შრიალი,
ქარის ზუზუნი,
წვიმის შხაპუნი...
და ვხედავ, როგორ არხევს ნიავი
მდელოს — მოფენილს მწვანე სამყურით.

ტანში მიბრუის, ვით საყვედური,
ზღვათა და ტყეთა ალხი ნოტიო
და ბუნებისგან ვარ ვალდებული
დღესა და ღამეს კვალში მოვდიო.

მოვდევ, მოვყივი ჩემ წუთისოფელს,
ორად გაყოფილს (სულ რომ დაობენ) —
არარაობის მარადისობებს,
მარადისობის არარაობებს.

დედა მშობელი მეძახის — „შვილო“!
„შვილო“! — მეძახის დედა შობილთა,
და გულით ვცდილობ,
ძალიან ვცდილობ, —
ხმა მივაწვდინო ერთს მეორიდან.

და... „შვილო“! — ვყვირი თვინიერ დედის,
(ყვირილის თავი სადაა, ვცდილობ),
მხოლოდ ჩემს გვერდით,
მხოლოდ ჩემს გვერდით,
მხოლოდ ჩემს გვერდით იარე, შვილო!

მხოლოდ შვილს ესმის ჩემი ძახილი,
(ძახილის თავი სადაა, ვცდილობ),
დავხუჭე თვალი და გავახილე
და ისევ მესმის ძახილი — „შვილო“!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამირან ჭიჭინაძე

# უცნაური ეტიუდი

ბირჟაზე ვდგავართ. რომ გაგიხარდება, ისეთი ამინდია — არც ცხელა, არც ცივა. ჩვენ ჩვენსას ვლაპარაკობთ. პოსტზე შალიკოა. აქეთ იყურება, ვატყობთ, მოწყენილია, მოსვლა უნდა. ნელ-ნელა მოსეირნობს ჩვენკენ, ძმაკაცივით დაგვიდგა და სიგარეტი გვთხოვა. გოჭო ერთ ღერს აწვდის.

— იქით დადექით, ბიჭებო. — ამბობს შალიკო, თან უკიდებს, — ვინმე ჩამოივლის, რაღაცას მეტყვიან... ხო იცი, რა დროა...

— კარგი ხარ, შალვა! — ეუბნება ვახო კეშელავა, — გამოგვიარე ხოლმე, გავაბოლოთ.

— არ იდარდო, შალიკო! — ამხნევებს კიმოთე, — გვინახულე ხანდახან.

— ვის რას ვუშავებთ, დაფიქრდი, — ამბობს ჭინკა, — შეიკრიბა მშრომელი ახალგაზრდობა, ვიმაღლებთ კულტურულ დონეს.

— იქით გაიხედე! — ამბობს ვახო კეშელავა, — „ჟიგულს“ ხედავ? ვეღარც დაინახავ, წავიდა!.. ხაზზე შემოუხვია, გამიგე? საქმისათვის მიგეხედა, პოსტზე მდგარიყავი, სამი მანეთი შენი იყო.

— მანეთებს არ დავდევ, — ბუზღუნებს შალიკო.

— არ გეწყინოს, შალვა, — ამშვიდებს გოჭო, — ერთი ორი ტაიმიც და დავიშლებით, შენთან ყაიმია.

შალიკო ისევ ვახო კეშელავას უცქერის, თავს საყვედურით იქნევს, ეს როგორ მაკადრეო, და უნივერსიტეტისაკენ გადადის; ეტყობა გაგვებუტა.

— კვება — ზღაპრული, — აგრძელებს გაწყვეტილ საუბარს ჭინკა, — მიდი და იგრიალე! — ხიზილალა — მწყერი, მწყერი — ხიზილალა... ფული თუ გაქვს... ვერსად ისე ვერ იბაირამებ, როგორც სოჭში, ფაქტია.

— სხვა? — იკრიჭება კიმოთე.

— ეგ თავისთავად!.. აირჩიე... წონა, ფერი, სოციალური წარმოშობა... როგორიც გინდა.

მეც რომ მარაქაში მინდა გავერიო და ჩემს ამბებს მოვყვე: სტომატოლოგიურთან მწვანე „ვოლგა“ ჩერდება. „ვოლგიდან“ გადმოდის პლეხანოველი ბულა, ტანზე მოკლე სახელოებიანი წითელი პერანგი ასკდება.

ბულა ყველას ერთად გვიკრავს თავს, სულ ოდნავ, ისე რომ მივხვდეთ — გვესალმება და ვახო კეშელავას ჩუმად ეუბნება:

— შევხვდებითო, მითხარი, რაღაც გინდოდა... შევხვდით...

ვახოს ნესტოები ებერება, თვალებს ჭუტავს, ბულას ათვალიერებს, თითქოს კუნთებს უთვლისო, მერე აპურჭყებს და ჯიბეზე იკიდებს ხელს...

ხელად მათ გარშემო ვიკრიბებით, გვინდა გავარკვიოთ საქმე.

ბულას „ვოლგაში“ შავი, ცხვირჩაჭყლეტილი ტიპი ზის. თვალები მიბნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დილი აქვს, ვერ გაიგებ, თვლემს თუ აქეთ იცქირება. პირველად ვხედავ, მაგრამ ჩანს, რა კაციცაა.

— გაგვაგებინე, ბუღა!.. — ამბობს კიმოთე და დოინჯშემორტყმული ეჭიმება, ვითომდა ანგარიში უნდა ჩაიბაროს.

— ბიჭო, ჩემ უბანში მიტეხავ შიპიტს?! — სისინებს ვახო, — ხმის ამომღები თუ იყავი, გუშინ ამოგელო! დღეს რა, ბედნიერი დილა გაგითენდა?!.

— გუშინაც ცუდი ფერი გედო, — დამცინავად ცრის ბუღა, — დღეს კარგი ამინდია, გავისეირნოთ...

— სადაც გაგიხარდება, — არ იხევს ვახო, — როცა გაგიხარდება.

ავჩოჩქოლდით, ერთი ერთს ამბობს, მეორე — მეორეს, არის ერთი გაწევ-გამოწევა, ყაყანი, კაციშვილმა არ იცის, რა მოხდა გუშინ, თუ იმის წინ, ან სხვა დროს.

ვახოს ხეირიანად არც ვიცნობ, ერთი ორი წელიწადია, რაც ბათუმიდან ჩამოვიდა, აქეთ, კეკელიძეზე ბინას ქირაობს და ჩვენს ბირჟაზე გამოდის. დგას ხოლმე თავისთვის, ზოგჯერ სიტყვას ჩაურთავს, მაგრამ თავი მაინც ისე უჭირავს, — რამე რომ იყოს, მეც ჩემსას ვიტყვიო. მე, ჩემდა თავად, ბუღას ვერ გავექაჩები, სხვა წონით კატეგორიაში გადის, და ისედაც... ვახო კი უტევს გულბოლმიანად და მიკვირს. ნაღდად ჩანს, რომ მაგარია, ვერაფერს იტყვი...

— ორი-ორზე. — ამბობს ბუღა, — ვინც გინდა, წამოიყვანე.

— როგორც გაგეხარდება, — ეთანხმება ვახო, — ოღონდ მუშტი და ჭიდაობა არ ვიცი მე, სპორტსმენი არა ვარ, იცოდე!.. იქ ან შენ დარჩები, ან მე... პირს მოგიკუპრავ!..

ხან ერთს, ხან მეორეს ვაშოშმინებთ რიგრიგობით... რა იყო, რა მოხდა, გაარჩიოთო, მაგრამ ბუღა და ვახო ჩვენს ხელებს იცილებენ, მუქარით იწევენ ერთმანეთისკენ, გინებით ჯერ არ იგინებიან.

— ჰო, მოვრჩეთ, წამო! — ცრის ბუღა, — მთელი ღამე მესიზმრებოდი.

— იქვე დალპები!.. — არ უთმობს ვახო, — სადაც პივალთ, იქ დარჩები, იცოდე! ვაიმე, ბიჭო, ჩემგან შენისთანამ აბაროტი როგორ უნდა აიღოს?!.

— აბა, ჰე! ყური აქეთ! — ამბობს ჭინკა.

მართლაც, ყაყანზე შალიკოს დაუცქვეტია ყური და აქეთ მოდის.

— მოვრჩეთ ბაზარს! — ამბობს კიმოთე.

ბუღა თავის მანქანისკენ მიდის.

— მოდიხარ, ჯიპვუნია, თუ რქები გენანება! — ორი-ორზე!..

— თავს დამაბრედინებს, დედა ვატირე მე მაგისი! — ჩვენ გვეუბნება ვახო.

შემოვეხვიეთ, ვახო შუაში ტრიალებს და გვათვალიერებს, ბუღა საკბილოს არჩევს.

— აქ მოსვლას შევარჩენ?!. მაგის... — თან თვალით გვსინჯავს.

აქ, ჩვენს ბირჟაზე იმიტომ გამოვდივარ, ამ დილითაც, დღეს, იმიტომ ვდგავარ, რომ ამ უბანში დავიბადე და გავიზარდე, აქ ვცხოვრობ; აბა სად უნდა გავიდე? სანაპიროზე ხომ არ ვივლი სასეირნოდ?..

ვინ იცის, ახლა რა უტრიალებს ამღვრეულ თავში ვახო კეშელავას... ფიქრობს, ალბათ, ამათში ვინ გადამარჩენსო. ჭკუა თუ აქვს, კიმოთეს აიყვანს, ან ჭინკას; ბიჭობაზე თავს ეგენი სდებენ და ჩვენშიც მეტი წონა აქვთ... რისი გულისთვის უნდა წაჰყვნენ, ან ვახომ რა სინდისით უნდა უთხრას, წამოდითო? ერთმა ვიწროშუბლიანმა მეორეს სადღაც რაღაც უთხრა, თუ აწყენინა, სხვას რაში ეკითხება?..

ან ამ ჭინკას ბუღამ ერთი რომ შეუბეროს, პლეხანოვამდე გააფრენს...

„საყვარლის საფლავს ვეძებდი...“ — — დავამღერე.

იი, მე, რაღა შუაში ვარ?! ეგ უტვინო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მე არ მიყურებს?.. შიგ თვალებში... გრძელი რომ ვარ, რამე ხომ არ ეშლება?.. სულ სამოცდათოთხმეტ, ჰა-ჰა სასამოცდათექვსმეტ კილოგრამს ვიწონი, ან ჯანი სადა მაქვს, ან ჩხუბის თავი?!. არადა, სხვებიც რომ მე მომჩერებიან! გამწირეს ამ შობელნაშობებმა!..

შალიკო ნელ-ნელა მოსეირნობს, იქნებ ნაბიჯს აუჩქაროს, იქნებ დროზე მოვიდეს, თორემ გული ცუდს მიგრძნობს... ჩქარა, შალიკო!

მინდა თვითონ მივირბინო შალიკოსთან, გადავეხვიო, ჩავეკრა. ყოველ კვირადღეს ერთ ბლოკ „კოლხეთს“ მივართმევ, ორი იყოს...

ჯერ კაცისთვის თითი არ დამიკარებია, ბავშვისთვის არ მიწყენინებია...

შევხედე — ისევ მე არ მიყურებს?!

ვუღიმი, თვალს ვუპაჭუნებ და ბულას მანქანისკენ ვიხედები.

ბულას შავი ძმაკაცი გაუნძრევლად ზის, ერთხელაც არ მობრუნებულა, თითქოს არ ეხებოდეს აქაური ამბავი.

— ჰა, დროზე! — ყვირის ბულა.

— არ წაჰყვე. — ურჩევს ვახოს ჭინკა, — ეკლესიასთან ავიყვანოთ.

— მაგას ყველგან გამოვუწერ სერიას! — იპურჭყება ვახო და მწვანე „ვოლგისკენ“ მიდის.

გადავრჩი, მგონია... ან არადა, მე რატომ ამირჩევდა? ჩემი იმედი ჩემს ძმას არა აქვს, მეშვიდე კლასშია, მაგრამ ამდენი ესმის...

ვახო უკვე მანქანასთანაა მისული და იქიდან ყვირის:

— თემო!

ჩემი ბედი!.. ნეტა თემო არ მერქვას, ან კიდევ ერთი თემო კიდევ იყოს ჩვენში, თეიმურაზი... თემიკო...

ბიჭები მომჩერებიან, გოჭო იკრიჭება და თითს კისერთან ივლებს, ზუსტად ისე, როგორც თავმჯდომარე ფილმში — „სიკვდილი არავის უნდოდა“, მუნჯ მამას რომ ანიშნებს, დამთავრდა ყველაფერიო...

მანქანისკენ მივდივარ, ბიჭებს ხელს ვუქნევ და ჩემდა უნებურად ვიკრიჭები.

— წავიდეთ! — ვამბობ რიხიანად, მეორე მხრიდან ვუვლი მანქანას, ვჯდები და კარს ვკეტავ.

მანქანა იძვრება, ჭავჭავაძეზე გამოდის და მელიქიშვილის ქუჩაზე უხვევს.

— მოსახვევებში ფრთხილად! — ვამბობ ბულას გასაგონად და ვახოს თვალს ვუპაჭუნებ.

ჩავუქროლეთ ჩვენს ბირჟას, ბიჭებისკენ არ ვიხედებით, ახლა ვეღარავინ მიშველის, მარტო ვარ კაციჭამიებით გაჭედილ „ვოლგაში“.

დღეს მაინც არ გამოვსულიყავი შინიდან! დაჯე, ბიჭო, წიგნი წაიკითხე, ტელევიზორს უყურე, ან ოქროს თევზებიანი აკვარიუმი გაიჩინე და მოუარე,... ან, ისე წამოწექი, დაისვენე, ძალა მოიკრიბე, ჩემისთანა გამხდარი ადამიანისათვის ეგეც საქმეა... რაღა ამ დილაადრიან გამოვედი, გამოსვლა თუ იყო?.. ბებიაჩემს თითქოს გული უგრძნობდა, სწორედ წამოსვლის წინ არ მითხრა, რას დაწანწალებ, შინ დაეტიე, ან სამეცადინო არა გაქვს, ან შენიანები არ მოგენატრაო, მარტო კვირას თუ გხედავენ, დილიდან გაქცევაზე რომ ხარო...

დღეს თუ გადავრჩი, ვფიცავ, ჩემდათავად ბირჟაზე გამსვლელი აღარა ვარ.

ფილარმონიასთან ბულა უწყვეტ ხაზზე კვეთს ქუჩას და საბურთალოსკენ უხვევს. ინსპექტორები თეთრად შემოხაზულ წრეში თავიანთ მოტოციკლს შემოხვევიან, ქალი, ერთი მოხუცი დედაბერი, ქუჩის გადაჭრას აპირებს და სამთავენი იმას მისჩერებიან, ნახეს, რაღა, წესრიგის დამრღვევი!..

ბულა მანქანის სარკეში ეძებს ვახოს და საქმიანად ეუბნება:

— მითხარი, სად გაგასაღო და მიგიყვან!

— წინ იყურე... — მშვიდად პასუხობს ვახო, — ქალაქს გავცდეთ...

ყორანივით შავი ტიპი ჩემკენ ატრი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალეზს პატარა, მრგვალ თავს, მათვალიერებს, ელიმება. ეტყობა, კაცად არ მაგდებს... მეწყინოს უნდა, მაგრამ კიდევაც მიხარია — თუ მეტყობა, სუფთა კაცი რომ ვარ, სტუდენტი, მოსწავლე ახალგაზრდა, თავს არაფერზე ვდებ, იქნებ შემეშვან, აღარ გამიყვანონ თავიანთ არეულ ანგარიშებში.

მაინც სად მივდივართ?!.

წვივზე რაღაც მწვავედ მჩხვლეტს და დაბლა ვიხედები, — ვახო კეშელავა ქვემოდან დანას მაწვდის. ანგარიშმიუცემლად ვართმევ დანას, ქურდულად ვინახავ ჯიბეში, ვანიშნებ, ახლა კი მე ვიცი-მეთქი. ვახო ფეხს მკრავს, ცალ თვალს იქით ვაპარებ და ვამჩნევ პრიალა ლითონის ნივთს... იარაღი არ ჰქონია ამ დებილს? აი, თურმე რისი იმედი აქვს!..

სულ წავხდი... ცხადია, ესენი ერთმანეთს კარგ დღეს არ დააყრიან, რაც უნდათ, ის ჰქნან, მაგრამ მე რა შუაში ვარ?! ერთიც ვნახოთ და, ეს იმას ესვრის, ან ის ამას და მე მომხვდეს, უდანაშაულო ადამიანს? ანდა, რომ არც მომხვდეს, და ერთმანეთი დახოცონ, მეც ხომ საქმეში გამიყვანენ. ასე თუ ისე, გადაწყვეტილია, — ან ვიბრიდები, ან ციხის მუშტარი ვარ...

ჯერ კაცისთვის უბატონოდ სიტყვა არ მითქვამს, ბავშვისთვის თითი არ დამიკარებია!..

სპორტის სასახლეს გავცდით, საბურთალოს ბაზრისკენ მივქრივართ. მუცელში ტკივილმა დამიარა, მარცხენა მუხლმა კანკალი დამიწყო; ორივე იდაყვს ვაჭერ, — მაინც მიკანკალებს.

და სწორედ ამ დროს ვხედავ ბიძაჩემს, არჩილ გოშაძეს, დედაჩემის ძმას, უახლოეს ადამიანს!.. წითელი პარტიზანების ქუჩის კუთხეში გამოსულა, იღლიაში შოთის პური გაურჭვია, გამვლელ მანქანებს ხელს უქნევს. მთასავით კაცია, რომ გაუჭირდეს, ოთხივეს მანქანიანად აგვწევს, ულვაში რომ ულვაშია — ჩემი მაჯის სიმსხო აქვს.

ხელს ვავლებ კარის სახელურს, ერთი სული მაქვს, გავაღო და გაქანებული მანქანიდან გადავხტე.

საყვარელი ჩემი ბიძა, ჩემი არჩილ ბიძია... პირველად ზოოპარკში არჩილ ბიძიამ წამიყვანა. დღემდე მახსოვს ცივი, შუშხუნა ლიმონათის გემო... ეხლაც არაფერს დაიშურებს ჩემთვის... უნდა დავუყვირო, თუ გავაგებინე — გადამარჩენს...

— რას ამბობ? — მეკითხება ვახო კეშელავა.

იმ ორმაც მომხედა.

— არაფერს... — ვპასუხობ ვახოს.

შინ ცხელ შოთის პურს მიიტანს, მადიანად ისადილებენ... ვერ გაიგებს ბიძაჩემი არჩილი, რომ სასაკლაოსკენ მიმავალმა გვერდით ჩავუქროლე...

— დიღომში გაწყობს? — ეკითხება ვახოს ბულა, — სო-ფე-ლი დიღომი.

— სადაც გაგეხარდება, — რიხიანად პასუხობს ვახო და ისევ მიკვირს, რომ მშვიდადაა, თითქოს საქეიფოდ მიჰყვებოდეს ძმაკაცებს.

ცხადია, იარაღის იმედი აქვს, იმ პრიალა რევოლვერის, მე ვერაფერში გამოვადგები, ორნი ერთზე მივლენ. ბულას ერთ ლუკმად არ ვეყოფით ორთავენი, ჩვენისთანა კიდევ სამი რომ იყოს, დაგვლეწავს, დაგვფშვნის, დაგვამტვრევს, ერთმანეთზე მიგვაწყობს.

არადა, იარაღი იმათაც ექნებათ.

ეს რა ხდება, ძმებო, სულ ტყუილად ვკვდები!..

კარგა ხანია აქეთ არ ვყოფილვარ. თორმეტსართულიან სახლს ამთავრებენ. ზემო ფანჯრების შემინვამდე მისულა საქმე. მალე ხალხი შესახლდება, იცხოვრებენ...

მანქანამ მარცხნივ გადაუხვია და სოფლის გზას დაადგა. იქით სახინკლეა, რესტორანი... მარჯვენა გადასახვევი დიღმის სასაფლაომდე მიდის.

ბულა, ვიწროშუბლიანი, დაკუნთული ჯორი, სადაცაა გააჩერებს თავისი მამიკოს მანქანას, გადმოვა, გადმოიყვანს ცხვირჩაჭყლეტილ ძმაკაცს, ყორანივით შავ, უგულო და უაზრო რეციდივისტს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენც გვეტყვიან, გადმოდითო.

ვახო გადავიდეს, გამოაძროს თავისი დურა, ჯერ ერთს ესროლოს, მერე მეორეს... ბულამაც ესროლოს, იმ ყორანმაც ატეხოს სროლა, დაუშინონ ერთმანეთს ტყვია, გაუყარონ დანა, დააგლიჯონ ყურები, დაუჟეჟონ ცხვირ-პირი, მოსპონ ერთმანეთი, ტალახში აზილონ...

მე რაღა დავაშავე?! ჯერ არ მიცხოვრია, აზრზე ვერ მოვსულვარ, რისთვის გავჩნდი ამქვეყნად, და უკვე?..

მანქანა სვლას ანელებს.

ირგვლივ დაბალი ბუჩქნარია, იქით — ხრიოკი ბორცვები. არც ვიცოდი, რომ თბილისიდან ასე ახლოს, დიღმის სიმწვანეს გასცდები თუ არა, მივარდნილ და უფერულ ადგილებს წააწყდები.

ნელა ჩავუარეთ მიტოვებულ ნაკვეთს. ვიღაც კაცს ოდესღაც აქ დასახლება დაუპირებია, მიწის ნაგლეჯი შემოუღობავს, ალაგ-ალაგ დასობილ სარებზე მავთული გაუბია... ზოგან კიდეც შემოუჩიჩქნია ნიადაგი, მაგრამ კლდოვან, ურწყავ მიწაზე ვერაფერი გაუხარებია.

დაჟანგული მავთულის ნაგლეჯი სარს შემოხვევია, ერთი ბოლო საცოდავად აგდია მიწაზე.

ასკილისა და მაყვლის ბუჩქები შემოღობილში უფრო გახარებულა. ალბათ მანქანები აქეთ იშვიათად დადიან, მაგრამ მაყვლნარი ისეა გამტვერილი, გზისპირა ბუჩქნარმა რომ იცის ხოლმე.

ჯიბეში ვიყოფ ხელს და დანის წვერი მწარედ მკაწრავს.

— გადმოდით! — მესმის ცხვირჩაჭყლეტილის ხმა.

მისი დრო დადგა... აქ მთავარი კაცი ეგაა, აქ ყველაფერი ისე მოხდება, როგორც ეგ მოისურვებს.

ვახო ფეხს მკრავს და რაღაცას მანიშნებს, ვერ ვხვდები, რა უნდა. ვეკრობი მანქანის საზურგეს და მუცლის არეში ისევ ის მწვავე ტკივილი მივლის... ბულა მათვალიერებს და მანქანიდან გადადის, ვახოც მიჰყვება და კარს ღიად ტოვებს.

ახლა სამივენი გარეთ დგანან და ჩემკენ იყურებიან. აშკარად ჩანს, — მელოდებიან. მე მელოდებიან, — თემო შანიძეს...

გასაღები მანქანაში ჩარჩენიათ. დავქოქავ და გავაქანებ...

მაგრამ ტარებაც რომ არ ვიცი?.. და ვიცი კი განა რამე?!. ვერაფერი ვისწავლე, ვერაფერი ვერ გავიგე, ვერაფერი ვერ მოვასწარ...

სხვა რა გზა მაქვს, უნდა გადავიდე. გადავალ და დაიწყება... რა უნდა დაიწყოს? სროლა!.. ჩხუბი!..

პუშკინი, ლერმონტოვი... კიდევ ვინ? ჩვენგან — ბარათაშვილი... თუმცა, ბარათაშვილი ავადმყოფობით მოკვდა, განჯაში...

მიმპალი ბოძის ძირას წივა აგდია, გარშემო ნორჩ ბალახს წამოუყვია თავი...

უმცროსი ძმა, სულ პატარა ბავშვი... თორმეტი წლითაა ჩემზე უმცროსი... მის თმას ახლაც ბავშვური სურნელი ასდის, — ახლადშობილი წიწილას და თივის...

მელოდებიან...

ვახო აქეთაა, მანქანასთან; ბულა და მისი ძმაკაცი განზე გამდგარან. ის ტიპი დამცინავად იღიმება და ბულას ეჩურჩულება. ბულა თავს უქნევს, უღიმის. გასაღებას გვპირებენ, გადაწყვეტილი საქმეა... დარწმუნებული არიან, რომ გაგვასაღებენ... ასეც იქნება...

თავში ათასი ფიქრი მიტრიალებს, ყველა ჩემიანს ვხედავ, ყველას ვემშვიდობები.

ასე მგონია, მთელი საათია ამ დახუთულ მანქანაში ვზივარ. დრო გაჩერდა.

ვახოს ფეხთან რიყის ქვა აგდია, მუქ ლაქად ატყვია გამომწვარ მიწას.

„ეჰ, გკლავენ, თემიკო, ესაა შენი ბოლო!“ — ვფიქრობ კიდევ და ერთი ნახტომით ვტოვებ მანქანას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემს შიგნით რაღაც გადატრიალდა, გადაირთო.

ისევ იმ ქვას ვხედავ, მერე რომელიღაც გაკვირვებულ სიფათს, წითელ პერანგს, თავზე აფარებულ ხელებს, გაქცეული კაცის ზურგს. ქვას ვისვრი, ის ვიღაც ეცემა, მუშტს ვუქნევ წაქცეულს, წიხლს ვაზელ, წითელპერანგიანი სხეული მიღოღავს, ცდილობს, მანქანის ქვეშ შეძვრეს. მიწიდან სარს ვაძრობ და ვიქნევ. შიგ შუბლში, თვალებშუა ვურტყამ შავ ცხვირჩაჭყლეტილ, გაოგნებულ სახეს... ოდნავ ვერკვევი. ბულას ძმაკაცი ეკლიან ბუჩქნარში გაბლანდულა.

მიწაზე დაგდებულ რევოლვერს ფეხს ვურტყამ, და მაყვლნარში გახლართულ ყორანს ვეწევი. ზურგზე, ფეხებში, თავში ვუბრაგუნებ სარს, ჩემკენ მოტრიალებულ დასისხლიანებულ ბრტყელ ცხვირზე ვაბეჭდავ ჩამოქნეულ მუშტს...

მთელი ძალით ვიქნევ სარს და ისევ ბულასკენ გავრბივარ. თავი მანქანის ქვეშ შეუყვია და გატრუნულა.

ვახო კეშელავა ხელებს იქნევს, რაღაცას მეუბნება. სარმომარჯვებული მივიწევ ვახოსკენ. პირდაღებული მიყურებს, მერე წყდება ადგილს და გარბის. მივდევ. ვახო მანქანის გარშემო დარბის. გამეტებით ვურტყამ სარს „ვოლგის“ პარპრიზს და ჩამსხვრეული მინის ხმაური მაფხიზლებს.

ახლაღა ვხვდები, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში შემზარავად ვბღაოდი.

— მანქანამ რა დაგიშავა, ძმაო, თავი დაანებე — მესმის ბულას ყვირილი.

ფეხსაცმლის წვერს ფერდში ვურტყამ. ბულა მანქანის ქვეშ იმალება.

ვახო კეშელავა ბუჩქებში გამხლართულ ბრტყელცხვირასკენ მირბის; სად წამივა?...

ვეწევი და ვუბრაგუნებ ზურგში, ფერდებში. მეტი აღარ შემიძლია, არაქათი გამომელია, ვაგდებ სარს და ვჩუმდები.

ცხრამეტი წლის კაცი ჯერ ასე არ დავღლილვარ, არასოდეს ამდენი არ მიმუშავია.

ახლა ერთი სურვილი მაქვს მხოლოდ, — როგორმე სახლამდე მივიტანო მოთენთილი, გამოფიტული სხეული, სადმე, ბნელ კუთხეში მივეგდო და თვალი დავხუჭო.

ბარბაცით თავქვე მივლასლასებ. გრძნობისა და ფიქრისაგან დაცლილს, სიცარიელე მიბზუის შიგნით... ოღონდ სახლამდე მივაღწიო და, სიმყუდროვეში მივეგდო.

კარგი კიდევ, დაღმართია, ტანს წინ ვხრი და იოლად მივდივარ. თანდათან წელში ვიმართები, ვმხნევდები. მარჯვნივ უნდა ჩავუხვიო და კიდევ მარჯვნივ. გზატკეცილზე, „უშბასთან“ გავალ, იქიდან, მგონი, სამარშრუტო ტაქსი დადის ვაკემდე. ვნახავ რამეს, ავტობუსს გავყვები, ან მანქანას. მთავარია, გზატკეცილამდე ჩავაღწიო.

ლურჯად შეღებილი დუქნიდან მოქეიფენი გამოსულან. მეარღნე უგულოდ აჭყვიტინებს არღანს; მისთვის არავის სცალია, შეზარხოშებული კაცები ჯაჭვზე მიბმულ თვინიერ დათვს შემოხვევიან. არის ერთი ყაყანი და ხორხოცი, ეტყობა, ახლახან მოუყვანიათ და დუქანში მყოფნი სეირის საყურებლად გამოსულან.

გზას ვკვეთ და ბილიკს მივყვები. ქვემოდან ძრავების გუგუნი მესმის, — გზატკეცილი ახლოსაა. ავტობუსზეც რომ დავჯდე, გმირთა მოედნამდე ნახევარ საათში მიმიყვანს, იქიდან უნივერსიტეტამდე რომ გავიჭირვო და ფეხით ვიარო, ხუთ-ათ წუთში ავალ.. ნეტა რომელი საათია? ოთხი თუ ხუთი, ან პირველის ნახევარი... მივუსწრებ...

რვა საათამდე ხომ ავალ და ჩვენი ბიჭები იქ იქნებიან, ბირჟაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვახტანგ ჯავახაძე

ღამე ენთო.
მთაწმინდიდან დავყურებდი ღამით
არსენალის სახურავზე დაცურებულ კრამიტს.
„ივერიის“ მეთექვსმეტე სართულიდან
სარკე
მაწონებდა მაროკოდან ჩამოფრენილ ზანგებს.
მერვე კვარტლის
მეცხრე სართულს
მეცხრამეტე ბინა
მეოცეზე ორჯერ მეტად გაენათებინა.
ვაგზლის საათს შეჰყურებდა ბიჭი განცვიფრებით,
ცარიელი ვაგონები იდგნენ,
როგორც ბრმები.
ყველაზე და ყველაფერზე უკეთესად ჩანდა:
შავგულიძის სილუეტი,
ინგოროყვას ჩანთა.
ყურს ვუგდებდი სახელების ნაცნობ სიმფონიას:
ბუბა, ბასა...
კიკა, ჟაკი...
ნანა, ნონა....
ნიაზ!
ჩრდილი იწვა ვერის ხიდთან დაბმულ კატარღაში,
გალმა თონე ღიღინებდა,
ბანს აძლევდა ხაში.
იქვე წყვილი კიპარისი იდგა,
როგორც და-ძმა,
გამიკვირდა:
დრო იკითხა ბედნიერმა კაცმა.
ადრე იყო,
მთვარე თვლემდა ისნის აგარაკთან,
გათენებას ერთი მზე და ხუთი წუთი აკლდა.

სამი სიტყვა შევიჩვიე,
სამი,
სამად სამი სიტყვა,
ვერც ავდარმა შემიშინა,
ვერც გრიგალმა დამისეტყვა.
ნუ აწუხებთ ლექსიკონებს,
ნუ კითხულობთ ნურარც საბაბს,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სდუმს ჭადარა ჩიქობავა,
სდუმს ჭარმაგი სულხან-საბაც.
მთარგმნელები უჩივიან ლინგვისტებს და პოლიგლოტებს,
თარჯიმანი იღიმება,
ვიდრე აზრზე მოვიდოდეს.
ირგვლივ მზეა,
იებია,
ბევრი იასამანია,
მღერის ჩემი სამეული,
ცეკვავს ჩემი სამაია.
არც ცალ-ცალკე იკითხება,
არც ცალ-ცალკე იწერება,
არც წვიმაში იჟანგება და არც ზღვაში იძირება.
არც არავის ექალება,
არც არავის ედავება,
ვერ აიტანს შეხებას და შეხედვას და შედარებას.
მხოლოდ უნდა მოისმინო უჩილავი მელოდია,
ასე თოვლის სასახლეში მეფეები შემოდიან.
ასე უსმენს ჩანგებს ჩანგი, თარებს თარი, დოლებს დოლი,
მოვა ღმერთი მეორედ და იტყვის:
დოვლინ, დოვენ, დოვლი!

•

თავს იწონებს ყველასთან,
ჯეელთან და ბებერთან,
აიღო და აიკლო
ესტრადა და დარბაზი...
სახლში გავეპარე და
სახლში შემომეფეთა —
ანტი —
ტელე —
გენური
პროფილი და ანფასი.

•

მე შევხვდი ინგლისელ კომერსანტს,
რომელიც...
რომელმაც...
რომელსაც...

აქებდა ვისკებს და რომებსა,
რომლებიც....
რომლებმაც...
რომლებსაც...

ნაცნობი გულისხმა მომესმა,
რომელიც...
რომელმაც...
რომელსაც...

გუსმენდი გულდაუცხრომელსა,
რომელიც...
რომელმაც...
რომელსაც...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## სამწუხაროდ!

ხმას იმაღლებს ქორი ალვის ხეთა...
ფერზე მოდის ია უმრწემესი...
ყურს არ ესმის,
მაგრამ უკეთ ხედავს,
ბრმა ვერ ხედავს,
მაგრამ უკეთ ესმის.
ხოლო ის,
ვინც
ხედავს,
ვერაფერს ვერ ხედავს,
და მას,
ვისაც ესმის,
არაფერი ესმის.

ამათ როგორ ვუსმინოთ,
ჭკუა როგორ მოვკითხოთ, —
თავის დროზე შერეკილს ეძახოდნენ
დონ-კიხოტს.
წამო,
ფრთები ვიშოვოთ,

ამათ ჩამოეხსენი, —
ახლა ჩვენ გვეძახიან დონ-კიხოტებს ესენი.
ღრუბლებს შევეხიზნებით,
ღმერთებს შევერკინებით,
ვარსკვლავებზე ცხოვრობენ ხშირად
შერეკილები.

## რატომ?

ჰემატოლოგიისა და სისხლის გადასხმის
ინსტიტუტში

ღმერთო,
ბავშვებს აქ რა უნდათ?
აქ რა უნდათ ანგელოსებს?
ღმერთო,
ხელებს დაგიკოცნი და გემთხვევი სახელოზე,
წავალ,
სანთელს აგინთებ და ვილოცებ და ვიმარტვილებ,
ოღონდ
სიზმრად დამასიზმრე დღევანდელი სინამდვილე.
დღევანდელი სინამდვილე იძირება სუდარაში,
ღმერთო,
შენ რომ ღმერთი იყო,
ამათ აქ რა უნდა მაშინ?!
ესენი რომ აქ არიან,
შენ როგორ ხარ, ღმერთო, ღმერთი?
სათვალავი აგრევია — პირველის და მეთორმეტის.
ორი კვირის გაზაფხული,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თითქოს გარეთ დარჩა ბავშვი,
იწევს ფეხის წვერებზე და იჭყიტება ფანჯარაში.
რომ წავიდე,
სად წავიდე?
როგორ დავრჩე მარტოდმარტო?
რატომ ფეხი არ მომტყდა და
რატომ მოველ,
რატომ?
რატომ?
ხმა დაკარგა ყველა სიტყვამ,
საერთომ და საპირადომ,
ერთადერთი სიტყვა დარჩა,
ერთადერთი კითხვა: რატომ?
სიტყვა ველარ მიპოვნია — საკუთარი სიტყვის პატრონს,
სიტყვა სიტყვით ვიმეორებ ამ ხუთნიშნა სიტყვას (რატომ?).
წვეთ-წვეთობით შევაგროვე,
მარცვალ-მარცვალ,
ატომ-ატომ,
(რატომ?) ორი ხმოვანი და სამი თანხმოვანი (რატომ?)
ვეკითხები აინშტაინს,
ვეკითხები ბატონ პლატონს
და რუსთაველს ვეკითხები: რატომ? (რატომ?),
რატომ? (რატომ?).
ვერაფერი მიპასუხეს სოკრატემ და ჰიპოკრატემ,
მაინც პასუხს ველოდები,
მაინც ველოდები (რატომ?).
შეირცხვინა თავი შენმა ედემმა და ელდორადომ,
ყველამ კარი მოგვიხურა,
რატომ, ღმერთო,
ღმერთო, რატომ?
ღმერთო (რატომ?)
ბავშვებს (რატომ?)
აქ რა უნდათ? (რატომ? რატომ?),
სადღა არი სამართალი,
დემოკრატზე დემოკრატო?!
(რატომ?) ვის რა დაუშავა უბიწომ და უბოროტომ?
შენ სდუმხარ და ვისღა ვკითხო,
ვისღა ვესაუბრო (რატომ?).

ვისთვის ვწერო, ვისთვის ვწირო, ენა ვისთვის ვარატრატო?!
რატომ?

ვისი გული უნდა შესძრას საპარადო საესტრადომ?!
რატომ?

ვისთვის უნდა იხმაუროს საეჭვედლომ და სახარატომ?!
რატომ?

ვისთვის გვინდა აწმყო უხმლო და მერმისი უეტრატო?!
რატომ?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წავალ,
გულის გული მირჩევს,
ყოყმანს თავი მივანებო:
თუ არ წავალ, ინანებ და —
წავალ, მაინც ინანებო.

დიახ!
რისკი უყვარდათ
კეისარს და კარისკაცს...
სააკაძემ გარისკა,
შაჰ-აბასმაც გარისკა...
რჩევა მეიგავეთა
ვერ აცხრობდა იდეას, —
ბეწვის ხიდზე გავიდა,
მაინც ბეწვზე ჰკიდია...
აქეზებდა ნაღარა
გაგრიას და ტეტიას
და მგლის შიშით ნახირი
ჯერ არ გაუწყვეტიათ...
წლებს იქით და მთებს იქით
თოვლი მოენატრება
ხილარის და თენსინგის
ნაფეხურს და ნატერფალს...
ვერ აშინებს ხიფათი
გენერალს და ჯარისკაცს...
გამცემლიძემ გარისკა,
გაგარინმაც გარისკა...
თუკი შეგშურს იმათი,
ყველაფერი რიგზეა,
თუ არ გითქვამს სიმართლე,
ჯერ არ გაგირისკია!
შეიცვალე იერი
და მიბრუნდი კარისკენ,
წადი,
ფრთხილად იარე
და ხშირ-ხშირად გარისკე!..
ის პატარა პანთერაც
გამეტებით გაზარდე,
მიაშველე ფათერაკს,
მიაშველე განსაცდელს!..

სხვებმა დაისაკუთრონ
ჩერო მეხამრიდის...
მიდის,
მიდის საწუთრო,
მიდის,
რისკზე მიდის!

ჩემი აზრით,
ჩემი აზრი თუკი რამეს ნიშნავს,
თავის დროზე შენიშნავენ ყველა შესანიშნავს.
შენი აზრით,
შენი აზრი თუკი ნიშნავს რამეს,
წყვილი თვალი ვერ გასწვდება ზეცის პანორამას.
ცისკრის ცრემლი,
მზის სისხლი და
მთვარის კაეშანი —
ჩემი აზრით ჩემია და შენი აზრით — შენი.
ხოლო ფუნიკულიორის მტრედისფერი ბურჯი —
ვისთვის მუქი ცისფერია,
ვისთვის — ღია ლურჯი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*კარლო კობერიძე*

# ცხენი

გოგია თალარქვეშ დაბალ სკამზე ზის, ფეხი ფეხზე შემოუდვია და ბესოს სახლისკენ იყურება. დედამისი საჩეხში დაფუსფუსებს — მაგიდაზე ორჯამიანი დაუდგამს და შიგ სახაჭაპურედ დამბალ, მალაზიის ორმანეთიან ყველს აქუცმაცებს.

— იმასავით გემართება, — ბრმას ცოლი მოუკვდა და ნუ ეტყვითო. როდემდელა უნდა დაუმალო მამაშენს, შვილო, ხვალ იქნება თუ ხვალზევით, ეგ ერთი ჩხუბი და დავიდარაბა მაინც მოსაშორებელი გაქვს სახადავით და, არ გირჩევნია, ბარემ დროზე მოიშორო?.. კაცმა ტრაპახით აიკლო ქვეყანა, გოგია აგრონომიულზე მყავს, დაამთავრებს და ეს შვილი მაინც დამიბრუნდება მამაპაპეულ ბუდეშიო, შენ კი... შენ კი, სახლები უნდა დავაპროექტოო — საქალაქო ჯანდაბობა აირჩიე!

— მარტო მე ვიყავ დასაბრიყვებელი?.. თქვენი ორივე ბიჭი სამთოზე რომ წამოიჭიმა, ჩვენს სოფელში ქვანახშირის მაღაროები იყო თუ ოქროს საბადოზე ჰქონდათ ეჭვი?.. ამდგარიყავით და, ერთი სასოფლოზე შეგეყვანათ, მეორე — ზოოვეტერინარულზე! ახლა ორივე აქ იქნებოდა: ერთი ბრიგადირად, მეორე — ფერმის გამგედ. ძალიან დაიჩაგრნენ! ქალაქში ყრიან და, როგორც მოგეხსენებათ, ერთი ტრესტის მმართველის მოადგილეა, მეორე — საკვლევი ინსტიტუტის განყოფილების გამგე. უარესის ღირსნი არიან: გდებულიყვნენ აქა და სუფთა ჰაერზე ევლოთ აღმა-დაღმა: სახლი და ვენახი, ფერმა და სახლი, მე შენ გეტყვი, არ დამშვენდებოდათ მხარზე ჩამოკიდებული პურის ჩანთა!

— შენ მაგ ატაბატა ლაპარაკს მოეშვი და ეს მითხარი: წამოსვლისას ინახულე?

— როგორ ვინახულებდი, დასასვენებლად წასულან.

— საით გავიდნენ?

— გაღმა. განათლებული ხალხია და ჩვენი კურორტები ეთაკილებათ, შენი ჭირიმე!.. დიდი ჩეხოსლოვაკიაში წაცოლშვილდა, პატარა — ბულგარეთში. ჩამოვლენ და, რომ ჰკითხავენ, სად ისვენებდითო, ვითომ სხვათა შორის იტყვიან: ბულგარეთში, ჩეხოსლოვაკიაში!. ყბას დააღებენ უვიცები, — რა ჭკვიანი, მარჯვე, გავლენიანი, დაფასებული ხალხიაო!.. არადა, იქიდან აქეთ გამორბიან, თუმცა, ეტყობა, არც იქ შეიმჩნევა ბრიყვების ნაკლებობა... ჩემი დაიკოა და... მარტო მე უნდა მისაყვედუროთ?.. ცუდი ბიჭი თხოულობდა? ცუდი ქირურგია? მაგრამ პროვინცია არ ინდომა ქალბატონმა მასწავლებელმა და ეგე, ვის გაჰყვა!. იმ შენ პატიოსან სიძეს, ხალხს თუ დავუჯერებთ... ხალხს ყველაფერი დაეჯერება!.. ჰო, ხალხს თუ დავუ-

---

დასასრული. დასაწყისი იხ. „ცისკარი“ № 7.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯერებთ, ფული აქვს, ფული — ხუთი უდარდელი ანუ ჯანიანი კაცი ვერ აიკიდებს! არადა, მთელი ერთი კვირა ყოველდღე დავდიოდი იმათსა: საუზმე — აჯაფსანდალი, სადილი — აჯაფსანდალი, ვახშამი — აჯაფსანდალი! მწვანილეულობიდან — ქინძი, თვრამეტი კილო და ცამეტი გრამი!. სად გადაეყარა მაგ უჯიშოს, ნაღდი მეჯღანუაშვილია მე მაგისი... თუმცა სოლომონ ისაკიჩს რა უჭირდა, ბოლო-ბოლო, მობრახუნდა ჭკუაზე, ამას კი, ამ კუზიანს, სამარის მეტი ვერაფერი გაასწორებს!.. შარაზე რომ გადადგები ხოლმე და ასუანის კაშხალის ყარაულების გასაგონად გაჰყვირი, ეკონომისტი სიძე მყავსო, ვითომ არ იცი: საშუალოც არა აქვს დამთავრებული! ჰმ, უზარმაზარი მაღაზიის დირექტორი კია?! ის შენი ქალი ამ ჩვენს ქირურგს რომ გაჰყოლოდა, ორ ჭიან ბალღს გაიმეტებდა ბუზღუნ-ჯაჯღანით, მერე აიტკიებდა ელენთას, თირკმლებს, ღვიძლს, ცარიელ თავს და, ამით მორჩებოდა აკვნის ჭრიალს. ახლა, კაცო, ახლა, მეექვსეზეა გაბერილი — არ გასკდები გულზე?! მეექვსე ორბელიანს ელოდებიან, კაცო, მეექვსე ორბელიანს! ის უბედური მეჯღანუევსკი კიდევ წაღმა-უკუღმა აცოდვილებდა თავის გვარს და, მოკვდა, გადაეგო, არაფერი გამოუვიდა მაინც!.. ვერ მოიფიქრა თუ რა იყო, ამ უბრალო გამოსავალს ვერ მიაგნო და აკი საქვეყნოდ გაიპამპულა თავი!

— ეხლა ნერვების აშლის დროლაა, შვილო?

— შენც მართალი ხარ!..

უწიპწოს თალარს ხელადებივით ჰკიდია მტევნები. ჩამოხუროულ ფოთლებში მზე ვერ ატანს და მოხრიოკებულ მიწაზე ნაბადივითა გდია ჩრდილი. მზედაუკვრელი მტევანი მწვანედ შეთვალულა, მწვანედ ამღვრევია მარცვალი და ახლოდან თუ დააკვირდები, თითქოს მოძრაობს, თითქოს ირხევა წვენი. გეგონება, მტევანს ჩამოვარდნის ეშინიაო, ღონივრად ჩაუჭიდია ყუნწი ბარაქით გაწვრილებული რქისათვის... გოგიამ ახედა დატკვეფილი ვაზის გაწვრილებულ რქებსა და გაიფიქრა, მრავალშვილიანი დედებიც ასეთი გამხდრები, გალეულები არიანო. და გაუკვირდა, გაუკვირდა გოგიას — ასეთი გამქრალ-მილეული რქები როგორ იკავებს ვეება ხელადებივით მტევნებს ან როგორ აძლევს ამდენ მაცოცხლებელ საზრდოსო. გაახსენდა, მამა პატარაობისას ვაზის გასხვლას რომ ასწავლიდა. ჯერ ეს დაიხსომე, საყურძნე, სამამულე რქა წვრილია, შვილო, წვრილს ახლო-ახლო აქვს კვირტი და ამიტომაც ღონიერია; შენც წვრილი უნდა დაუტოვო საყურძნედ, და თუ არა აქვს, მეტი რა გზაა, ისევ მსხვილ, გაბრიყვებულ რქას უნდა მიანდო შენი შემოდგომის ბარაქა-უბარაქობაო... გოგიამ ისევ ახედა თალარს და გული დასწყდა: „მტევანი ბარაქიანი იცის, კუმსი, ტკბილი წვენით სავსე, მაგრამ თითქოს მაინც უცხოა, მაინც არ გგონია ჩვენებური, რაკი დასაწურად არ ვარგა — მაგისი ბადაგი არავის გაუგონია და ღვინო. რქაწითელს თუ მიაყოლე, თავისებურად, უჩვეულოდ აუგემურებს და იმ დალოცვილ სურნელსაც უკარგავს. ჰო, „უწიპწოს“ გარდა, „საქიშმიშესაც“ ვეძახით, მაგრამ რომ არც ქიშმიშია აქაური?.. სიდიდე და ხარისხი რაღაც ვერ ეგუება ერთმანეთს“. წამოდგა გოგია, მტევანს ხელი შეაწოდა და ორად ორი მარცვალი მოაძრო, სასიამოვნო, მარახოში ეჩვენა და მზისკენ რომ გავიდა, ნაპირზე უფრო დამწიფებული იქნება მტევანიო, აივნის აგურის სვეტთან ჭიგოზე აკრული, ჩრდილით აწლიოკებული რქაწითელი დაინახა — ნაცრისფრად დაჩაგროდა აჭრილი შაბიამნით დაჭორფლილი ფოთოლი. ჩაცუცქდა და თითებით გაუფხვიერა საჩეხიდან გადმონაღვარი ჭუჭყიანი წყლით დაძეკილი მიწა.

— ამას აქ რა უნდა, დედი?

— აბა, რასა?

— აემ რქაწითელს.

— ეგა, შვილო, შარშან გზაზე იპოვნა მამაშენმა, ვიღაცას დაკარგვოდა, ეაფ-

კარლო კობერიძე
ცხენი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სუსა სასიკვდილოდ, სხვაგან ვერსად გამოძებნა ადგილი და მანდ მიანდო მიწას.

— აქ, ამ უწიპწოს ჩრდილში, ცოდვაა, დედი!

— ვხედავ, შვილო, ვიცი...

გოგიამ ონკანი მოუშვა, ხელები გადაიბანა, პირისახეზეც შეისხა წყალი და საჩეხში შევიდა, მაგიდაზე დადგმულ, წმინდა ტომრით დაჩულულ გობს დახედა. გობიდან ცომის მოტკბო-მომჟავო სურნელი ამოდიოდა. ტილო გადახადა და დედის ხელით დაჩნეულ ჯვარს ორი თითი დააჭირა — ცომმა ჩაიწია და მაშინვე ამოიბურთა. ისევ წააფარა ტილო და დედას მიაჩერდა — ქვიშით ხეხავდა ტაფას.

— სად წავიდა მამაჩემი, ეგ არის, მივალ და მოვალო? წუხელ ცოტა მეტი მომივიდა ღვინო და... შენ კიდევ ვერ ისწავლე მწიფე პამიდვრის დამწნილება!

დედას გაეღიმა:

— მიდი, ნაზოსა სთხოვე. ჩვენ თუ უმძრახად ვადგევართ ერთმანეთს, შვილები რა შუაში ხართ?

გოგიამ ვარდების ჩრდილში გაფოფრილ კრუხ-წიწილას გვერდი აუარა, გზა გაიმრუდა და ალუჩის მხრიდან გადაეყუდა მესერზე:

— ნაზო ძალო!

თითქოს ელოდაო, ქალი მაშინვე გამოვიდა მარნიდან:

— როდის ჩამოხველ, გოგიავ? — გაუხარდა.

— ორიოდე საათი იქნება. როგორა ხართ?

—ძველებურად, წვალებ-წვალებით... მთელი ეს ზაფხული თვალში გვაკლდი! — ხელი ჩამოართვა.

— პრაქტიკაზე ვარ და, დღეს თუ ვერ მოვასწარ, ხვალ ისევ მივდივარ!.. შენი მწიფე პამიდვრის მწნილი მომენატრა.

— ეხლავე, შვილო, ეხლავე! — გატრიალდა და მარანში შევიდა...

მერე, გოგიას დედა ხაჭაპურს აცხობს, ხანდახან მესრისკენ ღიმილით გააპარებს ხოლმე თვალსა და ხედავს: გოგია მანანას ელაპარაკება, თან თიხის ჯამი უჭირავს ხელში და მწიფე პამიდვრის მწნილს რომ ჭამს, პერანგი არ შამოესწუწოსო, ფეხები გან-განზე აქვს დადგმული და წელშიც მოხრილია. ეჩურჩულებიან ერთმანეთს და ხითხითებენ, თავშეკავებულად ხითხითებენ. მანანას გოგიაანთ საჩეხისკენ გაურბის თვალი, გოგიას — მანანაანთ მარნისკენ. მანანას დედას ახლა ახსენდება, მთელი კვირა ლოგინი რომ არ გაუმზეურებია, მეორე სართულზე ადის და აივნის მოაჯირზე გადასაფენად გამოაქვს ჭრელა-ჭრულა საბან-ლეიბები და ქათქათა, აფუებული ბალიშები. დედაა და შიში ეპარება კეთილ ფიქრში, მაგრამ მალევე უქრება იმ ნათელი შუქით, რასაც გამბედაობა, ალღო, იმედი ჰქვია... გოგიას დედა ახალ ხაჭაპურს აკრავს ტაფაზე და ისევ ეღიმება:

— რა ლამაზი გოგოა, ეს მიწადასაყრელი!

დედაა და იცის: წუხელ წვეთი არ დაულევია გოგიას, საერთოდ, დათრობამდე არ სვამს ღვინოს. არც პრაქტიკაზეა: სადღაც ქართლში სალოცავს აახლებენ და თავისი სურვილით წავიდა იქ. ორი დღის შვებულება კი არ მისცეს, ბიჭებს დაჰპირდა, ჩვენებსაც ვინახულებ და ღვინოსაც ჩამოვიტანო. მაშ ცარიელს ხომ არ გავგზავნით?.. ამ ჩვენ შატაბუტა ფოსტალიონს რამდენი ვეხვეწე, ვემუდარე, ვიცი, გოგია წერილებს უგზავნის მანანას, მარტო ერთი წამაკითხე-მეთქი, მაგრამ ვერაფრით ვერ გავტეხე, არ უგზავნის და რა წაგაკითხო, მე ხომ არ დავწერო. თუმცა, რა საკადრისია სხვისა წერილში ცხვირის ჩაყოფა!.. ნეტა რასა სწერს ხოლმე?.. ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, შვილებო, იქნებ მაშინ მაინც დალაგდნენ ეგ ოხრები და ჩვენც დავისვენოთ, მეზობლებმაც.

გოგიას მწნილი გაუთავებია და ცარიელ თიხის ჯამს მესრის ბოძს თუშური ქუდივით ჰხურავს თავზე. მანანა ხტება, უნდა როგორმე შესწვდეს, მაგრამ ვერ სწვდება და იცინის, იცინის და შემოდგომის თრიმლივით უბრიალებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოყები. იცინის გოგიაც, იცინის და ჭიშკრის მოულოდნელ ჭრიალზე ერთბაშად ავიწყდება სიცილი: ეზოში ნიკა შემოდის, უკან თავაწეული წაბლა მოფრუტუნებს. გოგია თიხის ჯამს აწვდის მანანას, მარნის კარამდე მიაცილებს თვალებით, მერე ყასიდად ახველებს.

— ჩამოსულხარ? — ეღიმება ნიკას.

— ჰო, ჩამოველ, — ეღიმება გოგიასაც, — მამაჩემი სადღაა? — ხელს ართმევს.

— ნიკავ, ჯეილო, დავიჯერო, ორი ნალის გამოცვლას ამდენი დრო უნდოდა? — უწყრება აბრიას ცოლი.

— ეს რანაირი ჩვევა გაქვთ ქალებს, კაცო?! — ჯავრობს ნიკა, — რაც არ იცით და არ გეკითხებათ, იმაში უფრო აფათურებთ ენასა და ხელებს!.. შენი ლაპარაკით იგრე გამოდის, ვითომ თქვენს მეტს არავისა ჰყავს ცხენი!.. ალაზანი ხო ალაზანია, არა! — ქოჩორს უწეწავს გოგიას, —ვის გაუზომია იმისი სიგრძე, მაგრამ ჩვენი სოფლის ყველა ქალი კოკებით რო ჩაგზავნო წყლის ამოსატანად, სადაც ერთი ჩაიხრება ასავსებად, ჯიბრით თუ აქ ემჯობინებაო, იქ გაბილიკდებიან, ისე გაჭიმავენ რიგსა, მე მოგიკვდე, ჩვენი მთის გადაღმა მოიქნევს მტვრიან ბოლოს!.. ბარემ თოხებსაც გამოვაკვერინებო, სამჭედლოში შეგვიანდა აბრია.

აბრია კი, რა ხანია, გზაზე, ჭიშკართან დგას, თავს აქნევს და ბუტბუტებს:

— ვაიმე, ვაიმე, ვინ უჯიშო გვიპირებს სისხლის ამღვრევას, ვინა კაცო, ვინა?!

— არ ამუშავებთ წაბლას? — ცხენს გარშემო უვლის გოგია, — მომეცი თოკი.

— რაზე ამბობ, შვილო? — აკეცილ თოკს აწვდის ნიკა.

— ძალიან გაგილაღებიათ!

— თქვენი ნათესავების ვენახებიო, შინაურებისაო, სახათროო. სულ ამის მოსახვნელ-გადასახვნელია, მაგრამ ეცოტავება მაინც!

გოგიამ ზურგზე ხელები დაჰკრა ცხენს, აქანდა, აიწია და მოახტა —ჭიშკრისკენ მიაბრუნა:

— ერთი გავშრიალდები სოფელში და ბარემ გამომგონსაც ამოვუტრიალებ მანქანას! აჩუ, წაბლავ! — ქუსლები ამოჰკრა, — აჩუ, შე „ქიგულის“ ჭირო!

ცხენი ჭიშკარში გავარდა, ჭიშკრიდან — გზაზე.

— გოგიავ! — დაუყვირა მამამ.

გოგიამ მაშინვე შეაჩერა ცხენი:

— რაო, მამი?

— შემოდი ეზოში! — და ჯერ თვითონ შევიდა, — ჯიში, ჯიში! — მიბუტბუტებს აბრია, — ძაღლიც ჯიშით არის და ადამიანიც. — მერე ხმას უწევს, — ბალახიც, ბაყაყიც, მწერიც, ხეც, ღრუბელიც, სოფელ-ქალაქიცა და მიწაც ჯიშის არის, მიწაც! მიწაც! მიწაც!.. სიცოცხლესა და ცხოვრებაზე კი არა, ჯერ ჯიშზე უნდა იფიქრო, ჯიშის აუმღვრევლობაზე!

შეკრთა გოგია, ნაღველი მოაწვა. იდგა აგვისტოს მზეში და ფიქრობდა, მაგრამ ვერაფრით გაიხსენა, სულ ბოლოს როდის იყო, როდის დაუყვირა მამამ.

— გოგიავ! — მამას ახლა უფრო დაჰკრავდა სიბრაზე.

გოგიამ ეზოსკენ შეაბრუნა სასირბილოდ აწყვეტილი, აკანკალებული ცხენი; თვითონაც კანკალებდა.

●

სოფლის ნახევარს ორი გრძელი თვე ფოსტალიონი არ ჰყავდა. იმ მეორე ფოსტალიონმა, თვით რაიონის მთლად უფროსის ჯერ ხვეწნა-მუდარა, მერე ხელფასის მომატებაო, ჯილდოზე წარდგენაო და ბოლოს მუქარაც არ ჩააგდო არაფრად — მთელ სოფელში ეზო-ეზო სიარულზე, ძაღლების მოგერიებასა და ჟურნალ-გაზეთების დაკარგვაზე უარი თქვა. ვის აღარ გამოუწიეს ყელი, მაგრამ ვერას გახდნენ: ვინც წერა-კითხვა იცის (წერა-კითხვა კი, საუბედუროდ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველამ იცის), ან კოლექტივის თავმჯდომარეობა უნდა, ან — საბჭოსი, ან საწყობის გამგეობა, ან — ბრიგადირობა, ანდა, ჯანი გავარდეს, — სკოლის დირექტორობა. ეს მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქალაქში არ წავლენ. ჰოდა, ფოსტალიონი ვერ გამონახეს. მაშინ მილიციის ინსპექტორმა გიგო ბუაძემ სალაყბოს უსაქმურები იხმო და ოპერატიულად გააცნო საქმის ვითარება:

— ხალხი თავიანთი ჟურნალ-გაზეთებისა და წერილ-ამანათების წასაღებად თვითონ მოდის ფოსტაში, რაც იმის საშიშროებას ქმნის, რომ ჩვენი ზვრები ფოთოლსაც აღარ მოისხამს. ახლა თქვენი გერგილიანობის იმედიღა გვაქვს, ამხანაგო ყალთაბანდებო!

— ორი ფოსტალიონი რომ იყოს, არ აჯობებს? — იკითხა სალაყბოს პროფკომმა ზაზამ.

— მეც იმას არ ვამბობ? — თქვა ინსპექტორმა, — ერთს რომ ერთი მივუმატოთ, ორი არ იქნება?

— კი იქნება, მაგრამ, აი, ამ უფოსტალიონო უბანში-მეთქი.

— ჩვენ ერთი ვერ გვიპოვნია, შენ ორსა გვპირდები?! სხვათა შორის, უსაქმურობის წყალობაა გეომეტრია — ნაცრის ქექვით მიაგნეს... თავდაპირველი მოგზაურებიც უსაქმურები იყვნენ. გარდა ამისა...

— კარგი, ერთს მოგართმევთ, — შეაწყვეტინა ზაზამ, — ადვილი სამსახურია! ამის შემდეგ მაინც ნუ მოგვერიდება ჩვენი და ნუ გვაწყენინებ, ამხანაგო უფროსო ლეიტენანტო, გაგიჭირდება რამე და შენ მარტო თქვი! აბა, წავედით, ბიჭებო!

წავიდნენ და ლონგო დათვიაშვილს მიადგნენ შინავენახში — იქ ეგულებოდათ და იქაც დახვდათ — ჭერმის ჩრდილში „ყარამანიანი“ გაეშალა, გვერდების კიდეებზე ზედადგრის ჟანგიანი ფეხები დაეწყო და ხელების ქნევით კითხულობდა.

ზაზამ ლასტის კარი შეაღო და ვენახში შევიდა. სხვებიც შეჰყვნენ.

— ლონგოს გაუმარჯოს! „ყარამანიანი“ უნდა მათხოვო, კოლექტიურად წაკითხვას ვაპირებთ ბიჭები.

— ვერ გათხოვებთ, — თავი გააქნია ლონგომ, აიღო წიგნი და გულზე მიიხუტა, — ჯერ ხო ოცჯერა მაქვს წაკითხული... ასჯერ მალე წავიკითხავდი, მაგრამ ექვსი წელი ვიარე მესამე კლასში, მეოთხეში აღარ გადამიშვეს და ჩქარ-ჩქარა კითხვა ველარ ვისწავლე.

— მაშ რა ვქნათ?

— ერთი ათი წელიც უნდა მოიცადო.

— ძნელია.

— ძნელი „ყარამანიანის“ უქონლობაა.

— წავიდეთ, ბიჭებო, და ათი წლის შემდეგ გამოვიაროთ, — ზაზა წასასვლელად შეტრიალდა და თითქოს ახლა გაახსენდაო, უცებ მობრუნდა, — მოიცა, კაცო, აქ რა გინდა, კოლექტივის საქათმის ყარაული არა ხარ?!

— ნწუ.

— მოგხსნეს თუ გაგანთავისუფლეს?

— გამანთავისუფლეს.

— ეგ ბევრად და გაცილებით სჯობია მოხსნას: ამით, წესია, უკეთეს ადგილზე დაგნიშნავენ. დააშავე რამე?

— ისაო, არავის არაფერი დაანებოო და, მეც ეგრე მოვიქეცი. ერთმა ვინმემ კაცი გამოაგზავნა, უსაბუთოდ ოცი ფეხებგაკრული, კვერცხისმდებელი დედალი გამოატანეო და არ გავატანე. მერე — ერთი ვინმე მოვიდა, ჩრიხვების ნასყიდობის ქვითარი მოიტანა და მოქცეული ვარიები კი მიჰყავდა — არც იმას გავატანე... ამითვინ მიჭირეს ჭიტლაყი! თან მეუბნებოდნენ, უყარაულეო, თან კიდევ თვითონვე ქურდობდნენ! სამჯერ დავთვალე დედლები, სამჯერვე სამი ათას ოცი იყო, იმათ კიდევ სამჯერვე სამი ათას შვიდასიაო?! ეგეთი რამეები...

— ბედი გქონია! — მხარზე ხელი დაარტყა ზაზამ, — იმ სკინტლში მაინც არ გაგაჩერებდი! მგონი ფოსტალიონის ადგილი გიშოვნე და ბარემ ახლავე წა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოდი, თორემ კლუბის გამგესა ხსნიან და ის მიგვასწრებს. წიგნი გიყვარს და არ აჯობებს, გაზეთიც შეიყვარო?

— შენც თუ ჩემთან ერთად ივლი, ეხლავე წამოვალ!

—მე სადა მცალია საფოსტალიონოდ, რამდენი კაცი მყავს სამსახურში მოსაწყობი, ეეე? ხომ ასეა, ბიჭებო?

ზუსტად ასეაო.

— მარტო ვერ ვივლი! — გაჯიუტდა ლონგო.

— მარტო რად ივლი?! — გაიკვირვა ზაზამ, — ჩვენი ბიჭი ხარ და, ოთხკუთხედი როა, ყუთი, რომ მღერის, ისა — ტრანზისტორი ჰქვია, ტრანზისტორს გიყიდით. რა ენაზე არ მღერის და რა ენაზე არ ლაპარაკობს!.. ვერაფერს რომ ვერ გაუგებ, ისიც გაგეხარდება! ოღონდ ერთი რამე უნდა გითხრა და კარგად დაიმახსოვრე: წერილს ვისი გვარი-სახელიც ეწერება, მხოლოდ იმას მიუტანე— ბევრიც გეხვეწოს, არაფრით არ დაუტოვო სხვას! ერთი გაზეთიც რომ დაგაკლონ, არ დათმო და ჩანთა არ აიკიდო, ვიდრე ყველას არ მოგითვლიან ზუსტად და ლამაზად: ჩვენთან, ჩემო ძმაო ლონგო, სამ საათზე მოაქვთ ფოსტა, ნახევარი საათი აქეთ იქნება თუ იქით, ეგ არაფერი — აპატიე, მაგრამ მთელი საათით თუ დააგვიანეს, აღარ ჩამოარიგო, დაადე თავი და შინ წადი. ის წინა დღის გაზეთები არც მეორე დღეს მიართვა პატრონებს. ასე... ტელეფონით ლაპარაკი ხომ იცი? გეცოდინება. აიღე ყურმილი, რაიონში დაურეკე უფროსს და, ფოსტა რად იგვიანებს, მე შენი ეგრე და იგრეთქო. თუ უხეირო გაკადრა რამე, არ დაიხვალიო! ნუ გეშინიან, აქა ვარ და შენი ძმობის მეტი საქმეც არაფერი მაქვს...

და დადის ლონგო ფოსტალიონი სოფელში, დააჟღრიალებს ტრანზისტორს: ხან რომელიღაც ინგლისურს ისმენს, ხან რომელიღაც არაბულს; ერთი სიტყვით, სოფელში კაცის სახსენებელი რომ გაქრეს, მარტო მაინც არ არის და, თანაც გაცილებით უკეთესია — ჩამოჯდება ვინმეს ჭიშკართან სკამზე და „ყარამანიანსა“ კითხულობს...

სოფელი, ქალაქისა არ იყოს, იმისია, რომ ჯერ იბადებიან, მერე იზრდებიან, თავის მსგავსს წარმოშობენ — ზუსტად თავის მსგავსს, მერე ბერდებიან და ბოლოს — კვდებიან; სხვათა შორის ამაზე ჯერჯერობით არ კამათობენ... რაკი უომრად და უავარიოდ ასე უნდა ხდებოდეს, ნამდვილად ასეც ხდება: ვინმე გულხელს დაიკრეფს სოფელში და სამძიმრის დეპეშებიც გამოჩნდება ხოლმე. ლონგოს ჭირისუფლებთან მიაქვს დეპეშები და, როგორც წესი და რიგი მოითხოვს, იღუშება, იღრუბლება, ოხრავს კიდევაც, მაგრამ ის ოხერი ტრანზისტორი მაშინ დგება ცეკვის გუნებაზე. რომ არც გამორთვა შეიძლება? ერთიც ვნახოთ, გაფუჭდეს, მერე? დღეში მარტო ერთხელ გამორთვით დიდი შეღავათი აქვს! ჰოდა, ჭირისუფლები თავში იცემენ, ტრანზისტორი — ცეკვის გუნებაზეა.

— ვიდრე აქედან გახვალ, მანამდე მაინც გამორთე, ვერა ხედავ, როგორა ტირის ხალხი?!

— მკვდარი მაგათია და, მა მე უნდა ვიტირო?!

ჰოდა, ჰო, მკვდარი ვისიც არის, იმან უნდა იტიროს!..

სულ რაღაც ერთი საათით დაიგვიანებს ფოსტის მანქანა და, ლონგო უფროსს ურეკავს რაიონში, რად იგვიანებს, მე შენი ეგრე და იგრეო.

— გიჟი გამიგია და ეგეთი, კაცო?!— საცაა გადირევა მოფერებას მიჩვეული უფროსი.

— გიჟი რო არ იყო, მა ერთი საათით დაგვიანება გაგონილა?!

— ქალაქიდან აგვიანებენ და, მე რა ვქნა?! — თავს იმართლებს უფროსი.

— შენ კიდენა შენს უფროსს ამოუტრიალე სუყველაფერი და, ნახავ, კიდევ თუ დააგვიანებს! — ურჩევს ლონგო.

გაბრაზებული რაიონის ფოსტის უფ-

კარლო კოზერიძე
ცხენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

როსი სოფლსაბჭოს თავმჯდომარეს ემუქრება:

— ეგ გიჟი მომაწყვიტე მაქედან, თორემ ის მე ვიცი, რასაც გიზამ!

— მოგაწყვიტო, განა რიგია ფოსტალიონობაზე?

სალაყბოს უსაქმურები კიდევ უარესად იმუქრებიან:

— ერთი ჩვენს ლონგოს უზოდიშოდ თითი დაადოს ვინმემ — სახლ-კარიანად ავამტუტებთ!.. სოფელი ამდენს რომ მუშაობს, ფინაგენტის გარდა, სიცილიც უნდა, გენაცვალე, სიცილიცა და ფოსტალიონიც!..

სასამართლომ მაინცდამაინც გახურებული რთვლისას მოიწადინა „ქიგულისა“ და წაბლას საქმის გარჩევა — ჩამოდითო.

აბრიამ ხელში გადააბრუნ-გადმოაბრუნა უწყება და უკან დაუბრუნა ლონგოს, თან ამოსასვლელად ამოწეულ მზეს ახედა:

— შინ არ იყოთქო!

— ვაჰ?! — ტრანზისტორს ხმა დაუჭია ლონგომ, — შინ რო ხარ?!

— ვითომ არა ვარ შინა!

— ვინ მოვატყუო?!

— აის დამთხვეულები!

— ვითომ არ იცი, ტყუილი რო არ მემარჯვება?! მე, აბრია ძიავ, ფოსტის რიგითი მოხელე ვარ და, რაც დამავალეს, იმას ვაკეთებ!

— ე, შიფერდაცურებულო, ეხლა სასამართლოს დროა?! გამქცევები ვართ თუ რა ამბავია?! ამოდენა ყურძენს დაკრეფა არ უნდა, კაცო? მოიტა, მოგიწერო ხელი! ნეტა ეხლა ერთი მალამოსავით მოვიდეს სეტყვა და მირეგვ-მორეგვოს აქაურობა! მომაოხრე! ამდენი დაუფიქრებელი, ამდენი დაულაგებელი, ამდენი გიჟი ერთად გაგონილა, კაცო?!. სულ გეგმა და გეგმაო — არც თვითონ ისვენებენ, არც ჩვენ გვასვენებენ და, თანაც კიდევ!.. მოიტა ფანქარი! — ისევ მზეს ახედა აბრიამ და საჩეხში მოფუსფუსე ცოლს გასძახა, — მალე, ქალო, მალე, თორემ საცაა ისევ ჩამაიღრიალებს ბრიგადირი!

— აგრემც მიწით ამოევსება ის სალრიალო, მაგ უნამუსო ქურდს, მაგასა! — იწყევლება აბრიას ცოლი.

მაზიდში შებმული წაბლა თავის კანტურით დასჩერებია მიწას — ნაღდად ისიც სასამართლოზე ფიქრობს!

— შენ იცინი და, მართალს კი ამბობს! — ლონგო ჩანთაში დებს უწყებას და ტრანზისტორს ხმას უმატებს, — ქვეყანაზე მარტო უნამუსო ქურდები რო იყვნენ, მემრე გენახა რია-რია! ჰო, ვთქვათ და, მართლაც ვიჟი ვარ, — ვიფიქრე, სხვაგან ჩემზე ჭკვიანები არიანმეთქი, ავდექი და დავუჯერე, ხო გპარავდნენ ხვალინდელ დღესა? გპარავდნენ!.. მე ვიცი და ამ საქმემა, — არავინა ხართ შინა და, მოვრჩით! მე, აი, სოფელი მაბარია, თუ დანაყელზეა, თვითონ წამოწელკავდნენ და გეძებონ ვენახ-ვენახ! ყოჩაღად იყავი! — მიდის ლონგო და მიბუტბუტებს, — ეხლა გიჟის მეტი ვინ გამოგიძახებს ვენახიდან!..

სწორედ იმ საღამოს შიში აწრიალებს სოფელს: ქალაქიდან საიდუმლოდ მოდის ამინდის ბიუროს უტყუარი ცნობა, რომ „უახლოეს ხანში ჩრდილო-დასავლეთიდან მოსალოდნელია სეტყვა, გრიგალი, ქარიშხალი, ღვარცოფი და ალაგ-ალაგ თოვლ-ჭყაპი, კერძოდ: კავკასიონის ქედის ცენტრალური მთაგრეხილის — იალბუზის, მყინვარწვერის, თეთნულდისა და ნაწილობრივ შხელდის გადაღმა ფერდობზეც. ამინდის შემდეგ დაწყებული უამინდობა გაგრძელდება ორიოდე კვირას, რაც საშიშროებას ქმნის მოსავლის წახდენისას და რაც გვავალებს, დროულად და უდანაკარგოდ, შემჭიდროებულ ვადებში ავიღოთ მოსავალი: ბალახი, უხეში საკვები — ნამჯა, სიმინდის ჩეჩქი, შვრია, სოია, ბარდა და ყურძენიც“.

ამ ცნობას რაიონიდან კვალდაკვალ მოჰყვება სოფლის მეურნეობის სამართველოს გამოცდილი მუშაკი და მისი ბრძანებით, ადგილობრივი რადიოქსელით გადასცემენ ამინდის ბიუროს საიდუმლო ცნობას. სასწრაფოდ და საქმიანად მოწვეულ გამგეობის კრებაზე კა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათი ზუსტად ცხრა საათამდე გრძელდება და კრება მაინც ადგენს: რთველში გაწვეულ იქნას ქუდზე კაცი! უბნის ინსპექტორი, მილიციის უფროსი ლეიტენანტი გიგო ბუაძე თავქუდმოგლეჯილი ჩარბის კიბეზე და სალაყბოსკენ იღებს გეზს, მაგრამ სალაყბო ცარიელია. გაოცებული იხედება აქეთ-იქით, ბუზღუნებს:

— თუ გამოსწორდნენ და ისიც დღეს, ნამდვილად დავიღუპები! — მილიციის უფროსისთვის მაინც არ მიმეცა სიტყვა! გამოსწორდებიან ანუ ტყუილს ისწავლიან, სიტყვის გატეხასაც და მერე ვიღას უნდა ენდო?!

ბედად, მაღაზიის ყარაული სანდრო თაგვიაშვილი გამოჩნდება — ჩანგლებიანი ძაღლი მოჰყავს სასურსათო მაღაზიის საწყობის კარზე დასაბმელად.

— რასა დგეხარ, გიგო? — ეკითხება სანდრო და მოსაფერებლად გაწეულ ძაღლს ძლივს აკავებს.

— შენი ვეფხვოა, არა? — ინსპექტორი იხრება და ძაღლს თავზე ხელს უსვამს, — ვეფხვო, შე სალიკლდისაო!

— რაც ამას შენი ხათრი აქვს!

— მარტო ამას? — ეღიმება ინსპექტორს.

— ამასაც და იმასაც.

— რამდენი ხანია, აღარ მინახავს!

— ცოტა შეუძლოდ ბრძანდება.

— აქამდე არ დაუყრია ლექვები?!

— დღე-დღეზეა. ვის ელოდები?

— სალაყბოს ხალხს ვეძებ. საკვირველია პირდაპირ, — საითაც გავიხედავ, თვალში მეჩხირებიან, ეხლა, სანდრო, ეხლა, ნატვრისთვალი რომ მომცა, იმათ გამოვიძახებდი! ნეტა სადა ყრიან, საით გაიხვეტნენ? სოფელში რომ გიჟი და უსაქმური გამოილევა, ის სოფელი რაღა სოფელია!

სანდრომ სასურსათო მაღაზიის საწყობის კართან დასობილ რკინის პალოზე დააბა ძაღლი, ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო და მაშინღა თქვა:

— ნატვრისთვალი მომცა და, მე ვიცი, რასაც ვინატრებდი!

— ბარემ მეც მასწავლე.

— სახლი რომ მიგდია გაუმართავი, იმის გამართვასა და ცოტაოდენს კიდევ სავენახე მიწას!.. აი, კარზე აფიშაა გაკრული და, წამიკითხე. რა წერია.

ინსპექტორი მივიდა. სანდრომ მთვარეს ახედა და მერე ასანთი გაჰკრა.

— უმაგისოდაც გავარჩევ, — შეხედა და მაშინვე შეტრიალდა — კლუბისკენ გავარდა, — მეც არა ვთქვი, სად გადაიკარგნენ-მეთქი?.. მცოდნოდა, „ბაშიაჩუკის“ კინო იყო! კარგზე კარგია, მაგრამ ორასჯერ ნახვა ცოტა ბევრია მაინც!

— რაო, ბაში-აჩუკიო?! — ძუნძულით მისდევს სანდრო.

— შენ კიდევ, ვითომ წერა-კითხვა არ იცი!

— რა ვიცი, კაცო, რა აზრზე მოვიდოდი!.. რამ დამიბრმავა თვალები, რომ ვერ შევხედე!.. ჯერ მობრუნდით შინა, ჯერ მობრუნდით!

— ვის ემუქრები!

— ჩემს შვილებსა და იმათ შვილებს! განა თქვეს, სად მიდიოდნენ — სოფელქვეყანაში გავივლ-გამოვივლითო! გაპარვა და ეგეთ რამეზე, კაცო?!

ხუთი წუთიც არ გადის, ინსპექტორი კაბინეტის კარსაც აღებს და სალაყბოს პროფკომი ზაზა თავის ორ მარჯვენა ხელთან — პაატა ჩეფიჩაშვილსა და ნუგზარ ცხვარიაშვილთან ერთად უკვე მაგიდასაც უზის.

— რა ისეთი საქმე იყო, უფროსო, იქ რომ ვერ გვითხარი? — ეკითხება ზაზა.

— ალბათ, იყო, დავიწყო?

— მიდი.

— ვიქონიო თქვენი იმედი?

— რაკი გადამწყვეტი ხმა გვქონია, არ გიმტყუნებთ!.. ამ რაღაცაში სათათბირო გვქონოდა, გიცნობთ და, არც დაგვიძახებდი.

— სწორია!.. ჰო, — ინსპექტორმა სუფთა ფურცელზე ცხაურიანი სარკმელი დახატა, — როგორც სინოპტიკოსები გვატყობინებენ...

— ეგ ვიცით, — გაშლილი ხელი მსუბუქად დაარტყა მაგიდაზე ზაზამ, —

კარლო კობერიძე
ცხენი

ჩვენ რა გვეხება — წავიდეთ და შევამოწმოთ თუ დავუჯეროთ, ავიდეთ სახლებზე და სახურავებს მოვავლოთ თვალი?

— ნუ აურიე! — გაეღიმა ინსპექტორს, — რამდენი უსაქმური ხართ ამ სოფელში?

ზაზამ ჯერ ბიჭებს გადახედა გაოცებით, მერე ინსპექტორს მიაჩერდა:

— არც ერთი!

— დღე და ღამე სალაყბოზე რომ ყრიხართ, მაშ, ვინა ხართ, შვილო? — გაჯავრდა ინსპექტორი, — „ყოვლად წმინდის“ ეკლესიის რესტავრაციაზე ფიქრობთ თუ ტაო-კლარჯეთზე?.. მაშ, ვინა ხართ?

— ერთზეც ვფიქრობთ და მეორეზეც! გაჯავრდა ზაზაც, — კიდევ კარგი, ფიქრის ამოცნობის იარაღიც არა გაქვთ, თორემ!.. ვინა ვართ და, მეიცნებე ხალხი!.. ბიჭოს! ზოგი აბიტურიენტია, ზოგი — ახალგაზრდა პენსიონერი, ზოგი — დამწყები პენსიონერი, ზოგი — იმისი შვილი, ზოგი — ამისი ნათესავი! არა, მამა გიცხონდათ, მე თოხს უნდა დავაკლა თავი, სხვამ კიდევ ფული მოხვეტოს არნადით!. როდის მოგადექი კარზე, პური მომიტეხე-მეთქი?.. გიჟები თუ ვართ, უწყინარი გიჟები მაინც ვართ. თქვენ იმათ დაუწყეთ დევნა, ას-ასი მანეთი რომ აქვთ ხელფასი, ცოლ-შვილს არ ამუშავებენ, თანაც — დუღან და გადმოდიან. ეგე, ხორცმეტები!.. რა გამიჭირეთ საქმე!..

— შენ ხმას დაუწი! ის ხომ არ დაგავიწყდა, „უსაქმურების ფეხქვეშ მიწა უნდა იწვოდესო?“

— მექრთამეზეც თავისუფლად გამოდგება ეგ ლოზუნგი, ბიუროკრატზეც, გამფლანგველზეც, უნიჭო ხელმძღვანელ ამხანაგზეც, კარიერისტზეც... ყველა არ ჩამომათვლევინო, თორემ არ გამოვა ლამაზი!.. მიგიჯურადებია, სიმთვრალისას რას ლაპარაკობს ზოგ-ზოგი თანამდებობის ხალხი? მიაყურადე და მაშინ გაიგებ, ვინ არიან: ჯიბიდან იწყება და ჯიბეშივე მთავრდება მათი სამშობლო!..

ახლა გვითხარი, რას გვავალებ? — გაეღიმა ზაზას.

ინსპექტორსაც გაეღიმა და მეორე ცხაურიანი სარკმელი დახატა:

— მოკლედ, რთველში უნდა გამოხვიდე შენი ამქრით.

— გამოვალ, რატომ არ გამოვალ?

— რამდენის გამოყვანა შეგიძლია?

— მე ბარე სამასს მოვუყრი თავს, თქვენ რამდენი გნებავთ?

— საიდან სამასი? — წამოდგა ინსპექტორი.

— ას-ასი აქეთ-იქითა სოფლებიდან, ასიც აქაური. იმ სოფლის მამულები აკი ყვავილში დაისეტყვა და თავმჯდომარეებიც გამოფრინდებიან.

— წამოგყვებიან, ვითომ?

— სულ თამაშ-თამაშით, არადა, ცუდ დღეში ჩავყრი — ქორწილსაც ჩავუშხამებ, ქელეხსაც.

— ასეთი მაგარი არ მეგონე!

— რა სიმაგრე ამას უნდა — რაც ამ ახლო-მახლო მექორწილ-მექელეხე დამკვრელები არიან, უკლებლივ ყველა ჩემი ძმაკაცია, ხელზე დაიხვევენ, მოვალთო და მერე აუცურდებიან.

— სხვათა სოფლელები არ გვინდა, ორიოდე დღე ვსინჯოთ, იქნებ ჩვენც მოვერიოთ.

— ეგრე იყოს, — წამოდგა ზაზა და ბიჭებიც წამოდგნენ, — კინოში მივასწრებთ და მდევარს დავიძახებ სახვალიოდ. ამაღამ აფიშებს დავაწერინებ — „სალაყბოელებო, ყველანი რთველში!“ ხელს პირადად მე მოვაწერ და ვნახოთ, ერთი, ვინ დააკლდება! მიტო აფთარაულმა იცის ბეჭდურად წერა... რაკი სამშობლო მოითხოვს!.. შეგიძლია უპატაკო უფროსს გეგმის ოთხასი პროცენტით შესრულება!..

მეორე დღეს კოლმეურნეობის თავმჯდომარე შალიკო ხვადაგიშვილი თვალს არ უჯერებდა, იმდენი ხალხი გაიყვანა რთველში სალაყბოს პროფკომმა ზაზამ. საღამოთი დაიანგარიშეს და აბა, მაშინ გაოცდნენ თუ გაოცდნენ — უსაქმურების წილობაზე ორმოცი ტონა დაკრეფილი ყურძენი მოდიოდა! ეჭვიანმა ბუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღალტერმა ჰამლეტ ხვადაგიანმა ცხრაჯერ შეამოწმა უწყისები და მერე თქვა, ან მე გადავირიე, ან ეგენი გაპატრიოტებულანო. სხვათა შორის, შარშან ვიღაც რეგვენმა ინფორმაცია აფრინა ზემდგომ ორგანოებში, თავმჯდომარისა და ბუღალტრის პაპები ძმები იყვნენო, ესე იგი ნათესავები არიან და მათი ერთად მუშაობა კანონით არ შეიძლებაო. მაგრამ იმ ვიღაც ინტრიგანის უსახელო წერილს არ დაუჯერეს არც მაღლა, არც დაბლა და აღარც კვლევა-ძიება დაუწყიათ, ვინაიდან ჭკვიანი კაცი, ჰო, ჭკვიანი, თვალის უბრალო გადავლებითაც კი მიხვდება, „შვილითა“ და „იანით“ დაბოლოებული გვარების სხვადასხვაობასაო...

რაიონის სტატისტიკურ სამმართველოში უნებლიე შეცდომა ეგონათ ერთ დღეს ერთ სოფელში ამდენი ყურძნის მოკრეფა და ეჭვის თვალით გაიხედ-გამოიხედეს. ბოლოს პროკურატურამ ურჩია, კონტროლის კომიტეტმაც, მილიციამაც — დაუჯერეთო და, როგორც იქნა, დაშოშმინდნენ. მეორე დღეს საგრძნობლად გაიზარდა ეს ციფრი. მეორეს — მესამე დღემ აჯობა, მესამეს — მეოთხემ, მეოთხეს... თუმცა მეოთხე დღეს დაიწყო ის ამბავი, რამაც ერთბაშად ჩააფლავა არა მარტო მეოთხე, არამედ მეხუთე დღის სავარაუდო წარმატებაც.

მეოთხე დღეს, ზუსტად თორმეტ საათზე, ლონგო დათვიაშვილი თავისი ჩანთით ჩაფრატუნდა რთველში და სასამართლოში აუცილებლად გამოცხადების უწყებები დაარიგა — აქამდე მეზობლურ-მეგობრულ-ნათესაურ - ძმაკაცურად შეგინახეთ და ახლა მეც მიჭირს, თქვენს მაგივრად ფულადი ჯარიმით მე მემუქრებიანო. სამწუხაროდ, არც ამ დროს და არც შემდეგ, სოფლის თავკაცი შალიკო ხვადაგიშვილი იმ ახლო-მახლო არ გამოჩენილა. ბუნებრივია, ვერც გამოჩნდებოდა და ვერც ვერაფერს გაიგებდა: ტელევიზიიდან რეჟისორი, ოპერატორი, სამ ენაზე მოლაპარაკე შოფერი, ხმის ჩამწერი და გამნათებელი იყო ჩამოსული ბარაქიანი რთვლის გადასაღებად და ხვადაგიანის, მისი ორი მოადგილის, რვა მოანგარიშის, ცხრა აგრონომის, ოცდასამი ბრიგადირისა და რაიონიდან მოშაგრებული ამხანაგის დახმარებით, დილიდან საღამომდე იზეპირებდა რვეულის ფურცლის ორ გვერდზე დაწერილ სამ წინადადებას. ამ სავაგლახო საქმეს რომ მორჩნენ, ბინდიც ჩამოწვა და ზვრების გასადევარზეც აყვირდა პურ-მარილი. ორიოდე ჭიქა ღვინო რომ გადაჰკრეს, ლაპარაკის სალერღელი აეშალათ და შალიკო ხვადაგიშვილსაც მაშინ გაახსენდა თავისი საინტერესო ფრონტული თავგადასავალი: თან გაქანებული მატარებლიდან გადმოხტომის ამბავს ჰყვებოდა, თან ყურებს იჩიჩქნიდა ასანთის ღერით. მერე სტუმრები წავიდნენ, მასპინძლები დარჩნენ და რაკი საქმე აღარაფერი ჰქონდათ, თვალის მოსატყუებლად მიბალიშდნენ. მერე: ბრძანებით, მუქარით, ჩაგვრით, სირეგვნით, შურით, შეუცვლელი ბუნების ამაყი კანონის თანახმად, გათენდა კიდევაც. გათენდა და შალიკო ხვადაგიშვილმა, კანტორის კიბეზე ჰამლეტ ხვადაგიანი რომ მიესალმა, მხოლოდ მაშინ გაიგო მუშახელის სასამართლოში გამოძახების ამბავი.

— რამდენნი მიდიან? — იკითხა ხვადაგიშვილმა და კიბის ბოლო საფეხურზე აალაჯა.

— ძალიან ბევრნი წავიდნენ!

— ბევრი ათსაც ჰქვია და ასსაც, — თქვა და თვითონვე მოეწონა თავისი ბრძნული ნათქვამი.

— სწორედაც ასნი — ზაზამ ვინც მოიყვანა, ისინი. დამკვრელებიც იმათ გაჰყვნენ.

— მერე შენ სადღა იყავი! — უყვირა ხვადაგიშვილმა და კაბინეტის კარი ფეხით შეაღო.

— აკი ერთად ვსვამდით?!

— რას მიედ-მოედები, გუშინ თვალითაც არ მინახიხარ!

და ის-ის იყო, ჰამლეტ ხვადაგიანს უნდა ეთქვა, ამდენი უნამუსო ტყუ-

---

კარლო კობერიძე
ცხენი

ლით ნეტა როდემდე უნდა გაიტანო თავიო, რომ ტელეფონიც აწკრიალდა. ვიდრე ხვადაგიშვილი გაარკვევდა, ვინ ურეკავდა, და სკამიდან წამოვარდებოდა, ხვადაგიანმა გაიფიქრა: „მაგას ერთხელ რაღაცის უფროსად რომ მუშაობდა, ზუსტად ისეთი შტერი დაუსვეს მოადგილედ, როგორიც თვითონ არის. ეგონა, ეს ენაჩლიფინა ჩემს სკამს დაუსაფრესო, ადგა და შტატი გაუუქმა. მაშინ რესპუბლიკურმა გაზეთმა ყეინი უწოდა, ჯერ ყეინი, მერე — ბრიყვი.. ჰოდა, რა გასაკვირვია, ჩემი შტატიც რომ გააუქმოს! ერთხელ კიდევ...“ მაგრამ ხვადაგიშვილი ფიქრის უფლებასაც აღარ უტოვებს: რაიონის ხელმძღვანელ ამხანაგს ისეთი მლიქვნელური ღიმილით ელაპარაკება, თითქოს თვალწინ უდგასო.

— დიახ, გუშინ ორასი ტონა ჩავაბარეთ სახელმწიფო მარანს!

— დღეს ორას ორმოცდაათზე უნდა ახვიდეთ!

— ვეცდებით, თუმცა...

— არავითარი თუმცა! — ყურმილს დებს ხელმძღვანელი ამხანაგი.

ყურმილს დებს ხვადაგიშვილიც და ვიდრე ამოიოხრებს, ახლა სოფლის მეურნეობის სამმართველოდან რეკავენ:

— რაო, რაო, „თუმცაო?!“

— მე რაღა ვქნა, ამხანაგო ირემაშვილო, ხალხი სასამართლოში გამოიძახეს და არ წასულიყვნენ?

— მაინც რამდენი გამოიძახეს? — დამცინავად ეკითხება ირემაშვილი, ეტყობა, ღიმილიც გამოაყოლა.

აქედან — გამოძახებით მარტო ათი გამოიძახეს, მაგრამ ოთხმოცდათოთხმეტი სხვაც წავიდა!

იქიდან — რამდენიო?!

აქედან —ზუსტად ოთხმოცდათოთხმეტი!

იქიდან — შენ სადღა იყავი, გეძინა?!

აქედან — ყველანი ის უსაქმურები არიან, ჩვენი სინოპტიკოსების შიშს რომ გამოეხმაურნენ!

იქიდან — მერე, კანონით ვერ გადაუღობე გზა?

აქედან — მაგათ სულ ზეპირად იციან კანონები, რას მოატყუებ! მოფერებით თუ მოიშინაურებ, თორემ სხვანაირად არაფერი გამოდის. ამხანაგო ირემაშვილო!.. რა აყლრიალებს ტელეფონს?.. მანდ მავთული რომ იყო ჩამოგდებული, იმას ხომ არ ადგამ ფეხს?

იქიდან — არა, კედლისკენ არის გაწეული!.. სისხლის სამართლის საქმეა?

აქედან — სამოქალაქო!.. ისევ ჟღრიალებს! აბა, კარგად დააკვირდი, ფეხი გედგმება!

იქიდან — დავიჯერო, ეგეთი საინტერესო პროცესია?

აქედან — ეგენი ომებშიაც სასაცილოსა ხედავენ!

იქიდან — გიჟები ყოფილან!

აქედან — მეც მაგას არ ვამბობ?!

იქიდან — უმაგათოდ დღეს რამდენის დაკრეფას ვარაუდობ?

აქედან — ბევრი-ბევრი ორმოცდაათი ტონა!

— იქიდან — შენ კაბინეტი ხომ არ მოგბეზრებია?!

აქედან — ამ დანაკლისს კიდევ ავიტანდით როგორმე, ოთხი მაგარი დამკვრელი ქალი გაჰყვათ და იმან გვიყო, რაც გვიყო!. ერთმანეთზე უარესი ჭორიკანები არიან და, უმაგათოდ სხვა ქალები ფეხს არ ადგამენ სამუშაოდ!.. დღესაც გაფიცვასავით გამოვიდა — დამკვრელები არ გამოდიან, უმხიარულოდ რა ჩაგვათავებინებს თოთხმეტ საათსაო! ისინი მაინც რომ არ წასულიყვნენ!.

იქიდან — რაღა ახლა მოუნდათ სასამართლო? ჩვენ რატომ არ გაგვაგებინე?

აქედან — განა ჩვენ კი ვიცოდით, უჩუმრად დანიშნეს!

— იქიდან — ნამდვილად იქ იქნებიან?

აქედან — ულაპარაკოდ! თუ არ გაიარ-გამოიარეს, საიდან რას გაიგებენ? ხვალ, იცოცხლე. მთელი სოფელი მოიგლიჯება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქიდან — ახლავე გამოვყრი! მოიტა, ჩამაწერინე გვარები!

აქედან — რა ჟღრიალი აუტყდა ამ უპატრონო ტელეფონს!

იქიდან — რაო?

აქედან — ამ დალოცვილ ტელეფონს რა დაემართა-მეთქი!

იქიდან — მიკარნახე!

აქედან — ჯიხვაძე ნარგიზა! კვიციანი ზიზილა! ბულაძე ია! იწერ?

იქიდან — მართლა მოიშალა, კაცო?! ჰა? რა გვარიო?

აქედან — ბულაძე ია! გაიგე?

იქიდან — ბურჯაძე?

აქედან — არა, ბულაძე!

იქიდან — გავიგე! რუხაძე

აქედან — ბულაძე-მეთქი, ბულაძე!

იქიდან — ჰო, ბულაძე! მეოთხე?

აქედან — კერატიშვილი ენძელა!

იქიდან — კლეპატრიშვილი?

აქედან — კერატიშვილი!

იქიდან — კერატიშვილი ბიძინა! აკი ქალიაო?!

აქედან — ბიძინა კი არა, ენძელა!

იქიდან — ბერძენა რა სახელია?!

აქედან — ენძელა-მეთქი, ამხანაგო, ენძელა!

იქიდან — ხმამაღლა თქვი!

აქედან — პირველი ასოები დაიწერე, პირველი!.. ესეც თუ ტელეფონია! გეყურება?

იქიდან — დაიწყე!

აქედან — ენა! ნამუსი! ძილი! ელდა! ლაფი! აღდგომა!

იქიდან — ჰოო, ენძელა, ენძელა კერატიშვილი! ახლავე გადავურეკავ!

აქედან — თქვენი დიდი იმედი გვაქვს, ამხანაგო ირემაშვილო!

იქიდან — ახლავე მოვაგვარებ, ამხანაგო ხვადაგიშვილო!..

ირემაშვილმა ზევიდან დაიწყო — თვით სასამართლოს თავმჯდომარე შველიძე შეაწუხა ჯერ შინ, მერე სამსახურში, მაგრამ არც იქ აღმოჩნდა, არც იქ და ვინაიდან სხვა სასიკეთო გამოსავალს ვერ მიაგნო, განცხადებების სპეციალისტი, პენსიონერი ადვოკატი ფოცხვერია შეგზავნა დარბაზში და პროცესი შეაჩერებინა რიგით მოსამართლე თიკანაძეს. თიკანაძეს ეგონა, უფრო მაღალი რანგის ამხანაგი უხმობდა ტელეფონთან და, რა გაარკვია, ირემაშვილი იყო, ენის წვერზე მომდგარი „ბატონო“ დაამუხრუჭა:

— რა გინდა?

— ბევრი არაფერი: ახლავე, ამ სეკუნდში დარბაზიდან დაითხოვე ოთხი დამკვრელი!..

— რა ვქნა?!

— დარბაზიდან დაითხოვე ოთხი დამკვრელი: ჯიხვაძე ნარგიზა...

— მოითმინეთ!..

— თუ არ დაგმორჩილდნენ, ადმინისტრაციული ძალა გამოიყენეთ! მაშ, ასე: ჯიხვაძე ნარგიზა...

— ვის უბედავ, არაფრად ჩააგდო კონსტიტუციაო! — გაბრაზდა თიკანაძე, — რას ჰქვია, ხალხი დარბაზიდან გამოყარეო!

— რა გაყვირებს, ამხანაგო! — ხმას აუწია ირემაშვილმაც, — კანონი მოითხოვს: მოსავლის აღებისას, მოსალოდნელი უამინდობის შემთხვევაში!..

— მეც მოქმედი კანონის სახელით გეუბნები: უვიცი და რეგვენი ხარ, ვინაიდან!..

— გაგაუვიცებ მე შენა!

— ეს რაღა სახალხო სასამართლო იქნება, პროცესს რომ არავინ დაესწროს?!. სირეგვნე მეტი რაღაა?.. ხალხს არაფერი ავიწყდება, — მერე აღარ ამირჩევენ მოსამართლედ და ჩემს ცოლშვილს შენ შეინახავ?

ეს რა მაკადრაო, შეხტა და შემოტრიალდა ირემაშვილი:

— იქითა ხარ რეგვენი! ფეხებზე გკიდია ჩვენი გეგმა! ან ახლა სასამართლოს დანიშვნის დრო იყო — მოაცდინეთ მთელი სოფელი!

— ჩვენცა გვაქვს გეგმა, ამხანაგო! ორი წელია არავინ აგვიყვანია პატიმრობაში და ამ უბედურად ჩავარდნილ გეგმას ამოწევა არ უნდა?

---

**კარლო კობერიძე**

**ცხენი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაცალე, ჯერ მოვახსენო, სადაც ჯერ არს!.. მოსავლის უდანაკარგოდ აღების საწინააღმდეგო მოქმედება არავის შერჩენია და არც შენ შეგრჩება, ამხანაგო თიკანაძე!

ახლა თიკანაძემ წაიჭარხლა თავ-პირი:

— ვიცი, ვის ჩრდილშიც ნებივრობ და ვისაც მამუქრებ, ამხანაგო ირემაშვილო! საქმე საქმეზე არ მიდგეს, თორემ არც მე ვარ ყარაყუმის, ან თუ გნებავს, ყიზილყუმის უდაბნოში დაკარგული!

— მაგასაც ვნახავთ!

— ვნახოთ!

და ყურმილები ერთდროულად დაახეთქეს.

სოფლის თავკაცობა საგონებელში ჩავარდნილი: დღევანდელ ჩაფლავებულ გეგმას იმ დროს გაგვახსენებენ, იმ დროს დაგვიდებენ სასწორის პინაზე, ჩვენ რომ მთლად დავიწყებული გვექნებაო; ავტოსადგურის უფროსი რუბენ ლორიაშვილი კიდევ სიხარულით ფეხზე არ დგას — სკამზე დაბრძანებულა და საანგარიშოს ქვებს ატკაცუნებს:

— რთველში ამდენი მომსვლელ-წამსვლელი ხალხია, საქალაქო ავტობუსები, მუქარით არის თუ რით არის, გეგმას მაინც ასრულებენ. აი, შიგასარაიონოთა საქმე საამდროოდ ფინთად მიდის ყოველთვის — ვერავინ იცლის სოფლიდან სოფელში გადასასვლელად. დღეს კი... ჩვენს ნამდვილად სახალხო, ჰუმანურ სასამართლოს ვენაცვალე, ეგრე ძაან რო გამახარა! ესე იგი: სასამართლოში გამოიძახეს ათი კაცი, მაგრამ ას ოთხი ჩამოვიდა. აქედან: ერთი ცხენით და ერთიც — „ჟიგულით“. დაგვრჩა ას ორი. ორი კაცი ან შოფრის ახლობელი იქნება, ანდა უბილეთობას იკადრებს — ესეც არაფერი! ასი ხომ არის სუფთად? არის. ამოცანა გვეკითხება: თუ გავითვალისწინებთ, რო იქიდან ორმოცდაათი კაპიკი ღირს ბილეთი და, რა თქმა უნდა — აქედანაც, მაშინ ასი კაცი რამდენ მანეთს შემოიტანს სალაროში? თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რო შოფერმა, სულ ცოტა, ოცი პროცენტი მაინც უნდა ჩაიჭყუნოს ჯიბეში? პასუხი: 50-10-40. კარგია! გაუთვალისწინებელ მოგებაზე ტკბილი, ჩემმა მზემ, არაფერი მეგულება ამ გადასარევ ქვეყანაზე. მახლას!

ამით, ჯერ ერთი, ის მტკიცდება, რომ ბუნებაში მართლაც არ იკარგება არაფერი, და მეორეც: თურმე უსაქმურებსაც შეუძლიათ ქვეყნიერებისათვის სიკეთის მოტანა.

სასამართლო თერთმეტი სათისათვის იყო დანიშნული, მაგრამ ზაზა, შალალო, ლონგო და ოთხი კიდევ სხვა, იქნებ ხაშს ჩავუსწროთო, რვა საათზე უკვე რაიონულ ცენტრში იყვნენ და ბერვა-ბერვით მიირთმევდნენ ნიორწაჭარბებულ ჩლიქებიან წვენს. სამართლე რომ ითქვას, სასმელში, საერთოდ, არასოდეს ძვრებოდნენ ბურნასავით, ახლა ხომ, უპირველესად ჩვენს თავს ვცეთ პატივი, შემდეგ — სასამართლოსო, გრამი არაყი არ ჩაუშვიათ პირში. ხაში უარაყოდ, ყველა დამემოწმება, ნამდვილად ძნელი წარმოსადგენია, თუმცა არც ამისი წარმოდგენაა ადვილი: სასამართლო დარბაზში არყით გალეშილი შეხვიდე და უბედურად ააქოთო იქაურობა.

ბიჭებმა ხაშს ლიმონათი დააყოლეს, მერე თავები მიადეს ერთმანეთს და აჩურჩულდნენ. სასადილოს ცნობისმოყვარე, თავაზიან თანამშრომლებს ძალიანაც აინტერესებდათ მათი ჩურჩულის მიზეზი, მაგრამ ვერაფრით ვერ მიაწვდინეს ყური. ბოლოს თავები ასწიეს ბიჭებმა და ისეთი სიცილი ასტეხეს, ისე გააყრუეს სახაშე, რომ როგორც მოგვიანებით გამოირკვა, ვიღაც კლიენტმა ვეღარ გაუძლო და ფულის გადაუხდელად გაიხურა კარი. შალალომ თქვა, საწყალი, ალბათ დიდად დამწუხრებული ბრძანდებოდა, თორემ მთელ ბოთლ არაყს რა ჯანდაბა დაალევინებდაო. მერე ისევ მიადეს თავები ერთმანეთს და ისევ აჩურჩულდნენ. ასეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩურჩულს კიდევ, რომ არ დაგიმალოთ, ისევ აწყვეტილი სიცილი მოჰყვა. ასე გამეორდა რამდენიმეჯერ და აკი სათათარე კოვზით არ გამოვარდა შეფ-მზარეული? გოდორა კაცი იყო, წითლად დაჯირჯვლებული; რომ მოგორავდა, კინაღამ მუხლებზე სცემდა ღიპი. თავზე პაქსასავით ედო ჩაჩი. შეხედეს ბიჭებმა და ახლა ამაზე ჩაოსდნენ სიცილით.

— თქვენს მეტი არავინ არის აქ?! — იყვირა შეფ-მზარეულმა.

— როგორც გამიგია, ყვირილის უფლებასაც მოპოვება უნდა, — მშვიდად უთხრა შალალომ.

— რას იცინით, რო იცინით?

— ჯერჯერობით საიდუმლოა და ვერ გეტყვით, — ახლა ზაზამ უთხრა მშვიდად.

— სიცილი გამიგია და ამოდენა, ხალხნო, მეგონა, ჰერი ჩამოიქცა-მეთქი! — კოვზი ცარიელ მაგიდას დაარტყა.

— გეტყობა, ქირქილის ძალა არ გიგრძვნია, თორემ ასე აღარ იტყოდი! — ბოთლს კოვზი მიაკაკუნა ზაზამ, ოფიციანტი მოახედა — მთელ რაიონში სახელგავარდნილი, მადლმოსილი გოგო.

— წადით, შვილო, და სიცილის ადგილი სხვაგან მონახეთ!

— იცი, რას გეტყვი? — წამოდგა შალალო, — იმ უბედურ კაპიტალისტურ ქვეყანაში არ უშლიან სიცილსა და შენ აქ მიშლი?! არ იქნება, სამართალში აგაყუდო?

მზარეულმა ხელი ჩაიქნია, კოვზი რომლითაც ეჭირა ის ხელი კი არა, მეორე:

— ეეჰ, შვილო, ამ ქვეყანაზე, თუნდაც მარტო მე, რამდენი მიზეზი მეგულება სიცილისა! — თქვა და რაღაც უცნაურად გაიღიმა, გაიღიმა თუ ჩაიქირქილა.

ზაზა კი ოფიციანტს ელაპარაკება:

— აი, რას გეტყვი, პატივცემულო მასწავლებელო — საკმაოდ მდიდარი ვარ იმ კუთხით, რომელი კუთხითაც ღატაკი გეჩვენები. ამას გარდა, ესეც გაითვალისწინე: ერთხელ, პატარაობისას, ბიძაჩემს ოქროს საათი მოვპარე და იმით შენი კოლეგა დავქრთამე. მერე სული რომ მოვითქვი, საათიც წავართვი და მოსხლეტილი წიხლიც გავუქანე კუკუზნაკში. მას შემდეგ აღარაფერი მომიპარავს, თუმცა ის რა მოპარვა იყო —ბიძაჩემს არც წაღება გაუგია და არც მიტანა! ამით, ასე ვთქვათ, ჩემი სავიზიტო ბარათი მოგართვი, ჰოდა, თვალებს ნუკი მიჟუჟუნებ, ერთი წუთით თეორიულად გაიხსენე ნამუსი, გადანერგე პრაქტიკაში და ამ პატიოსან ხალხს ზუსტად დაგვიანგარიშე წანახედი...

ანგარიშის გულმოდგინე შემოწმებამ ეჭვი არ დაადასტურა...

არ დადასტურდა გამოძახების უწყებებში აღნიშნული დროის სიზუსტეც — თერთმეტ საათზე იწყება პროცესიო. თერთმეტს ორი წუთი რომ აკლდა, ბესო მგელაძე მაშინ მოგრიალდა „ჟიგულით“. მანქანა ცრუაკაციის ჩრდილში დააყენა და სასამართლო დარბაზისკენ წავიდა, მაგრამ შიგნით აღარ შესულა, რაკი შალალომ უთხრა, ჯერ სხვა საქმეს არჩევენო. თორმეტის ათ წუთზე აბრია ლომიძეც გამოჩნდა თავისი „წაბლათი“. ცხენი, მოშორებით რომ იდგა, იმ მეორე ცრუაკაციაზე მიაბა, ხურჯინივით გადაკიდებული ტომრებიდან ნედლი ბალახი ამოიღო, აფუმფლა და ისე დაუყარა წაბლას; ზურგზე გადაფენილი ხალიჩის ნაჭერი მოხადა, დაგრაგნა და იღლიაში ამოიდო:

— ხომ არ გამომიძახეს? — ჰკითხა მიახლოებულ ზაზას.

—გამოგიძახეს კი არა, ბარე თორმეტზეც არ გავახსენდებით!

— გადასადები პირი ხო არ უჩანს?

— არა, წინა საქმე გაჯანჯლდა.

— გეცოდინება, რაზეა?

— ნეტა, არ შევსულიყავ, არ გამეგო და არ დამენახა! ზუსტად ისეა, როგორც სიმღერაში — „შვილი მამას ეუბ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნება, დაბერდი, ჩემთან ნუ ხარო*. ერთი სიბერით დაცოტავებულ-ჯანკალებული ბერიკაცი ზის წინა სკამზე, ისეთი, აი, ხელებში რომ შემოგყურებს ბალღივით — რას მომაწვდისო; ისიც არ გაეგება, სად არის, რას თხოვენ და რას ემართლებიან! არადა, მისდგომია შვილიშვილებიანი სახედარი, გაქოფაკებული რძალი და, ჭამად არის გადაქცეულიო, თანაც არაფერს აკეთებსო — ეყრებიან, კაცო, ეყრებიან?! ვენახის გულისათვის კი არა — შევინარჩუნოთო, ნამდვილად ეყრებიან! ეყრებიან თუ სადღაც დავრდომილთა თავშესაფარში მიბარებას მოითხოვენ, ვერ გავიგე. დარბაზში რამე არ მივქარო-მეთქი, დროზე გამოვვარდი გარეთ!.. რა ვქნა, აზრია ძიავ, ძალიან დიდი ხათრი მაქვს შენი, მამაჩემისა ხომ — ნუ იტყვი, მაგრამ ციმბირს იქით, ალასკაშიც რო გადამასახლონ ოცი წლით, ერთი მაინც იგეთი უნდა მივაცეცხლო სიფათში, შინ მისვლამდე, ჯერ საავადმყოფოში მიიტანონ!... დავიწვი საცოდაობით!

— რას იზამ, უწინაც იყვნენ ემაგეთი, უკაცრაული პასუხია, შვილები! მოსამართლე ვის მხარეზეა?

— რაღა თქმა უნდა, ბერიკაცისა! კაცს თუ ნამუსი არა აქვს, რას გააგებინებ?.. საცაა დამთავრდება და დანარჩენი მერე გამოჩნდება... დიახ, ბესომ დამცველი აიყვანა.

— ვერ არის კარგი ამბავი!

— თუ ვაჟკაცია, ერთი-ერთზე გამოსულიყო. თან კიდევ მოყვრობას არ გიმიზნებს?!

— ბიჭს მოველაპარაკე და მოვათავეთ ეგ საქმე. თუ გამჩენის, დედ-მამისა და და-ძმების გასაწირად იმ ჯიშჩამოხრებულს ირჩევს, ირჩიოს!.. წაიყვანს და ჰყავდეს!.. განა ერთი შვილის ანაბარა ვარ, გავეტირო! ეგეთი სადარდელი თითო შვილის შემყურე მშობლებისაა. იმ თითო შვილმაც იცის მშობლების ვარამი და სათავისოდაც იყენებს. ამიტომაც, ზაზავ, ამიტომაც ხშირად უვარგისი გამოდის დედისერთა. თუ გინდა ბედნიერი სიბერე გქონდეს, ზაზავ, ბევრი შვილი უნდა იყოლიო, ბევრი, ამით საკუთარ თავსაც გამოადგები და ერსაც!.. დროზე გავიხედე წინ და აკი ამ მხრივ მშვიდადაც ვარ... მე რაღა ვქნა, რას მირჩევ?

— შენც უნდა აიყვანო დამცველი.

— ეგრე უცებ სად მივაგნო, შვილო?!

— მაგაზე უკვე ვიზრუნე! წამოდი.

— გიშველა ღმერთმა!.. რამდენი ეღირება?

— რთული საქმეაო, სამოცი მანეთი მთხოვა, მაგრამ ჰაი, აქეთ, ჰაი, იქით, ორმოცად დავითანხმე.

— კარგად მოგიფიქრებია! მაგას იმას არ ვათქმევინებ, რომაო!..

შალალოს კიდევ ბესო გაუყვანია გვერდზე და ეჩურჩულება:

— იმ დღეს კი შემიკურთხე, მაგრამ სიმართლეს ვერსად გავექეცი და, მაინც შენი მოწმე ვარ.

— ვიცი.

— რომელი იცი, რო შემიკურთხე, ისა?

— კარგი, ერთი!

— შენი სიმართლე, ხო ხედავ, შენს სუფრაზეც აღარ გადის, — თავს ინაღვლიანებს შალალო, — აზრია მოგვიგებს!

— განა ქვეყანა ჩალით არის დახურული! — ხელებს იქნევს ბესო, — ეს გზა სხვაგანაც მიგვიყვანს!

— ჰო, სანაგვეზეც! ქვეყანა აღარც კრამიტით არის დახურული!.. მაშ, თუ შენი გაბითურება არა აქვს გუნებაში, დამცველი რად აიყვანა?

— რა აიყვანაო?!

— რა კი არა — ვინა.

— ვინ აიყვანაო?!

— ვინ და ვექილი!

— მერე, აქამდე რატო არ ამოიღე ხმა?

— რა გაყვირებს, რო ყვირი?.. მე საიდუმლოდ ვეუბნები, ეს კიდენა ღრიალებს? — აქეთ-იქით იხედება შალალო — როცა გავიგე, აი, აკი მაშინვე გითხარი? მა რისთვის გამოგაშორე ხალხსა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შენ რაღა გაყვირებს? — ხმას დაუწია ბესომ, — მეც უნდა ავიყვანო დამცველი!

— არ აიყვან და, გახდები სოფლის სალაპარაკო!

— ქვეყანაზე ნატარი კაცი ხარ, გეცოდინება, სად აქვთ ბუდე?

— ექვსჯერ მარტო ამ დარბაზში ვარ გასამართლებული და, როგორ გგონია, მაგ ნაცარქექიების ასავალ-დასავალი შემეშლება? წავიდეთ.

— ნეტა რამდენს დამისვამენ? — ფეხს ითრევს ბესო.

— ეს საქმე მაინცდამაინც რთული არ არის, თუმცა ძალიან ჩახლართული კია, ამიტომ, კანონით, სამოცი მანეთი უნდა მოითხოვონ, მაგრამ ნაცნობსა ვნახავ და, ქართველები ვართ, ორმოცადაც გამოვა. ფეხი აიჩქარე და, აღარ გაგიგო ჩემი გინება!

— მთელი ის ღამე ვფიქრობდი და... თვალში რო არ მომხვედრიხარ, როგორღა შეგაგინებდი?!

— მა, ზაზა ტყუილს მეტყოდა?

— იმასაც ეგრე ვუთხარი და, მა, შალალო მოიგონებდაო?.. რაც იყო, იყო, თურმანიძის მალამო ხარ!..

პირველის ხუთ წუთზე დამთავრდა ბერიკაცისა და მისი რძალ-შვილის სასამართლო. რა განაჩენიც გამოიტანეს, გამოიტანეს — ამას მაინცადამაინც დიდი მნიშვნელობა არ აქვს, ვინაიდან თქვენი არ იყოს, მეც მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება სასამართლოს ნდობაში გამიტარებია და, იმედი უნდა ვიქონიოთ, მოსამართლე არავითარ შემთხვევაში არ დაარღვევდა არც სახელმწიფო კანონს, არც, მით უმეტეს, — მორალურს. მნიშვნელოვანი უფრო ისა მგონია, შემდეგ რაც მოხდა: მოსამართლემ უსათვალოდ ჩაიკითხა განაჩენი, მშვიდად ჩადო საქაღალდეში, ცხვირზე სალოკი თითი მიიდო — შეისრუტუნა, თვალი მოარიდა აცრემლებულ-აკანკალებულ ბერიკაცს, კაბინეტის კარისაკენ ორად ორი ნაბიჯი გადადგა და ენძელა კერატიშვილიც თმაში სწვდა იმ ბერიკაცის რძალს:

— ცხენის კუდზე ხარ გამოსაბმელი, შე გაოხრებულო, რას გიშავებს ეს გუგულივით ბერიკაცი!.. მოფერებოდი, შე გათახსირებულო, ვითომ მეშვიდე შვილიშვილი გყოლია!

— შენ ვინა გკითხავს, შე სალახანავ! — თმაში ებღღვნა ისიც.

რაო, ჩვენს ენძელას ჩაგრავენ, თანაც ამ დილით დახვეული თმა აუწეწესო?! — სამივე დამკვრელი ერთდროულად ეცა და რაკი თმაში ხელის ჩასავლები ადგილი ვეღარ მოუძებნეს, ერთმა ყურები დაიხელთა, მეორემ კაბის საყელო დაითრია, მესამემ კიდევ აბერკოტი ამოჰკრა ცხვირპირში. სხვანაირად არც შეიძლებოდა და, ცოლს ქმარი მიეშველა, მაგრამ ამ წივილ-კივილსა და ბრაგა-ბრუგში ფხიზელ თვალს არ გამოპარვია დასარტყმელად მოქნეული მისი ვეება მუშტი და, ვიდრე ის მუშტი ადრესატს მონახავდა, ნუგზარ ცხვარიაშვილმა მარჯვნიდან დაუნიავა, პაატა ჩეფიჩაშვილმა — მარცხნიდან და ცხვირიდან ორტოტად ჩამოუმღერეს სისხლი.

— რა ხდება აქ! — იყვირა მოსამართლემ, — ახლავე სახანძრო რაზმს გამოვუძახებ!

ემანდ არ გადათქერონო, შალალომ ბერიკაცი აიყვანა ხელში, მოსამართლის კაბინეტისკენ გააქანა და სავარძელში ჩასვა.

— რა ამბავია! — მაგიდას მუშტი დასცხო მოსამართლემ, მაგრამ მისი ხმა სასამართლოს მდივნის მეტს არავის გაუგია, იმანაც იმიტომ გაიგო, რომ მიჩვეული ჰქონდა ყური და აკი კალამსაც დაუწყო ძებნა ოქმში შესატანად.

— შე ძუკნავ! — გამეტებით სცემს ზიზილა.

— შე ქოფაკთან ნაწოლო! — მკლავს უგრეხავს ენძელა.

—შე ძუძუძაღლო! — თმით ითრევს ია.

---

კარლო კობერიძე
ცხენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შე დედ-მამა აძაღლებულო! — სკამის ფეხს უმარჯვებს ნარგიზა.

მოშორებით კიდევ მისი ღირსეული მეუღლე წაუდღავებიათ პირქვე და წიხლითა სდგებიან.

წივილ-კივილი, გინება, ოხვრა, ბუხუნი, სიცილი და სკამების ჭრიალი ერთმანეთშია არეული.

— გაჩერდით! — უკვე ხმა ჩაეხლიჩა მოსამართლეს.

და მაშინ ზაზამ მოკლე ბრძანება გასცა:

— მორჩით ბაზარს!

როგორც მოგეხსენებათ, მამაკაცები უფრო მშიშრები არიან და არა ვითომდამთმობნი, ამიტომ ჯერ მამაკაცები დაშოშმინდნენ. მაგრამ განსაკუთრებით ქალების გაშველებაზე დაადგათ ჯაფა. უსაშველო არაფერია ამ ქვეყანაზე და ამასაც, ასე იყო თუ ისე, დაადგა საშველი.

— გიჩივლებთ! — იმუქრება ბერიკაცის თმაგაწეწილი, კაბაშემოხეული, ცხვირპირდალილავებული რძალი.

— ამოგხოცავთ! — იმუქრება ბერიკაცის ბიჭი და სისხლით მოთხვრილ, ჩალეწილ თავ-პირზე ხელს ისვამს.

დამკვრელები ერთბაშად დაწყნარდნენ.

— მაინც რა მოხდა? — იკითხა გაბრაზებულმა მოსამართლემ.

— აუგად მოგიხსენიათ, პატივცემულო, — უპასუხა ზიზილამ და მოსამართლეც გააცინა.

— სიმართლე, სიმართლე თქვით!

— ამ კაცმა მცემა, —ლონგომ თითი გაიშვირა ბერიკაცის შვილისკენ. სიცილმა ისევ აავსო დარბაზი.

— მჯერა, მაგრამ მაგას ვინღა სცემა?

— მე რომ მცემა, მარტო ის ვიცი.

აქ წყევლა-გინება აკრძალულიაო და, ბერიკაცის რძალ-შვილი ფართო ასპარეზზე — გარეთ მიაბრძანა სასამართლოს მდივანმა.

— თქვით, თქვით, ნუ გეშინიათ!

დარბაზი გაისუსა.

— არ ამხელთ და მაინც გეტყვით: პირველმა ვინც დაარტყა იმ [illegible], ცხოვრებაა და, თუ ჩემს ხელში ჩავარდება, როგორი დამნაშავეც უნდა იყოს, ორ წელს სიამოვნებით მოვუჭრი ჩემს ანგარიშზე.

— ჰოდა, ჩვენც მაშინ გეტყვით, — თქვა შალალომ და ნარგიზა ჯიხვაძეს ამოეფარა.

— კარგი, ასე იყოს! თქვენ ვინღა ხართ?

— ჩვენ, პატივცემულო, „ჟიგულისა“ და ცხენის თაობაზე გეახელით, — მოახსენა ზაზამ.

— თხუთმეტ წუთში დავიწყებთ. მანამდე, გთხოვთ დატოვოთ დარბაზი...

ზაზამ კედელზე მიტყაპნილ ქაღალდს შეხედა. გაჩერდა, ბატიფეხურით წაჯღაბნილი ამოიკითხა და შალალოს თვალით ანიშნა, აქეთ მოდექიო.

— ამას ხედავ?

— სათვალე შინ დამრჩა და შენ წაიკითხე.

წაუკითხა:

— „18 სექტემბერი: სახალხო მოსამართლე თიკანაძე, სახალხო მსაჯულები: სერგო კურდღელაშვილი და მანანა ვეფხვიშვილი“... რას იტყვი ამ შემადგენლობაზე? ხომ არ აჯობებს, ვურჩიოთ. აცილება მისცენ ჩვენდამი მონიჭებული ჰუმანურობისა და სამართლიანობის უფლების ნიადაგზე?

— გაგებული მოსამართლეა, რას ერჩი?

— ეე, ეს უცნობი მსაჯულები? — ზაზამ თითი დაადო გვარებს, — მაგალითად, ჩემთვის, საიდუმლოებით მოცულია მათი, არამცთუ თანამდებობა, შენ წარმოიდგინე, სადაურობაც კი!

— ორივეს ვიცნობ, — თქვა შალალომ და გარეთ გაიხედა, — ქალი ჭალაურელი მწველავია, კაცი — მინდვრისციხელი მეძროხე... ნეტა, სად მიდის! — წამოიძახა და ეზოში გავარდა.
— სად მიხვალ ბესო? საცაა დაიწყება და ეხლა საითმე წასვლის დროღაა?!

ბესომ გვერდებშეჭყლეტილი ვედრო მეორე ხელში გადაიტანა, გაჩერდა:

— სულ ამოშრეტილა ბენზინი და,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მივდგებ-მოვდგები, იქნებ იმდენი მაინც ვიშოვნო, ჩამოსასხმელამდე მიმაღოღიალოს.

— წადი და მალე მოდი.

წავიდა და მალეც მოვიდა, ძლივს გაარღვია ცრუაკაციის ჩრდილში შეგროვილი, აყაყანებული ხალხი, ვედრო მანქანის კაპოტზე დადგა და ჩახედა:

— რამდენი ლიტრი იქნება? — ჰკითხა თავის ყველაზე ერთგულ მოწმეს — შალალოს.

შალალომ აიღო ვედრო, შეაქანა, მერე ისევ კაპოტზე დადგა, ტუჩი აიბზუა და ფიქრიანად თქვა:

— სამი.

— მეც ეგრე მგონია! იმას კი ვუთხარი, ძირი ძლივს დაემალა-მეთქი, — საბარგულიდან ძაბრი გამოიღო, — საწყალი ვიღაცა იყო, მენდო და დამიჯერა!

— მომეცი, — ხელი გაუწოდა შალალომ, — მე ჩავასხამ. შენ გავარდი — ადვოკატი გეძახის.

ბესო რომ წაძუნძულდა, ზაზამ რაღაც ვაგლახად წაბლასკენ გაიხედა: ცხენმა უკანა ფეხები განზე გადგა, მუხლები მოხარა, გავა ჩაიზნიქა და თავი ასწია.

— ჩქარა, შალალო, ჩქარა! — დაიყვირა და ყველანი იქით მიახედა.

შალალოს ძაბრს დამიზნებული ვედრო ჰაერში გაუშეშდა:

— რა გინდა, ბიჭო?!

— არიქა, გაქანდი ცხენთან და ვედროც გააქანე!

მიხვდა შალალო, რაღაც ხდებოდა, ცხენისკენ გასხლტა წახრილი, გზაც დროზე დაუგდეს და მიასწრო კიდევაც — ვედრო შეუდგა:

— მიდი, წაბლავ, მიდი!.. ჰო-ჰო-ჰო-ჰო, რა ბარაქიანად მოთქრიალებს? — ადგილზევე ხტის შალალო და სიცილით ფერდებს ატკიებს ხალხს, — გენაცვალე ხელგაშლილობაში, მუქთაა და ხარისხიანი!

ვედროში ორიოდე ლიტრი ჩაუმატა წაბლამ და მერე დაკეტა ონკანი.

შალალო დაიხარა, ვედრო გამოიღო, გადმოდგა და ცხენს კისერზე მოუთათუნა ხელი:

— შენ კი გენაცვალე, გულში ჩახვევა რომ არ იცი! სხვა იტყოდა, პატრონს მიბოროტებსო და შაბიამნით დალაქავებული შარვლის გასაწმენდად, ერთი ჭიქა ეთხოვა, იმასაც კი დაუჭერდა! — ვედრო აიღო და მანქანისკენ გაკუნტრუშდა, — რა ქაფი დაიყენა, კაცო, რა ფერი დაიდო!.. მთლად ახალი გამოგონებაა, ტოლიატამდე ეყოფა!.. გაიწით, ჩავასხა!

ზოგ-ზოგებს ეგონათ, ხუმრობსო, არადა, მართლა არ ჩაასხა?!

— ესეც ეგრე! — ვედრო და ძაბრი საბარგულში ჩადო და ღიმილი მოიშორა, — ბესო მობრძანდება!

სხვებმაც მოიშორეს ღიმილი.

— ჩაასხი? — ჰკითხა ბესომ.

— მა, რას ვიზამდი? ვედრო და ძაბრიც დავაბინავე. იქ როგორღაა საქმე?

— მდივანმა დამაბარა, მოწმეები შემოვიდნენო.

— ბრალმდებელი და ბრალდებული არაო?

— ვიყავით უკვე, — საბარგული გაალო და ჩაიხედა, — მადლობელი ვარ.

— მადლობის მაშინვე თქმა უხერხული მგონია! შენი არ ვიცი და, მე ეგრე მგონია!..

ვინაიდან იმ დღეს სასამართლო რატომღაც დიდად გადაიტვირთა ანუ: გეგმის მიხედვით ოთხი სხვა საქმეც უნდა გაერჩიათ, ამიტომ კანონის მცირეოდენი გადახრა დაუშვეს შინაურულად — ის, რაც წესით, პროცესის მიმდინარეობისას უნდა გამოეკითხათ, წინასწარ გამოჰკითხეს და ამით დრო მოიგეს.

ზაზამ თავისი გვარი, სახელი, მამის სახელი, დაბადების წელი, თვე და რიცხვი, ოჯახური მდგომარეობა, ცოდნა-განათლება, სამსახური, ეროვნება და სქესი რომ უკარნახა სასამართლოს

ლამაზ მდივანს, მერე უთხრა ვალმოხდილი კაცის სიმშვიდით:

— უკაცრავად, ქალიშვილო, სამი შვილი მყავს და, იქნებ ამისი შეტანაც საჭიროა? თქვენი სახელი მიბოძეთ.

— ვენერა... ხომ ჩამაწერინეთ, ცოლი არ მყავსო?! — გაოცდა მდივანი.

— პირველი მუცელს გადაჰყვა, მეორე — გამექცა, მესამე მე თვითონ გავაგდე. თქვენც გაიგებდით, ქალბატონო ვენერა.

— ამდაგვარი რაღაც ხშირად მომისმენია.

— მოისმენდით. და კიდევ უკაცრავად, ვენერა, ვის უნდა მივმართო?

— რაზე?

— დამატებითი მოწმე მოგართვით.

— აუცილებელია?

— ნამდვილად.

— მოვიდეს.

ლონგო წარუდგინა. ყველა მოწმე გამრჯე კოლმეურნე იყო, მარტო ეს ერთი აღმოჩნდა სამსახურში ჩამდგარი — ფოსტის მოხელე.

ლონგოს დაკითხვაც მალე დამთავრდა და ზაზამ ახლა მუდარით ჰკითხა მდივანს:

— ეს საქმე რო ბესო მგელაძემ მოიგოს, რომელს დაიჭერენ, ლომიძეს თუ იმის ცხენს — წაბლას?

— რომელი ლომიძე? —დაინტერესდა მდივანი.

— ბრალდებული.

— ეს ხომ სამოქალაქო საქმეა?

— ჰოო, ეხლა მივხვდი — მოქალაქეებს არ იჭერენ! მალე დაიწყება?

მდივანმა მაჯის საათზე დაიხედა:

— უკვე დროა, დაუძახე, შემოვიდნენ, — და კარისკენ წასულ ზაზას სინანულით გააყოლა თვალი: „რა ლამაზი ბიჭი კია, ეს საცოდავი!“

დარბაზი უცებ გაივსო ხალხით.

— წყნარად! — ბრძანა ვენერამ და წამოდგა, — გთხოვთ, ფეხზე ადგეთ — სასამართლო მოდის!

ადგნენ.

კარი გაიღო. გამოჩნდნენ, შემოვიდნენ, დასხდნენ: მოსამართლის მარცხენივ — ქალი, მარჯვნივ — კაცი.

გთხოვთ დასხდეთ.

დასხდნენ.

სცენის დაბლა, ჩაღრმავებულში, მონჯღრეულ მაგიდასთან ბესოს ადვოკატი იური ლეკვეიშვილი ზის და, იქვე ერთი არშინის დაშორებით — აბრიას ადვოკატი ოლეგ კრავეიშვილი წამოპწკალულა. იმის ნაცვლად, რომ უბღვერდნენ ერთმანეთს, რაღაც ძმაკაცურად კი ეღიმებათ.

— ყველანი აქ არიან? — იკითხა მოსამართლემ და დარბაზს თვალი მოავლო.

— დიახ, — თქვა მდივანმა და თვითონაც დარბაზს გადახედა.

— მაშ, დავიწყოთ, — საქაღალდე გახსნა და თავი ასწია, — ხელი მოაწერეს?

— დამავიწყდა, — შეწუხდა ვენერა, — ახლავე! — წამოდგა, — მოწმეები მობრძანდით!.. ეს როგორ დამემართა?!

— ფურცლები აშრიალა.

ყველამ რიგრიგობით მოაწერა ხელი, მერე ზაზასაც მიაწოდა კალამი:

— აი, აქ მოაწერე.

— აბა სად?

— აი, აქ, — თითი დაუდო, — გარკვევით მოაწერე.

ის-ის იყო, კვალი უნდა გაევლო, და გადაიფიქრა კი — პირდაბჩენილი მიაშტერდა მდივანს:

— რაზე ვაწერ ხელს?!

— საბუთია.

— რა საბუთია?!

მდივანმა მოსამართლისკენ გააპარა თვალი.

მოსამართლემ თავი დაუქნია, თან ნელა დახუჭა თვალები და ნელა გაახილა.

— ხომ მოწმე ხარ? — ჰკითხა ვენერამ.

— ნამდვილად!

— აქ, აი, რა წერია: თუ სიმართლე არ თქვით, ესე იგი, თუ იცრუეთ, კანონი მკაცრად დაგსჯით. გაიგეთ?

— მშვენივრად!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ახლა მოაწერეთ ხელი.

— არ მოვაწერ, — თქვა ზაზამ და, კალამი ფრთხილად დადო მაგიდაზე და, ემანდ არ დაგორდესო, დაქანების მხრიდან მდივნის გაბერილი საქაღალდე მიადო.

— იქნებ ნათლად ვერ აგიხსენით? — გაუღიმა ვენერამ.

— როგორც მითხარი, მეც ისე გავიგე: თუ სიმართლეს იტყვი, ხომ კარგი, იცრუებ და ჩაგაყუდებთო. დიდებული აზრია, განა ცუდია, სხვანაირად ვითომ არც უნდა იყოს, მაგრამ, რა დაგიშავეთ, ეგრე უნამუსოდ რომ მლანძღავთ? თქვე დალოცვილებო, სად გაიგეთ, ვინ გითხრათ, რომელმა ჩიტმა მოგიტანათ ამბავი და რომელმა ხვლიკმა, ზაზამ ტყუილი იცისო? ამ პატიოსან კაცს არ მენდობით და მეტი გალანძღვა გაგონილა?.. ყველა ერთნაირი როგორ ვიქნებით, კაცო?! ეს სადაურია, კაცო: არასოდეს გინახივარ, არ შეგხვედრივარ, ჩემი არსებობაც არ გაგიგია, ერთი სიტყვით, — არ მიცნობთ და მემუქრებით კი, არ გაგვაცურო, თორემ დედას გიტირებო! ბახალები არა ჰგვანან ერთმანეთს და ჩვენ ხომ ადამიანები ვართ?! არა გრცხვენიან, ქალო, ამაზე უნდა მომაწერინო ხელი? — ფურცელი აიღო და ცხვირწინ აუფრიალა, — ხელი მოვაწერო და ჩემი გაბითურება დავადასტურო, ქალო? ადვილი ასატანია, ქალო, ალალ-მართალ კაცს უთხრა, თუ იცრუე, ვირის აბანოში გამოგკეტავო? ერთიც ვნახოთ, არასოდეს უკადრებია ტყუილი, ხომ თოკში გაუყრის თავსა? ლანძღვა და ეგეთი?! დაუფიქრებლობა და ამისთანა?! გაუგებრობა და ამდენი?!

— მოითმინე! — ზარი ააწკრიალა მოსამართლემ, — შენ ვინ მოგცა უფლება სასამართლოს გაკრიტიკებისა!

— სახალხო გამოგრჩათ, პატივცემულო?

— შენს სიმართლეს არავინ გედავება, წესია და უნდა მოაწერო ხელი!

— თუ ნამდვილად არავინ მედავება და თანაც წესია, ამაზე ადვილი რაღაა? — ზაზამ ხელი მოაწერა გაფრთხილების ფურცელს, დარბაზისკენ შეტრიალდა და შალალოს თვალი ჩაუკრა.

გასუსული დარბაზი ახმაურდა.

მოსამართლემ საქაღალდე თავისკენ მისწია, ხმადაბლა დაიწყო:

— ამა წლის თვრამეტ აგვისტოს, სოფელ...

— არ გვესმის! ცოტა ხმამაღლა! — დაუძახა ზიზილამ.

მოსამართლემ ყურადღება არ მიაქცია — კითხვა განაგრძო, მაგრამ ხმაურში ვერაფერი გაიგონე! და ახლა ნარგიზა აიფოფრა:

— თუ თქვენთვის წაიკითხავდით, რთველს რაღად მოგვაცდინეთ?

—ერთმანეთი დააწყნარეთ და გაიგებთ! — ხმამაღლა უბრჩია მოსამართლემ, კითხვა კი ხმადაბლა განაგრძო.

ერთმანეთის დაწყნარება მოინდომეს და უარესად ახმაურდნენ. ბოლოს ზარმა ჩამოაგდო დუმილი.

— დაახლოებით საღამოს ცხრა საათზე, ზემორე ხსენებული მოქალაქის აბრია ლომიძის კერძო მფლობელობაში მყოფმა ცხენმა, წაბლამ წიხლი მიარტყა — მოსამართლემ ქაღალდზე დაფარენილ ბუზს ხელი აუქნია, თვალი გააყოლა და მერე დაუბრუნდა გაწყვეტილ წინადადებას, — წაბლამ წიხლი მიარტყა ზემორე ხსენებული მოქალაქის ბესო მგელაძის კერძო მფლობელობაში მყოფ „ქიგულს“. მოქალაქე აბრია ლომიძე არ უარყოფს მისი ცხენის მიერ ჩადენილ დანაშაულს, მაგრამ დაბეჯითებით აცხადებს უარს მასზედ, რომ დაზარალებულს მარჯვენა უკანა კარი უყიდოს, ხმარებაში მიუღებელის, დაზიანებულის ნაცვლად, — მოსამართლემ ქაღალდი გვერდზე გადადო, — ბრალდებულო ლომიძე, რაიმე მიზეზით აცილებას ხომ არ მოითხოვ სასამართლოს ამ შემადგენლობაზე?

— არა. — თქვა აბრიამ და წამოდგა.

— დაჯექი. შენა, ბრალმდებელო მგელაძე?

---

ᲙᲐᲠᲚᲝ ᲙᲝᲑᲔᲠᲘᲫᲔ

ᲪᲮᲔᲜᲘ

— არ ვაპირებ, — ჯერ წამოდგა და მერე თქვა.

— დაჯექი... მაშასადამე, სასამართლო უფლებამოსილია საქმის გასარჩევად. მოწმეებს ვთხოვთ, დარბაზი დატოვონ.

—ბრალმდებელო მგელაძე, გამოდი და სასამართლოს მოახსენე, რა როგორ მოხდა.

ბესო გავიდა და წინ დაუდგა მოსამართლეს.

მოსამართლე — დაიწყე.

ბესო — თვრამეტ აგვისტოს...

მოსამართლე — რომელი წლის თვრამეტ აგვისტოს?

ბესო — წინა თვესა.

მოსამართლე — ყველაფერი ზუსტად უნდა თქვათ!

ბესო — ზუსტად მოგახსენებთ თვრამეტი აგვისტოს საღამოა, ბინდბუნდი. ვენახიდან ორღობეში მოვდივარ, ჩემი „ჟიგულით“ და, ვხედავ...

მოსამართლე, — მაგ დროს საქმე ალარაფერია ვენახში და იქ რაღა გინდოდა?

ხმა დარბაზიდან — ტელევიზორს უყურებდა!

სიცილი, კისკისი, ხითხითი, ხორხოცი, ხვიხვინი, ღრეჭა.

მოსამართლე — წყნარად!

ბესო — დასახედად ჩავიარე.

მოსამართლე — განაგრძე.

ბესო — იმას ვამბობდი: თვრამეტი აგვისტოს საღამოა, ბინდბუნდი, შუქფარებს ვანთებ, ორღობეში გამოვდივარ და ვხედავ: ჩემი მეზობლის, აბრია ლომიძის ცხენი — წაბლა გრძელი თოკით აბია ფურცელზე და იმ ფურცლის იმ ყლორტებს ჭამს, რომელიც მერმის მსუქან ფოთოლს მოისხამდა უეჭველად. ეს კი, პატივცემულო მოსამართლენო, დიდი ზარალია აბრეშუმის ჭიისათვის. ამას, ისე, სიტყვაზე ვამბობ, იმიტომ კი არა, ოქმში შეიტანოთ და მილიციას აცნობოთ... ჰოდა, ვხედავ: წაბლას, რაც იმ ჩაყოლებაზე ფურცელია, მთლად გადაუკორტნია, რითაც ზარე ორას გრამ მურს ვაქცევდით პირველხარისხოვან პარკისმკეთებელ აბრეშუმის ჭიად.

ბიბლიოთეკა

ხმა დარბაზიდან — სამაგიეროდ ცახის ეკონომია იქნება, ტყეები დაგვეზოგება!

მოსამართლე ზარს აწკრიალებს.

ბესო — შენც ტყეს ნუ მიადგები, გადი მინდორში, გვირილა დაგლიჯე, შეკარი და ის შეუდგი!

პირველი ხმა დარბაზიდან — სადღაა ან მინდორი, ან — გვირილა: ლიხს იქით ჩაიმ შეგვჭამა, ლიხს აქეთ — უბედურად გამეჩხერებულმა ვენახებმა!

მეორე ხმა — ან ტყე სადღაა, რაღას უნდა მიადგეს!

მესამე ხმა — ეგ ბოლო სათქმელი უფრო ჩვენი შვილებისაა!

მოსამართლე (წამოდგება) — სალაყბოზე ხომ არ გგონიათ თავი? (ბესოს) შემდეგ? (გაბრაზებული) — უყურე ამას! (დაჯდება).

ბესო — შემდეგ, პატივცემულო მოსამართლენო, ვხედავ: ცხენმა დამინახა და ცოცხალ ღობეს აეკრა. მაშინ კი, ჩავლილი ამბავია და, რო არ დაგიმალოთ, უცნაურად გადამიქანდა გული — რაღაც არ მომეწონა მისი ყოფაქცევა, ნაღდად წიხლს გამომიქანებს-მეთქი. ღობისკენ მივღრიჯე...

მოსამართლე — რომელი ღობისკენ?

ბესო — მოპირდაპირე ღობისკენ.

მოსამართლე — ცხენის მოპირდაპირე ღობისკენ თუ მანქანისა?

ბესო — ცხენისა. ჰოდა, ღობისკენ მივღრიჯე, სიჩქარეს მოვუმატე, იქნებ გავასწრო-მეთქი. არ გამოვიდა! გამომიქანა წიხლი და, ნეტა, ერთი, გაჩვენათ, როგორ გამიოხრა მანქანის მარჯვენა უკანა კარი! ასე იყო.

მოსამართლე — მერე?

ბესო — მეტი რაღა მერე, ჭირადაც მეყო და ლხინადაც!

ხმა დარბაზიდან — ნიკა ქურციკიძეს ქვები რომ დაუშინე, მანდა ხარ და ბარემ ისიც მიაყოლე!

მოსამართლე — სწორი შენიშვნაა!

ბესო — ისეთი ჭახანი გაისმა, ისეთი მურტალი, ქუდი გადამვარდა თავიდან!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გავერიდე — წინ მივაყენე მანქანა, გავაჩერე, გადმოველ და ვხედავ: იგრე მიუბეჭდია ნალი, წყალი მიასხა — ჩაგუბდება! ან იგრე ღონივრად როგორ მიარტყა, ან კიდევ — ფეხი როგორღა გამოაძრო, აემაზე უფრო სხვა აღარაფერი გამკვირვებია! მერე, პატივცემულო მოსამართლენო, ჩემს ადგილზე რა ელდაც თქვენ დაგეტაკებოდათ, აკი მეც ის დამეტაკა: გადავირიე, გადავირიე, რო... აბა, როგორ გითხრათ! ქვას დავტაცე ხელი, მინდოდა, იგრე დამეტრიალებინა ცხენისათვის, იქავე აეტეხა ფეხების ფხლაკუნი, მაგრამ, გაქეზებული იყო თუ როგორც იყო, შეიხვიხვინა, შეიფუნდრუკა, აიწყვიტა და დაეშვა თავქვე! გითხარით, ჯავრით გადავირიე-მეთქი და, რო არ მოგატყუოთ, ავიკრიფე ფეხები და დავედევნე. ცხენია, რას დავეწეოდი? ვერც დავეწიე. ვერ დავეწიე და, ქვა ვესროლე, მაგრამ ის ქვა, შემთხვევით, პატივცემულო მოსამართლენო, ნამდვილად შემთხვევით, ნიკა ქურციკიძის კრამიტებიან ქოხს არ დაეცა?! შევწუხდი, შევწუხდი, თავი არ მომიკვდეს, ვიფიქრე, ნეტა ჩემს მანქანას დასცემოდა-მეთქი!

აბრია ლომიძის დამცველი ოლეგ კრავეიშვილი (წამოდგება) — ესე იგი, ქოხს ქვა შემთხვევით დაეცა, ხომ?

ბესო — დიახ, შემთხვევით.

კრავეიშვილი (მდივანს) — გთხოვთ, ჩასწეროთ: მომჩივანი აცხადებს, ქოხს ქვა შემთხვევით დაეცაო.

მოსამართლე (დამცველს) — სხვა შეკითხვა ხომ არაფერი გაქვთ?

კრავეიშვილი — ჯერჯერობით — არა.

მოსამართლე — დაჯექი... მომჩივანო მგელაძე, წინასწარ მიცემულ ჩვენებაში და შემდეგაც, დაბეჯითებით ირწმუნები, რაც შავით თეთრზე დასწერე კიდევაც, თითქოს შენს მანქანას წიხლი იმიტომ მიარტყა წაბლამ, რომ მის პატრონთან ამ საუკუნის ოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული მტრულ ურთიერთობაში იმყოფები, ანუ ამიტომ (მოსამართლეთ ქაღალდებში იქექება), ჩემო ბატონო, ჰო, ცხენი გაქეზებული იყოო. საინტერესოა, რითი ამტკიცებ, ასე ვთქვათ, ამ მოულოდნელობას, ამ უცნაურობას?

ბესო — ნამდვილადაც ეგრე იყო!

მოსამართლე — თქმა ადვილია, მაგრამ რითი ამტკიცებ, რა საბუთით?

ბესო — მთელი სოფელი ამაზე არ ლაპარაკობს?

მოსამართლე — მაგალითად, ვინ ლაპარაკობს?

ბესო — ვინა და, ნადირაძე.

მოსამართლე — შემოვიდეს მოწმე ნადირაძე.

სალაყბოს პროფკომი ზაზა ნადირაძე ფეხაკრეფით შედის, თავის დაკვრით მიესალმება დარბაზს, სასამართლოსაც, მერე გაჩერდება და ყბადაღებული მიაჩერდება ლამაზ მდივანს.

მოსამართლე — მოქალაქე ნადირაძე, შენ ამტკიცებ, რომ ბრალდებულ აბრია ლომიძის ცხენი გაქეზებული იყო?

ზაზა ისევ დაჟინებით მისჩერებია ვენერას. ვენერა წითლდება, უხერხულად იშმუშნება. დარბაზში სიცილ-ქირქილია.

მოსამართლე (გაბრაზებული) — მოქალაქე ნადირაძე!

ზაზა — ბატონო (თავს კი მიაბრუნებს მოსამართლისაკენ, მაგრამ დაელმებული თვალები მაინც მდივნისკენ გაურბის).

მოსამართლე — აქეთ იყურე!.. შენ ამტკიცებ, რომ მოქალაქე ლომიძემ ცხენი გააქეზა?

ზაზა — დიახ.

დარბაზში ხმაური მატულობს.

მოსამართლე — წყნარად! რით გამოიხატება ეს გაქეზება?

ზაზა — მაშ, ამ მანქანების ოხრობაში რაღა მაინცდამაინც ბესოს ცხენს გაუქანა წიხლი? — თან ისევ მდივანს მისჩერებია. მდივანი უფრო მორცხვობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსამართლე —მაგას ამტკიცებ თუ ისე ამბობ? აქეთ იყურე!

ზაზა — ისე ვამბობ, სიტყვაზე.

ბესო — სალაყბოზე არ ჭიკჭიკებდი, დავამტკიცებო?

ზაზა — შენა, ლენცოფა ხო არ გიჭამია? იქ იმასაც ვამტკიცებდი, კარტერი ჩემი ძმაკაცია-მეთქი და, შენ რომ შტერი იყო და დამიჯერო, რა ჩემი ბრალია? გიჟია?! (ხელებს შლის და ისევ მდივანს მიშტერებია).

მოსამართლე — წესიერად ილაპარაკე, ამხანაგო ნადირაძე!

ზაზა — წესიერად, კულტურულად, თავაზიანად მოლაპარაკესი არაფერი ეყურება და, მაშ, რა ვქნა? ხო ეგრეა, ამხანაგო ვენერა? — ეკითხება მდივანს.

მოსამართლე (ბესოს) — კაცმა შეიძლება ძაღლი გააქეზოს, მაგრამ ცხენი?.. (თავს გააქნევს) აჰ, ამას ვერავინ დამაჯერებს!

ბესო — მაშინ ცირკში არ ყოფილხარ და ეგ არის!

მოსამართლე — ცირკშიც ვყოფილვარ და მუსკომედიაშიც, ჩემი სტუდენტობა თითქმის იქ გამიტარებია! ის სხვა ამბავია, იმ წვრთნას, ბრალმდებელო მგელაძე, მეცნიერული საწყისები და პედაგოგიური მეთოდები უდევს საფუძვლად, რაც მიწისმოყვარე გლეხკაცისთვის ნამეტანი უცხოა!.. მოწმე ნადირაძე, რას იტყვი ამ ინცინდენტის თაობაზე?.. სხვათა შორის, ბრალმდებელო მგელაძე, ადამიანის შეურაცხყოფას არავინ გაპატიებს... ისე ჩათვალე, ვითომ არ გამიგია, აი, ჩემი მდგომარეობის წყალობით.

ზაზა — ამ გაუგებრობის თაობაზე იმას გეტყვი, რომ აბრია ლომიძის ცხენმა ნამდვილად მიარტყა წიხლი ბესო მგელაძის „ჟიგულს“, რაც პირადად მე ალალი და უსაყვედურო მგონია.

მოსამართლე — იქ იყავი?

ზაზა — არა, მაგრამ ასე იყო.

მოსამართლე — თუ იქ არ ყოფილხარ, ან საიდან იცი, ან მოწმედ რაღად ჩაეწერე?

ზაზა — მე ვინა მკითხა?.. ცირკში ვყოფილვარ და ავიჩემო, ეგეთი ქალაქი არ არსებობს-მეთქი? (მდივანს დაადგება თავზე — ოქმში იხედება).

მოსამართლე — დაჯექი... ბრალმდებელო მგელაძე, შენც დაჯექი... აბა, რას იტყვით, ბრალდებულო ლომიძე?

აბრია წამოდგება და წინ დაუდგება მოსამართლეს.

მოსამართლე — (ზაზას) დაჯექი.

ზაზა — ეგრე დგომა მირჩევნია.

მოსამართლე — (გაბრაზებული) — დაეგდე!

ზაზა დარბაზისკენ შეტრიალდება, მხრები უკანკალებს შეკავებული სიცილით. დარბაზში მხიარულებაა.

მოსამართლე — (აბრიას) დაიწყე.

აბრია — მკითხე და გიპასუხებ.

მოსამართლე — ხომ უსმენდი მომჩივანს?

აბრია — არა.

მოსამართლე — (გაოცებული) აგერ არ იჯექი?!

აბრია — ფიქრით სხვაგან ვიყავ... მე რომ მაგას ვუსმინო, დღეში ბარე ორჯერ მომიწევს საგიჟეთის შეწუხება.

მოსამართლე — გასაგებია. დაიწყე.

აბრია — რა დავიწყო?

მოსამართლე — იქნებ შენი ცხენი სულაც არ ყოფილა იქ?

აბრია — ჩემმა მოარტყა, აგრემც იმ მადლიან ფეხში ვენაცვალე!

მოსამართლე — იცი, რას ამბობ მაგით?

აბრია — ვიცი.

მოსამართე — მოკლედ, სადაოც არაფერი გქონია.

აბრია — წიხლი ჩემმა წაბლამ რომ მიარტყა, ემაგაზე — არა.

ბესო მგელაძის დამცველი იური ლეკვეიშვილი (წამოდგება) — მდივანს ვთხოვ, ფიქსირება უყოს შემდეგ სიტყვებს, რასაც სამართლიანი, ალალმართალი, კეთილი ბრალდებული არ უარჰყოფს: „ჟიგულს“ ნამდვილად ჩემმა ცხენმა მოარტყა წიხლიო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბრია — მე ვთქვი და თქვენ რაც გინდათ, ის უყავით.

მოსამართლე — გამოდის, რომ გასარკვევი არაფერია?

აბრია — ჩამციებია, მანქანის კარი მიყიდეო... ნელა დაუყენოს!

ბესო — სულ თამაშ-თამაშ გაყიდვინებ!

აბრია — ჰოდა, მეც იმას არ გეუბნები, ნელა დაუყენე, სადებავი არ აუქერცლო-მეთქი?

მოსამართლე — დაჯექი... მოწმე ჯორბენაძეს დაუძახეთ... მოითმინეთ! (ჯერ ერთ მსაჯულს გადახედავს) რამე შეკითხვა ხომ არა გაქვს? (მსაჯული თავს გააქნევს. ახლა მეორე მსაჯულს გადახედავს) შენ ხომ არ გაქვს შეკითხვა, ანდა ამდაგვარი რამ? (მეორე მსაჯულიც თავს გააქნევს) თუ შეკითხვა გაქვთ, ნუ მოგერიდებათ — ჰკითხეთ. და საერთოდ, უხერხულიც კია, იყო მსაჯული და სოფელზე, უკაცრავად, შეკითხვაზე არა იფიქრო. გარდა ამისა, ოქმის მრავალფეროვნებისა გამო აუცილებელია თქვენი, თუნდაც, თითო-თითო შეკითხვა... მაშ, ასე (ქაღალდში იხედება) მაშ, ასე — მოწმე ჯორბენაძე შემოვიდეს.

ჭრიალით იღება გაურკვეველი ფერის კარი და შალალო მოჩლახუნობს ღიმილით. გაოცებული მოსამართლე ხან ქაღალდს ჩასჩერებია, ხან შალალოს უყურებს. შალალო მიუახლოვდება მაგიდას და თავის დაკვრით ესალმება:

— გამარჯობათ, პატივცემულო მოსამართლენო!

დარბაზში ხითხითია.

შალალო ახლა დარბაზისკენ შეტრიალდება და უფრო მდაბლად ხრის თავს:

— გამარჯობათ, მშრომელო ამხანაგებო და ნამეტნავად — დამკვრელებო!

დარბაზში ღრიანცელია.

მოსამართლე ყურებში თითს გაიკეთებს, მერე წამოხტება და ზარს აწკრიალებს:

— ჩუმად!

ხმაური უფრო მატულობს.

მსაჯულები მშვიდად სხედან.

ლამაზი მდივანიც წამოხტება:

— ვის არ უჯერებთ, თუ იცით!

ჯიხვაძე ნარგიზა — შენ არ მოუკვდი შენს მოსამართლეს, როგორ ჩამოკლეკაბებულა!

შალალო — (ზაზას) ჰა, უთხარი რამე.

მოსამართლე — იცოდეთ, გაგყრით გარეთ!

ზაზა წამოდგება, შეტრიალდება და დარბაზს მოღუშული გადახედავს.

ბუზები ფრთებს აშრიალებენ.

მოსამართლე (ჰგონია თვითონ დააწყნარა დარბაზი) — ასე!.. ყოველთვის მინდორში კი არ უნდა გეგონოთ თავი! (შალალოს, გაოცებული) შენა, კაცო, შალალო ჩახტაური არა ხარ, ცხენების ცნობილი ქურდის შვილი?

შალალო — შოფრობა არ იცის, თორემ მანქანებს მოიპარავდა. იმას, სხვა კი არა, უფროსო, ფინანსთა მინისტრიც ვერ ასწავლის აღლეტილი, ადვილად გასასაღებელი საქონლის მაზანდას.

დარბაზში ისევ სიცილია.

ზაზაც ისევ წამოდგება.

ბუზებიც ისევ აშრიალებენ ფრთებს.

შალალო (ვითომ გაოცებული) — საიდან მიცნობთ, პატივცემულო?!

მოსამართლე — ორჯერ მყავხარ გასამართლებული.

შალალო — რაღაც არ მახსოვს? რა და რაზე?

დარბაზში გამოცოცხლებაა. უკანა რიგში ერთმანეთის გვერდით სამი ბიჭი ზის და მოურიდებლად ხარხარებს.

მოსამართლე — ერთხელ პროკურორს რომ გაუტეხე ბინა და მეორედ: ოპერაციაზე მყოფ მილიციელს ავტობუსში ბუდიდან რომ ამოარიდე იარაღი.

შალალო — მეც არა ვთქვი, საიდან მეცნობ-მეშინაურება-მეთქი? როგორა ბრძანდებით?

დარბაზი ისე ახმაურდა, ზაზაც კი ძლივს აწყნარებს.

მოსამართლე — მაშინ ჩახტაური არ იყავ?

---

კარლო კოზერიძე
ცხენი

ზაზას გვერდით ოციოდე წლის ბიჭს თავი ჩაუქინდრავს და ხვრინავს. ზაზა მთელი ძალით ჩაარტყამს თავში. ბიჭი წამოვარდება და დაფეთებული იხედება აქეთ-იქით, მერე გამოერკვევა და მშვიდად ჯდება სკამზე.

ის სამი ბიჭი ისევ მთელი ძალით ხარხარებს; მოსამართლე თითის დაქნევით იმუქრება.

მოსამართლე — შენ გეუბნები, ამხანაგო მოწმე, მაშინ ჩახტაური არ იყავ?

შალალო (კმაყოფილი) — გცოდნიათ.

მოსამართლე — ჯორბენაძე რაღაა?!

შალალო — მამაჩემმა ძალიან მურტლად გამაბრაზა და, მე კიდევ ავდექი და სიმამრის გვარზე გადაველ.

მოსამართლე — მერე, ამდენჯერ ნასამართლებ კაცს ვინ მოგცა ამისი უფლება?

შალალო — ჩემმა სიმამრმა.

ყველაზე უწინ ის სამი ბიჭი ახარხარდება.

მოსამართლე (იმ ბიჭებს) — დაგაჯარიმებთ ახლავე, ადექით!

სამივე ერთდროულად წამოდგება.

მოსამართლე (მდივანს) — ჩაიწერე მაგათი გვარები! მარცხნიდან დაიწყეთ — შენი გვარი!

— ბელიაშვილი.

— შემდეგი!

— ორბელიანი!

— შემდეგი!

— სამბელაშვილი!

მოსამართლე თითქოს გაოცებულია, თითქოს დაბნეული. დარბაზი ერთმანეთს აწყდება სიცილით.

აბრიას ადვოკატი ოლეგ კრავეიშვილი თავის მეტოქეს, ბესოს ადვოკატს იური ლეკვეიშვილს მეგობრულად ეჩურჩულება:

— მალალი, ქერა ბიჭი შენი დისწული არ არის, რამ გააორბელიანა?!

— ჩუმად, კაცო, რა გალაპარაკებს, მაგის მეტს ვერაფერს ხედავ აქა?

მოსამართლე — დასხედით და კიდევ თუ მოზვავდით უხეირო ყორესავით, მაშინ კი ნამდვილად დაგაჯარიმებთ.

მაგრამ ახლა, ამ დუმილში, ზაზას გვერდით რომ ბიჭი ზის, ის ამოუშვებს გაბმულ ხვრინვას.

გაბრაზებული ზაზა ახლა უფრო გამეტებით ჩაათვარებს თავში.

ნამძინარევი, გაეშმიშებული ბიჭი წამოვარდება და მოსამართლისკენ წაბარბაცდება — მაგიდას წააწყდება, შეხედავს მოსამართლეს, გამოქანდება უკან, დაჯდება თავის სკამზე და ფეხს ფეხზე შემოიდებს.

მოსამართლე — რატომ სცემ, რომ სცემ! თანაც აქ, სამართლისა და ამდენი მოწმეს თვალწინ, წარმოგიდგენიათ?!

ზაზა — კაკლის გრილოში იყოს, ვინ ოხერი წაუთაქებდა!

მოსამართლე (ბიჭს) — რომ გამწარებს, შე მამაძაღლო, ხმას ვერ ამოიღებ? რა გვარი ხარ?

ბიჭი (მორიდებით) — ჯორთმენაძე.

მოსამართლე — ჰმ?! გვარი კი გიწყობს ხელს, ხომ იცი!.. დაწყნარდით, ხალხნო!.. (შალალოს) რა იცი ამ საქმის ირგვლივ?

შალალო — აბრიას ცხენმა წიხლი მიარტყა ბესოს „ჟიგულს“, მაგრამ კარგად ვერ მიარტყა.

მოსამართლე — კარგად მირტყმა რაღაა, ამიხსენი!

შალალო — კარგად მირტყმა ის იქნებოდა, ისე გაეკრა, ეფრინა, ეფრინა, და გაღმა, ერთი მელვინე რომ მეგულება, ცოტა უფრო ძვირად ღირებულ იმის მანქანას დასცემოდა და გაებრტყელებინა!

მოსამართლე — რა დაგიშავა?

შალალო — რაღა გამითეთრა?.. როგორ არა ვთქვა, კაცო, რაღა მაინცადამაინც უფრო ფულიანი ხალხი იგებს ლატარიაში მანქანას?.. გაგისკდება გული, მა რა იქნება?

მოსამართლე — მაშასადამე, შენ ამტკიცებ, რომ ნამდვილად მოქალაქე ლომიძის ცხენმა მიარტყა წიხლი მოქალაქე მგელაძის მანქანას?

შალალო — ჰო.

მოსამართლე — დაჯექი... შემოვიდეს მოწმე დათვიაშვილი.

შემოდის ლონგო, მივა მოსამართლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგიდასთან, შეტრიალდება და დარბაზისკენ გაიღრიჯება. ზაზა ანიშნებს, მიდი, ნუ გეშინიათ.

მოსამართლე — მოქალაქე დათვიაშვილო, აქეთ იყურე და ისე მიპასუხე...

ლონგო (შეტრიალდება) — იქით უფრო ბევრნი არ არიან?

მოსამართლე (ყურადღებას არ აქცევს) — შენ თვითონ ნახე, ცხენმა „ჟიგულს“ წიხლი რომ მიარტყა?

ლონგო — პირველად არა!

მოსამართლე — აბა, მეორედაც მიარტყა?

ლონგო — მაგრად!

მოსამართლე — დაიწყე, როგორ იყო.

ლონგო — ნამდვილად წაბლას ნანალარია თუ არაო, შიგ ფეხი უნდა ჩაეყოფინებინათ, იწყინა ცხენმა და მეორედ მაშინ მიარტყა, ლამაზად მიარტყა!

მოსამართლე — სხვაც იყო ვინმე იქა?

ლონგო — ბევრნი!

მოსამართლე — კონკრეტულად?

ლონგო — ნაგავას ბიჭი — ნეხვა, ნეხვას მამა — ნაგავა, ნაგავას ბიძაშვილი — კურკლა, კურკლას ძმა — ცურცქლა, ცურცქლას ცოლიძმა — ჩონჩორიკა, ჩონჩორიკას დისწული — ყბედო, ყბედოს ნათლია — მყრალა, მყრალას მძახალი — ბოლმა, ბოლმას მეზობელი — ჩერჩეტა...

მოსამართლე — გვარებით მითხარი, გვარებით!

ლონგო — გვარებით ვერ ვიცნობ, არც სხვა ვინმე იცნობს გვარებითა და, მგონი არცა აქვთ გვარები მაგ გვარშიამოსაგველებს.

მოსამართლე — დაჯექი. ვერ უყურებ ამას?! ქურციკიძეს დაუძახეთ!.. წყნარად!.. ჰმ, ეს რა ხალხი ყოფილა კაცო, წარმოშობით იქაური ვარ და განა აზრზე ვიყავი?!.

ქურციკიძე ნიკა დარბაზს მოავლებს თვალსა, თუშურ ქუდს მოიხდის, ჯიბეში ჩაიდებს და ღიმილით ამბობს:

— ხალხნო, იქნებ თათარი დაგვეცა და მდევარი დაიძახეს, ყველანი რო გამოხვეტილხართ, სოფელს პატრონი აღარ უნდა?!

— რათა ყველანი, თავკაცობა იქ არ დარჩა? — ქეჩოს იქექავს შალალო, — თანაც რაღა დროს თათრობაა?!

— ჰო, — მოსამართლის მაგიდისკენ მიდის ქურციკიძე, — ეხლა თავმჯდომარეობაა და სავსე მამულებს ეხლა უფრო არ მოსცილდება თვალ-ყური. ისე მალაპარაკებთ, ვითომ ჩემზე კარგად არ მოგეხსენებათ! (მოსამართლეს) ვიცი, რასაცა მკითხავთ და, რახან სიცხემ შემაღონა, ბარემ დავიწყებ, მოვრჩები და დროით წავალ შინა.

მოსამართლე — ბრძანეთ.

ქურციკიძე — მგელაძის „ჟიგულს“ ლომიძის ცხენმა გაუჭახუნა წიხლი.

მოსამართლე — მერე?

ქურციკიძე — მერე, კარი მიუჭეჭყა.

მოსამართლე — შენი თვალით მოიხილე?

ქურციკიძე — ხმა გავიგონე.

მოსამართლე — ლომიძე კი მაინც ჯიუტობს, კარს არ ვუყიდიო.

ქურციკიძე — ფულს მოგცემ და შენ იყიდეო.

მოსამართლე — რომ არ იშოვებაო?

ქურციკიძე — ბაზარ-ბაზარ გაცვეთილი კაცი თუ ვერ იშოვის, ვენახის გზაზე დაბერებულმა კაცმა როგორღა უნდა იშოვოს?.. მოსამართლე ბრძანდებით და ჩემგან არ უნდა გესწავლებოდეთ ეს კვირტის გაღვიძებასავით მთლად უბრალო ამბავი.

მოსამართლე — კანონში ასეც სწერია და ისეც!

ქურციკიძე — შენც ადექი და ის ამოარჩიე, რომელიცა რომა პატიოსან გლეხს მიესადაგება!

ბესო მგელაძე (წამოვარდება) — მე რატო აღარა ვარ პატიოსანი!

ქურციკიძე (თავს მიაბრუნებს უკან) — ღმერთმა რო არ გიცის!.. სოფელს ეჯავრები! მარტო მე მეჯავრებოდე, ვი-

ფიქრებდი, თვითონა ვარ უვარგისი-მეთქი! შენი ამბავი რო მომეხსენება, ჩემს სიტყვებს უამბოდ არ დატოვებ და, რადა სახვალიოდ გადავდოთ: აეს ჩვენა, აეს — სასამართლო, ბარემ აქავე მიჩივლე! ჯიშჩაოხრებული ხარ, ქურდი, ყიამყრალი, მაბეზღარა!.. მეტი რაღა გინდა — ამდენ საბაბს გაძლევ ამდენ ხალხში!

მგელაძე — ხომ უსმენთ, პატივცემულო მოსამართლენო?

ია ბუღაძე — ჩვენც ვუსმენთ!

მოსამართლე (ქურციკიძეს) — აქ შეურაცხყოფის ადგილი არ არის!

ქურციკიძე — რა გაბიაბრუება, რას ბრძანებთ — სიმართლეა, ნაღდი სიმართლე! აბა, ჰკითხე, რაზე აგინა ან ვერძაძე თომა, ან ხარაძე ბარნაბა, ან მელაშვილი ვანო, ან ვეშაპიძე ფიდო?.. გარდუკეტა კაცია, მუტრუკი და თანაც უპურმარილო! თუ ვინმე ცოტა პატივს მაინცა სცემს, ისევ მაგის სახლობის ხათრით! ვერ დავმალავ, არც ის არის გულზე დასახატი, არჯალია, არჯალი, სიტყვით ვერ გამომითქვამს, მაგრამ რა შედარებაა, ამასთან ანგელოზად მოვა!..

მგელაძე — შენ თუ!..

მოსამართლე — მოითმინეთ!.. მოწმე ქურციკიძე, აქ ითქვა, რომ მგელაძემ ქვები დაგიშინათ (დარბაზს), როგორ თქვით?

ენძელა კერატიშვილი — ღამე იყო, ნიკა ,ძია ვენახის ქოხში იწვა — ეძინა, ბესო მგელაძემ კიდევ ქვები დაუშინა და კრამიტები აუმღერა.

ზაზა — შვილად ვერგები და ზუსტად თვრამეტი წელია, ერთი თვე, ორი კვირა და სამი დღე, აღარავისთვის დამიშენია ქვები!

შალალო — დღეგრძელი ხარ — მეც მაგის თქმას ვაპირებდი.

ლონგო — მე კიდევ გუშინაც დავუშინე ქვები ბურვაკაანთ კაკალს.

შალალო — დაიკარგე აქედან!

ენძელა (შალალოს) — შენ ხელი დაიდუნე, ნუ იჩქმიტები, თორემა, ჩაგაფარე მაგ გამოთაყვანებულ სიფათში!

შალალო — რატო ნუკრი არჩვაძეს არ ეუბნები ხოლმე ეგრე?

ენძელა — ის ცოლობასა მპირდება.

შალალო — მე ვეღარ დაგპირდები? მეც აკი მესამე ცოლი მყავს.

მოსამართლე — ბოლო-ბოლო, აღარ გაჩუმდებით?

შალალო — ნარგიზამ მიჩქმალა, პატივცემულო.

ლონგო — მე კიდევ ზიზილამ მაპწკინა.

მოსამართლე (სიცილით) — შენა, ნადირაძე, შენ აღარავინ მოგიფათურა ხელი?

ნადირაძე — მრცხვენია, თორემ ვიტყოდი.

მოსამართლე — თქვი, კაცო, რისა გრცხვენია?

ნადირაძე — წეღან თქვენს მდივანს, ეგე — ვენერას ცოლობაზე გადავუკარი სიტყვა და, თქვენზე თქვა, იმას დაველაპარაკოთ, ხებიო.

მოსამართლე ცერად გახედავს მდივანს. მდივანი წამოხტება, რაღაცას ამბობს, მაგრამ ხარხარში ვერავინ ვერაფერს იგებს. მერე ისევ სკამზე ჯდება — ქუთუთოები მწვანედ აქვს შეღებილი და მწვანედ იცრემლება — ლოყებზე მწვანე ცრემლი ჩამოსდის.

მოსამართლე (გაბრაზებული) — მგელაძემ მართლა დაგიშინა ქვები?

ქურციკიძე — არა, აბრიას ცხენს ესროლა და ჩემს ქოხს კი დაეცა.

მოსამართლე — მიკვირს, არ უჩივლე.

ქურციკიძე — რატომ უნდა ვუჩივლო, შემთხვევით მოხდა! მაგის მანქანასაც შემთხვევით მიარტყა ცხენმა წიხლი. იცის, განა არ იცის, მაგრამ თავისი სიბრიყვისათვის ვერ ამოუდვია ლაგამი.

მგელაძე — ტყუის, მიჩივლა!

ქურციკიძე — გეუბნები, არ მიჩივლია-მეთქი!

მგელაძე — აკი ინსპექტორმა მითხრა, გიჩივლაო?!

ქურციკიძე — ეჰ, შვილო, შენ შენი ჭკუა თუ უჭკუობა დაგცინის და სხვამაც რო დაგცინოს, ეს რაღა გასაკვირია?

მოსამართლე (ქურციკიძეს) — დაჯე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქი... ბრალმდებელო მგელაძე, საბოლოო სიტყვაში რას მოითხოვ?

მგელაძე — წანახედი უნდა ამინაზღაუროს — კარი უნდა მიყიდოს.

მოსამართლე — მეტი არაფერი?

მგელაძე — არა.

მოსამართლე — დაჯექი... შენ რას იტყვი, ბრალდებულო ლომიძე?

ლომიძე — არ ეკუთვნის, მაგრამ რამდენადაც სახელმწიფო ჰყიდის, იმდენს მივუთვლი — ერთი მთხოვარა ბარემ მეც გავიკითხო.

მოსამართლე — კიდევ თუ გსურს რაიმეს თქმა?

ლომიძე — მოვრჩი.

მოსამართლე (ჯერ ერთ მსაჯულს, მერე — მეორეს) — ხომ არაფერი გაქვთ სათქმელი?

ფიქრიანად აქნევენ თავს — არაო. არადა, ორივენი „ქიგულზე“ არიან გაჯავრებულები — შარშან ვეფხვიშვილს გოჭი გაუსრისა, კურდღელაშვილს — მეძებარი. არც ადვოკატებს დააყარა ხეირი — ბესოს ადვოკატს გალავანი შეუნგრია, აზრიას ადვოკატს — ეგზოტიკური, ტყრუშული ღობე; თან კიდევ ლელვს დაეჯახა და იმ ლელვზე წამოსკუპებული ქალაქელი ნათესავი ჩამოუგდო ნაცარში (მოგეხსენებათ: ვირის გარდა, ლელვსაც უყვარს ნაცარი). კიდევ კარგი, სრული ქალი არ იყო, თორემ მარტო ორი ნეკნი კი არ ჩაემტვრეოდა, სულ ადვილი შესაძლებელია, სამი ჩამტვრეოდა...

მოსამართლე — მაშინ დამცველს ეძლევა სიტყვა.

ორივე დამცველი ერთდროულად დგება — ერთმანეთს მისჩერებიან.

მოსამართლე — ადვოკატი ოლეგ კრავეიშვილი.

აზრიას დამცველი ქაღალდის ნაგლეჯში რაღაცას ჩაინიშნავს ავტოკალმით, მერე თავს ასწევს, წელში გაიმართება და მშვიდად იწყებს:

— პატივცემულო მოსამართლენო! ამხანაგო დამსწრე საზოგადოებრიობავ! როგორც ისმენთ და ხედავთ, დღეს აქ, ამ ათასი ჭირ-ვარამის, ვაი-ვაგლახის, ვაი-ვიშის, სიცილ-ქირქილისა და ათასნაირი ოხრობის მომსწრე დარბაზში ირჩევა დიდად საყურადღებო საქმე, რასაც უშუალო, პირდაპირი კავშირი აქვს ბუნების სიკეთესა და, თქვენ წარმოიდგინეთ — უკეთურობასთანაც კი. ჩემს ოცდაათწლიან იურიდიულ პრაქტიკაში არასოდეს მქონია საქმე ამგვარ, ერთი შეხედვით ნათელ, მაგრამ ამავე დროს ჩახლართულ პროცესთან. იქნებ არ დამიჯეროთ და, ბევრი, ძალიან ბევრი ვიფიქრე, ვიყოყმანე, ვიდრე ხათრით დავთანხმდებოდი ჩემი კლიენტის, აზრია ლომიძის, უფრო სწორად — მისი ცხენის, წაბლას დაცვას. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში ფრიად საძნელოა ისეთ კლიენტთან საერთოს გამონახვა, რომელსაც არაფერი გაეგება ადამიანური ცხოვრების, სამოქალაქო სამართლის კოდექსის შვიდიათასხუთასმანეთიანი „ქიგულის“, ლატარიის ბილეთის, ოთხშაბათს მოწყობილი შაბათობისა და მრავალზე მრავალი ამდაგვარი რამ, რასაც გარკვეული ადგილი უჭირავს ჩვენს ყოველდღიურ ფიქრში, ხელფასში, სიდედრ-სიმამრთან, ცოლთან, ერთმანეთთან ურთიერთობაში. რას იზამ, ცხენია და ჩვენი ენა არ იცის, ამიტომ ვერც ვერაფერს გააგებინებ, თუმცა არანაკლებ სამძიმოა რეგვენ კლიენტთან მაღალ იდეალებზე ლაპარაკი. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ სწორედ ასე, აი ასე, როგორც ახლა ჩვენ ვლაპარაკობთ, ცხენები კიდევ ჩვენზე ლაპარაკობენ ხოლმე. ამ უაღრესად დიდსა და საინტერესო საიდუმლოს მაშინ აეხდება ფარდა, როცა ადამიანი ცხენის ენას ისწავლის. გარდა ამისა, კიდევ ერთ რამეში ვარ ღრმად დარწმუნებული — ადამიანმა იმდენი უბედურება დამართა დედამიწას, კოსმოსს და, უპირველესად, საკუთარ თავს, რომ მეეჭვება, ცხენმა მოიწადინოს ადამიანის ენის შესწავლა. ამის უმთავრესი მიზეზი ერთადერთია: ცხენი არასოდეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ ფიქრობს, როგორც იტყვიან, სიკვდილის შემდეგ სიცოცხლეზე ანუ ისტორიაში დარჩენაზე და, მიუხედავად ამისა, მაინც დარჩენილა ისტორიაში. საამისოდ ალექსანდრე მაკედონელის ცხენი ბუცეფალიც საკმარისია და, ჰმ, როსინანტიც. რაღა შორს წავიდეთ და, რაღა ცხენზე ვილაპარაკოთ: ისეთი ყბადაღებული ცხოველიც კი, როგორიც სახედარია, ისიც კი დარჩა ისტორიაში, ოღონდ ამჯერად ლიტერატურის ისტორიაში, თანაც დედამიწასთან შედარებით უმნიშვნელო მონაკვეთზე — საქართველოში. მხედველობაში მაქვს ყველა ჩვენთაგანისათვის ნაცნობი, საყვარელი სახედარი მაგდანას ლურჯა. ლურჯა მოთხრობაში პატრონს დარჩა, კინოში — მენახშირე მიტუას. უნდა მოგახსენოთ, რომ ლურჯას წართმევა, ობლების კიდევ უფრო გაღარიბება, დანაშაულად, აშკარა ქურდობად მიმაჩნია, რაც სისხლის სამართლის კოდექსით ერთიდან სამ წლამდე ვირის აბანოში გამოკეტვას ითვალისწინებს. ცოცხალი იყოს, ამ საქმეს ასე არ დატოვებდა თავად გაბაშვილის ქალი. ეს იმას ნიშნავს, ლუარსაბ თათქარიძეზე გადავიღოთ კინო და ქალბატონ დარეჯანს ტყუპი ვაჟი შევძინოთ. ან კიდევ სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი, იგივე მეჯღანუევი, იგივე მეჯღანუევსკი ფინანსთა მინისტრად დავნიშნოთ. ამგვარ უთავბოლობას ბოლო რომ მოეღოს, საჭიროა საღი თვალით ჩავიხედოთ უპირველესად ერთმანეთის სულიერ სამყაროში და აქედან გამომდინარე — ცხოველთა სამყაროშიც. ასეთი მოულოდნელობა, ჩემმა კლიენტმა წაბლამ რომ ჩაიდინა, შეიძლება სხვაგანაც მოხდა, მაგრამ საქვეყნოდ არ გამოუქვეყნებიათ, არ მიუციათ სამართალში: ადამიანებს ან თავმოყვარეობა აკავებდათ, ანდა კიდევ — ცხენის დამსახურება კაცობრიობის განვითარების ისტორიაში. ადამიანმა ცხენი რომ მოიშინაურა, მხოლოდ მას შემდეგ განვითარდა სოფლის მეურნეობაც და დამპყრობლური ომებიც. თუ ცხენი არ იქნებოდა მოშინაურებული, ბუნებრივია, გუთანიც არ გახდებოდა საჭირო. ანუ: გუთანი გამოიგონა ცხენმა. უჩემოდაც მშვენივრად მოგეხსენებათ, რომ ქრისტეს შობამდე ბენზინი არ იყო. ვინაიდან ბენზინი არ იყო, რაღა ჩემი გესწავლებათ — არც ტრაქტორი იქნებოდა. ესე იგი, ისევ ცხენთან მოვედით, მოვედით როგორც მეგობრები, თაყვანისმცემლები, რათა ერთი სიტყვით გამოვხატოთ ჩვენი მისდამი დამოკიდებულება — მადლობთ! და რაკი ადამიანის მეგობარია ცხენი, ესეც საკითხავია, პატივცემულნო, რატომ ადამიანი არ უნდა იყოს ცხენის მეგობარი? დიახ, ცხენმა უფრო იცის მეგობრობა, ვიდრე ადამიანმა. მაგალითს ახლავე მოგართმევთ: „დედა ენიდან“ გეხსომებათ, რა გმირობა ჩაიდინა ცხენმა, მტრების მიერ გათოკილი პატრონი — ბედუინი რომ გადაარჩინა: თოკში დასცა პირი და სირბილსირბილით მიიტანა შინ. მერე რა მოხდა? მერე, ამხანაგებო, ცხენი დაიღუპა და პატრონი გადარჩა! ხედავთ? — თავი გასწირა ცხენმა, არა ჩინ-მედლებისთვის, არა უკვდავებისათვის, არამედ — მეგობრისათვის. ამგვარად — მეგობრისათვის თავის განწირვამ ისტორიის სასუფეველში სამარადისოდ დაუმკვიდრა სახელი. აღარ ვიცი, ღმერთმანი, ნამდვილად აღარ ვიცი, რომელი ერთი ამაგიანი, სახელგანთქმული ცხენი გავიხსენო! ადამიანების ერთმანეთთან მეგობრობა უფრო თანამდებობრივია, ანგარებითი, გამორჩენითი, ვიდრე — სულიერი. კაცს თანამდებობა რომ აქვს, ეს იმას ნიშნავს — მეგობარიც ბევრი ჰყავს; მერე ან გამოაპანღურებენ, ან ჭიტლაყს უჭირებენ, ან აბრაგანს ამოჰკრავენ და სავარძელთან, კაბინეტთან (მოსამართლის მდივანს გადახედავს), ლამაზ მდივანთან ერთად მეგობრებსაც ჰკარგავს. რა თქმა უნდა, მისთვის ბოლო დანაკარგთან შედარებით წინები უფრო სამძიმოა, არადა, პირიქით კი უნდა იყოს — ამას მოითხოვს საკუთარი თავის ღირსება, გამომდინარე იმ დამახასიათებელი ნიშნიდან, რითაც ცხოველებისგან განვსხვავდებით — ფი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქრით, ოღონდ: სალი ფიქრით, მაგრამ გადიდკაცება ადამიანს რომ სჩვევია, იქნებ არ დაიჯეროთ და, საკმაოდ უცხოა ცხენისათვის. ასე რომ არ იყოს, ის ცხენები, ჩვენი მეფეები რომ სხდებოდნენ, არამც და არამც თავს არ გაუყადრიდნენ მეფის ხელქვეითების ცხენებს: არც მათთან ერთად იბალახებდნენ, არც მათთან ერთად შევიდოდნენ ცხენების რესტორანში — საჯინიბოში, და არც მათთან ერთად ჩაუყრიდნენ საფუძველს შთამომავლობას. ეს იმ შემთხვევაში, თუკი ცხენი მაგალითს აიღებდა, უკაცრაული პასუხია — ბუნების გვირგვინისაგან — ადამიანისაგან. ამიტომ, ცხენის მაგალითად ადამიანი არ გამოდგება და მეც ისლა დამრჩენია, ხმამაღლა განვაცხადო — ცხენებო, იყავით ფხიზლად! ვინაიდან სიტყვამ მოიტანა, ბარემ ამასაც მოგახსენებთ: მეფეები, საერთოდ, ჭაკ ცხენებზე სხდებოდნენ. მოგეხსენებათ, ისეთივე ბუნებრივი მოვლენაა მოშარდვა, როგორც — წყლის დალევა. ვიცი, ზოგიერთი ამ დარბაზში რატომაც ქირქილებს — ეს რა მურტალი სიტყვა წამოსცდაო! არადა, პატივცემულნო, საშინელი ავადმყოფობაა შარდის შეხუთვა — ამ საკითხზე სწავლული მედიკოსები აუარებელ დისერტაციას წერენ, ზოგს თავისთვის, ზოგსაც სხვისთვის, ისე მშვენივრად და უბრალოდ წერენ, როგორც ეს თითქმის დაკანონებულია სოფლის მეურნეობაში. ჰოდა, კარგია, თქვენც რომ გცოდნიათ!.. ასე და ამგვარად, ჭაკი ცხენი, იგივე ფაშატი, სირბილისას შარდავს; ულაყმა, საფერხემ, იაბომ კი ასეთი პროცედურის დროს გაჩერება იცის. როგორი ამბავია, ასპინძის ომში ერეკლე ჭაკზე არ მჯდარიყო და გაჩერებოდა ცხენი, მაშინ ხომ კოხტა ბელადი აქეთ წააცლიდა თავს? აი, პატივცემულნო, რას ნიშნავს თავმდაბლობა. ახლა ცხენების კლასიფიკაცია მანქანებისას რომ შევადაროთ, სხვა სხვაა და, სახერხი ქარხნის უფროსი, ან იმავე ქარხნის საწყობის გამგე, ან იმავე ქარხნის დარაჯი, ან ერთ წელს ნამუშევარი კოლთავრედ, ანდა ლუდის გამყიდველი, „ზაპოროჟეცში“ ჩაჯდომას იკადრებს? არ იკადრებს, რასაკვირველია!.. ჩვენში ცხენი ყოველთვის დიდად ფასობდა. დიდად ფასობდა თავისი კეთილშობილებით: ომში, ლხინში, გუთანში. ერთი წუთით წარმოიდგინეთ, ქორწილში ფეხით მიმავალი მაყარი. ხედავთ, რა სასაცილო მდგომარეობაში აღმოვჩნდით! ცხენი ძვირფასი რომ არ ყოფილიყო, მაშინ ისტორიულ საქართველოშიც არ იქნებოდა გავრცელებული მისი ქურდობა, რაც დღემდე მოგვდევს ტრადიციად, და რაც აკაკი წერეთლის „გამზრდელში“ დასტურდება თვალნათლივ. დიახ, ცხენი ძვირფასი რომ არ ყოფილიყო ქართველი კაცისათვის, აკი არც გვექნებოდა მისი სახელობის მდინარე „ცხენისწყალი“, მისი სახელობის ჰესი „საცხენჰესი“. ან კიდევ წარმოიდგინეთ, როგორი მერანი ეყოლებოდა ბარათაშვილს, რომლის შემწეობითაც იმედი ჰქონდა ბედის მიჯნის შეუსვენებლად გადავლისა. მერე — გვარები? ცხენოსანიძეო, კვიციანიო... თეთრშუბლა ცხენს საღარა ჰქვია, აქედან — საღარაძე. ბაცი წითელი ცხენი — თაფლა, ალათი, ქარცი — თაფლოშვილი, ალათაშვილი, ქარცივაძე; შავი ცხენი, შავრა — შავრაძე და ასე შემდეგ, ღრმად თუ ჩავუკვირდებით, ძნელი ამოსაჩენი არ გახლავთ, საიდან მოდის ჩვენი ცხენისადმი სიყვარული — კაცს ვერ დაასახელებ, ბავშვობაში არ ესწავლოს: „მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული“... უკაცრავად:

აჩუ, აჩუ ცხენო,
საით გაგაჭენო,
ჯერ ქერი არ გიჭამია,
შე კუდმოსაჭრელო...

დიახ, ბავშვობა გადამწყვეტია სიბერისას აკვიატებულ მთვლემარე ოცნებაში...

იური ლეკვეიშვილი (ადგილიდან) — ეგ ლექსი, პატივცემულო მოსამართ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლენო, არა ნამდვილ, არამედ ჯოხის ცხენზეა გამოთქმული. გთხოვთ გაითვალისწინოთ ჩემი მოწინააღმდეგის უცოდინარობა ქართული ზეპირსიტყვიერების ხაზითაც.

ოლეგ კრავეიშვილი (დამცინავად) — რას ბრძანებთ?

> აჩუ, აჩუ ცხენო,
> მგელის შესაჭმელო,
> უნაგირი ვერ გიშოვნე,
> როგორ გაგაჭენო!

ახლა, ამაზე რაღას იტყვი? (თითს სწევს მაღლა — იქადნება) მგელი როდის ჭამდა ჯოხის ცხენს! თქვი, აბა, თქვი, ვინ ადგამს ჯოხის ცხენს უნაგირს?

იური ლეკვეიშვილი — როგორი ცხენიც არის, ისეთივე უნაგირი ადგას და ისეთივე მგელიც შესჭამს!

ოლეგ კრავეიშვილი — მამა გიცხონდა!

იური ლეკვეიშვილი (მაგიდას მუშტს არტყამს) — ძალიან გთხოვ, მამაჩემის საქმეში გასტუმრებას მოეშვა! გუშინ ვიღაცის თავაშვებულმა, უპატრონო „ჟიგულმა“ ქვა აისხლიტა, მარცხენა ფეხის წვივში მოარტყა და ისე აქვს დარუმბებული, სხვას ვერ ვანდობ და, ხვალ მე უნდა შევწამლო ვენახი!

ოლეგ კრავეიშვილი — უკაცრავად: მაშინ არ გიცხონდეს მამა!

დარბაზში გამოცოცხლებაა.

იური ლეკვეიშვილი (წამოხტება) — პატივცემულო მოსამართლენო, ჩემს გამოსვლაში მეც ხულიგნურად მოვიხსენიებ მაგის მამას — ძია ვახტანგს და არ გამაჩუმოთ!

მოსამართლე — თავი შეიკავეთ, ამხანაგო ადვოკატო, არ დაგავიწყდეთ, რომ მიმდინარე პროცესზე ოფიციალური პირი ხართ.

იური ლეკვეიშვილი — მეც ოფიციალურად მოგახსენებთ.

მოსამართლე — დაჯექი.

ოლეგ კრავეიშვილი — მაშ, განვაგრძოთ: საქართველოში დიდი ხანია შეციტავების გზაზე დგას ცხენი, რაც გადაშენების მაუწყებელია. თუ გავითვალისწინებთ ეპოქის აგრარული საფეხურიდან ინდუსტრიულზე კანონზომიერ გადასვლას, ასეც უნდა მომხდარიყო. მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, ამ, ასე ვთქვათ, პროგრესმა უპირველესად გამწევი საქონლის რეგრესი გამოიწვია. ხარი აღარავის უნდა და კამეჩი! იკითხავთ — ცხენიო? ცხენზედაც მოგახსენებთ, ბატონებო — აღარც ცხენი უნდა აღარავის! კაცი, ეგერ, მთვარეზე ავიდა, მალე ვინმე ეგერ, ენძელაზე ავა, ბოდიში მომიხსენებია, ვენერაზე ავა...

დარბაზში სიცილია.

— ძველად ენოქ და ილია ურმით რომ გაფრინდნენ ცაში, ამბობენ, ტყუილიაო და, მე მოგიკვდეთ, მართალი კი იქნება! იმდენს ჩამჩიჩინებენ, არ დაიჯეროთ, თეფშები რომ დაფრინავენო — ლამის დამაჯერონ! ერთიც ვნახოთ, მართლა დაფრინავენ თეფშები, რა გასაკვირია, ერთ მშვენიერ დღეს ადგნენ და თვითმფრინავს მოუბან გუთანი. თუ ადამიანის ფანტაზია უსაზღვროა, ზებგერით თვითმფრინავს გუთანი არ მოებმებაო, რალატომ აგვიჩემებია? რატომ არის, ვთქვათ, მიუწვდომელი ზღვარი? უარყოფის უარყოფის კანონი გაგებული გექნებათ, ჰოდა, ტრაქტორმა თუ უარჰყო ცხენი, მაშინ თვითმფრინავმა რატომ არ უნდა უარჰყოს ტრაქტორი? ამ შემთხვევაში საქმე მაქვს არა როგორც სამგზავრო ტრანსპორტთან, არამედ, როგორც — გუთნის გამწევ ძალასთან. გაჩნდა თაგვი, გაჩნდა — კატა, გაჩნდა კაცი, გაჩნდა — ქალი, გაჩნდა ტრაქტორი, გაჩნდა — რა? სწორია — თვითმფრინავი! ასე და ამგვარად, ტექნიკამ უარჰყო ცხენი. ცხენით ახლა მეცხვარეებიღა დადიან. ვფიქრობ, სულ მალე, ძროხისა არ იყოს, ცხვარსაც ბაგურ კვებაზე გადავიყვანთ და მოგჭამა ჭირი — მწყემსებიც, ჩვენი ქურდებივით, ლეკში გადალალავენ ცხენებს! ეს ისეთივე უთავბოლობა იქნება, როგორი სტატიაც ამას წინათ წავიკითხე ერთ-ერთ სასოფლო-სამეურნეო ჟურნალში — მეცნიერებათა კანდიდატის დიდი კვლევა-ძიების ნაყოფი იყო: ისაო, ბალა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხი ჩრდილში გააჩმეთ, არომატსა და ღონეს ინარჩუნებსო. უცებ შირაქის ველი და რუსეთის უკიდეგანო ტრამალები გამახსენდა და მოვკვდი კაცი სიცილით. არ დაგიმალავთ: კარგი მეცნიერული მიგნებაა, თუმცა ერთი უმნიშვნელო წვრილმანი კი გამორჩა — ამდენ ბალახს რომელი ხის ჩრდილში შეიტან ან რომელი შიფერით მოუჩრდილებ? ალბათ აქედან მოდის გონიერი ანდაზა: შიფერი აქვს დაცურებულიო... დიდი ხანია განათლებული კაცობრიობა მივიდა ჭეშმარიტ დასკვნამდე: ყველაფერს აქვს დასაწყისი და დასასრულიო: ანუ, ყველაფერი იბადება, იზრდება, თავის მსგავსს წარმოშობს, ბერდება და ბოლოს — კვდებაო. ყურადღება მიაქციეთ სიტყვებს „თავის მსგავსს“. ამ ორ სიტყვაში ხშირად უმსგავსობა იგულისხმება. მაშასადამე, რაც იბადება, იზრდება, თავის მსგავსს წარმოშობს და, ადამიანისა არ იყოს, ბოლოს კვდება, ყოვლად წარმოუდგენელია, არ აზროვნებდეს. თუ არ აზროვნებს და ჭკუა-გონება არ აქვს, მაშინ პეპელა რაღა მაინცადამაინც პეპელას დასდევს დასაპეპლად და არა ბეღურას? მამალი პეპელა დედალ პეპელაში ხედავს შთამომავლობის გამრავლების აუცილებელ ობიექტს, ხოლო ბეღურას იმავე პეპელას სახით საჭმელი ელანდება. ასეთივე შეხედულება ვრცელდება ფრინველებზეც, შინაურ და გარეულ ცხოველებზეც, მწერებზეც, ხეებსა და ბალახზეც. ასე და ამგვარად, მივედით ჭეშმარიტ დასკვნამდე: წაბლამ გუმანით იგრძნო, ან გაიგო, რომ ცხენის პატრონს აბრია ლომიძეს ეჯავრება ბესო მგელაძე და მის „ჟიგულსაც“ ამიტომ მიარტყა წიხლი! ეს ფაქტი უნდა შეფასდეს, როგორც ცხენისა და ადამიანის ორმხრივი მეგობრობის ბრწყინვალე ნიმუში და, აქედან გამომდინარე, გამართლებულ უნდა იქნას ცხენი!.. პატივცემულო მოსამართლენო, იმედი მაქვს, თქვენს ფიქრში გაასიგრძეგანებთ ცხენის დამსახურებას ცივილიზაციის განვითარებაში, აგრეთვე მის ჭირ-ვარამს, რაც გამოწვეულია მისი გვარის სავალალო გადაშენებით, და საგანგებოდ ვაქნეულ წიხლს სამართლიანად ჩაუთვლით. სხვათა შორის, მინდა გაითვალისწინოთ შემდეგიც: ოცდამესამე საუკუნის სავარაუდო გაქანება, ნამდვილი, რკინის რობოტების დედამიწაზე მოსალოდნელი აღზევება, ვინ იცის, იქნებ ცხენების ადამიანებზე გამეფებასაც გულისხმობს. ესეც გაითვალისწინეთ და თავი დაიზღვიეთ — სამართლიანი განაჩენი გამოიტანეთ, თორემ თქვენს დაუფიქრებელ ნაბიჯს თქვენი შთამომავლობა ზღავს, რაც საიქიოს არსებობის შემთხვევაში, თქვენს სულებს მოეთხოვება სამაგიერო ჯოჯოხეთში გამოკეტვის სახით!

ხანგრძლივი, მქუხარე ტაში.

გახარებული აბრია წამოდგება, თავის ადვოკატს მხარზე მეგობრულად უთათუნებს ხელს:

— დედის რძესავით შეგერგოს ჩემი ორმოცი მენეთი!

მოსამართლე — წყნარად, ამხანაგებო! სიტყვა ეძლევა ბესო მგელაძის ადვოკატს იური ლეკვეიშვილს.

იური ლეკვეიშვილი (წამოდგება, დამცინავად გადახედავს ოლეგ კრავეიშვილს, მერე თავს ასწევს და ფიქრიანად იწყებს) — ამხანაგო მოსამართლენო! პატივცემულო დამსწრე საზოგადოებრიობავ! . ადამიანები ყოველ დილით მიიჩქარიან სადღაც. გახედავ და იფიქრებ, სამსახურში მიდიანო. მართალია, მაგრამ შაბათ-კვირას სადღა მიეჩქარებათ? ვინმე იტყვის, ბაზარში, ან მაღაზიაშიო. არ არის სწორი: ყველა ბაზარში რომ შევიდეს, ან მაღაზიაში, ვერ დაეტევიან და, თქმა არ უნდა, ვერც ივაჭრებენ. ივაჭრებენ-მეთქი, ერთი მიზეზის გამო ვამბობ: ჩაიარა წარწერიანმა ყიდვა-გაყიდვამ, წავიდა: ახლა ვაჭრობაა, გინდ მოურიგდი, გინდ თავში ქვა იხალე. შენ გინდა, ფასი დაუკლოს, ის კი უმატებს — ლაპარაკშიც აკი ეგრეა!.. მე ვიცი, ყოველ დი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლით სად მიეჩქარებათ ადამიანებს! სადა და — ერთმანეთთან! საქმე ექნებათო? მართალია — საქმე აქვთ, გადაუდებელი საქმე: მშვიდად, ტკბილად, აგზნებით ლაპარაკობენ, ბაასობენ, ლაქლაქებენ, მერე ენის პისატან-მოსატანად მიეჩქარებათ. დიახ, ადამიანები ახლა უმეტესად ამით არიან დაკავებულნი, ამით და კიდევ: სასამართლოთი. თუ თვითონ არ არის ბრალდებული ან ბრალმდებელი, სხვა მაინც იქნება, ერთი სიტყვით, წასვლა მაინც ღირს. აი, ახლა ამ ხალხს რომ ვუყურებ, ცხოვრებისეული სიბრძნეც მახსენდება: სიმართლეს ისევ ჭორი სჯობიაო. თუმცა სიმართლესაც გააჩნია და ჭორსაც, ჭორსაც გააჩნია და სიმართლესაც... ვითომ ამათ, ამ ესკადრონს (დარბაზს გადახედავს) არ შეეძლო აქამდე არ მოეყვანა საქმე? შეეძლო, მაგრამ არ ქნა! ერთიც ვნახოთ, ვინმეს ებრძანებინა, არავინ დაიშვება სასამართლოზეო, ისე უბრალოდ მოარიგებდნენ ერთმანეთს, ვინმეს საწყენად არ ვამბობ და, გამოშტერებული მოსამართლეც მიხვდებოდა მის სამართლიანობას. სიცილი, ამხანაგებო, სიცილი უნდა ხალხს! ჰოდა, იმაზე კი აღარ ფიქრობენ, ღირს თუ არა სასაცილოდ! განსაკუთრებით მაშინ დამწყდება ხოლმე გული, ჩემი კოლეგა რომ ხდება დაუზოგავი სიცილის ობიექტი. ცხენის დაცვა სიღარიბის დაცვას ნიშნავს. მანქანა, ეს უკვე სიმდიდრეა. თუმცა არავინ კითხულობს, საიდან გაქვსო. საიდანაც უნდა ჰქონდეს, ქონება მაინც უმაღლესი საფეხურია ადამიანის განვითარებისა, რაც ერთი სიტყვით გამოიხატება — კეთილდღეობა. ყველანი სწორედ კეთილდღეობისაკენ ვისწრაფვით.

შალალო — თუ ასეა, ექვსჯერ რატომ გამასამართლეთ?!

იური ლეკვეიშვილი — არ ჩავარდნილიყავ და არ გაგასამართლებდით.

შალალო — ისე გამოდის, ვინც თავს დაიძვრენს, ის მართალიც არის, არა?

იური ლეკვეიშვილი — ეს აქამდე უნდა გცოდნოდა.

შალალო (იცინის) — არც ეხლაა დაგვიანებული!

იური ლეკვეიშვილი — დიდი დრო არ გაივლის და, ჩვენც, ქალაქელებივით, ზოოპარკში ვივლით ცხენის სანახავად... ვენახის მოხვნა გვინდა და, არ იკითხავთ, რა ფასი დაიდეს მეცხენეებმა? დაუფიქრდი — არც გაემტყუნებათ: აღარც ხეირიანი ცხენი იშოვება, აღარც ხეირიანი გუთანი. გავყვირით, ვიღონოთ რამეო. კარგი, ვთქვათ და მოვამრავლეთ ცხენი, მერე, სად უნდა აბალახო? სადაც კი ცხენი მიუდგება, ყველგან გუთანი გავატარეთ და ვაზი ჩავფალით. გამეჩხერებულ ტყეში პეტყვევე არ გიშვებს, უარესად გამეჩხერებულ, აბალახებულ ზვარში — მეზვრე-მეველე. თან ვღრიალებთ, საქონელი გაწყდაო, თან ჩვენ თვითონ ვკეტავთ გამოსავალ გზას: როდის იყო, ცხენს ორღობეში აბამდნენ? სად გაგონილა უბალახოდ ცხენის შენახვა! სხვა ველარაფერი მოახერხა, ადგა და ორღობეში მიაღრძო. გამოიარა „ჟიგულმა" და წიხლი მიარტყა. ქალაქელ ცხენს ჩაედინა ეს დანაშაული, დასჯის ღირსი იყო ულაპარაკოდ, რასაც თავისებური, თავისებური კი არა, მყარი გამამართლებელი საბუთი მოეძებნება. იკითხავთ, რომელია ქალაქელი ცხენიო. გეტყვით: ცირკისა და დოლის ცხენი! ცირკის ცხენი ისევე გაკინტოებულია, როგორც იმ ცირკის მასხარა. იქაურ ცხენს მინდორ-ველი, ტყეჭალა და, საერთოდ, სოფელი ზუსტად ისე ეუცხოვება, აქაურ, სოფლელ ცხენს რომ ეუცხოება ცირკი. ვინმე ცირკში თუ არ ყოფილა, ტელევიზორში მაინც უნახავს. ჩვენებურ მშრომელ, გამრჯე, მიწას დაშტერებულ ცხენს ვინ აღირსებს ცირკის ცხენის უნაგირს, სიმსუქნეს, ანდა ისეთი ლამაზი ქალების მოფერებას! ისინი ცხენები კი არა, დამრგვალებული მოჩვენებები არიან. მათთვის არაფერს ნიშნავს არც გუთანი, არც ახლად ამობიბინებული ქერი, არადა, დარკვეულ ქერს დაგემოვნებით მიირთმევენ. იგივე ითქმის დოლის ცხენზე. დოლის ცხენმა მხოლოდ პურის გემო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იცის, ხვნა-თესვის, დაფარცხვის, მომკა-გალეწვის, აჰ, არაფერი გაეგება; გაქალაქებულ-გაკულტურებულია და ბაქტერიები აჰყვებაო, მიწაზე დაგდებული პურის აღებას ერიდება. სოფლელი ცხენი კი, თუნდაც ამჟამად ბრალდებული წაბლა, ისე აიღებს მიწაზე დაგდებულ პურის ლუკმას, თითქოს გლეხივით საკოცნელად ეტანებაო. სოფლელი ცხენი ამტანია, გამრჯე და, რა თქმა უნდა, საცოდავიც; მისი ავტორიტეტის დაცემა, ჯიშის შეცოტავება ტექნიკის განვითარების კისერზეა და ამის შემდეგ რაღა გასაკვირია, წიხლი მიერტყა „ჟიგულისთვის". როგორც მძღოლებს მოეხსენებათ, „ვაზ-2103"-ს აქვს 75 ცხენის ძალა. არ ვიცი, როგორ დამარწმუნებს ამხანაგი მოსარჩლე, თითქოს ერთმა ჩვეულებრივმა ცხენმა, რომელსაც თავისი ცხონებული წინაპრის ღონეც კი არ მოსდევს, ენერგიის ამგვარად გაზომვას რომ შეეწირა, ასე უმოწყალოდ დააზარალა 75 ცხენისძალიანი ავტომობილი. დასასრულს, აი, რისი თქმა მინდა: „ჟიგულს" წიხლი მიარტყაო?! მიარტყა და, კარგადაც უყო! (ამაყად ჯდება სკამზე).

მოსამართლე — მე ვფიქრობ, ცხენი ტყუის მაინც.

იური ლეკვეიშვილი — როგორ გეკადრებათ?! გაამტყუნებთ და შემდგომ ინსტანციაში გადავიტანთ საქმეს!

ხანგრძლივი, მქუხარე ტაში, რომელიც ოვაციაში გადაიზრდება.

ბესო — ვაი, ცეცხლად შეგერგოს ჩემი ორმოცი მანეთი! აკი შენ დაგიცავო?!

იური ლეკვეიშვილი — სასამართლო იმისი სასამართლოა, მტყუან-მართალიც რომ გაარჩიოს.

მოსამართლე — წყნარად! (წამოდგება) სასამართლო მიდის განაჩენის გამოსატანად (მსაჯულებიც წამოდგებიან).

მაგრამ ამ დროს დარბაზში ათიოდე წლის ბიჭი შემოირბენს. მოსამართლე დაინახავს და მისკენ გადაადგამს ნაბიჯს. ბავშვი კონვერტს აწვდის:

— ოლია დეიდამ გამომატანა.

მოსამართლე კონვერტს გამოართმევს და თვალს გააყოლებს სტრიქონებს:

„ვალოდია! რომ გატყვრები და გაილეშები ხოლმე, მერე ქვეყანას რომ ეპატიჟები, მოეთრიე შინ, ორი მანქანით ჩამოშავდა რვა იდიოტი: ოთხი ქალი და ოთხი კაცი — ვლადიმერ ნიკოლაევიჩის მეგობრები ვართო. ახლავე წამოჩერჩეტდი შინ, გამაგებინე, ვინ დამთხვეულები არიან, მერე წაშავდი და შენ თვითონ გაიწანწალე და მოათხრე ამათი ჩასაცეცხლიცა და მუცლის ამოსაყორიც. ახლავე გამოჰყევი ბავშვს, არ უთხრა, წადი და მოვალო, თორემ შენი ბურდღა აღარ იქნება არც შინა და არც მანდ — ჩემს ნამზითვ სკამზე. ოლია ივანოვნა".

მოსამართლემ წერილი ნერვიულად ჩაიჭყუნა ჯიბეში და დარბაზში ჩავიდა:

— რაღაც უბედურებაა ჩემს თავს, შინ მივალ და ახლავე დავბრუნდები, — გაქცეულ ბავშვს აედევნა.

— შორს ცხოვრობს? — ლამაზ მდივანს ჰკითხა ზაზამ.

— აქვე, ქუჩის გადაღმა.

და მალე მანქანის მუხრუჭების ღრჭიალიც გაისმა.

— „ჟიგულია", — თქვა შალალომ.

— ჰო, ის არის, — დაეთანხმა ბესო მგელაძე.

ლამაზმა მდივანმა საქაღალდე აიღო და კაბინეტში შევიდა. ცოტა ხნის შემდეგ ტირილით გამოვიდა, ცარიელი დარბაზი გაიარა, ეზოში გავიდა და ცრუაკაციის ჩრდილში შეფარებულ ხალხს სლუკუნით ამცნო:

— განაჩენის გამოტანა გადადებულია: მოსამართლეს „ჟიგული" დაეჯახა და საავადმყოფოში წაიყვანეს.

ეპილოგი

იმ შემოდგომამ ისე მოილია რთველი, ტკბილით ისე მოაპიპინა ქვევრები და ხეებსაც ისე გამოულია ფოთოლი, ორღობეებს ტალახი არ ღირსებია. შემოდგომაზე კი მაჭრით გაბრუებულ ორღობეს რომ აივლ-ჩაივლი და ტალახით არ მოითხვრები, ცოტა არ იყოს, ულამაზოა, ულამაზო და ულაზათო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნარგიზა მგელაძე

# მოთხრობები

## თხრობითი წინადადება

წალაპარაკების საბაბი იმდენად უმნიშვნელო იყო, სხვა დროს სასაცილოდ არ ეყოფოდათ, მაგრამ ქალს ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ეს კინკლაობა რაღაც უფრო მნიშვნელოვანის, არსებითის, კარგა ხნის წინათ დაწყებულის გაგრძელება იყო და მოუნდა ბოლომდე ჩაჰყოლოდა, გაერკვია, გათავისუფლებულიყო ამ შეგრძნებისაგან.

— შენ შეინახავდი, ასე იცი, შეინახავ და მერე აღარ გახსოვს.

— ძალიან კარგად მახსოვს, მოგეცი, ამიერიდან შენ შეინახე-მეთქი, გითხარი.

— მე არ ამიღია.

— არც მე.

— რატომ ხარ ასეთი ჯიუტი?

— თუ გინდა, გეტყვი, ავიღე და გადავაგდე-მეთქი.

ლაპარაკი თანდათან ყვირილში გადაიზარდა.

ღმერთო ჩემო, ნუთუ ეს კაცი მიყვარდა ამ ათი წლის წინათ, ამაზე ვფიქრობდი, წერილებს ვწერდი? — ნერვიულობდა ქალი.

კაცმა საწერი მაგიდის ქვედა უჯრა გამოაღო.

— ვინ ჩადო აქ? — გამომწვევად ჰკითხა ქალს და გადაკარგული წიგნაკი თვალწინ აუფრიალა.

— შენ! —მოკლედ და ბრაზიანად მიუგდო ქალმა და მეორე ოთახში გაბრუნება დააპირა.

— ოჰ, — აღმოხდა კაცს და წიგნაკი ჰაერში ისროლა. წიგნაკმა პატარა ნახევარწრე მოხაზა და ქალს საფეთქელთან შეეხო.

ეს უკვე მეტისმეტი იყო.

წიგნაკმა უმწეო ფარფატით გადალახა საზღვარი, რომლის დარღვევის შემდეგ ცოლ-ქმრის ერთად ცხოვრებას აზრი ეკარგებოდა.

ამ აზრმა ერთდროულად გაუელვა ორივეს, როცა წიგნაკი ქალის საფეთქელს შეეხო.

მხოლოდ წამით შეკრთა ქალი, შეტოკდა... და შიგნით თითქოს დაჭიმული სიმი გაწყდა, მერე ერთბაშად დაეუფლა სიცარიელე და სიმშვიდე, რა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ღაც მძიმე, ცუდი და ხანგრძლივი მოლოდინის დამთავრებით გამოწვეული.

— გადავაჭარბე, — მიხვდა კაცი, — გათავდა, ამისი ამბავი რომ ვიცი...

ქალი მშვიდად შებრუნდა. კარადიდან ჯაგრისი გამოიღო, თაროზე ხელი მოუსვა. შავი, თხელი სვიტერი მოხვდა ხელთ, აიღო და სააბაზანოში შევიდა.

პატარა გოგოს გაფართოებულ თვალებს მოჰკრა თვალი, სანამ კარს შეიკეტავდა.

„აი, რატომ ხარ მონა. აი, ვის გამო არა ხარ თავისუფალი. ეს იცის, იმედი აქვს, რომ ვერსად წახვალ, შვილს ვერ დატოვებ".

არაფრისმთქმელი თვალებით იყურებოდა სარკეში, მაგარი მავთულის ზღარბულა ჯაგრისით ივარცხნიდა თმას. უაზროდ, გონების ჩაურევლად იმეორებდა ხელი მოძრაობას — საფეთქლიდან კეფისაკენ.

„დავანებოთ თავი ამ ეპიზოდს, ეს არაფერი, მთავარი სხვაა".

გუმანით გრძნობდა, ფიქრის ამ კალაპოტით სვლა იმ ჭეშმარიტებამდე მიიყვანდა, რომლის აღმოჩენა არ სურდა. სხვა დროსაც თითქმის უმიზეზოდ აფუთფუთებულა ეს აზრი, შენძრეულა, მოძრაობა მონდომებია, მაგრამ აზეზარი ბავშვივით დაუტუქსავს, გაუჩუმებია, დაუყუჩებია.

მერე ის წერილები თავიდან გადაუკითხავს, სიყვარულის პირველ თვეებში რომ მიიღო მისგან, ცოტა ხნით ისე შეფარებია მათ, როგორც ზაფხულის პაპანაქებაში შორ გზაზე მიმავალი დასიცხული მგზავრი ტრიალ მინდორზე მდგარი ერთადერთი ხის ჩრდილს, მაგრამ მალევე საიდანღაც ვერაგულად გამომტყვრალა აზრი, რომ წერილების კითხვა მკვდრის ტანისამოსზე ტირილს ჰგავდა და თავის მოტყუება იყო, რადგან ტანისამოსი არამცთუ ცოცხალს, გარდაცვლილის სახებასაც ვერ დაგიყენებდა წინ.

არადა, მტანჯველურად გრძნობდა, რაღაც აკლდებოდა, იძარცვებოდა, როგორც ჭადრის ხე შემოდგომისას.

ცდილობდა ლოგიკით, გონებით შებრძოლებოდა ამ პროცესს, ამაოდ.

თვითონვე რცხვენოდა იმ სიგრილისა ქმრის ღამეულ ალერსს რომ ხვდებოდა, მერე ბრაზი ერეოდა იმაზე, რომ კაცი ამითაც კმაყოფილი იყო და სძაგდა ამისათვის.

„ნუთუ სულ ერთია შეყვარებული წევს მის გვერდით, თუ ქვასავით უგრძნობელი ქალი".

დავანებოთ სიყვარულს თავი, მისი მამაკაცური თავმოყვარეობა ხომ მაინც უნდა აჯანყდეს, ხომ უნდა ახსოვდეს, რომ იყო სხვანაირი ღამეები, სხვა სიტყვები, სხვა გრძნობები, სად წავიდნენ, რა მიზეზის გამო შემოიფანტნენ? ის ნაშთი, რაც ამ მხურვალე გრძნობებიდან დარჩა, ქალს ისე შეურაცხყოფდა, როგორც ნასუფრალზე მიპატიჟება. სიცარიელე, რომელიც გრძნობის ადგილზე გაჩნდა, ისე ტკიოდა, როგორც მოკვეთილი ფეხის ტერფი ტკივათ ოპერაციის შემდეგ.

რაც უფრო მედგრად ცდილობდა ჩაეხშო, ჩაეჩუმებინა აზრი, რომ ყველაფერი გათავდა, მით უფრო ჯიუტად მოიწევდა ზემოთ იგი, როგორც გახეთქილი ასფალტიდან ამოწვერილი ყლორტი მზისკენ.

დაიღალა, მოითენთა ამ ბრძოლით.

„კი, მაგრამ, რატომ მეშინია აზრის?!"

„არ მინდა სიმართლე ვიცოდე".

„რატომ?"

„მერე ამ კავშირის შენარჩუნება უზნეობა იქნება".

„ახლა? განა რაიმე არსებითი იცვლება, ვაღიარებ თუ დავმალავ სიმართლეს?"

„საქმეც ის არის, რომ არაფერი იცვლება".

„გამოდის, რომ თავის მოტყუება მირჩევნია. მაგრამ ტყუილი ხომ სისუსტეა — კაპიტულანტობაა".

---

ნარგიზა მგელაძე
მოთხრობები

ეროვნული ბიბლიოთეკა

და უცებ მთელი ეს მსჯელობა სისულელედ მოეჩვენა, უცებ ხილულად დაუდგა თვალწინ: „გრძნობა მოკვდა“.

არაფერი განსაკუთრებული.

ჩვეულებრივი თხრობითი წინადადება, ბოლოში გარკვევით დაინახა წერტილი.

სხვა ყველაფერი არაარსებითი იყო — შეეგუებოდა თუ წავიდოდა. იბობოქრებდა თუ დაწყნარდებოდა. ისიც კი სულ ერთი იყო, კაცი იგრძნობდა თუ არა ამას. პარტნიორი თითქმის არაფერ შუაში იყო და სისულელე იქნებოდა მისთვის რაიმე პრეტენზიის წაყენება.

გრძნობა მას გაუჩნდა, მასში ცოცხლობდა და მასშივე მოკვდა.

ჰქონდა კი აზრი რკვევას, როდის, როგორ და რატომ მოხდა ეს? რაიმეს ნიშნავდა მისი სახლიდან წასვლა ან დარჩენა?

შეცვლიდა რაიმეს სამყაროს გაჩენის დღიდან არსებულ აუცილებლობაში: „გაჩნდა, ცოცხლობდა, მოკვდა?“

სისულელე იყო, აქამდე რომ ვერ მიხვდა.

ნელა გადაიძრო შავი სვიტერი. აბურდული თმა აღარ გადაუვარცხნია. ხალათი მოიცვა და სააბაზანოდან გამოვიდა.

— გადაიფიქრა, — ვაუხარდა ქმარს. — ცოტა ზედმეტი მომივიდა, მაგრამ, მადლობა ღმერთს, კარგად დამთავრდა.

# ა ხ ს ნ ა

ესიზმრა, არა, კი არ ესიზმრა, განმეორდა ოცი წლის წინანდელი. ცხადად, უზუსტესი დეტალებით, ფერით, სურნელით, შეგრძნებით. შედედებულმა, ვარდისფერმა ქრუანტელმა დაუარა გულიდან ტერფამდე და გამოეღვიძა.

იმ ერთადერთმა შეხებამ თითქოს ჯადოქრის ჯოხიაო, ოცი წლის ტვირთი ჩამოაშორა და მაშინდელი სინორჩე და გრძნობის სიჩვილე დაუბრუნა.

ან როგორ ჩაეტია სიზმრის სამიოდე წუთში ყველაფერი.

აპრილის სურნელი და სითბო რაღაც გამოუცნობ, მომთენთავ სურვილს ჰბადებდა. შემსუბუქებული სხეული ისე დაჰქონდა, როგორც სიზმარში.

რაღაცის ყრუ მოლოდინი მიჰყვებოდა ძარღვებს.

— დღეს, დღეს, დღეს! -— გუგუნებდა ხმა. ქვემოთ, პატარა ბაღში გადარეულად ჰყვაოდა თეთრი იასამანი. მარტო იასამანი, მარტო თეთრი. კოხტები, მკვრივები, ამაყად თავაწეულები. მესამე სართულამდე აღწევდა მზით გახურებული მათი სურნელი.

პატარა ოთახის ფანჯარა პირთამდე იყო მოღებული. ლურჯი, გამჭვირვალე ცა ოთახში შემოტევას ლამობდა.

გოგო ფანჯრის რაფაზე იჯდა, უმკლავებო, საყელომოღეღილი კაბიდან მქრქალი ყელი მოუჩანდა, რომელზეც აბრეშუმის ცისფერი ძაფივით აჩნდა მფეთქავი ძარღვი.

მიშველ, მზემოუკიდებელ ფეხებს იატაკამდე ვერ უწვდენდა და ჰაერში აკონწიალებდა. თხელი, ჩამოქნილი წვივები ჰქონდა, ასეთივე თხელი მკლავები, სხეული — ბავშვურად ფაფუკი და ფუნჩულა.

დემეტრე ბატონიშვილის „შენ ხარ ვენახზე“ გადაშლილი წიგნი მუხლებზე ედო, მაგრამ არ კითხულობდა. ძველი ქრესტომათიის გაცრეცილ მუყაოს ყდას თითის წვერებით ეხებოდა.

ელოდა.

ბიჭი არ შეჰპირებია მოვალო.

მაგრამ ეს აპრილი, ეს გადარეული იასამნები, გრძნობა, ჯერ სახელს რომ ვერ არქმევდნენ, მოიყვანდა და არა მარტო მოიყვანდა, ენას ამოადგმევინებდა.

გოგომ იცოდა ეს და ელოდა.

დილიდან, თვალი რომ გაახილა და წამოდგა, აჰყვა ფიქრი: „ახლა ამდგარია, პერანგს იუთოებს, ჩემზე ფიქრობს, თმას ივარცხნის...“ აქ ფიქრი შეუწყდა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ისე ძალიან მოუნდა ბიჭის სიმწიფეში შესული ხორბლის ფერივით მოღაღანე თმაზე გადაესვა ხელი.

ახლა სახლიდან გამოვიდა, აკაციის სურნელით გაჟღენთილ ქუჩას დაუყვა, გაზეთების ჯიხურთან შეჩერდა, იყიდა.

გაშალა.

გოგო გაბრაზდა.

რას ჩერდება, რა წერია იმ გაზეთში ისეთი!

ბიჭმა გაზეთი დაკეცა. იღლიაში ამოიჩარა და გოგოს ქუჩაზე შეუხვია.

— ღიაა! — პირველი დაკაკუნების უმალ მოესმა ნაცნობი, ჯიუტი, საყვარელი ხმა. ხმაში მოუთმენლობა ისმოდა.

ძალიან გადარეულად ჰყვაოდა იასამანი. ძალიან შესამჩნევად ფეთქავდა ცისფერი ძარღვი გოგოს მქრქალ ყელზე.

ვარდისფერი და ცისფერი ტალღა— ტალღად რიალებდა ოთახში, როგორც რენუარის ტილოზე. გაუგებარი იყო, რა ირეკლავდა ამ საოცრად გამჭვირვალე და ირეალურ ფერებს.

მაგრამ ფერები ნამდვილად ლაციცებდნენ. ეს კარგად ახსოვს.

ბიჭმა სკამი გამოსწია და ფანჯარასთან დაჯდა. ქვემოდან ზემოთ ასცქეროდა გოგოს. ივლისის ყანისფერი ქოჩორი გოგოს სავსე მკერდის გასწვრივ ღაღანებდა.

გოგომ მაგრად მოუჭირა ხელი გადაშლილ, მკერდზე მიხუტებულ წიგნს, ისე ძალიან მოუნდა ხელი გადაესვა ამ მზისფერ ქოჩორზე. ბიჭს ლურჯი თვალები ჩამუქებოდა, როგორც ჭის წყალი მუქდება ხოლმე მთვარიან ღამეში. ქუთუთოები დანამოდა.

ორივე გრძნობდა, რომ საჭირო იყო რაიმე თქმულიყო, სიჩუმე დარღვეულიყო, მაგრამ თითქოს მეტყველების უნარი წართმეოდათ.

გოგომ მუხლებში სისუსტე იგრძნო. წამით გაუელვა ფიქრმა — ფანჯრიდან არ გადავვარდეო და უნებლიეთ წინ, ბიჭისკენ წამოიხარა.

ბიჭმა ორივე ხელი შემოხვია წვივებზე, ალმურმოდებული ლოყა მუხლებზე ფრთხილად დაადო და ამოისუნთქა.

შედედებულმა ვარდისფერმა ქრუანტელმა გულიდან ტერფამდე დაუარა გოგოს.

წამის ერთი მეათედი ფერით, სურნელით, შეგრძნებით სულ მთლად უცვლელად გადანახულიყო უკვე ზომიერად გაცვეთილი გრძნობების მიღმა.

გამოღვიძებული ქალი გულაღმა იწვა.

ცდილობდა ცოტა ხნით დაეჭირა ეს წამი, გაეანალიზებინა ან გაეხანგრძლივებინა მაინც. მაგრამ წამი უკვე გაფრენილიყო. ვეღარც სახელი მოუძებნა. თუმცა კი ეცადა. რა იყო ასე ცხადი — ხატება? სიზმარი? მონატრება? ნოსტალგია თოთო, გაუცვეთავ განცდაზე?

ლარნაკში ჩადგმულ იასამნის ტოტს მიაჩერდა.

სამად სამი, ერთმანეთთან დაუკავშირებელი და სხვისთვის სრულიად გაუგებარი სიტყვა ამოტივტივდა: „ვარდისფერი“, „შედედებული“, „ქრუანტელი“, დამშვიდდა.

ეს იყო იმ წამშეგრძნების სრული სახელი და ახსნა.

## ს ი ტ ყ ვ ა

ბაბუაჩემი, ბრგე, სოლიდური გარეგნობის მოხუცი, ფარმაკოლოგიის პროფესორია, ბებიაჩემი — პატარა, ფუსფუსა ქალი. ბაბუას პიჯაკის ზედა ღილამდე ძლივს სწვდება. ყურში მძიმედ ესმის და თუ რამეს ელაპარაკები, დაძაბული ყურადღებით სახეში გიცქერის. როცა ბაბუაჩემი სახლიდან გადის, ბებია უთუოდ გააცილებს, კართან ძველებური შავი კრიალა ხის სადგარიდან, რომელზეც მედიდური ესპანელი იდალ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გოს ბრინჯაოს მოზრდილი ქანდაკი დგას ჯაგრისს აიღებს და ბაბუაჩემის პალტოს ქვედა კალთებს (ზემოთ ვერ სწვდება) არარსებულ მტვერს აცლის.

— სადილზე არ დაიგვიანო.

მუხის მაღალი კარი მძიმედ იკეტება.

ოთახში დიდი ხნის წინათ დაწყებული კამათი გრძელდება!

— მოიყვანე, ბიჭო, ის ოქროსავით გოგო, რაღას უყურებ, ოცდაათის ხდები, პატარა ხომ აღარ ხარ?

— მომბეზრდა, დედაჩემო, გაიგე? მომწყინდა!

— ასე არ ამბობდი მანანაზეც?

— მანანაც მომწყინდა.

— ქეთინო?

— აუჰ, ის უარესად. რა მეხსიერება გაქვს დედაჩემო, აი საღოლ!

ბებიაჩემი ფუსფუსით შემოდის ოთახში. წინსაფარს ისწორებს და თეფშების გასარეცხად ემზადება. არათითიდან თითქმის გალეულ ოქროს ბეჭედს იხსნის და იქვე ფოთლის ფორმის ჩინურ ლარნაკზე დებს.

შვილიშვილი, რომელსაც ყველაფერი ბეზრდება, ბეჭედს უაზროდ შეათამაშებს ხელში. მერე წარბებს შეყრის და გულდასმით აკვირდება ბეჭდის შიდა მხარეს გამოყვანილ წარწერას „1904 წლის 11 მაისი“.

— ბები, რა მოხდა 1904 წლის 11 მაისს? — ინტერესით ეკითხება ბებიას.

მე ხმამაღლა ვუმეორებ კითხვას ბებიაჩემს.

— ამ დღეს მე და ვალიკომ სიტყვა მივეცით ერთმანეთს, — ამბობს ბებია და თვალებში შუქი უდგება.

— ვა, რა სიტყვა? — უკვირს შვილიშვილს და, როცა ნათქვამის აზრი აღწევს მის გონებამდე, ჰომერულ ხარხარს იწყებს.

გული მწყდება, რომ კალენდარზე 1974 წელია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტარიელ ჭანტურია

# ახალი წიგნიდან

## მუსიკის გაკვეთილი

მე მაისი ისე მიყვარს! —
არ ჯობია მაისს დრო!
სად მაისის ვიოლინო
და სად ჩემი, მაესტრო!

მზეს ვუმზერდი! — მიყვარს ცქერა
ფერად შარის აშვებსის!
შენ აჯობებ? — რომ ჩართავენ
ომფარეთის შაშვები!

ვეფერები იას, როგორც
ვიოლინოს გასაღებს! —
ყველა ბრამსზე კეთილხმოვანს
და ბარტყზე გასაგებს!

უთხრან მამას! — ამ ერთხელაც,
რა ვქნა, გავიწკეპლები,
ოღონდ იმას მივხვდებოდე,
რაზე სწუხან პეპლები!

ხომ ასეთი კარგი დღეა!
ჩიტს მიმინო მაინც მტრობს!
რა ვუშველო ამ ბეღურას,
რით ვუშველო, მაესტრო!

...და მაესტრო ეფერება
ფიქრით სავსე ჭკვიან თავს,
და პატიობს ბიჭს, რომელსაც
ისევ დააგვიანდა...

## ტრაქტატი ლექსად

კარგი ლექსების წერას რა უნდა!
განა სასახლე, განა სრა უნდა!
ან ხელმწიფესთან მიმოსვლა უნდა —
წერის დროს სულის ამოსვლა უნდა!

ზოგს რომ ჰგონია, ფულის ჭრა უნდა,
ან სამოწყალოდ — ძვალის ხრა უნდა! —
კალმიდან — სისხლის გამოსვლა უნდა,
თასიდან — შხამის გამოცლა უნდა!

კაი ლექსების წერას რა უნდა!
გულზე საფლავის ლოდის ძვრა უნდა!
გულში ამურის ისრის კვრა უნდა!
სულ ტკივილიან ჩანგის კვრა უნდა!

კაი ლექსების წერას რა უნდა!
ზოგჯერ — მოწყენა, ზოგჯერ — სმა უნდა!
კაი ხმა უნდა! კაი ზმა უნდა!
მუდამ მართალი სიტყვის თქმა უნდა!

კაი ლექსების. წერას რა უნდა!
განა ჯილდო და ტაშის კვრა უნდა!
განა შური და კაცის კვლა უნდა! —
კუნაპეტ ღამის გაცისკვრა უნდა!

კაი ლექსების წერას რა უნდა!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დაწყვეტილი სერპანტინი

## შუადღე დარიალის ხეობაში

იმოდენა ჩრდილები აქვთ
საქართველოს მთებს —
მარტო ჩრდილით გასრისავენ
საქართველოს მტრებს!

## სტიქიათა გამო

ცეცხლმა წყალი აბრაზა —
დიდხანს ენა უყო!
დანარჩენი თქვენც იცით,
რაც ცეცხლს წყალმა უყო!

●

იცი, რას გეტყვი, ბულბულო? —
შენც ჩიტი ხარ, ბოლო-ბოლო!

## პოეტი უდაბნოში

უკვდავებისა წყაროთი
მოგართმევ სავსეს სურასა.

დ. გურამიშვილი

მსურს უკვდავების წყალი
რომ ყლუპი მაინც მოვსვა,
და, ღვთის ნებით და ძალით,
მერე აქედან მოვუსვა...

## მეტივური

ტივი უფსკრულისკენ
მიჰყავს დაკვირვებით:
წყვილი ცისარტყელით
და ორთაყვირებით!
უნდა დაიყვიროს!
უნდა დაყვირება:
სატრფომც ულალატა
და ორთაყვირებმაც...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

●

დავიბადეთ მგლის ლეკვებად —
მცხეთელად და ალგეთელად,
და ვიქეცით ბოლოს მგლებად,
რომ თქვენ ქართლი არ გეთელათ!

●

ყველა ჟრუანტელის
შენ ხარ ეპიცენტრი.
ჩემს ცოლს მოეწონე,
ჩემს შვილს გეფიცები...

## წყვილები ქორწინების სახლთან

ძვირფას უღელს მოგილოცავთ
ასიათას მშვენიერ წყვილს:
საქართველოს დუღაბისთვის
მთავარია თქვენი ნერწყვი!..

## გაღმა-გამოღმა სარკმელი

როცა ბიჭუნა მოხუცის სარკმელს
ეთამაშება სარკით,
მაშინ მოხუცი ეშმაკ ბიჭუნას
რად ემუქრება ლაზერით...

●

კოკისპირულად ასხამდა წვიმა —
იყო ნამდვილი მეორედ მოსვლა,
მაგრამ კორდზე, როგორც ჰეპი ენდი,
ენთო წითელი ბროწეულები!

## რიტორიკული შეკითხვები ნინოს და ირას:

სად არის ახლა ის ბიჭუნა, რიონის პირას
ათასი წლის წინ რომ ჭიმავდა სილაში ყირას,
ან ის გოგონა, ასწლოვანი ცაცხვების ძირას
რომ ატირებდა მტრის ძარღვებით მოქსოვილ ლირას!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## კიდევ ერთი ტირადა

კაცს უნდა ჰქონდეს კაცობა!
კაცი ფასდება კაცობით!
თუ კაცს კაცობა არა აქვს,
ასეთ კაცს ჰქვია საცობი!

●

არც კი რცხვენია:
გრანიტის პლიტის
ქვეშ ასვენია
ცხედარი ფლიდის!

●

ვიგონებ სირანოს!
სირანოს — სირინოზს!

## მაია ჩიბურდანიძე — ჭადრაკის დედოფალი

— მე საქართველოს ჭადრაკის დედოფალი ვარ,
და საქართველოს უფლება აქვს —
თუკი რთული კომბინაცია წამოიწყო —
როცა უნდა, მაშინ შესწიროს
თავისი დედოფალი!

●

ვისია ნეტავ თვალები ფართო!
ნეტავ, ტირილი ვის წასკდა!
გადით ყველანი... დამტოვეთ მარტო
ჩემი სამშობლოს მიწასთან...

## პეიზაჟი

ზის და იკეთებს ღრუბლის მახინჯი
პლასტიკურ ოპერაციებს.
გამრუდებიათ ცაცხვებს ნაბიჯი.
ქარი ზღვის ფაფას აციებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

ბავშვობა მისი — ცხენისწყალი!
სიბერე მისი — ცხელი წყალი!

## დეპრესია

მოკლულ გმირივით ვგდივარ ფარდის წინ...
დავხიე ძველი მისამართები.
აღარც ლექსებს ვწერ —ძველი დარდისთვის
არაფერი მაქვს მისამატები...

## ბოლო საღამო

კარლო ქილარჯიანის ხსოვნას

რაც არ მესმევა — ვსვამ.
რაც არ უნდა ვთქვა — ვამბობ.
ცრემლს ვერ ვუპოვე გზა —
ისევ შიგნეულს ალბობს.
მთლად დამალონა ცამ —
სიღრმემ, სილურჯემ ცისამ.
გული საშინელს მითქვამს —
რაც არ უნდა ვქნა — ვიზამ...

●

პურის ქერქის,
წიგნის ყდის —
სურნელი რომ
ერთი დის —
მიყვარს ხელის
შეხება,
მიყვარს ლექსით
შექება!
რაც ახლა ვთქვი, შენს პურს და
შენს წიგნებსაც ეხება!

## სადილად — საცივი და ღომი

(იუმორესკა)

ჩვენ არც ცივი ომი გვინდა
და არც ცხელი ომი!
ცივი გვინდა საცივი და
ცხელი კიდევ — ღომი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ტრიადა

ვამაყობ სამი ჩანგით:
სავანით!
ვანით!
ჩარგლით!

●

შევყურებ მთებს და ვფიქრობ:
შენც, ჩემო კუზიანო დედამიწავ,
შენც სამარე გაგასწორებს...

●

ვსვამ სადღეგრძელოს სამი ქართველის —
ვსვამ სადღეგრძელოს სამ იკორთელის:
შალვას, ბიძინას და ელიზბარის!
ვსვამ სადღეგრძელოს სამი ქართველის!

●

ადრე მიყვარდა ღვინო
და კონიაკი, ხოლო
ახლა „ლაღიძე“ მიყვარს —
სითხე უალკოჰოლო!

ლუდიც მიყვარდა ადრე
და ხინკლის სვლეპაც! ხოლო
ახლა „ბორჯომი“ მიყვარს —
წყალი მხოლოდ და მხოლოდ.

კმაყოფილი ხარ ალბათ,
პატივცემულო ცოლო!

●

თუმცა ჩემს საქართველოში
დიდი პოეტი ბევრია,
ყველაზე მეტად მე მაინც
აკაკის მადლობელი ვარ!

## არათანაბარი ქორწინება

იწვა ყინული მცხუნვარე სხივთან
და სიხარულის სდიოდა ცრემლი...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## პერიფრაზი

სხვა საქართველო ქვეყანაზე
ან სად ყოფილა, ან სად არი:
ყოველ ბედდამწვარ არსენაზე
მოდის ათობით ფარსადანი!

●

თუ დაგჭირდა, მეც გადავდებ თავს —
წენდე, როგორც სახდაზღვევის პოლისს,
შენ ხარ ჩემი მოწყალების და,
და, რაც უფრო მთავარია — ცოლი!

## საყვარელი სტრიქონის
## პერიფრაზი

ტაო ჩემო, ბედი არ გიწერია...

●

ვიცი გარჩევა კარგის და ცუდის.
ცუდს ზოგჯერ კარგის სურნელი უდის.

●

ახლა ზოგჯერ კარის პოეტს
ეძახიან კაი პოეტს.

●

ღამე დღეს დაატოლა.
ღამე მეტი მოვიდა.
ის, რაც მეტი იყო, ჩამოჭრა,
პლაშჩი შეიკერა და შიგ გაეხვია.
ზის ახლა და წვიმას ელოდება.
არადა, თითქო ჯიბრზეაო, მზე ჩახჩახებს...

●

ცრემლების აორთქლების შემდეგ
ლოყაზე სინანული რჩება:
მარცხენა სინანული...
მარჯვენა სინანული...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ხე

ჭადარი ასფალტში ჩაჭედეს,
და მხოლოდ ფესვთან დაუტოვეს
მიწის ნაგლეჯი,
როგორც პატიმარს — ვიწრო სარკმელი
სხვისი თავისუფლების საცქერლად...

## უნდობლობა

ის, რასაც დაწერ ციფრით,
უნდა სიტყვითაც დაწერო,
რათა ვინმემ არ გადაასწოროს:
„ვიცხოვრე 71 (სამოცდათერთმეტი) წელი
და 13 დღე!“
ხურდას არ უნდა სიტყვით დაწერა.

## მევალე

როგორ ეშინიათ მევალეებს
მოულოდნელი ჩემი სიკვდილის.
ღმერთო, მამყოფე კარგად! —
ცოდვაა ეს ხალხი!

## ცხოვრება

საინტერესო,
როგორც ტელესერიალის ბოლო ფილმი,
რომელშიაც მთავარი გმირი კვდება...

●

მეზობლები ბინას არემონტებენ.
„დაკიდული ჭერი!“
„რბილი იატაკი!“
მესმის დროდადრო.

მე ცას ავცქერი—დაკიდული ჭერის მაგიერ,
და ხანაც მიწას ვაკვირდები —
ჩემს რბილ იატაკს...

## ტელეფონი

„თქვენ სხვაგან მოხვდით!“ —
მესმის მეათედ.

იქნებ ამხელა სამყაროში
ჩვენც — სხვაგან მოვხვდით?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## „ქიგული" გგო 22-22

თამაზის „ქიგულს"
საიდუმლო საკეტი მოეშალა:
პი — პი — პი — პი — პი — პი — პი....

საერთოდ არის საიდუმლოს შენახვა ძნელი!

●

ან ბუდისტ ბერივით დავიწვავ თავს,
ან... ცისფერ კალთაში ჩაგიდებ თავს...
ან მოვეფერები შენს ბროლის ყელს,
ან... აღარ შევხვდები ამ ახალ წელს...

## ექსპრომტი კასპში

მეც თქვენსავით გადავიძრობ
ხელისგულზე ასპირ
ტყავს, ოღონდაც კიდევ უფრო
გალამაზდეს კასპი!
მეც თქვენსავით ჩავრგავ ვაზს და
გავამაგრებ ჭიგოს,
ოღონდ კასპი კიდევ უფრო
მშვენიერი იყოს!

## თევდორე

ყველგან, სადაც მიწირია,
მამულისთვის მიტირია!

●

ორი ტიტლიკანა ბიჭი
წყენით გადაჰკურებს ალგეთს:
— ჰკითხეთ თავს და ჰკითხეთ მამულს,
მამულს რატომ ვერრა არგეთ!

## ლექსპრომტი ემზარს

ვენაცვალე შენს ნიჭს —
შენს უმაღლეს ლოგოსს,
ვენაცვალე შენს ბიჭს,
შენს უნაზეს გოგოს...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

●

მოვდიოდი მარტოდმარტო: ქუჩა-ქუჩა; ყომარ-ყომარ;
ვაგზალ-ვაგზალ; ვაგონ-ვაგონ; ტანჯვით... მაგრამ მაინც ხომ არ
დამიკარგავს ის, რის გამოც კაცი კაცი არის, ომარ!
ეს არ მოხდებოდა ასე, შენი კარგი დედა რომ არ!

●

ჭკვიანი კაცი უჭკუოს
არასდროს გადაიმტერებს !—
ამას ვეძახი ჭკუას და
ამას ვეძახი ინტელექტს.

●

და როგორც წაბლი —
სიმწიფეში შესული წაბლი —
მეც სიბერეში რბილი ვხდები —
ვიშორებ ეკლებს...

## კარგი დღე

მზე მოუნდა ფანჯრის წათლას!
უფრო მეტად — წითლის წათლას!
მთლად ცისკიდე გააწითლა —
აფენს ყველგან წითელ ატლასს.

თითქო ციდან წვეთავს თაფლი!
შუქი ალამაზებს აპრილს!
მზე ჩამოდის დაბლა-დაბლა,
გვესალმება სალმით მდაბლით!

მზეც და მთვარეც — შუქი მათი,
ოქრო, ვერცხლი, ბროლი, სათი —
ყველა საქართველოსათვის!
მხოლოდ — საქართველოსათვის!

## ტამუ მეზურიშვილი

### ნ ა ტ ვ რ ა

სინაზე! მაგრამ არა მიჯნურის —
საამდღეო თუ შორს გამიზნული,
სინაზე ნაღდი, მხოლოდ დედური —
ღვთიური წყრომით და საყვედურით!
სიმშვიდე! მაგრამ არასდიდებით
ქალაქის, მხოლოდ სოფლის მინდვრების —
საღამოური, ცისმარეული...
იმ ნაყინვარის, იმ ანეულის.
ხმაურიც, მაგრამ არ აქაური,
ნედლი, მღერადი სოფლის ხმაური.
კვლავ, კვლავ მიზიდავს ანდამატივით
სოფლური ყოფა — წყნარი, მარტივი.
სოფლის იმ მთებს და სოფლის იმ სერებს,
ვით სიზმარეულს, ისე ვიხსენებ.
ვნანობ, თანდათან როგორ ძვირდება
სოფლის კალთაში გამოძინება.

●

თოვლივით თეთრი და ცივი მთვარე
და მთვარესავით ქათქათა თოვლი!
ალვის ხეების ლანდების ლარებს
ათრთოლებს ქარი სხივივით მქროლი.
აბრდღვიალებულ შუქით ვბრუვდები
და სორო ჩემი მევიწროება,
როს ნათლიერი უდაბურება
ზეიმობს თავის უბიწოებას.
მე მაგონდება სწორუპოვარი
სულ სხვა ზამთარი — უდიადესი...
მივაბიჯებდით, თოვლის, მთოვარის
და სიყვარულის პირველ ნათელში.

### თვით ტყვეობაშიც

იადონისფერ, მოყვითალო მზის ბურში თვლემენ
მთათა თხემები, შუქში ბრწყინვა გაუდით თხემებს.
თვალმიმტაცია ეგ უწერა, მაგრამ უწერის
უბავშვო შუკებს მოწყენილი თვალით ვუცქერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განათლულია ნათლით სივრცე საღამოისა,
ლურჯ გალიიდან იადონის სტვენა მოისმის.
თვით ტყვეობაშიც შეიძლება კაცმა იმღეროს,
ხომ მართალს ვამბობ, ხომ არ ვტყუი, ძმაო იბერო.

## წარსულს წარსული მაინც რად ჰქვია

წარსულს წარსული მაინც რად ჰქვია,
ის ხომ ჩვენს გვერდით — აგერ, აქვეა?!
თვით არ გვეხსნება, არც ჩვენ ვანებებთ
თავს იმ მწარე ცხადს, იმ ტკბილ ზმანებებს.
ხან მოალერსე, ხან ულმობელი,
რად არის ასე დაუთმობელი.
წარსულზე ყველა მხდალი, დიდგული,
ათასი ძაფით რად ვართ მიბმული.
თუ ჩავაბარეთ ტანჯვა-ვაება
        წარსულს,
კვლავ რად ვღვრით ცრემლს საფლავებთან.
წარსულს წარსული ჩემთვის არ ჰქვია,
ის გვერდით მიდგას, იგი აქვეა,
ვარ ალესილი. ვარ გაბასრული
ჩემი სამშობლოს დიდი წარსულით.
სანამ გვერდით მყავს, არ ვარ ეული,
ვივლით ხელიხელ გადახვეული.

●

მართლაც რა სჯობდა
        მოროდის ჟამს,
        შუადღით მუხის
ჩრდილს — სასადილოდ,
        გასამართად მკლავის და მუხლის.
ბევრჯერ სასთუმლად
        ყელხატულა
        დოქი მდებია,
ნაჯაფარ ყმაწვილს
        თვალისწამში ჩამძინებია.
დავემშვიდობე რა ხანია
        ყანებს და მინდვრებს,
დღეს, რა თქმა უნდა,
        თავქვეშ თეთრი ბალიში მიდევს.
მაგრამ ბუმბულიც
        მეჩვენება ეკალ-ხიწვებად,
ღამეში ბარე
        ათჯერ მაინც გამეღვიძება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რა მემართება,
        რა,
        რა,
        რა,
        რა,
        რა, არ მასვენებს?!
ღმერთო მაღალო,
        ვერ ვიხსენებ
                და გამახსენე!

●

გზა ერთად-ერთი — ხორცთან ჭიდილი
სხვის წილად დაფნა და სიდიადე!
უნდა სიკვდილით მოკლა სიკვდილი
თვით სიცოცხლეში, თვით სიკვდილამდე.
იესოს შიშის შვილია სიბრძნე
და თავად სიტყვაც შვილია სიტყვის.
ჩათვალე: გულად ცთუნება გიძგერს
და არ იკითხო, რატომ და რისთვის.
უნდა დაალტო ქვის სასთაული
ქვისავე ცრემლით და სინანულით...
მერე მოხდება თვით სასწაული —
თავის შვილებში გაგრევს მამული.

## დამელიოს დღენი უწინამც

ოცი წლის შემდეგ
        ვხვდები მთვარეს,
        მთვარისფერ მთვარეს,
გაოცებული არ ვუჯერებ
        საკუთარ თვალებს.
ოცი წლის წინათ ნაოცნებარს —
        ოცი წლის შემდეგ —
კვლავ მაოცნებებს, —
        დაგზნებული ღრუბელთა ქედებს.
თათრული კვახის გულისფერი
        და არა მკრთალი,
დუღს და გადმოდის
        მთვარისფერი ნათელი მთვარით.
ღმერთო, სინათლის სიმსუბუქე
        რამ მისცა სურვილს!
ან მთვარის ფარფლებს
        საით, საით
        მივყავართ ცურვით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ო, მთვარევ, მთვარევ,
დამელიოს დღენი უწინამც,
თუ შუქმა შენმა
ჩემს ოცნებებს არ გაუცინა.

ფიქრობდი:
გათავდა,
გათავდა,
გვიან არი! —
ზედიზედ მკვდარ დღეებს ბადებდა იანვარი.
დღეებს დღეებივით ერთნაირს ბადებდა,
არაფერს მართმევდა, არაფერს მმატებდა.
არცრას მავიწყებდა, არცრას მახსომებდა,
არც ტანჯვა მოჰქონდა და არც სასოება.
არც ვის მაძულებდა, არც ვის მაყვარებდა,
სულში არ მინთებდა სიტყვის თაკარებას.
ვფიქრობდი:
გათავდა,
გათავდა,
გვიან არი! —
ზედიზედ მკვდარ დღეებს ბადებდა იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თარგმანები

**პოლ ვალერი**

## თანადროული სამყარო თვალის გადავლებით

ეს პატარა კრებული ეძღვნება უპირატესად იმ ადამიანებს, რომლებსაც არ გააჩნიათ სისტემა და მიუკერძოებელნი არიან; მაშასადამე, უფლება აქვთ საეჭვოდ მიიჩნიონ ის, რაც საეჭვოა და არ უკუაგდონ ის, რაც უეჭველია.

თუმცა აქ თავმოყრილია მხოლოდ შემთხვევითი ეტიუდები. ზოგი 1895 წელს მიეკუთვნება, ზოგი გუშინდელ და ზოგიც კიდევ დღევანდელ დღეს. მათ მხოლოდ ესსეების ზოგადი ხასიათი აერთიანებთ, ამ სიტყვის ყველაზე ჭეშმარიტი მნიშვნელობით. მათში ვერ ჰპოვებთ ვერაფერს, გარდა იმის ცდისა, რომ დაზუსტდეს ზოგიერთი იდეა, რომლებისათვისაც შეიძლებოდა პოლიტიკური გვეწოდებინა, ეს მშვენიერი სიტყვა — „პოლიტიკა“, გონებისათვის ასერიგად მაცთური და ასე აღმგზნები, ავტორის სულში დიდ ეჭვს და ზიზღს რომ არ იწვევდეს. მას მხოლოდ ის სურდა, რომ ცოტა მეტი სიცხადე მიენიჭებინა ცნებებისათვის, რომლებიც საერთოდ ყველასაგან შეითვისა, ან ისევე ჩამოიყალიბა თავისთვის, როგორც საერთოდ ყველამ, და რომლებიც ემსახურებიან საერთოდ ყველას, ვინც კაცთა დაჯგუფებებზე, მათ ურთიერთკავშირსა თუ ურთიერთგასაჭირზე ფიქრობს.

მათი დაზუსტების ცდა აშკარად არ არის იმ ხალხის საქმე, ვისთვისაც ისინი გასაგები არიან, ანდა ვინც დაკავშირებულია მათთან: მაშასადამე, საქმე ეხება მოყვარულს.

არ ვიცი რატომ, მაგრამ იაპონიის აქციამ ჩინეთის წინააღმდეგ და შეერთებული შტატებისამ — ესპანეთის წინააღმდეგ, რომლებიც თითქმის ერთიმეორეს მოჰყვა, იმხანად, განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. ეს იყო თავიანთი მასშტაბით ძალზე შეზღუდული კონფლიქტები, რომლებშიც ჩარეული აღმოჩნდა საკმაოდ უმნიშვნელო ძალები, ასე რომ, მე არავითარი საბაბი არა მქონდა ღაინტერესებულიყავი ესოდენ შორეული მოვლენებით, ვინაიდან ჩემი საქმიანობა და ყოველდღიური საზრუნავი ოდნავადაც არ განმაწყობდა საიმისოდ, რომ მათ გამოვხმაურებოდი.

და მაინც, მე აღვიქვი ეს განსაკუთრებული გარემოებანი არა როგორც შემთხვევითი ან შეზღუდული მოვლენები, არამედ როგორც სიმპტომები თუ წანამძღვრები, რომელთა მნიშვნელობა აშკარად სცილდებოდა მათი საკუთა-

ეროვნული

რი შინაარსისა თუ გარეგნული მასშტაბურობის ფარგლებს. ერთი წარმოიდგენდა ევროპულ ყაიდაზე გარდაქმნილი და ალჭურვილი აზიური ერის ძლიერების პირველ გამოვლენას აზიური ერისავე წინააღმდეგ; მეორე — ევროპიდან გამოსული და თითქოს ევროპიდანვე განვითარებული ერის ძლიერების პირველ გამოვლენას ევროპული ერისავე წინააღმდეგ.

ბიძგი, რომელიც ამა თუ იმ გაუთვალისწინებელი მხრიდან გვარყევს ხოლმე, ანაზდეულად გვანიჭებს ჩვენი სხეულის არსებობის ახლებურ შეგრძნებას, თითქოს იგი დაფარული და შეუცნობელი იყოს; ჩვენ სრულიად არ ვიცოდით, რანი ვიყავით, და ისე გამოდის, რომ ეს მკვეთრი შეგრძნება თავისთავად, მეორეული ზემოქმედების შედეგად, ამძაფრებს ჩვენს გრძნობელობას ჩვენი სასიცოცხლო გარემოს თვით ჩვენთვისვე მოულოდნელი სიდიადისა და მკაფიოდ გამოხატული განფენილობის მიმართ. ასე რომ, ამ არაუშუალო ბიძგმა შორეულ აღმოსავლეთში და ამ უშუალო ბიძგმა ანტილის კუნძულებზე მაიძულეს ბუნდოვნად მაინც წარმომედგინა რაღაც ისეთის არსებობა, რაც შეიძლება ამნაირი მოვლენებით შეიძრას და შერყეულ იქნეს. მე შევიძინე „გრძნობელობა“ კონიუნქტურების მიმართ, რომლებიც აღვიძებდნენ ჩემს არსებაში ევროპის ერთგვარ ფარულ იდეას, რასაც თურმე ჩემდა შეუცნობლად დავატარებდი სულით.

მე არასოდეს არ მიფიქრია, რომ მართლაც არსებობს რომელიღაც ევროპა. ეს სახელი ჩემთვის სხვა არა იყო რა, თუ არა გეოგრაფიული ტერმინი. ჩვენ მხოლოდ შემთხვევით ვუფიქრდებით ჩვენი ცხოვრების პერმანენტულ გარემოებებს. ჩვენ მხოლოდ მაშინ ვამჩნევთ მათ, როცა ისინი ანაზდეულად იცვლებიან. მე ქვემოთ კვლავ მომიწევს იმის ჩვენება, თუ რაოდენ ტლანქსახდის ისტორიის ჩვენეულ აღქმას, რაოდენ ფუჭს — ჩვენს პოლიტიკას და ზოგჯერ რაოდენ მიამიტურს — ჩვენს დიპლომატიურ მანიპულაციებს ჩვენივე ვერწვდომა კაცთა არსებობის ყველაზე მარტივი და ყველაზე მუდმივი პირობებისა თუ მსჯელობის საწყისთა არსში. ამას ყველაზე დიდი ადამიანები მიჰყავს მიზანდასახულობამდე, რასაც ისინი მიბაძვითა და იმ პირობითობათა მეშვეობით აფასებენ, რომელთა მანკიერებაც დაფარულია მათთვის.

იმხანად მე საკმაოდ მოცლილი ვიყავი საიმისოდ, რომ ჩემი სულიერი თვითაღზრდის პრობლემებზე მეზრუნა. მე ვცადე განმევითარებინა ჩემში ევროპის ჩემეული განცდა და მისი ინტუიტური იდეა. შემწედ მოვიხმე ის მცირეოდენი ცოდნა, რაც გამაჩნდა. ჩემს თავს ვუსვამდი ათასნაირ კითხვას, ვფურცლავდი და ვქექავდი წიგნებს.

მე საჭიროდ მივიჩნიე ისტორიის შესწავლა და თვით მისი გაღრმავებაც, რათა მართებულად აღმექვა დღევანდელი დღე. მე ვიცოდი, რომ ყველა თავი, რომელიც ხალხთა ხვალინდელ დღეს უკირკიტებს, მისით საზრდოობს. მაგრამ მე, ჩემდა თავად, მასში ვერ ვპოულობდი ვერაფერს, **საშინელი დომხალის** გარდა. ევროპის ისტორიის სათაურს ქვეშ მე ვხედავდი მხოლოდ პარალელურ ქრონიკებს, რომლებიც ადგილ-ადგილ ეწვნოდნენ ერთმანეთს. ასე გეგონა, არავითარი მეთოდი არ უძღოდა წინ „ფაქტების“ შერჩევას, არ წყვეტდა მათს მნიშვნელობას, მკაფიოდ არ აყალიბებდა კვლევის საგანს. მე ვარჩევდი ფარული ჰიპოთეზების წარმოუდგენელ სიმრავლეს და ცუდად განსაზღვრულ დებულებებს.

რაკი **ისტორიის საგანია წარსულში ამა თუ იმ მოწმის თვალით შეფასებული მოვლენებისა** თუ **მდგომარეობების ერთობლიობა**, ამიტომ ჩვენამდე მოღწეული ფაქტების შერჩევა, კლასიფიკაცია თუ გამოხატულება თვით საგანთა ბუნებით როდია განპირობებული. ისინი ანალიზისა და მკაფიო გადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყვეტილებათა შედეგად უნდა გვევლინებოდნენ; სინამდვილეში კი ისინი აზროვნების ჩვევებისა თუ ტრადიციული მანერების სათამაშოდ არიან ქცეულნი, რომელთა შემთხვევითობას თუ თვითნებურობას ჩვენ ვერც კი ვამჩნევთ. მაგრამ ცნობილია, რომ ცოდნის ყველა დარგში გადამწყვეტი პროგრესი ხორციელდება იმ მომენტში, როცა სპეციალური ცნებები, რომლებიც თვით ცოდნის ობიექტთა ზედმიწევნით ზუსტი შესწავლის შედეგად ყალიბდებიან და საგანგებოდ იმისათვის არიან შექმნილნი, რომ დაკვირვება უშუალოდ აზროვნების პროცესს, ხოლო ეს უკანასკნელი მოქმედების ჩვეულ საშუალებებს დაუკავშირონ, დიახ, როცა ეს სპეციალური ცნებები ენაცვლებიან საყოველდღიურო ენასა და მიახლოებითი შეფასების კრიტერიუმს, რომელსაც აღზრდა-განათლებით თუ ჩვევით ვიძენთ. წმინდა და საგანგებო ცნებებით ბუნდოვანი და სტატიური წარმომავლობის განსაზღვრათა შეცვლის ეს გადამწყვეტი მომენტი ჯერ კიდევ არ დამდგარა ისტორიული მეცნიერებისათვის.

ერთი სიტყვით, წიგნებში, რომლებშიაც ვეძებდი იმას, რაც საჭირო იყო ჩემთვის ზოგიერთი ცნობის მიერ ჩემზე მოხდენილი არაჩვეულებრივი შთაბეჭდილების შესაფასებლად, მე აღმოვაჩინე მხოლოდ სახეების, სიმბოლოებისა და თეზისების ქაოსი, საიდანაც შემეძლო გამომეყვანა ყველაფერი, რაც მომეპრიანებოდა, მაგრამ არა ის, რაც მჭირდებოდა. ჩემი შთაბეჭდილებების შეჯამებისას გულში ვამბობდი, რომ ისტორიული თხზულებების ერთი ნაწილი მიზნად ისახავს და საკმარისად მიიჩნევს იმას, რომ გააშუქოს რამდენიმე სცენა, ვინაიდან პირობადებულია, რომ ეს სახეები „წარსულში“ უნდა განლაგდნენ. ეს პირობითობა ყველა დროში დასაბამს აძლევდა მშვენიერ წიგნებს. და ამ წიგნების რიცხვში სრულიად ზედმეტია განსხვავების ძიება (ვინაიდან საქმე ეხება მარტოოდენ სიამოვნებასა თუ აღგზნებას, რასაც ისინი იწვევენ) ნამდვილ მოწმეთა წიგნებსა და წარმოსახულ მოწმეთა წიგნებს შორის. ეს თხზულებები ზოგჯერ წინააღუდგომელი სიმართლით გამოირჩევიან. ისინი იმ პორტრეტებს ჰგვანან, რომელთა მოდელებიც საუკუნეების წინათ მტვრად იქცნენ, და რომლებიც მაინც გვაიძულებენ მსგავსებაზე ვიყვიროთ. მკითხველის სულზე მათი მყისიერი ზემოქმედება არასდიდებით არ გვაძლევს იმის საშუალებას, რომ სინამდვილის თვალსაზრისით ერთმანეთისაგან განვასხვავოთ ტაციტუსის, მიშლეს, შექსპირის, სენ-სიმონისა თუ ბალზაკის ტილოები. შეიძლება, თუ გნებავთ, ყველას **მთხზველებად**, ანდა ყველას **რეპორტიორებად** ვთვლიდეთ. სამწერლო ხელოვნების ხიბლს, ფიქტიურად, ნებისმიერ დროში გადავყავართ. აი, რატომაა, რომ პირწმინდა ზღაპარსა და პირწმინდად ისტორიულ თხზულებას შორის მოქცეულია ყველა ნიუანსი, ყველა საფეხური: ისტორიული რომანები, რომანიზირებული ბიოგრაფიები და ა. შ. ისიც ცნობილია, რომ ისტორიაში დროდადრო თავს იჩენს ზებუნებრივი. მაშინ მკითხველი უშუალოდ ერთვება საქმეში, ვინაიდან სწორედ მის გრძნობაზეა დამოკიდებული, აღიაროს ან უარყოს გარკვეული ფაქტები და გადაწყვიტოს, რა არის და რა არ არის ისტორიული.

ისტორიკოსთა მეორე კატეგორია ქმნის იმნაირად მოტივირებულ, ისე ღრმა და ადამიანისა თუ მოვლენათა ევოლუციის არსზე ამომწურავი მსჯელობით იმდენად მდიდარ ტრაქტატებს, რომ ჩვენ აღარ შეგვიძლია ვიფიქროთ, თითქოს მოვლენები სხვაგვარად ხდებოდნენ და ვითარდებოდნენ.

ამნაირი შრომები გონების სასწაულებად გვევლინებიან; ზოგიერთ მათგანს ბადალი არ მოეძებნება ლიტერატურასა თუ ფილოსოფიაში; მაგრამ მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის გარემოება, რომ მომხიბვლელობა და ხატოვანება, რითაც გვაცთუნებენ და გვართობენ პირველნი, და განსაცვიფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებელი მიზეზობრიობა, რითაც გვარწმუნებენ მეორენი, არსებითად, მწერლის ტალანტსა და მკითხველის კრიტიკული წინააღმდეგობის უნარზეა დამოკიდებული.

რაღა დამრჩენოდა, გარდა იმისა, რომ მესარგებლა ისტორიული ხელოვნების ამ მშვენიერ ნაყოფთა სიუხვით, და ვერაფერი ვერ შეუშლიდა ხელს მათი ხიბლით ტკბობას, პოლიტიკა რომ მთლიანად აღბეჭდილი არ იყოს მათი გავლენით. წარსული, მეტ-ნაკლებად ფანტასტიური, ანდა მეტ-ნაკლები თვითნებობით რეპროდუცირებული, მომავალზე ისეთი ძალით ახდენს ზემოქმედებას, რომელიც შეიძლება თვით აწმყოს ძალას შევადაროთ. გრძნობები და მისწრაფებანი წარსულის მოგონებებით, მოგონებათა მოგონებებით აღიგზნებიან, და ამასთან, გაცილებით უფრო მძაფრად, ვიდრე თანადროული ცნებებით თუ მონაცემებით. ისტორიის ნამდვილი ბუნება თვით ისტორიაში მონაწილეობა გახლავთ. წარსულის იდეა აზრსა და ღირებულებას იძენს მხოლოდ იმ კაცისათვის, რომელიც თავის თავში შეიცავს მომავლის ვნებას. მომავალი, თვით მისივე საკუთარი განსაზღვრით, უსახოა. ისტორია იძლევა მისი აზრობრივი წარმოდგენის საშუალებას. ის ადგენს წარმოსახვისათვის მდგომარეობებისა და კატასტროფების ნუსხას, წინაპრების გალერეას, აქტების, გამოხატულებების, პოზიციების, გადაწყვეტილებების ოქმს, რომელსაც ჩვენს უმტკიცობასა და დაბნეულობას სთავაზობს, რათა ხელი შეუწყოს ჩვენსავ ქმნადობას. როცა კაცი ან ხალხი, აუცილებლობისა თუ გაჭირვების გამო, იძულებულია იმოქმედოს, ის საქმის ვითარებას განიხილავს არა იმდენად როგორც მანამდე არნახულსა და არგაგონილს, რამდენადაც თავის წარმოსახვისმიერ მოგონებებში იქექება. უმცირესი ძალისხმევის ერთგვარ კანონს რომ ექვემდებარება და ამრიგად, უარყოფს იმას, რომ იმოქმედოს და მახვილგონივრული პასუხი გასცეს სიტუაციის განუმეორებლობას, მერყევი აზრი თანდათანობით ავტომატიზმს უახლოვდება. ის ეძებს პრეცედენტებს და ისტორიის სულში ინთქმება, რომელიც მას, უწინარეს ყოვლისა, მოგონებებისათვის აღძრავს, მაშინაც კი, როცა საქმე ეხება სრულიად ახალ შემთხვევას. ისტორია ასაზრდოებს ისტორიას.

შესაძლოა, ლუი XIV არც დაიღუპებოდა ეშაფოტზე, ჩარლზ I-ის მაგალითი რომ არა, ხოლო ბონაპარტე იმპერატორი არ გახდებოდა, მიზნად რომ არ დაესახა რომის რესპუბლიკის გარდაქმნა სამხედრო ძლიერებაზე დაფუძნებულ იმპერიად. ის იყო ისტორიული თხზულებების ვნებიანი მკითხველი. ის მთელი სიცოცხლის განმავლობაში ჰანიბალზე, ცეზარზე, ალექსანდრესა და ფრიდრიხზე ოცნებობდა. და ეს კაცი, შემოქმედად დაბადებული, რომელსაც შესაძლებლობა ჰქონდა პოლიტიკურად გარდაექმნა და გადაეკეთებინა ევროპა, და რომელსაც კაცობრიობის სულიერი განწყობილება, სამსაუკუნოვანი აღმოჩენების შემდეგ და რევოლუციური ძვრების წინადღეს, ნებას რთავდა განეხორციელებინა ეს შესაძლებლობა, — წარსულის პერსპექტივებში და გარდასულ სიდიადეთა მირაჟებში გაიხლართა. ის დაეცა, როგორც კი გაუთელავ გზას გადაუხვია. ის დაიღუპა იმიტომ, რომ თანდათანობით თავის მოწინააღმდეგეებს დაემსგავსა, მათი კერპების თაყვანისმცემლად იქცა, მთელი თავისი ძალმოსილებით დაიწყო იმის მიბაძვა, რაც მათ სისუსტეს წარმოადგენდა, და საგნებზე თავისი საკუთარი და უშუალო წარმოდგენა ისტორიული პოლიტიკის დეკორაციულ ილუზიებზე გაცვალა.

ბისმარკს, ბერლინის კონგრესზე, იმავე ისტორიული სულის ზემოქმედებით, რაც მას პოლიტიკის სული ჰგონია, არაფრის დანახვა არა სურს, ევროპის გარდა, უარს აცხადებს აფრიკაზე, და მთელ თავის გენიას, მთელ თა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის პრესტიჟს, რაც მას წამის ბატონ-პატრონად აქცევს, მხოლოდ იმისთვის იყენებს, რომ კოლონიალური ინტერესების თამაშში ჩაითრიოს სახელმწიფოები, და, ამრიგად, ერთმანეთს დაუპირისპიროს, გათიშოს და მუდმივი მეტოქეობის დაძაბულ ვითარებაში ამყოფოს ისინი, მაგრამ წინასწარ ვერ ხედავს, რომ სულ ახლოა საათი, როცა გერმანია ნერწყვის ყლაპვით დაუწყებს ყურებას იმას, რაც ერთმანეთში გასაყოფად მიანება სხვა ხალხებს, და, როგორც მეტისმეტად გვიან მოსული, თავის წინააღმდეგ დარაზმავს და აიმხედრებს მათ. რასაკვირველია, ის ფიქრობდა ხვალინდელ დღეზე, მაგრამ არა იმ ხვალინდელ დღეზე, რომელიც ჯერ კიდევ არ დამდგარა.

სხვისი მოგონებების, მეტ-ნაკლებად ზუსტი, მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი მოგონებების როლის ამ გაზვიადებას შეესაბამება და შეესატყვისება რეგისტრირებული საგნების შერჩევის, კლასიფიკაციის, განსაზღვრის მეთოდის უქონლობა ან უკმარისობა. კერძოდ, ისტორია თითქოს არავითარ ანგარიშს არ უწევს მის მიერ წარმოსახული მოვლენების მასშტაბს. ის აღუნიშნავად ტოვებს თანაფარდობებს, რომლებიც აუცილებლად უნდა არსებობდნენ მის მიერ აღწერილი მოვლენების გარეგან ასპექტსა და მათ სიდიდეს შორის. მაშინ როდესაც რიცხვები და სიდიდეები აღწერის არსებით ელემენტებად გვევლინებიან, ისტორია თავს არ იწუხებს მსგავსების პრობლემებით. აი, ერთი იმ მიზეზთაგანი, რომლებიც ასე აყალბებენ ისტორიის პოლიტიკურ გამოყენებას. ის, რაც შესაძლებელი იყო ანტიკური ქალაქის არსებობის მთელს მანძილზე, შეუძლებელი ხდება მრავალრიცხოვანი ერის განზომილებათა ფარგლებში; ის, რაც ჭეშმარიტი იყო 1870 წლის ევროპისათვის, უკვე აღარ არის ჭეშმარიტი, როცა ინტერესებისა და კავშირურთიერთობათა ქსელმა მთელი დედამიწა მოიცვა. თვით ცნებებიც კი, რომლებსაც პოლიტიკის საგნებზე საფიქრებლად და სალაპარაკოდ ვიყენებთ, — იმის გამო, რომ კავშირ-ურთიერთობათა სიდიდისა თუ რაოდენობის გასაცვიფრებელი ცვლილებების მიუხედავად, თითქმის სრულიად არ შეცვლილან, — ჩვენდა შეუმჩნევლად, შეცდომების სათავედ და ფუჭ საშუალებებად იქცნენ. ასე მაგალითად, სიტყვას **ხალხი** ზუსტი აზრი ჰქონდა, როცა შეიძლებოდა ერთად შეგვეყარა ქალაქის ყველა მოქალაქე სამარხის ირგვლივ ან მარსის მოედანზე. მაგრამ მოსახლეობის რიცხობრივმა ზრდამ, ათასეულების რიგიდან მილიონების რიგზე გადასვლამ ეს სიტყვა მონსტრუოზულ ტერმინად აქცია, რომლის აზრიც კონტექსტზეა დამოკიდებული. ის ხან აღნიშნავს რაღაც გაურკვეველ მთლიანობას, რომელიც არსად არ არის დადასტურებული, ხან უმრავლესობას, რომელიც უფრო მდიდარი და უფრო კულტურული პიროვნებების ვიწრო წრეს უპირისპირდება....

იგივე მოსაზრებანი შეიძლება ვადებსაც მიესადაგონ. არაფერია უფრო ადვილი, ვიდრე ისტორიულ შრომებში უმნიშვნელოვანეს მომენტთა იგნორირების აღმოჩენა, რომელნიც, მათი ნელი განვითარების გამო, შეუმჩნეველნი რჩებიან. ისინი მხედველობიდან ეპარებიან ისტორიკოსს, ვინაიდან არცერთი დოკუმენტი საგანგებოდ არ იხსენიებს მათ. ამ მომენტების შემჩნევა და გამოვლენა შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ წინასწარ მოცემული კითხვებისა და დეფინიციების წინასწარვე შემუშავებული სისტემის მოშველიებით, რომლის მსგავსიც არაფერი შექმნილა დღემდე. მოვლენა, რომელიც წითელი ხაზივით გასდევს მთელს საუკუნეს, არცერთ სიგელში, მემუარების არცერთ კრებულში არ ფიგურირებს. ასეთია პარიზის დიდმნიშვნელოვანი და განსაკუთრებული როლი საფრანგეთის ცხოვრებაში რევოლუციის შემდეგ. ასეთია ელექტრობის აღმოჩენა და მისი გამოყენების წყალობით დედამიწის დაპყრობა. ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვლენები, რომლებსაც ბადალი არ მოეძებნებათ კაცობრიობის ისტორიაში, გაცილებით ნაკლებ თვალსაჩინონი არიან, თუკი საერთოდ არიან თვალსაჩინონი, ვიდრე რომელიმე სხვა, უფრო სცენიური, და, რაც მთავარია, ყოველივე იმას უფრო მეტად მიმსგავსებული მოვლენა, რასაც, ჩვეულებისამებრ, მოგვითხრობს ტრადიციული ისტორია. ელექტრობას ნაპოლეონის ეპოქაში დაახლოებით ისეთივე მნიშვნელობა ჰქონდა, როგორიც შეიძლებოდა მიეწერათ ქრისტიანობისათვის ტიბერიუსის დროს. თანდათანობით აშკარა ხდება, რომ საწყაროს ეს საყოველთაო ინერვაცია უფრო მრავალმნიშვნელოვანია და უფრო მეტად შესწევს მომავლის გარდაქმნის უნარი, ვიდრე ყველა „პოლიტიკურ“ მოვლენას, ერთად აღებულს, ამპერის დროიდან ვიდრე დღევანდელ დღემდე.

ეს შენიშვნები გვიჩვენებენ, რარიგ მბრძანებლობენ ჩვენს სულზე არაცნობიერი ტრადიციები და პირობითობები, და რა უმნიშვნელო ზემოქმედებას ახდენს მასზე რევიზიისა და რეორგანიზაციის ის ყოვლისმომცველი შრომა, რაც დღესდღეობით ხორციელდება ცოდნის ყველა დარგში. რა თქმა უნდა, ისტორიულ კრიტიკაშიც საგრძნობია დიდი პროგრესი, მაგრამ მისი როლი, ძირითადად, ფაქტების ირგვლივ დავითა და მათ სავარაუდო სიზუსტეზე მსჯელობით შემოიფარგლება; ის არას დაგიდევს მათ ხარისხს. ის იღებს და, თავის მხრივ, ტრადიციული ტერმინებით გამოხატავს მათ, ტერმინებით, თავისთავად რომ გულისხმობენ და განაპირობებენ ცნებათა მთელს ისტორიულ ფორმაციას, რითაც ისტორიაში ინერგება დასაბამიერი ქაოსი, რომელიც დამკვირვებლების ხედვის წერტილთა უსასრულო სიმრავლისგან იღებს დასაბამს. ისტორიის ნებისმიერი თავი შეიცავს სუბიექტური მონაცემებისა და „თვითნებური კონსტანტების“ გარკვეულ რაოდენობას, რაც განაპირობებს იმას, რომ პრობლემა ისტორიკოსისათვის გაურკვეველი ხდება, როგორც კი ის გადაუხვევს დადგენილ წესს და ამა თუ იმ მოწმის მიერ შეფასებული ფაქტის დადგენით ანდა საეჭვოდ დასახვით არ შემოიფარგლება. **მოვლენის** ფუნდამენტურ ცნებას არ განუცდია სათანადო გადასინჯვა და გადააზრება, და სწორედ ამით აიხსნება ის, რომ უმნიშვნელოვანესი თანაფარდობანი არასოდეს ყოფილან აღნიშნულნი, ანდა ჯეროვნად შეფასებულნი, როგორც ახლაწ გიჩვენებთ ამას. მაშინ როდესაც საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში უკანასკნელი სამი საუკუნის მანძილზე ურიცხვმა კვლევა-ძიებებმა ხედვის ახალი ასპექტები გადაგვიშალეს და ამ მეცნიერებათა საგნებზე მიამიტური წარმოდგენა და მათი კლასიფიკაცია ცნებათა საგანგებოდ შემუშავებული სისტემებით შეცვალეს, ისტორიულ-პოლიტიკურ სფეროში ჩვენ კვლავინდებურად პასიური ჭვრეტისა და უთავბოლო დაკვირვებების მდგომარეობაში ვრჩებით. იგივე კაცი, რომელსაც ფიზიკასა თუ ბიოლოგიაში შეუძლია ზუსტ ხელსაწყოთა შესადარი აზრობრივი იარაღების მომარჯვებით იაზროვნოს, პოლიტიკაში არასრულფასოვანი ტერმინებით, ცვლადი ცნებებით, ილუზორული მეტაფორებით აზროვნებს. სამყაროს სახე, როგორც ის ყალიბდება და ცოცხლობს სხვადასხვა გვარისა და სხვადასხვა რანგის პოლიტიკოსთა თავში, ძალზე შორსაა იმისგან, რომ მომენტის დამაკმაყოფილებელ და მეთოდურ წარმოდგენად იქცეს.

ისტორიაზე გულაყრილმა და ხელჩაქნეულმა იმ უცნაურ მდგომარეობაზე დავიწყე ფიქრი, რომელშიაც ვიმყოფებით თითქმის ყველანი, უბრალო მოკვდავნი, წრფელი და კეთილი ნების ადამიანები, გადაუჭრელ ისტორიულ-პოლიტიკურ დრამაში დაბადებითვე ჩათრეულნი. არცერთ ჩვენგანს არ შეუძლია შეაჯამოს და მთლიანი სახით წარმოიდგინოს მისი გარემომცველი პოლიტიკუ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რი სამყაროს აუცილებლობა ყოველივე იმის მეშვეობით, რაც, პირადი ცდის სფეროში, მის უშუალო დაკვირვებას ექვემდებარება. ყველაზე მეტად განსწავლულთ და ყველაზე ხელსაყრელ პოზიციებზე მდგომთ, მეხსიერებაში რომ მოაქუჩებენ ყოველივე იმას, რაც იციან და შემდეგ ამ ცოდნას შეადარებენ იმას, რასაც ხედავენ, — შეუძლიათ თავიანთ თავს ისიც კი უთხრან, რომ მთელი ეს ცოდნა მხოლოდ აბნელებს და აბუნდოვანებს უშუალო პოლიტიკურ პრობლემას, რომელიც არსებითად, სხვა არა არის რა, თუ არა ადამიანის მიმართებათა განსაზღვრა მისთვის უცნობ ადამიანთა მასისადმი. საკმარისია თავისი თავის წინაშე გულწრფელმა კაცმა, რომელსაც ეზიზღება საგნებზე განყენებული მსჯელობა, რაციონალურად რომ არ ერწყმის და ეთანხმება მის პირად ცდას, — გაშალოს გაზეთი და იმ წამსვე ქაოტური მეტაფიზიკის სამყაროში ამოჰყოფს თავს. რასაც ის კითხულობს, რასაც ის ისმენს, უცნაური დაჟინებით გადადის ყოველივე იმის ზღვარს, რის კონსტატირებასაც ის ახდენს, ანდა რისი კონსტატირებაც შეუძლია მოახდინოს. საკუთარ შთაბეჭდილებებს რომ აჯამებს: არ არსებობს პოლიტიკა მითების გარეშეო, — ფიქრობს იგი...

და აი, მე დავხურე ეს წიგნები, დაწერილნი იმ ენაზე, რომლის პირობითობები, როგორც ჩანს, გაუგებარია თვით იმ ხალხისთვის, ვინც მათ იყენებს, გადავშალე ატლასი და დაუდევრად დავუწყე ფურცვლა სამყაროს მრავალსახეობის ამ ალბომს. დავყურებდი და ვფიქრობდი. უწინარეს ყოვლისა, ჩემს თვალწინ გადაშლილი რუკების სიზუსტის ხარისხზე დავფიქრდი. აქ მე აღმოვაჩინე მარტივი ნიმუში იმისა, რასაც ამ სამოციოდე წლის წინათ პროგრესი ერქვა. ძველი პორტულანი, XVI საუკუნის რუკა მკაფიოდ აღნიშნავს ეტაპებს-მეთქი, ვფიქრობდი მე...

ბავშვი თავდაპირველად შუქ-ჩრდილთა ქაოსში ახელს თვალს, მისი მზერა ტრიალებს და ყოველწამიერად ორიენტირდება სინათლისმიერ უთანაბრობათა წიაღში; და არ არსებობს არავითარი საერთო სინათლის ამ უბნებსა და მისი სხეულის დანარჩენ შეგრძნებებს შორის. მაგრამ ამ სხეულის სუსტი მოძრაობები მას თავს ახვევენ შთაბეჭდილებათა სულ სხვა რიგის უწესრიგობას: ის ეხება, ის ქაჩავს, ის წურავს, და მისი არსება თანდათანობით კვეთს და აპირკეთებს თავისთვის საკუთარი ფორმის ტოტალურ განცდას. ეს ცნობიერება მკვეთრად გამოხატული და პროგრესული ეტაპებით ყალიბდება; კავშირებისა და წინასწარხედვების შენობა თავისუფლდება კონტრასტებისა და განმეორებებისაგან. თვალი, შეხების გრძნობა და მოქმედება მრავალგანზომილებიან, კოორდინირებულ სისტემად ერწყმიან ერთმანეთს, რომელიც არის გრძნობადი სამყარო, — და აი, ბოლოს, ცენტრალური მოვლენა, — ის წამი, როცა თანაფარდობათა გარკვეული სისტემა აუცილებელი და საკმარისი ხდება, რათა ერთგვაროვნად შეუხამოს და შეუსაბამოს ფერად შეგრძნებათა ერთობლიობა კანისა და კუნთების ყველა შეგრძნებას. ამასობაში კი ბავშვის ძალები იზრდება, და რეალობა იკვეთება როგორც წონასწორობის ერთგვარი ხატება, რომელშიაც ერთმანეთს ერწყმის შეგრძნებათა მრავალფეროვნება და მოძრაობის შედეგთა ერთობლიობა.

კაცთა მოდგმა ისევე იქცეოდა, როგორც ეს ცოცხალი არსება, როდესაც სულდგმულობს და ვითარდება იმ გარემოში, რომლის თვასებებს და განფენილობას თანდათანობით იკვლევს და ხელის ფათურითა და ნაწილთა ურთიერთმისადაგებით კრებს და ეუფლება. მოდგმამაც თანდათანობით და არათანაბრად შეიცნო დედამიწის ზედაპირული სახე. მოიხილა და სულ უფრო და უფრო უშუალოდ შეიცნო მისი ნაწილები; ივარაუდა და ცდით დაადასტურა მისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დახშული სიმრუდე; აღმოაჩინა და სხარტ ფორმულებში მოაქცია მისი მოძრაობის კანონები; გამოიკვლია, შეაფასა და გამოიყენა სასარგებლო რესურსები და იმ თხელი ფენის მარაგი, რომელშიაც მოქცეულია მთელი სიცოცხლე...

**სიცხადისა და სიზუსტის ზრდა, ძალმოსილების ზრდაა,** — აი, ახალი დროის ისტორიის უმნიშვნელოვანესი მოვლენები; დიახ, მე უმნიშვნელოვანესს ვუწოდებ მათ, ვინაიდან ისინი ცვლიან თვით ადამიანს, ხოლო სიცოცხლისა და მისი თვითშენახვის, გავრცელებისა და ურთიერთობების საშუალებათა ცვლილება მე მიმაჩნია იმ ფაქტების მნიშვნელობის კრიტერიუმად, რომლებიც უნდა დავიხსომოთ და გავიაზროთ. ეს მოსაზრება ცვლის მსჯელობას ისტორიისა და პოლიტიკის შესახებ, ავლენს მის დისპროპორციულობას და ხარვეზებს, მის თვითნებურ დანამატებს თუ დანაკლისებს.

როდესაც ჩემი მსჯელობის ამ ადგილს მივადექი, თავში გამიელვა აზრმა, რომ ადამიანის მთელი თავგადასავალი, ვიდრე ჩვენს დრომდე, ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებულ ორ ფაზად უნდა გაიყოს: პირველი იმ უთავბოლო ხელის ფათურის, უფორმო გარემოში წინსვლისა თუ უკუქცევის, უსასრულობაში თვალისმომჭრელად ფეთქებადი სწრაფვებისა თუ იმპულსების პერიოდს უნდა შევადაროთ, როგორადაც წარმოგვიჩნდება ბავშვის განვითარების ისტორია მისი პირველი ცდების ქაოსში. მაგრამ მყარდება გარკვეული წესრიგი; იწყება ახალი ერა. მოქმედებებს სასრულსა და ზუსტად განსაზღვრულ, მკვეთრად შემოსაზღვრულსა და უხვად და ძალუმად დანაწევრებულ გარემოში აღარა აქვთ ის ხასიათი და აღარც ის შედეგები მოსდევთ, რაც ნიშნეულია მათთვის უფორმო და განუსაზღვრელ სამყაროში.

მაგრამ მაინც უნდა შევნიშნოთ, რომ ამ პერიოდების მკვეთრად გამიჯვნა შეუძლებელია ფაქტების მიხედვით. კაცთა მოდგმის ერთი ნაწილი უკვე მეორეულ პირობებში ცხოვრობს, მაშინ როდესაც დანარჩენნი ჯერ კიდევ არ გასცილებიან პირველ პერიოდს. ეს უთანასწორობა დასაბამს აძლევს თანადროული კონფლიქტების მნიშვნელოვან ნაწილს.

ახლა კი, მთლიანობაში და წინა შენიშვნების გათვალისწინებით რომ დავაპირე განმეხილა ჩემი ეპოქა, მე ვცადე გამეცხადებინა ყველაზე მარტივი და ყველაზე ზოგადი მოვლენები, რომლებიც, იმავდროულად, ახალი მოვლენები უნდა ყოფილიყვნენ.

მე თითქმის დაუყოვნებლივ დავადგინე ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, პირველხარისხოვანი ფაქტი, რომლის თვით პირველხარისხოვნებამ, მისმა სიცხადემ, მისმა სიახლემ, ან, უფრო ზუსტად, მისმა არსებითმა ერთადერთობამ ჩვენთვის, მისი თანამედროვეებისათვის, შეუმჩნეველი გახადეს იგი.

მთელი დასახლებული დედამიწა დღეს უკვე გამოკვლეულია, შესწავლილი, ხალხებს შორის დანაწილებული. უცნობი მხარეების, თავისუფალი ტერიტორიების, უპატრონო მიწების, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თავისუფალი ექსპანსიის ერა წარსულს ჩაბარდა. აღარსადაა ქარაფი, ზედ აღმართული რომ არ იყოს დროშა; აღარაა თეთრი ლაქები რუკაზე; აღარც ოლქები, საბაჟოებისა და კანონების გარეშე; აღარც ტომი, რომლის საქმეებსაც არ შეევსოთ ესა თუ ის საქაღალდე, და, წერილობითი სიტყვის დაწყევლილობის წყალობით, შორეულ კაბინეტებში მოკალათებული სხვადასხვა ჯურის ჰუმანისტების სათამაშოდ არ ქცეულიყვნენ. **იწყება სასრული სამყაროს ხანა.** რესურსების საყოველთაო აღწერა, მუშახელისა და შრომის იარაღების სტატისტიკა, კავშირურთიერთობის საშუალებათა განვითარება გრძელდება. რა შეიძლება იყოს უფრო მნიშვნელოვანი ანდა უფრო შესანიშნავი, ვიდრე მთელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ინვენტარიზაცია, ეს ყოვლისმომცველი განწესება-განაწილება, დედამიწის ყოველი კუთხის ეს გლობალური ურთიერთკავშირი? მათი შედეგები უკვე განუზომელია. მხარეებსა და მოვლენებს შორის სრულიად ახლებური, ზღვრული და მყისიერი ერთობლიობა ამ დიადი ფაქტის უკვე აშკარად საგრძნობ რეზულტატად იქცა. ამიერიდან ჩვენი ვალია ყველა პოლიტიკური მოვლენა ამ ახალ, საყოველთაო პირობამდე დავიყვანოთ, ვინაიდან თვითეული ამ მოვლენათაგანი ექვემდებარება ან ეწინააღმდეგება ზემოხსენებული სასტიკი შეზღუდვისა და ადამიანურ მოქმედებათა სულ უფრო და უფრო მკვეთრად გამოხატული ურთიერთდამოკიდებულების ყველა შედეგს. ისტორიის წინა პერიოდში შეძენილი ჩვეულებები, ამბიციები, ფაქტები კვლავინდებურად განაგრძობენ არსებობას, მაგრამ შეუმჩნევლად გადანერგილნი სრულიად სხვა სტრუქტურის მქონე გარემოში, ისინი უკვე კარგავენ თავიანთ აზრს და ათასგვარი უნაყოფო ძალისხმევისა და შეცდომების წყაროდ იქცევიან.

ადამიანური ცხოვრების არეალის მთლიანი შეცნობის დასასრულს იქამდე მივყავართ, რომ დაზვერვის ამ პერიოდს ენაცვლება ურთიერთობის პერიოდი. სასრული და შეცნობილი სამყაროს ნაწილები გარდუვალად სულ უფრო და უფრო მჭიდრო კავშირით უკავშირდებიან ერთმანეთს.

ხოლო ყოველი პოლიტიკა დღევანდელ დღემდე მოვლენათა გათიშულობას იღებდა ამოსავალ წერტილად. ისტორია ითხზვებოდა მოვლენებისაგან, რომელთა ლოკალიზაციაც შესაძლებელი იყო. ყოველი არეულობა, რომელიც დედამიწის ამა თუ იმ ნაწილში იჩენდა თავს, თითქოს უსასრულო გარემოში ვითარდებოდა. მისი შედეგები საკმაოდ დიდ მანძილზე ნულის ტოლი გახლდათ. ტოკიოში ყველაფერი ისე ხდებოდა, თითქოს ბერლინი უსასრულობაში ყოფილიყოს გადატანილი. მაშასადამე შეიძლებოდა, ასე განსაჯეთ, კეთილგონივრულადაც კი შეიძლებოდა წინასწარხედვა, გაანგარიშება და რეაგირება. დედამიწის ზურგზე საკმაო ადგილი იყო ერთი ან რამდენიმე დიდი, მკვეთრად გამოკვეთილი და თანმიმდევრული პოლიტიკის საწარმოებლად.

ეს ერა თავის დასასრულს უახლოვდება. თვითეული აქცია ამას იქით გარდუვალად იწვევს ყოველი მხრიდან ათასგვარი გაუთვალისწინებელი ინტერესის გამოხმაურებას; ის დასაბამს აძლევს უშუალო მოვლენების უსასრულო წყებას, დახშულ წრეში მოგუგუნე გამოძახილთა ქაოსს. ოდესღაც შეუმჩნეველი ანდა ადვილად უგულებელსაყოფი შედეგთა შედეგები, ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობასა და ადამიანური ძალაუფლების მოქმედების სფეროსთან თანაფარდობით, თითქმის მეყსეულად აღიქმებიან ნებისმიერ მანძილზე, დაუყოვნებლივ უბრუნდებიან თავიანთ გამომწვევ მიზეზებს და მხოლოდ გაუთვალისწინებელში ქარწყლდებიან და ქრებიან. მკითხავის ვარაუდს, რამდენიმე თვესა თუ რამდენიმე წელზე გათვლილსა და გაანგარიშებულს, ყოველთვის გამტყუნება ელის.

ძალზე შორეული მოვლენები, რამდენიმე კვირის მანძილზე, მეგობარს მტრად, მტერს მოკავშირედ, ხოლო გამარჯვებას დამარცხებად აქცევენ. ყოველგვარი ეკონომიური კალკულაცია შეუძლებელი გახდა. ყველაზე მეტად გამოცდილნიც კი ცდებიან; ერთპიროვნულად მბრძანებლობს პარადოქსი.

არ არსებობს კეთილგონიერება, სიბრძნე, გენია, რომლებიც ამ სირთულეშ დაუყოვნებლივ არ მოამწყვდიოს ჩიხში, ვინაიდან აღარ არსებობს ხანგრძლივობა, ვრცეულობა ან შეცნობადი მიზეზობრიობა ურთიერთობებითა და კონტაქტებით ამ კიდით-კიდემდე დახლართულ სამყაროში. კეთილგონიერებაც, სიბრძნეც, გენიაც თვალსაჩინო მიღწევებისა თუ წარმატებების გარკვე-

ეროვნული

ული თანმიმდევრობით ცნაურდება; ხოლო იქ, სადაც მბრძანებლობს შემთხვევითობა და უწესრიგობა, სიბრძნისა თუ შთაგონების თამაში შემთხვევითობის თამაშისაგან განურჩეველი ხდება. ყველაზე ლიდებული ნიჭიც კი ფუჭი და ამაოა ამნაირ სინამდვილეში.

აქედან გამომდინარე, ახალი პოლიტიკა ისე შეეფარდება ძველს, როგორც ბირჟის მაკლერის ნაუცბათევი გათვლები, სპეკულაციის ნერვიული ფუსფუსი მოყაყანე ბაზარში, მისი მკვეთრი რყევა, მისი წრიალი, მისი არამყარი მოგება თუ წაგება შეეფარდება ძველი პატრიარქალური ოჯახის კაცის დინჯსა და აუჩქარებელ სამეურნეო თადარიგს და ავლა-დიდების თანდათანობით დაგროვებას... რომელიმე მაკიაველისა თუ რიშელიეს მეთოდური თანმიმდევრობით განხორციელებულ შთანაფიქრს, მათ ღრმა აზრებს დღეს ქორვაჭრის ანგარების ყადრი და ფასი თუ ექნებოდა.

ეს საზღვრული სამყარო, განუწყვეტლივ რომ ზრდის კავშირურთიერთობას თავის ნაწილებს შორის, იმავდროულად არის სამყარო, რომელიც სულ უფრო და უფრო ამრავალფეროვნებს თავის ალჭურვილობას. ევროპამ დააარსა მეცნიერება, რომელმაც გარდაქმნა ცხოვრება და გაზარდა მისი მფლობელების ძლიერება. მაგრამ თვით მისივე ბუნების მიხედვით, ის შეიძლება სხვებსაც გადაეცეს. უნდა თუ არა, მეცნიერება უნივერსალურ მეთოდებსა და რეცეპტებში პოულობს თავის გამოხატულებას. საშუალებები, რომლებსაც ის ანიჭებს კაცობრიობის ერთ ნაწილს, სხვებისათვისაც ხელმისაწვდომი ხდება.

მაგრამ ეს ყველაფერი როდია. იგივე საშუალებები ზრდიან წარმოებას, და არა მარტო რაოდენობრივად. ვაჭრობის ტრადიციულ საგნებს ემატება ურიცხვი ახალი საგანი, რომელთა საჭიროება და მოთხოვნილება, მიბაძვის გზით, გადამდებ სნეულებასავით ვრცელდება. მალე ყველაზე ჩამორჩენილი ხალხებისაგან მოითხოვენ, რომ მათ შეიძინონ ამ სიახლეების მოყვარულთა და მომხმარებელთათვის საჭირო ცოდნა. მათ შორის — უახლესი იარაღისაც. აქვე უნდა ითქვას, რომ ისინი იძულებულნი არიან შეიძინონ ეს იარაღი, რადგანაც მას თვით ამ ხალხებისავე წინააღმდეგ იყენებენ. მათ ხელსაც კი უწყობენ ამაში: ერთმანეთს ებრძვიან იმის გულისთვის, თუ ვინ უფრო მეტ იარაღს მიაწვდის და ვინ უფრო მეტ სესხს მისცემს მათ, რომლითაც ისინი ამ იარაღის საფასურს გადაიხდიან.

ამრიგად, ძალების ხელოვნური უთანასწორობა, რასაც უკანასკნელი სამი საუკუნის მანძილზე ემყარებოდა ევროპის ბატონობა, წარმოუდგენელი სისწრაფით ქარწყლდება. ხელახლა იჩენს თავს მთლიანი სტატისტიკის მონაცემებზე დაფუძნებული უთანასწორობა.

აზია დაახლოებით ოთხჯერ უფრო დიდია ევროპაზე. ამერიკის კონტინენტის ზედაპირი ცოტათი უფრო ნაკლებია აზიისაზე. ჩინეთის მოსახლეობა, მეტი რომ არ ვთქვათ, ევროპის მოსახლეობის ტოლია; იაპონიის მოსახლეობა გერმანიისას სჭარბობს.

ხოლო ევროპის ლოკალურ პოლიტიკას, მთლიანად რომ თრგუნავს და უაზროს ხდის ევროპისავე უნივერსალიზებულ პოლიტიკას, ურთიერთმოქიშპე ევროპელები მანქანებისა და ტექნიკის ექსპორტამდე მიჰყავს; ეს მანქანები და ტექნიკა კი ევროპის მსოფლიო ბატონობას ედო საფუძვლად. ევროპელები ერთმანეთს ეცილებიან იმ სარფიანი პატივის გამო, რომ გამოაღვიძონ, გაანათლონ და შეაიარაღონ უზარმაზარი, თავიანთ ტრადიციებში გათანგული და გა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩევვებული ხალხები, რომლებიც სხვას არაფერს თხოულობენ, გარდა იმისა, რომ ამ მდგომარეობაში დატოვონ.

ისევე როგორც ამა თუ იმ ხალხში კულტურის გავრცელება თანდათანობით შეუძლებელს ხდის კასტების შენარჩუნებას, ისევე როგორც ვაჭრობისა და მრეწველობის წყალობით ნებისმიერი კაცის სწრაფი გამდიდრების შესაძლებლობამ ილუზორული და მოძველებული გახადა ყოველგვარი მყარი სოციალური ჰიერარქია, — იგივე ბედი ელის ტექნიკურ ძლიერებაზე დაფუძნებულ უთანასწორობასაც.

ისტორიაში არ მოიძებნება უფრო დიდი სიბრიყვე, ვიდრე ევროპული მეტოქეობა პოლიტიკისა და ეკონომიკის სფეროში, როცა მას ადარებ, უპირისპირებ და უფარდებ ევროპულ ერთობას და თანამშრომლობას მეცნიერების დარგში. მაშინ როდესაც ევროპის დიდ მოაზროვნეთა ძალისხმევის წყალობით იქმნებოდა პრაქტიკული ცოდნის უზარმაზარი კაპიტალი, იმავდროულად გრძელდებოდა სიხარბისა და უკანა-აზრების ისტორიული პოლიტიკის მიამიტური ტრადიცია, და პატარა ევროპელების ამნაირი სულისკვეთება, რომელიც შეიძლება თავისებურ გამცემლობად იქნეს მიჩნეული, ხელში უგდებდა მათ, ვისზედაც მბრძანებლობას აპირებდა, ძლიერების მეთოდებს და იარაღებს. ბრძოლა კონცესიებისა თუ კრედიტებისათვის, მანქანებისა თუ ტექნიკური პერსონალის ექსპორტისათვის, სკოლებისა თუ არსენალების მშენებლობისათვის, რაც, არსებითად, სხვა არა არის რა, თუ არა დიდ მანძილზე ევროპული ურთიერთქლეტის საშუალებათა გადატანა, — ფატალური გარდაუვალობით აქვეითებს ევროპას იმ მეორეხარისხოვან მდგომარეობამდე, სადაც მას უწესებს ადგილს მისივე საკუთარი განზომილება და საიდანაც მისი გონების ქმედითობამ და შინაგანმა ძალისხმევამ ამოზიდა და აღაზევა იგი.

აზრი არა აქვს წარმოვიდგინოთ გიგანტური ომების საზარელი გარემოებანი, თემურ-ლენგის შემოსევები, როგორც ამ ბალღური ქცევისა და უთავბოლო წრიალის შედეგი. საკმარისია წარმოვიდგინოთ უფრო უარესი. ზერელედ მაინც დაუფიქრდით იმას, თუ რა მოელის ევროპას, როცა, მისივე მზრუნველობის წყალობით, აზიაში მოგვევლინება ორი დუჟინი კრეზო თუ ესსენი, მანჩესტერი თუ რუბე; როცა ფოლადი, აბრეშუმი, ქაღალდი, ქიმიური პროდუქტები, ქსოვილები, კერამიკა და სხვა მისთანანი წარმოებული იქნება იქ გამაოგნებელი რაოდენობით და წარმოუდგენლად იაფ ფასებში, დედამიწის ზურგზე ყველაზე ნაკლები მოთხოვნილების მქონე და ყველაზე მრავალრიცხოვანი მოსახლეობის მიერ, რომლის შემდგომ ზრდას და გამრავლებას ხელს შეუწყობს ჰიგიენური ჩვევების დანერგვა.

ასეთი იყო ჩემი უმარტივესი აზრები ჩემივე ატლასის წინაშე, როცა ზემოხსენებულმა ორმა კონფლიქტმა და, მეორეს მხრივ, იმის აუცილებლობამ, რომ ზერელედ მაინც შემესწავლა გერმანიის თანმიმდევრული განვითარება, ეს კითხვები აღმიძრეს.

მას აქეთ მომხდარმა გრანდიოზულმა მოვლენებმა ვერ მაიძულეს შემეცვალა ეს ელემენტარული იდეები, რომლებიც მხოლოდ ძალზე ადვილსა და თითქმის პირწმინდად რაოდენობრივ კონსტატაციებზე არიან დამოკიდებულნი. „სულის კრიზისი“, რომელიც უშუალოდ ზავის დადების შემდეგ დავწერე, შეიცავს მხოლოდ ამ აზრების განვითარებას, რომლებიც ოცი წლის წინათ დამებადა. მსოფლიო ომის შედეგი იყო ის, რაც უნდა ყოფილიყო: მან მხოლოდ დაადასტურა და დააჩქარა ევროპის დაცემის პროცესი. მისი ყველა დიდი

ეროვნული

ხალხის ერთდროული დასუსტება; მათი მკვეთრად გამოხატული შინაგანი წინააღმდეგობანი; ორივე მხარის სასოწარკვეთილი მცდელობა არაევროპელთაგან დახმარების მიღებისათვის, სამოქალაქო ომების დროს საზღვარგარეთიდან დახმარების მიღების ცდას რომ გვაგონებს; პროპაგანდათა ბრძოლის შედეგად დასავლელი ხალხების პრესტიჟის ურთიერთშემუსვრა, — მე უკვე აღარაფერს ვამბობ საომარი ხერხებისა და საშუალებების არნახულად სისწრაფით გავრცელებასა და ევროპული ელიტის გაჟლეტის გამო, — ასეთი იყო, მსოფლიოში ევროპის მდგომარეობის თვალსაზრისით, ამ კრიზისის შედეგები, კრიზისისა, რომელიც დიდი ხანია მზადდებოდა ურიცხვი ილუზიების წყალობით, და რომელმაც მემკვიდრეობად დაგვიტოვა უთვალავი პრობლემა, ამოცანა, შიში, უფრო ბუნდოვანი სიტუაცია, უფრო მეტად აფორიაქებული სულები და უფრო პირქუში მომავალი, ვიდრე 1913 წელს. მაშინ ევროპაში ძალთა წონასწორობა მაინც არსებობდა; დღევანდელი მშვიდობა კი მხოლოდ უძლურებათა ერთგვარ წონასწორობას გვავარაუდებინებს, რაც, გარდუვალად, კიდევ უფრო არამყარია.

## შენიშვნები ევროპის სიდიადისა და დაცემის შესახებ

უახლეს დროში ევროპის ვერცერთმა სახელმწიფომ, ვერცერთმა იმპერიამ ვერ შესძლო დარჩენილიყო დიდების მწვერვალზე, ფართოდ გაევრცელებინა თავისი ძალაუფლება, ანდა ორმოცდაათ წელზე მეტხანს შეენარჩუნებინა დამპყრობლური ომების მონაპოვარი. ყველაზე დიდ ადამიანებსაც ხელი მოეცარათ; თვით ყველაზე ბედნიერებმაც კი დაღუპვის პირას მიიყვანეს თავიანთი ხალხები. კარლოს V, ლუი XIV, ნაპოლეონი, მეტერნიხი, ბისმარკი, — — საშუალო ხანგრძლივობა: ორმოცი წელი. გამონაკლისი არ არის.

ევროპას ყველაფერი გააჩნდა საიმისოდ, რომ დაემორჩილებინა, უკან ჩამოეყოლიებინა და ევროპული მიზნების სამსახურში ჩაეყენებინა დანარჩენი სამყარო. მის განკარგულებაში იყო ძლევამოსილი საშუალებები და მათი შემქმნელი ხალხი. გაცილებით დაბლა იდგნენ ისინი, ვის განკარგულებაშიც იყო თვითონ ევროპა. მათ ასაზრდოებდათ წარსული, და მხოლოდ წარსულის შექმნა შეეძლოთ. ეს შესაძლებლობაც უკვე წარსულს ჩაბარდა. ევროპის ისტორიამ, მისმა ტრადიციებმა, მისი სოფლების, სამრეკლოების და დუქნების შუღლმა, მეზობლების ქიშპობამ და ურთიერთმტრობამ, მოკლედ, თვალსაწიერის დახშულობამ და იმ ეპოქიდან მემკვიდრეობით მიღებულმა სულმოკლეობამ, როცა ევროპაც გაუთლელი, გაურანდავი და დედამიწის სხვა მხარეებზე ძლიერი როდი იყო, — აიძულეს იგი ხელიდან გაეშვა დიადი შესაძლებლობა, რომლის არსებობაც, თავის დროს, აზრადაც არ მოსვლია მას. ნაპოლეონი, როგორც ჩანს, ერთადერთი იყო, რომელმაც წინასწარ იგრძნო, რა მოხდებოდა და რისი გაკეთება იყო საჭირო. მაგრამ ის მეტისმეტად ადრე მოვიდა. ის ფიქრობდა თანადროული სამყაროს მასშტაბზე, და გამოთქვა კიდეც ეს, მაგრამ ვერავინ გაუგო. მისი საშუალებები ოდნავადაც ვერ შეედრებოდა ჩვენსას. მას შემდეგ კვლავ მუშტრის თვალით დაუწყეს ყურება მეზობლის ბალბოსტნებს და ხელახლა დაუბრუნდნენ წამიერ განზომილებას.

უბადრუკი ევროპელები ამჯობინებდნენ არმანიაკები და ბურგინიონები ეთამაშათ, და არა იმას, რომ მთელი დედამიწის მასშტაბით შეესრულებინათ ის დიადი როლი, რომელიც იტვირთეს და თავიანთ თანადროულ სამყაროში საუკუნეების მანძილზე შეინარჩუნეს რომაელებმა. მათი რაოდენობა და საშუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალებები სასაცილო იყო ჩვენს სიმრავლესა და საშუალებებთან შედარებით, მაგრამ თავიანთი წრწილების კუჭმაჭში ისინი პოულობდნენ უფრო მეტ მართებულ და თანმიმდევრულ იდეებს, ვიდრე შეიძლება მოიქექოს მთელს ჩვენს პოლიტიკურ მეცნიერებებში.

ევროპა დაისჯება მისი პოლიტიკის გამო; მას მოაკლდება ღვინო, ლუდი, ლიქიორი; და სხვა რაღაცაც....

ევროპა აშკარად ისწრაფვის იმისაკენ, რომ მას მართავდეს რომელიღაც ამერიკული კომისია. მთელი მისი პოლიტიკა აქეთკენაა მიმართული.

რაკი თვითონვე ვერ ვაღწევთ თავს საკუთარ ისტორიას, ჩვენ დაგვიხსნიან მისგან ბედნიერი ხალხები, რომლებსაც არ ჰქონიათ, ან თითქმის არ ჰქონიათ ისტორია. ეს ბედნიერი ხალხები თავს მოგვახვევენ თავიანთ ბედნიერებას.

ევროპა მკვეთრად გამოიყო დედამიწის დანარჩენი ნაწილებისაგან; არა თავისი პოლიტიკის წყალობით, არამედ ამ პოლიტიკის მიუხედავად, და, მეტიც, მის წინააღმდეგ, მან შესძლო უკიდურესად განევითარებინა თავისი სულის თავისუფლება, საკუთარი ნების რიგორიზმს შეუხამა ყოვლისშემცნობის წყურვილი, გამოიგონა ზუსტი და ქმედითი ცნობისმოყვარეობა, დაუოკებელი ძიებით მიაღწია შედეგებს, რომლებიც შეიძლება ზუსტად შეედარებოდნენ და შეესაბამებოდნენ ერთმანეთს, და შექმნა ყოვლისმძლე კანონებისა თუ წესების ფონდი. მაგრამ მისი პოლიტიკა კვლავინდებურად უცვლელი დარჩა, და მთელი იმ განსაცვიფრებელი სიმდიდრისა და რესურსებისაგან, რაზედაც წეღან ვლაპარაკობდი, სესხულობდა მხოლოდ იმას, რაც საჭირო იყო ამ პრიმიტიული პოლიტიკის განსამტკიცებლად და უფრო მრისხანე და უფრო ბარბაროსული იარაღით მის აღსაჭურვად.

ასე იჩინა თავი კონტრასტმა, განსხვავებამ, განსაცვიფრებელმა გათიშულობამ ერთი და იგივე სულის ორ მდგომარეობას შორის, როცა ის, ერთის მხრივ, თავდავიწყებით ილვწოდა და აღარ ახსოვდა აღარაფერი, თავისი უანგარო შრომის, თავისი მკაცრი, კრიტიკული ცნობიერების და თავისი ბრძნულად გამოკვლეული სიღრმის გარდა, ხოლო, მეორეს მხრივ, როცა პოლიტიკის ინტერესებს ემსახურებოდა. ის თითქოს პოლიტიკისათვის ინახავდა მთელი თავისი ნამოღვაწარის ყველაზე ფუჭ, ყველაზე უსარგებლო და ყველაზე ბილწ ნაწილს: ინსტინქტებს, კერპებს, მოგონებებს, სინანულს, გულისთქმას, მნიშვნელობათაგან განძარცვულ ბგერებს და თავბრუდამხვევად მსწრაფლწარმავალ მნიშვნელობებს... ყოველივე იმას, რასაც უარყოფდნენ მეცნიერებაც, ხელოვნებაც და თვით ისიც კი, რისი ატანაც უკვე აღარ შეეძლოთ მათ.

წარმოიდგინეთ, რომ თქვენ განიჭებენ შეუზღუდავ ძალაუფლებას. თქვენ პატიოსანი კაცი ხართ და მტკიცედ გაქვთ გადაწყვეტილი, რაც შეიძლება უკეთ მოიქცეთ. თქვენ მაგარი თავი გაქვთ; თქვენს გონებას საგანთა მკაფიო ჭვრეტისა და მათი თანაფარდობის ნათლად წარმოდგენის უნარი შესწევს; და ბოლოს, თქვენ განდგომილი ხართ საკუთარი თავისგან, და ისე მაღალ და თავბრუდამხვევად საინტერესო მდგომარეობამდე აღზევებული, რომ თქვენი პირადი ინტერესები უბადრუკობად და არარაობად გეჩვენებათ ყოველივე იმასთან შედარებით, რაც თქვენს წინაშე ან იმ შესაძლებლობათა წინაშე იშლება, რომლებიც თქვენ გაქვთ მონიჭებული. თქვენ ისიც კი არ გაშფოთებთ, რაც შეაშფოთებდა თვითეულ ჩვენგანს, — იდეა მოლოდინისა, რომელიც ნიშნეულია ყველა კაცისათვის. თქვენ არ გაშინებთ, არც გთრგუნავთ იმედი, რომელსაც თქვენზე ამყარებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კეთილი და პატიოსანი! რას იზამდით? რას მოიმოქმედებდით ომს?

არის გამარჯვება თავისთავადი და გამარჯვება შემთხვევითი.

მშვიდობა ეს არის შესაძლო ძალთა ფარული, მუნჯი, მუდმივი გამარჯვება სავარაუდო გულისთქმათა წინააღმდეგ ბრძოლაში.

ჭეშმარიტი მშვიდობა მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როცა ყველა დაკმაყოფილებულია. ეს კი ნიშნავს, რომ ჭეშმარიტი მშვიდობა ძალზე იშვიათი მოვლენა გახლავთ. არსებობს მხოლოდ ფაქტიური მშვიდობა, რომელიც, თავისთავად, ისეთივე კერძო გამოსავალია, როგორც ომი.

ერთადერთი ხელშეკრულება, რომლისთვისაც შეიძლებოდა ანგარიში გაგვეწია, ეს იქნებოდა ხელშეკრულება, დადებული უკანა-აზრებს შორის.

ყოველივე იმას, რისი აღიარებაც შეიძლება, თითქოს არავითარი მომავალი არ გააჩნია.

ხანდახან პირმოთნედ იმედოვნებენ, რომ მოწინააღმდეგეს თავს მოახვიეს თავიანთი ნება. ზოგჯერ მართლაც აღწევენ ამას. მაგრამ ეს შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს. არაფერი ისე ძნელი არ მეჩვენება, როგორც განსაზღვრა ერის ჭეშმარიტი ინტერესებისა, რომლებიც არ უნდა ავურიოთ ერისავე მისწრაფებებში. ჩვენი სურვილების აღსრულება ყოველთვის როდი გვაშორებს ჩვენსავ აღსასრულს.

ომი, რომელიც თავის დასასრულს მეომარი მხარეების ძალთა უთანასწორობას უნდა უმაღლოდეს, მხოლოდ დროებით შეწყვეტილი ომია.

რამდენიმე კაცის ქცევა მილიონების ბედზე ისეთსავე გავლენას ახდენს, როგორც ყოველი სულდგმულის ხვედრზე — მისი სასიცოცხლო გარემოს შეცვლა თუ შერყევა. მსგავსად იმისა, როგორც ბუნებრივი მიზეზები იწვევენ სეტყვას, ტაიფუნს, ეპიდემიებს, — ინტელექტუალური მიზეზებიც ასეთსავე ზემოქმედებას ახდენენ მილიონობით ადამიანზე, რომელთა უმრავლესობაც ისევე იტანს მათ, როგორც ცის, ზღვის, დედამიწის ქერქის კაპრიზებს. ინტელექტი და ნება, რომლებიც ბრმა ფიზიკური ძალებივით მოქმედებენ მასებზე, — აი, რას ეწოდება პოლიტიკა.

## ერებისათვის

არასოდეს არ არის ადვილი საქმე ნათლად წარმოიდგინო ის, რასაც ერი ჰქვია. ყველაზე მარტივი და ყველაზე მკაფიო თვისებები შეუმჩნეველი რჩებათ ადგილობრივ მცხოვრებლებს, რომლებიც უგრძნობელნი არიან იმის მიმართ, რაც თვალწინა აქვთ. უცხოელი კი, რომელიც ამჩნევს ამ თვისებებს, მეტისმეტი სიმკვეთრით აღიქვამს მათ, და ვერა გრძნობს შინაგანი შესაბამისობებისა და უხილავ ორმხრივობათა ურიცხვ სიმრავლეს, რისი წყალობითაც ხორციელდება მილიონობით ადამიანის ღრმა ერთობის ეს სასწაული.

მაშასადამე, შეიძლება ორი დიდი შეცდომის დაშვება მოცემულ ერთან დაკავშირებით.

ეგეც არ იყოს, თვით ერის იდეაც, საერთოდ, ძალზე ძნელად ექვემდებარება განსაზღვრას. გონება იბნევა და იფანტება ამ ცნების მრავალფეროვან ასპექტთა შორის; ის ყოყმანობს და არ იცის, განსაზღვრის რომელი გზა აირჩიოს. როგორც კი ირწმუნებს, რომ დამაკმაყოფილებელ ფორმულას მიაკვლია, თვით ეს ფორმულა კარნახობს ამა თუ იმ კერძო შემთხვევას, რომელიც აშკარად სცილდება მის ვიწრო ფარგლებს.

ეს იდეა იმდენად ჩვეულებრივია ჩვენს ყოველდღიურობაში და იმდენად განუყოფელი — ჩვენი გრძნობელობისაგან, რამდენადაც რთული და განუსა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზღვრულია ჩვენი აზროვნებისათვის. მაგრამ იგივე ითქმის დიდი მნიშვნელობის მქონე ყველა სხვა სიტყვის მიმართ. ჩვენ ადვილად ვმსჯელობთ სამართლის, რასის, საკუთრების შესახებ. მაგრამ რა არის სამართალი, რასა, საკუთრება? ჩვენ თითქოს ვიცით, და არც ვიცით ეს.

ამრიგად, ეს მძლავრი, ერთსა და იმავე დროს, აბსტრაქტული და ვიტალური ცნებები, დროდადრო ეგზომ დაძაბული და მძაფრი სიცოცხლით რომ ცოცხლობენ ჩვენში, ყველა ეს ტერმინი, რომელთა წყალობითაც ხალხისა თუ სახელმწიფო მოღვაწეთა სულში ითხზვის აზრები, გეგმები, საბუთები, გადაწყვეტილებები, რომლებზედაც დამოკიდებულია ადამიანთა ბედ-იღბალი, მათი კეთილდღეობა თუ უბედურება, მათი სიცოცხლე თუ სიკვდილი, — ცნობიერებას ბუნდოვან და არაწმინდა სიმბოლოებად ევლინებიან... და მაინც, ადამიანები, თავიანთ ყოველდღიურ ურთიერთობებში ამ განუსაზღვრელობებს რომ იყენებენ, მშვენივრად უგებენ ერთმანეთს. მაშასადამე, ეს ცნებები ცხადნი და საკმარისნი არიან ერთობლივად, მაგრამ ბუნდოვანნი და თითქოს უსასრულოდ ურთიერთსაპირისპირონი — ცალ-ცალკე.

ერები უცხონი არიან ერთმანეთისათვის, ისევე როგორც ხასიათით, ასაკით, რწმენით, ჩვეულებებითა და მოთხოვნილებებით ერთმანეთისაგან განსხვავებული არსებანი. ისინი ცნობისწადილით და დიდი სიფრთხილით უთვალთვალებენ ერთმანეთს; იღიმებიან; ტუჩს იბზუებენ; აღტაცებით უცქერენ და ბაძავენ წვრილმანებს; მძულვარებით უმზერენ მთელს; ეჭვებით იწყვლიან და ზიზღით იფხორებიან. რაგინდ გულწრფელიც უნდა იყოს მათი სურვილი, რომ დაუახლოვდნენ და გაუგონ ერთმანეთს, ეს ურთიერთობა ყოველთვის იმღვრევა და გარკვეულ მომენტში წყდება. არსებობენ ერთგვარი გადაულახავი საზღვრები თავიანთი სიღრმითა და სიგრძე-სიგანით.

არა ერთსა და ორს შინაგანად სწამს, რომ სწორედ ის წარმოადგენს ერს, თავისით და თავისთავად, ამ სიტყვის ჭეშმარიტი გაგებით, უსასრულო მომავლის მქონე რჩეულს, რომელსაც ერთადერთს ეძლევა იმის უფლება, რომ, თავისი აწინდელი მდგომარეობის, სისუსტისა თუ სიღატაკის მიუხედავად, იმ შინაგანი ძალების სრული გაფურჩქვნისა და განვითარების პრეტენზია ჰქონდეს, რომლებსაც თვითონვე მიაწერს საკუთარ თავს. ყოველი მათგანი წარსულსა თუ შესაძლებელში პოულობს არგუმენტებს. არცერთს არა სურს უყუროს თავის უბედობასა და სვედავსილობას, როგორც თავის კანონიერ შვილებს.

იმისდა კვალად, თუ რისი მიხედვით ადარებენ ერთმანეთს თავს, — ტერიტორიული სიდიდისა თუ მრავალრიცხოვნების, მატერიალური პროგრესისა თუ ზნე-ჩვეულებების, თავისუფლებისა თუ საზოგადოებრივი წყობილების, კულტურისა თუ სულიერი ფასეულობების, ან, თუნდაც, მხოლოდ მოგონებებისა თუ იმედების მიხედვით, — ერები უცილობლად პოულობენ იმის საბაბს, რომ სხვებზე მაღლა დააყენონ თავიანთი თავი. დაუსრულებელ პარტიაში, რომელსაც ისინი თამაშობენ, თვითეულს თავისი კარტი უჭირავს ხელში. მაგრამ ზოგიერთი კარტი ნამდვილია, ზოგი კი წარმოსახვითი. არიან ერები, რომლებსაც მხოლოდ შუა საუკუნეებისა თუ ანტიკური „კოზირები“ უჭირავთ ხელში, გარდასული და მოწიწებით მოსახსენიებელი ფასეულობები; სხვები თავიანთ ხელოვნებაზე, მომხიბლავ ხედებზე, ეროვნულ მუსიკაზე, თავიანთ ხიბლსა თუ თავიანთი ისტორიის კეთილშობილებაზე ამყარებენ იმედს, და ნამდვილ „აგურებსა“ და ნამდვილ „ყვავებს“ შორის პარტყა-პურტყით ჩამოდიან მათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველი ერი აწმყოში, წარსულსა თუ მომავალში ეძებს იმის საბაბს, რომ შეუდარებლად მიაჩნდეს თავი. თუმცა ისინი მართლაც შეუდარებელნი არიან. სპეკულაციური პოლიტიკის ერთი ყველაზე დიდი გასაჭირი სწორედ ის გახლავთ, რომ შეუძლებელია ერთიმეორეს შეუდარო ეს დიადი მთლიანობანი, მხოლოდ და მხოლოდ თავიანთი ხასიათებითა და გარეგნული საშუალებებით რომ ეხებიან და ესადაგებიან ერთმანეთს.

მაგრამ მათი მაფორმირებელი ძირითადი მიზეზი, მათი არსებობის პირველსაწყისნი და შინაგანი კავშირნი, ურღვევ მთლიანობად რომ ადნობენ და ადუღაბებენ ერთი და იმავე ხალხის შვილებსა თუ თაობებს, სხვადასხვა ხალხში სხვადასხვანაირნი არიან. რასა თუ ენა, ტერიტორია, მოგონებები თუ ინტერესები სხვადასხვაგვარად აყალიბებენ ორგანიზებული ადამიანური აგლომერატის ეროვნულ ერთობას. ერთი ამნაირი ერთობის ულრმესი მიზეზი შეიძლება სულ სხვაგვარი იყოს, ვიდრე მეორისა.

უნდა შევახსენოთ მზარდ ერებს, რომ არ არსებობს ბუნებაში ისეთი ხე, თუნდაც სინათლის, ნიადაგისა და ადგილმდებარეობის მიხედვით ყველაზე ხელსაყრელ პირობებში ჩაყენებული, რომელსაც დაუსრულებლივ შეეძლოს ზრდა და გაფართოება.

## ისტორიისათვის

ისტორია ინტელექტის ქიმიის მიერ გამომუშავებული ყველაზე მავნე პროდუქტია. მისი თვისებები კარგადაა ცნობილი. ის იწვევს ოცნებებს, ათრობს ხალხებს, ყალბ მოგონებებს აღუძრავს მათ, ამძაფრებს მათ რეფლექსებს, პირს უხსნის მათ ძველ ჭრილობებს, ამღვრევს მათ სიმშვიდეს, განდიდებისა თუ დევნის მანიას უვითარებს, სიმწარეს, ზვაობას, ამაოებას უნერგავს და აუტანელს ხდის ერებს.

ისტორია ამართლებს ყოველგვარ სურვილს; ის დაბეჯითებით არ გვასწავლის არაფერს, რადგან ყველაფერს შეიცავს და ყველაფრის ნიმუშს გვთავაზობს.

რამდენი წიგნი დაწერილა ამნაირი სათაურებით: „ამისა და ამის მაგალითები“, „იმისა და იმის გაკვეთილები“!... არაფერია უფრო სასაცილო, ვიდრე მათი კითხვა იმ მოვლენების შემდეგ, რომლებიც ამ წიგნებში მომავლის თვალსაზრისით განმარტებულ მოვლენებს მოჰყვნენ.

სამყაროს აწინდელ მდგომარეობაში საფრთხე იმისა, რომ ისტორიის საცთურს აჰყვე, გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე ოდესმე.

ჩვენი ეპოქის პოლიტიკურ მოვლენებს თან სდევს და მეტისმეტად ართულებს მათ **მასშტაბურობის** უმაგალითო **შეცვლა**, ან, უმალ, **საგანთა წესრიგის ცვლა.** სამყარო, რომელსაც ამიერიდან ვეკუთვნით ჩვენ, ადამიანები და ერები, მხოლოდ და მხოლოდ **ჰგავს**, მხოლოდ და მხოლოდ **მოგვაგონებს** ჩვენთვის ჩვეულ სამყაროს. მას აქეთ, რაც სისტემა მიზეზებისა, რომლებიც განაგებენ თვითეული ჩვენგანის ბედ-იღბალს, მთელი დედამიწის ზურგზე გავრცელდა, ჩვენი პლანეტა ათასნაირი გამოძახილით უშუალოდ ეხმაურება ყოველგვარ ბიძგს. აღარ არსებობს ლოკალური საკითხები, აღარ არსებობს გადაჭრილი კითხვები, თუკი ისინი მხოლოდ ერთ წერტილში არიან გადაჭრილნი.

ისტორია, როგორც მას აღიქვამდნენ ოდესღაც, თითქოს სხვა არა იყო რა, თუ არა პარალელური ქრონოლოგიური ნუსხების ერთობლიობა, რომლებსაც დროდადრო შემთხვევითი გარდი-გარდმო ხაზები ჰკვეთდნენ. სინქრონიზაციის რამდენიმე ცდამ არავითარი შედეგი არ გამოიღო, გარდა იმისა, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაამტკიცა მათი სრული უნაყოფობა. ის, რაც კეისრის დროს ხდებოდა პუ[illegible]ნში, ანდა ნაპოლეონის დროს — ზამბეზში, თითქოს სხვადასხვა პლანეტაზე ხდებოდა. მაგრამ მეჯლოდიური ისტორია უკვე შეუძლებელია. ყველა პოლიტიკური თემა ერთმანეთს ეწვნის და ყოველი მოვლენა დაუყოვნებლივ იძენს ერთდროულ და განუყოფელ მნიშვნელობათა კრებით ხასიათს.

ვინმე რიშელიესა თუ ვინმე ბისმარკის პოლიტიკა უკვალოდ იკარგება და თავის აზრს კარგავს ამ ახალ გარემოში. ცნებები, რომლებსაც ისინი იყენებდნენ თავიანთი შთანაფიქრისთვის, საგნები, რომლებიც მათ შეეძლოთ შეეთავაზებინათ თავიანთი ხალხების პატივმოყვარეობისათვის, ძალები, რომლებიც ფიგურირებდნენ მათ გამოთვლებში, — ყოველივე ეს უბადრუკი ხდება. პოლიტიკოსების უმთავრეს მიზნად ითვლებოდა, ზოგისთვის კი ახლაც ითვლება, ტერიტორიების დაუფლება. ამის გულისთვის მიმართავდნენ ძალმომრეობას, ვიღაცასართმევდნენ ამ ნანატრ მიწებს, და ყველაფერი ნათქვამი იყო. მაგრამ ყველასათვის ნათელია, რომ ეს წამოწყებანი, რომლებიც შემოიფარგლებოდნენ საუბრით, რასაც მოსდევდა ორთაბრძოლა, რასაც მოჰყვებოდა ხელშეკრულება, მომავალში ისეთ გარდუვალ განზოგადებებს გამოიწვევენ, რომ ადარაფერი აღარ მოხდება ამ ქვეყნად, თუ მასში ჩათრეული არ აღმოჩნდა მთელი მსოფლიო, და რომ შეუძლებელი გახდება ყოველგვარი წამოწყების თითქმის მყისიერი შედეგების წინასწარგანჭვრეტა და ლოკალიზება.

წარსულის დიად მთავრობათა მთელი გენია იწრიტება, უმწეო და, ასე განსაჯეთ, უმაქნისიც კი ხდება პოლიტიკური მოვლენების ასპარეზზე კავშირ-ურთიერთობათა არნახული ზრდის გამო; ვინაიდან არ არსებობს ისეთი გენია, არც ხასიათისა თუ ინტელექტის ისეთი ძალმოსილება, არც ისეთი ტრადიციები, ბრიტანული ტრადიციების ჩათვლით, რომლებსაც ამიერიდან შეიძლება ჰქონდეთ იმის იმედი, რომ თავიანთი ნებით დაამუხრუჭებენ ან სახეს უცვლიან მთელი ადამიანური სამყაროს მდგომარეობას თუ რეაქციებს, სამყაროსას, რომელსაც უკვე აღარ ესადაგება უწინდელი ისტორიული გეომეტრია და უწინდელი პოლიტიკური მექანიკა.

ევროპა მე მომაგონებს საგანს, რომელიც ანაზდეულად გადატანილ იქნა უფრო რთულ სივრცეში, სადაც მისთვის ნიშნეული და გარეგნულად თითქოს უცვლელი თვისებები სრულიად სხვა კანონზომიერებებს ექვემდებარებიან. კერძოდ, ყველა ძველებური წინასწარხედვა, ყველა ტრადიციული კალკულაცია უფრო ფუჭი გახდა, ვიდრე ოდესმე.

ამასწინანდელი ომის შედეგებმა დაგვანახა, რომ მოვლენები, რომლებიც უწინ დიდი ხნით და თავიანთი კარნახით განაპირობებდნენ მსოფლიო პოლიტიკის იერსახეს და საერთო მიმართულებას, მხარეთა სიმრავლის, მოქმედების არენის გაფართოებისა და ინტერესთა სირთულის გამო, რამდენიმე წლის შემდეგ თანდათანობით იწრიტებიან, იშრიტებიან და მკვეთრად უპირისპირდებიან თავიანთ უშუალო შედეგებს.

უნდა მოველოდეთ, რომ ამნაირი სახეცვლილებები წესად იქცევა. რაც უფრო ღრმად შევტოპავთ, მით უფრო გამარტივდება ყველა შედეგი, მით უფრო გაჭირდება მათი წინასწარგანჭვრეტა, მით უფრო ნაკლებ შეიძლება გვქონდეს იმის იმედი, რომ პოლიტიკური ოპერაციები და თვით შეიარაღებული ჩარევები, ერთის სიტყვით, უშუალო და აშკარა აქციები, გაამართლებენ მათზე დამყარებულ იმედს. სიდიდეები, ფართობები, მასები, მათი ურთიერთკავშირები, ლოკალიზაციის შეუძლებლობა, გამოძახილთა უშუალობა სულ უფრო და უფრო მეტად აუცილებელს გახდიან თანადროული პოლიტიკისაგან ძირფესვიანად განსხვავებულ პოლიტიკას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შედეგები ისე სწრაფად იცვლებიან, აღარ შეესაბამებიან და, ასე განსაჯეთ, უპირისპირდებიან კიდეც თავიანთ მიზეზებს, რომ ამიერიდან შეიძლება სახიფათო, ბალღურად უნდილ და უგუნურ ცდად ჩაითვალოს იმისი ცდა, რომ ვეძიოთ მოვლენა, ვცადოთ მისი გამოწვევა, ან ხელი შევუშალოთ მის თვითგამოვლენას. პოლიტიკურმა აზრმა შეიძლება ხელი აიღოს იმ ჩვევაზე, რომ იაზროვნოს მოვლენებით, ჩვევაზე, რომელიც არსებითად, ისტორიითაა განპირობებული და განმტკიცებული. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ დროთა განმავლობაში აღარ იქნება მოვლენები და მონუმენტური მომენტები; იქნება და მერე როგორი მომენტები იქნება! მაგრამ ისინი, ვისი ფუნქციაც არის მათი მოლოდინი, მომზადება თუ თავიდან აცილება, აუცილებლობის ძალით სულ უფრო და უფრო მეტად ისწავლიან, აღარ ენდონ მათ შედეგებს. საკმარისი აღარ იქნება სურვილისა და ძლიერების ურთიერთშერწყმა ამა თუ იმ აქციის განსახორციელებლად. არაფერი ისე არ დაზარალებულა უკანასკნელი ომის შედეგად, როგორც წინასწარხედვის პრეტენზია. მაგრამ ისტორიული ცოდნა, ვგონებ, ულევი იყო, არა?

## დიქტატურისათვის

ყოველი პოლიტიკა, თვით ყველაზე ტლანქი და უხეში პოლიტიკაც კი შეიცავს ადამიანისა და საზოგადოების გარკვეულ იდეას. შეუძლებელია გავიაზროთ საზოგადოება — მისი განვითარების ხანგრძლივობა, მისი შინაგანი კავშირი, მისი თავდაცვის საშუალებები გარეგან თუ შინაგან მიზეზთა წინააღმდეგ, რომლებიც მის გადაგვარებას ცდილობენ, — იმ სახეების, იმ ხატების გარეშე, რომლებსაც ჩვენ მატერიალური სისტემებისა თუ ცოცხალი ორგანიზმებისა და მათი ფუნქციების ცოდნისაგან ვსესხულობთ. ხშირად მეტ-ნაკლებად გაცნობიერებული სახით იყენებენ მეტ-ნაკლებად მეცნიერულ წარმოდგენასა თუ ცნებას მანქანებისა და ორგანიზმების, ამ რთული მთლიანობების შესახებ, რომლებსაც ჩვენ ვანიჭებთ ან ვარაუდით მივაწერთ გარკვეულ მიზანს. სახელმწიფოს ეტლსა თუ ხომალდს ადარებენ ხოლმე; ლაპარაკობენ ბერკეტებზე, ძალებზე, გორგოლაჭებზე; ან კიდევ მოქმედებაზე, კოორდინაციაზე, ხელისშემშლელ მიზეზებზე, საშუალებებზე, მატებასა თუ კლებაზე, და ამ გზით სურთ გამოხატონ გარკვეული კავშირურთიერთობანი და გარკვეული მოვლენები, რომლებიც ადამიანთა ურიცხვ სიმრავლეზე არიან დამოკიდებულნი.

სახეების ფასი ის არის, რაც არის (მაგრამ როგორ ვიაზროვნოთ ამ საშუალებების გარეშე?). მათ შემოაქვთ წესრიგისა თუ უწესრიგობის, უნაკლო თუ მანკიერი ფუნქციონირების იდეები და, ამრიგად, საშუალებას გვაძლევენ მსჯელობისა თუ კრიტიკის საგნად ვაქციოთ ხან სავარაუდო მექანიზმის სტრუქტურა, ხან პიროვნება თუ პიროვნებები, რომლებიც თვალყურს ადევნებენ ან მართავენ მას (აქ შეიძლება შემოგვეპაროს მაცთური ილუზიები პოლიტიკური ძალმოსილების — ხელისუფლების ძლიერების საზღვრებისა და რეალობის შესახებ, ხელისუფლებისა, რომელიც მით უფრო მყარი და მკაფიოდ გამოკვეთილი ჩანს, რაც უფრო მეტად დაშორებულია ჩვენგან).

ხანდახან ისედაც ხდება (და ყველგან ხდება), რომ გარემოებანი შიშს გვინერგავენ ზემოხსენებული მანქანებისა თუ ორგანიზმების არსებობის გამო. კონსტრუქციის მანკიერება, მუშაობის პროცესში გამოვლენილი ნაკლოვანებანი, გაუთვალისწინებელი მოვლენები, რომელთა წინააღმდეგობის უნარიც მათ არ გააჩნიათ, არყევენ მათ წესრიგს და საფრთხეს უქმნიან ადამიანების

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიცოცხლეს და კეთილდღეობას, ადამიანებისა, რომლებიც მათ ელემენტარულ ნაწილებად გვევლინებიან. ისინი მოწმობენ, რომ ყველაფერი უვარგისი და უმაქნისი ხდება, რომ საფრთხე იზრდება, რომ უმწეობისა და გარდუვალი აღსასრულის შეგრძნება თანდათანობით გვეხვევა თავს და სულ უფრო და უფრო მძაფრდება; და ბოლოს, ყველა ისე გრძნობს თავს, როგორც დასაღუპად განწირული ხომალდის მგზავრი.

სწორედ ამ დროს გარდუვალად ყალიბდება სულებში იდეა იმის საპირისპიროსი, რაც არის — დაბნეულობის, არეულ-დარეულობის, საყოველთაო ყოყმანის მაკომპენსირებელი იდეა... ეს საპირისპირო თუ მოპირისპირე აუცილებლად ვილაცაა. ამ ვილაცას ყველაში აქვს ფესვი გადგმული.

როგორც შიმშილი იწვევს ნუგბარი ხორაგით დაზვინული ხონჩების ხილვას, ხოლო წყურვილი — სანუკვარი სასმელებისას, ასევე კრიზისის, წინასწარ საგრძნობი საფრთხის მტანჯველი მოლოდინი ბადებს იმის მოთხოვნილებას, რომ, ბოლოს და ბოლოს, იხილო ძალაუფლების მოქმედება, ჩასწვდე ამ მოქმედების შედეგთა არსს, — და უმრავლესობის სულში აყალიბებს ძლევამოსილი, სწრაფი, გადამჭრელი, ყოველგვარი დაბრკოლებისა თუ პირობითობის, ყოველგვარი პასიური წინააღმდეგობისაგან თავისუფალი ქმედითობის ხატებას. ეს ქმედითობა შეიძლება მიეწერებოდეს ერთს და მხოლოდ ერთს. მხოლოდ ერთ თავში შეიძლება აღიძრას ცნებების საქმედ ქცევის, უსრულქმნილესი კოორდინაციის წმინდა ხილვა. არის მსჯელობის ფაქტორთა გარკვეული ერთობლიობა და ორმხრივობა, ერთგვარი მძლეთა მძლე ძალა იმ ერთპიროვნულ გადაწყვეტილებებში, რაც მიუღწეველი და მიუწვდომელია მოთათბირე სიმრავლისათვის. ამრიგად, როცა დიქტატურა მყარდება, როცა ერთადერთი ხელში იღებს ძალაუფლებას, საზოგადოებრივი საქმეების მთელს მსვლელობას კონკრეტული, მიზანსწრაფული ნებელობა განაპირობებს, და მართვა-გამგებლობის ყველა აქტი ერთი გარკვეული პიროვნების სტილით აღიბეჭდება, მაშინ როდესაც უსახო და უღიმღამო სახელმწიფო მხოლოდ და მხოლოდ არაადამიანურ მთლიანობად, სტატიური თუ ტრადიციული წარმომავლობის აბსტრაქტულ ემანაციად წარმოგვიჩნდება, რომელიც ხან რუტინით, ხან უსასრულო ხელის ფათურით მოქმედებს და მიიკვლევს გზას.

მართლაც, რა უჩვეულო ტკბობის წყარო უნდა იყოს (როგორც მომნუსხავი და მომაჯადოებელი სპექტაკლის მაყურებლისათვის) აზრისა და ძალმოსილების ურთიერთშერწყმა, შეგნება იმისა, რომ მთელ ხალხს აიძულებ აღასრულოს ის, რაც განკერძოებით დაისახე მიზნად, და რომ ხანდახან მარტოდმარტო და დიდი ხნით ცვლი მთელი ერის ხასიათს, როგორც ეს შესძლო ოდესღაც ყველაზე დიდმა დიქტატორმა — კრომველმა, ურჩხულმა და საოცრებამ პასკალისა და ბოსიუეს თვალში, კრომველმა, რომელმაც გარდაქმნა ინგლისის ენერგიული სული.

დიქტატორი, ბოლოსდაბოლოს, მოქმედებათა მთელი სირთულის ერთადერთი მფლობელი ხდება. ის ისრუტავს და ითვისებს ყოველგვარ ფასეულობას, საკუთარ თვალსაზრისამდე დაჰყავს ყველა თვალსაზრისი. სხვა პიროვნებებს ის თავისი აზრის იარაღად აქცევს, აზრისა, რომელიც, მისი წარმოდგენით, ყველაზე სწორ და ყველაზე გამჭრიახ აზრად მიაჩნია ხალხს, რაკიღა ის ყველაზე თამამი და ყველაზე ბედნიერი აზრი აღმოჩნდა საყოველთაო მღელვარებისა და დაბნეულობის დროს. მან დაამხო უმწეო და მიხრწნილი ხელისუფლება, განდევნა ღირსი თუ უუნარო ხალხი, და მათ თან მიაყოლა კანონები და ჩვეულებები, რომლებიც იწვევდნენ უთავბოლობას, სიზანტეს, უსარგებლო პრობლემებს, ასუსტებდნენ სახელმწიფო ზამბარებს. განდევნილთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შორისაა თავისუფლებაც. ბევრი ადვილად ეგუება ამ დანაკარგს. უნდა ვაღიაროთ, რომ თავისუფლება ყველაზე ძნელი გამოცდაა, რომლის წინაშეც შეიძლება დააყენო ხალხი. თავისუფლებით სარგებლობის უნარი ყველა კაცსა და ყველა ხალხს როდი შესწევს, და ალბათ, შეუძლებელი როდი იქნებოდა ამ უნარის მიხედვით დაგვეჯგუფებინა ისინი. მეტიც: თავისუფლება, ჩვენს დროში, არ არის და კაცთა უმრავლესობისათვის არც შეიძლება იყოს სხვა რამე, მორჩენებითობის გარდა. თავისი არსითა თუ მტკიცებით ყველაზე უფრო ლიბერალურ სახელმწიფოსაც კი არასოდეს ესოდენ ვიწრო ჩარჩოში არ მოუმწყვდევია და განუსაზღვრავს, ყალიბში არ მოუქცევია, ჩხრეკის საგნად არ უქცევია, არ შეუზღუდავს და განაწესების პარაგრაფებად არ ჩამოუწერია კაცთა სიცოცხლე. არსებობის ზოგადი სისტემა არასოდეს ესოდენ სულისშემხუთველად არ დასწოლია ადამიანთა ყოფას და გრაფიკებით, კაცთა გრძნობებზე ზემოქმედების საშუალებებით, იძულებითი სიჩქარით, თავსმოხვეული მიბაძვით, „დიფერენცირების“ ბოროტად გამოყენებით და ა. შ., არასოდეს გარკვეული ორგანიზაციის პროდუქტთა მდგომარეობამდე არ დაუყვანია ისინი, ორგანიზაციისა, რომელიც ცდილობს აბსოლუტურად ერთმანეთს დაამგვანოს ადამიანები, თვით მათი გემოვნებისა თუ გართობის ჩათვლით. ჩვენა ვართ მონები ქმედითობისა, განუწყვეტლივ რომ გვავიწროებს და გვსრესს იმ მარწუხების წყალობით, რომლებსაც ჩვენ თვითონვე ვზრდით, რაკილა სულ უფრო და უფრო მზარდ ზემოქმედებას ვახდენთ მთელს სასიცოცხლო გარემოზე. სისწრაფის მოყვარული ავიწროებს სისწრაფის მოყვარულს, და იგივე ითქმის ტალღების, ზღვის სანაპიროებისა თუ მთების მოყვარეთა მიმართ. თუ ჩვენი ვნებების ურთიერთჭიდილით გამოწვეულ ყველა ამ ძალადობას დავუმატებთ შრომის თანადროული დისციპლინებით თავსმოხვეულ ძალადობათა სიმრავლეს, დავინახავთ, რომ დიქტატურა მხოლოდ აგვირგვინებს იძულებისა და კავშირურთიერთობების სისტემას, რომლის მსხვერპლნიც არიან თანამედროვე ადამიანები პოლიტიკურად ყველაზე თავისუფალ ქვეყნებში, თუმცა ზოგს მეტად, ზოგს კი ნაკლებად აქვს გაცნობიერებული თავისი ხვედრი.

ასეა თუ ისე, დიქტატორული ხელისუფლება, დამყარებისთანავე, ხალხის ორგანიზაციის მარტივი დაყოფით ამოიწურება: ერთი კაცი თავის თავზე იღებს სულის ყველა უმაღლეს ფუნქციას: ამიერიდან მხოლოდ მას ეკითხება ხალხისა და სახელმწიფოს „კეთილდღეობა“, „წესრიგი“, „მომავალი“, „ძალმოსილება“, „პრესტიჟი“, მოკლედ, ყოველივე ის, რისთვისაც ძალაუფლების ერთობა, ავტორიტეტი, სიმყარე უთუოდ აუცილებელია. ის უფლებას იტოვებს უშუალოდ იმოქმედოს ყველა სფეროში და ერთპიროვნულად გადაწყვიტოს ყველა საკითხი. მეორეს მხრივ, ყველა სხვა კაცი, მათი ღირსებისა თუ პირადი კომპეტენტურობის მიუხედავად, ამ ერთპიროვნული ქმედითობის იარაღისა თუ მასალის მდგომარეობამდე დაიყვანება. ეს ადამიანური მასალა, სათანადოდ დიფერენცირებული, „ავტომატიზმის“ ერთობლივ ფუნქციას ახორციელებს.

ამნაირი დაყოფა მით უფრო არამყარია, რამდენადაც ხალხში, რომელსაც თავს ახვევენ დიქტატურას, უფრო მეტია დიქტატორული ბუნების, ესე იგი, გაგების მოსურნე და მოქმედების უნარის მქონე ხალხი. დიქტატურის შენარჩუნება მუდმივ ძალისხმევას მოითხოვს, ვინაიდან დიქტატურას, ყველასათვის აშკარა კრიტიკული სიტუაციის საპირისპირო უმოკლესი და უქმედითესი პასუხის ამ ერთგვარ სახეს, გამუდმებით ემუქრება საფრთხე იმისა, რომ ფუჭი და, გარკვეული თვალსაზრისით, ზედმეტიც კი აღმოჩნდეს იმ მისიის წარმატებით განხორციელების შედეგად, რომელიც მის მიზანს შეადგენს. ზო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიერთი დიქტატორი დროულად ახერხებს ძალაუფლებაზე უარის თქმას. ზოგი ცდილობს შეძლებისდაგვარად შეარბილოს თავისი ძალაუფლების სიმკაცრე, და უფრო ზომიერ რეჟიმზე გადავიდეს. ეს ძალზე დელიკატური ოპერაცია გახლავთ. ზოგი, პირიქით, არავითარ საშუალებას არ ერიდება თავისი მდგომარეობის განსამტკიცებლად. უშუალოდ იძულებითი ღონისძიებებისა და მუდმივი მეთვალყურეობის გარდა, ისინი პოულობენ საკმაოდ ქმედით საშუალებებს ახალგაზრდობის დრესირებისა და იმ ზარ-ზეიმის სახით, რითაც თვალს სჭრიან და თავს აწონებენ ხალხს ყოველი ახალი წარმატებისა თუ სისტემის ყველა თვალსაჩინო უპირატესობის გამო. ამ საქმეს ალევენ ისინი მთელს თავიანთ ნიჭს და ენერგიას, რომლის წყალობითაც შესძლეს ძალაუფლების ხელში ჩაგდება. მაგრამ ამნაირი პოლიტიკა შეიძლება არასაკმარისი აღმოჩნდეს, ან მხოლოდ ძალზე შორეულ მომავალში გვპირდებოდეს ნაყოფის გამოღებას. მაშინ იწყება ოცნება იმაზე, თუ როგორ დაუბრუნდნენ საწყის პირობებს და როგორ მოახდინონ საყოველთაო სურვილისა და თვით იმ საფრთხის ორგანიზება, რომელთა წყალობითაც შეიქმნა დიქტატურა. ამ მომენტში შეიძლება ძალზე მაცთური აღმოჩნდეს ომის ხატება.

ჩვენ ვიხილეთ, რომ რამდენიმე წელიწადში შვიდი, დიახ, თუ არა ვცდები, შვიდი მონარქია დაემხო და თითქმის ამდენივე დიქტატურა დამყარდა, ხოლო, ბევრ ქვეყანაში, სადაც რეჟიმი არ შეცვლილა, ეს რეჟიმიც საგრძნობლად შეირყა და შეტორტმანდა, როგორც ფაქტებით, ისე ათასგვარი მოსაზრებებითა და შედარებებით, რასაც მეზობელ ქვეყნებში მომხდარი ცვლილებები იწვევდა ადამიანთა სულში. უნდა აღინიშნოს, რომ დიქტატურა ამჟამად ისევე გადამდებია, როგორც თავისუფლება იყო ოდესღაც.

თანადროული სამყარო, რომელმაც დღემდე ვერ შესძლო ახალი ორგანიზმისა და ახლად შექმნილი ორგანოებისათვის მიესადაგებინა თავისი სული, თავისი მეხსიერება, თავისი სოციალური ჩვეულებები, ანდა თავისი პოლიტიკური თუ სამართლებრივი ხელშეკრულებები, გამუდმებით იხლართება კონტრასტებსა და წინააღმდეგობებში, ყოველწამიერად რომ იჩენენ თავს როგორც ისტორიული ხასიათის კონცეფციებსა თუ იდეალებს შორის, რომლებიც შეადგენენ მის ინტელექტუალურ მონაპოვარსა და მის ემოციურ ძალმოსილებას, ისე პოზიტიური და ტექნიკური ხასიათის მოთხოვნილებებს, კავშირურთიერთობებს, პირობითობებსა და სწრაფ ცვალებადობებს შორისაც, რომლებიც ყველა სფეროში ერთბაშად ავლენენ მის უმწეობას და გამოუსადეგარს ხდიან მის ძველისძველ გამოცდილებას.

ეძებენ ეკონომიას, პოლიტიკას, მორალს, ესთეტიკას, ასე განსაჯეთ, თვით რელიგიას, და, შესაძლოა, თვით... ლოგიკასაც. რა გასაკვირია, რომ ამ უთავბოლო ხელისფათურში, ამ ძიებებში, რომლებიც მხოლოდ იწყებენ რაღაცას და რომელთა წარმატების ან დასასრულის წინასწარ განჭვრეტა სრულიად შეუძლებელია, „ინტელექტუალური ტირანის“ სახელგანთქმული ხატება არა მარტო ოვალწინ გვიტრიალებს, არამედ თავსაც გვეხვევა ხოლმე აქა-იქ.

თარგმნა **ბაჩანა ბრეგვაძემ.**

გაგრძელება იქნება

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ნარკვევი

ვახტანგ გორგანელი

# სადაც დიდებულს...

„სადაც დიდებულს...“ ასე იწყება უკვდავი ილიას პოემა „განდეგილი“. მეც ასე დავიწყებ ამ ნარკვევს, რადგან სოფელი ჩაოც ცაში ატყორცნილ დიდებულ მთაზეა დიდებულად წამომდგარი. ამ თვალუწვდენელ მთაზე ორ და სამსართულიან სახლებს რომ გახედავ, არ შეიძლება გაკვირვებულმა არ წამოიძახო: „ნეტავ ვინ აზიდა, ან როგორ აზიდა“ „ცისა და მიწის შუა დაკიდულ“ მთაზე. თუმცა, რომელი სოფელი არ არის ხულოს რაიონში ცისა და მიწის შუა დაკიდული? სოფელი კი არა, მთელი რაიონი ცაშია ასული.

— აქ, ბატონო, ზარმაცი კაცი ვერ იცხოვრებს! — სიამაყით ამბობს ოქტომბრის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ოთარ ბოლქვაძე, თან დაკოჟრილ ხელს იმ სახლისაკენ იშვერს, სოფლის ბოლოში რომ დგას და გგონია, საცაა ასაფრენად ფრთებს გაშლის. სასწაული ადგილებია! ამ სასწაულის პირველი მომხდენი კი ისევ აჭარელი მშრომელი ადამიანია, რომლის თავდადებულ შრომას ცისა და მიწის შუა დაკიდულ მთაზე სოფელი გაუშენებია, სიცოცხლის ნერგი უხარებია, მტერს მტრულად დახვედრია, მოყვარეს — მოყვრულად. ათას ჭირვარამში გამოუვლია, მაგრამ სოფელი არ მიუტოვებია, არც სხვა ქვეყნის სამოთხეზე გაუცვლია, აქედან წასვლა არც უფიქრია და არც არასოდეს იფიქრებს. აქედან რომ ახალგაზრდა წავა უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად, მისი დამთავრების შემდეგ არ შეიძლება არ დაბრუნდეს უკან ჩაოში სამუშაოდ, ყოველ შემთხვევაში, რაიონის რომელიმე სოფელში მაინც. გული გაგინათლდება, აქ რომ გახვალ ნაკვეთებში, იმდენ ახალგაზრდას დაინახავ.

ჩაო! სახელიც რომ საოცარი ჰქვია. ამ სიტყვას იტალიელები მისალმების ნიშნად ხმარობენ... იგი გურული დიალექტიდან მოდის თურმე, რაც ნიშნავს ჩრდილიან, უმზეო ადგილს. ეს სოფელი თუ უმზეოა, მაშინ მზიანი სადღაა! განსაკუთრებით რაიონის ცენტრიდან თუ გადმოხედავთ ჩაოს, თავი ზღაპარში გეგონებათ, ისეა ცისა და მიწის ფერებში გადაქლაქებული. მდებარეობის მხრივ გრანდიოზულია, მაგრამ მოსახლეობით არც ისე დიდია, სულ ოთხმოცდაათ კომლამდეა. არ იფიქროთ, თითქოს ადრე აქ მეტი მოსახლეობა იყო და უკეთესის ძებნაში სხვაგან გადასახლდა, არა! ჩაოელი კაცი ამას არ იკადრებს.

სოფელი ოთხმოცდაათკომლიანია, მაგრამ ეს ოთხმოცდაათი კომლი ფუძექლიერი, ღონიერი და მრავალრიცხოვანია. ოჯახს ვერ ნახავთ, სამ და ოთხ შვილზე ნაკლები ჰყავდეს, მეტ წილს ექვსი და შვიდი შვილი ჰყავს. ღმერთმა ამრავლოს!

არც ისე დიდი ხანია, რაც ჩაომ, ოქტომბერმა, თაგომ, შურმუნმა, ვაშლოვანმა და სხანდარომ გააერთიანეს თავიანთი საკოლმეურნეო ძალები. ამან, რა თქმა უნდა, კარგი ნაყოფი გამოიღო, რადგან დღის წესრიგში ხშირად ისეთი საკითხი წამოიჭრებოდა ხოლმე, რომლის გადაწყვეტა და განხორციელება ერთ სოფელს არ შეეძლო.

— ასე რომ არ მოვქცეულიყავით, სოფელ ვაშლოვანს დღესაც არ ექნებოდა მისასვლელი გზა. ასევე, ერთი სოფელი ვერ შეძლებდა გოდერძის უღელტეხილის საზაფხულო საძოვრებზე წყლის მოყვანასაც — სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეს კიდევ რაღაცა უნდა ეთქვა, მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრამ გაჩერდა, ლაპარაკს ისევ ადგილზე საქმის ნახვა ამჯობინა.

საზაფხულო საძოვრებმა გამახსენა. შარშან, სწორედ ამ ადგილას, ავტობუსი „ბათუმი-სულორი" დანდალოს ხიდს როგორც კი გასცდა, იქვე მოსახვევთან, ზედ შუა გზაზე ორი ძროხა არხეინად იდგა და ბუზებს იგერიებდა. მძღოლმა მანქანა შეაჩერა, სიგნალიც მისცა, მაგრამ საქმეში ხართ, ყურიც არ გააპარტყუნეს, ვიდრე თავისი ნებით არ გადავიდნენ, მანქანა არ დაძრულა. ჩემს წინ ორი ხულოელი, ღრმად მოხუცი იჯდა. ძროხებს როგორც კი მოჰკრეს თვალი, მაშინვე გოდერძის უღელტეხილის საზაფხულო საძოვრებზე ჩამოაგდეს ლაპარაკი:

— საძოვრებიდან საწყენი ამბები მოდის.

— კი, გავიგე. ადიგენის საქონელიც იქ არის. თურმე ჩვენი ძროხა შემთხვევით ადიგენელთა ნაწილში როგორც კი მოხვდება, აქეთ არ გამოაგდებენ, შეუტყობინებლივ მაშინვე ადიგენისაკენ უკრავენ თავს. სამი-ოთხი დღის შემდეგ შემოგვითვლიან, თქვენი ძროხა აქ არიო. თანაც კაი გვარიან თანხას მოითხოვენ. რას ჰგავს ეს!

— უნდა მივწეროთ ზემდგომ ორგანოებს.

— აჰ! ჯერ მოიცა, დავუძახოთ, მოველაპარაკოთ, მეზობლები არიან, ჩვენი ხალხია. სხვა იყოს, ცხვირს დავუნაყავდით... მე მგონი, ვიღაც ამღვრევს წყალს.

— ვიღაც ხელს ითბობს. უნდა დაისაჯოს.

ასეთ საუბარს ქედაშიაც შევესწარი, ჩამაფიქრებელია. წელს ეს სამარცხვინო ამბავი აღარ უნდა განმეორდეს. სათანადო ორგანოებმა ამ საქმეში მეტი სიფხიზლე უნდა გამოიჩინონ!

მანქანა მექანიზატორ შოთა ცეცხლაძის სახლთან გაჩერდა. ამ სახლის კიბის მშენებლობის დროს მიწა რომ გათხარეს, ორასფუთიანი ქვევრები ამოაჩინეს თურმე.

— შვილო, ვაზი და ქართველი კაცი ერთ დღეს არიან დაბადებული, ერთმანეთის გარეშე მათი ცხოვრება არ შეიძლება. მარტო შოთა ცეცხლაძის სახლის საძირკვლის გათხრის დროს კი არა, სადაც წერაქვს დაჰკრავ ან ჰური აღმოჩნდება, ან კიდევ ნახშირად ქცეული ვაზი, — საუკუნის ტოლი მევლუდ მახარაძე ამას რომ ამბობს, თან ჯოხით მიწას ჩიჩქნის და ასე გგონია, მისი სიტყვები მიწის სიღრმიდან ამოდისო. მევლუდ მახარაძე ბედნიერად ბერდება, მისი კერა სამოცამდე ნაშიერს ითვლის, მოხუცდა, მაგრამ ისევ საქმისათვის ერჩის მკლავი. ამ დღეებში საძოვრებისაკენ გასწევს, საქონელს მიხედავს, მხარს აუბამს მისი კბილა ქერემ გოგოლაძეც.

ამ უკანასკნელ წლებში ვაზის მრავალი ჯიში აღადგინეს ჩაოელებმა. წარმოიდგინეთ, აქ სამოცამდე ჯიშის ვაზს ითვლიან. ესაა: ჩხავერი, იზაბელა, ცოლიკაური, ალიგოტე...

როცა ეს ჯიშები ჩამოთვალა ქერემ გოგოლაძემ, ერთი გაჩედა შემოგარენს და იმედიანად თქვა:

— სამოცი ჯიშის ვაზის მქონე სოფელს გაღაშენება არ უწერია.

ქერემ გოგოლაძემ თვალი მოჰკრა თნაჭალარა მანდილოსანს, რომელსაც ხელში რაღაც ეჭირა და გეზი მთავარი გზისაკენ ჰქონდა აღებული.

— ნინო-პატარძალო, კარგ ღვინოს კარგი თიანეთური ხინკალი მოუხდება!

ნინომ დაირცხვინა, ქერემ ბიძია, რაღა დროს ჩემი პატარძლობააო.

ნინო გიანაშვილი თიანეთის რაიონის სოფელ ტუშურებიდან არის. ოცდამეექვსე წელიწადია აქ.ჩაოში ექთნად მუშაობს. აქვე გათხოვდა, სამი შვილის დედაა. ჩინებული ოჯახი აქვს. დაუზარელი ქალია, გამრჯე, სტუმართმოყვარე. მისი გაკეთებული ხინკლის გემო ხომ მთელმა სოფელმა იცის და იცის.

თიანეთის რაიონი ჩემი დედულეთია, დედაჩემი ჯამაგიძეების ქალი იყო, ხევსურთსოფელში გავიზარდე, თუ რამ კარგი მახსოვს ბავშვობისდროინდელი, იქიდან მახსოვს. გამიხარდა ნინოს დანახვა. როგორც კი მოვიდა, მაშინვე მივახალე: „ირემო მთასა მყვირალო, რამ ჩამოგაგდო ბარათა". ნინომ გაიცინა, მარჯვედ მომიგრა: ბარად კი არა, ისევ მთაში ვარო.

მართალია, ჩაო ღონიერი სოფელია, მაგრამ ზედმეტი ხვავი და ბარაქა ვის აწყენსო, ხალხს უთქვამს. სამოცამდე ჯიშის ვაზი იყო სოფელში და რატომღაც მევენახეობა მაინცდამაინც ვერ იდგა მაღალ დონეზე. მას განსაკუთრებული ყურადღება მხოლოდ ამ ბოლო წლებში მიექცა და გაამართლა კიდეც. ასევე, ვერა და ვერ წაიწია მეცხოველეობის საქმემაც. რომ იტყვიან, სულზე მოუსწრო ჩაოელებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმმა, რომელმაც სოფლის მეურნეობის არა ერთ საკითხს ნათელი მოჰფინა, ნაკლოვანებების გამოსასწორებლად ხალხს გზაც უჩვენა და ღონისძიებებიც დასახა. პლენუმის დადგენილების შუქზე ჩაოელებმა ასწონ-დასწონეს საქმე და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ მტკიცე საკვები ბაზა თუ არ შეიქმნებოდა, მეცხოველეობის დონე ისე ვერ ამაღლდებოდა. აქამდე ამაზე არავის უფიქრია. მათი ერთადერთი საზრუნავი იყო, როგორმე საქონელი საზაფხულო საძოვრებზე გაერეკათ. იქიდან ჩამორეკავდნენ და პირუტყვი კვლავ უკან და უკან მიდიოდა.

ვახტანგ გორგანელი
სადაც დიდებულს...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცხადია, წველადობაც მცირდებოდა. ამის შესახებ მკაცრად იმსჯელეს სოფლის კომუნისტებმა. მართლაც და, ოთხმოცდაათკომლიან სოფელში ორმოცი კომუნისტი ცხოვრობდეს და იქ კიდევ რამე იყოს მოსაგვარებელი? საზრიგადო პირველადი პარტორგანიზაციის მდივანმა მურშით შავაძემ კრებაზე პირდაპირ განაცხადა:

— თუ ვართ, უნდა საქმე ვაკეთოთ, თუ არა, მაშინ სოფელიც სხვა გზას მონახავს.

— მართალს ამბობს პარტორგანიზაციის მდივანი, — მხარი აუბა შავაძეს ახალგაზრდა კომუნისტმა ქალმა ნაზი ცეცხლაძემ, თან კრებას გადაავლო თვალი, კომუნისტი ქალების ანთებულ სახეებს რომ შეხედა, გული მიეცა უფრო, განაგრძო: — მე, მართალია, დიდი წლოვანება არა მაქვს, მაგრამ რაც ჩემი თავი მახსოვს, სულ საქონლის საკვებზეა ლაპარაკი. სოფელს სკოლა არა ჰქონდა — გაკეთდა, კლუბი გაკეთდა, მაღაზია გაკეთდა, გვაქვს პურის საცხობი, ტელეფონი... ერთი სიტყვით, რაც კი მოვინდომეთ, ყველაფრის გაკეთება შევძელით, ოღონდ, საქონლის საკვებზე ლაპარაკს ვერა და ვერ მოვუღეთ ბოლო. აბა, მიმოვიხედოთ ჩვენს გარშემო, რამდენი ბალახია გზის პირებზე, ფერდობებზე, ქედქედისა და ნათელვარას წყაროებთან რომ ბალახი იზრდება, ისე სად მოდის? მერედა ვიდას ვუცდით, გავთიბოთ, მოვზიდოთ. რა ვუყოთ, თუ გაბნეული და ცოტ-ცოტაა. განა ზღვა წვეთებისაგან არ შედგება?

— მართალია! — დაიძახეს კომუნისტმა ქალებმა ფიქრია მახარაძემ, ჰედიკო ცეცხლაძემ, ხევიე მახარაძემ და ნარგიზ მახარაძემ.

რომ არ ახსოვს კრებას, ისეთი ცეცხლი დაენთო. რაც ითქვა, წყალი არ გაუვა, შესრულდება.

სოფელ ჩაოს კოლმეურნენი ერთ ბრიგადაში იყვნენ გაერთიანებული. იმის გამო, რომ ნაკვეთები დაქსაქსული და შორსაა, ბრიგადებს უჭირდათ ადგილებზე მისვლა.

— ხელმძღვანელი მთელი დღის განმავლობაში ერთხელ ვერ მოვა, თავისი თვალით ვერ ნახავს რა გიჭირს, რა გილხინს, რაშია დახმარება საჭირო, ასეთი ხელმძღვანელი ვის უნდა.

მართალი იყო ნაზი ცეცხლაძე. იმსჯელეს კრებაზე და ბრიგადა ორ ბრიგადად გაიყო, ერთს სათავეში ჩაუყენეს შოთა ცეცხლაძე, მეორეს — ხემდი ცეცხლაძე.

ვიღაცამ იხუმრა: საქმე ცეცხლს ითხოვს და აბა, თქვენ იცით, ცეცხლაძეებო.

ნაზი ცეცხლაძე მეთამბაქოეა, ხემდი ცეცხლაძის ბრიგადაში მუშაობს. თავდადებულმა შრომამ სახელიც მოუპოვა და ოჯახურ ბედნიერებასაც აზიარა. ოცდაექვსი წლის ქალი სამი შვილის დედაა (შვიდი შვილის დედობას ჰპირდება ოჯახს).

ვინც თვალყურს ადევნებდა საქართველოს მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესიის მუშაობას, მის ყურადღებას აუცილებლად მიიპყრობდა ახალგაზრდა დეპუტატი ქალის უბრალო, მაგრამ გულში ჩამწვდომი სიტყვა, რომლის მადლიერებით აღსავსე მგზნებარება აჭარელი ქალების დედობრივი ზრუნვით გამთბარ ნება-სურვილს გამოხატავდა. იგი მრავალ საქმიან წინადადებასთან ერთად აყენებდა მთიანი რაიონების საჭირბოროტო საკითხების მოგვარებასაც. ბოლოს კი სესიას აღუთქვამდა, რომ აჭარელი ქალები პარტიისა და მთავრობის ზრუნვას უპასუხებენ ახალი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობით. ეს ახალგაზრდა ქალი იყო სოფელ ჩაოს საამაყო შვილი ნაზი ცეცხლაძე.

...ნაზის მამა ალიმირზა ათას ჭირგამოვლილი კაცია, მშრომელი, ულალატო. თავის შვიდ შვილს აკვნიდანვე ამას უჩიჩინებდა:

— ჩაოში მცხოვრებელ კაცს შრომა თუ არ უყვარს, მისი ფასი კაპიკია, ამ სიყვარულთან ერთად მკაცრ ბუნებასთან ბრძოლა თუ არ შეუძლია — ნახევარი კაპიკი.

ეს აზრი ჰქონდა მშობლებიდან მემკვიდრეობად მიღებული ალიმირზა ცეცხლაძეს და შვილებსაც ამას შთააგონებდა იგი. ალიმირზა კმაყოფილი იყო შვილებით, განსაკუთრებით უფროსით, უხაროდა, რომ ნაზიმ მისი სიტყვა ისე გაიგო, როგორც სოფლის სიყვარული უკარნახებდა. მით უმეტეს, უფროსი შვილის შრომისმოყვარეობა და გონიერება დიდზე დიდი მაგალითი იყო უმცროსი შვილებისათვის. წინა კაცი უკანასი ხიდიაო, განა ტყუილა უთქვამს ბრძენს!

მრავალშვილიან ოჯახს მხარში ამოდგომა ესაჭიროებოდა და კიდეც ამოუდგა მხარში. ნაზი ცეცხლაძემ საშუალო სკოლა დაამთავრა თუ არა, იმ დღესვე კოლმეურნეობის თავმჯდომარესთან მივიდა, სოფელში ვიწყებ მუშაობას, თამბაქოსათვის მიწის ნაკვეთი მომიზომეო. აბა უარს ვინ ეტყოდა. 1000 მეტრი გადაუზომეს, რომელზედაც 170 კილოგრამი თამბაქო უნდა მოეყვანა გეგმით. ერთი შეხედვით ეს ციფრი თითქოს არაფერია, მაგრამ აბა სცადეთ მისი მოყვანა ისეთ ადგილზე, სადაც ყოველი მტკაველი მიწა ცისა და მიწის შუა დაკიდულა. ყველა სამუშაო ხელით უნდა შეასრულო. მორწყვა რომ მორწყვაა, ისიც კი ხელით უნდა გადმოიტანო შორიდან და სათითაოდ დაუსხა თვითეულ მცენარეს წყალი.

მართალია იმ წელიწადს ნაზი ცეცხლაძემ ორჯერ მეტი მოსავალი მიიღო, მაგრამ თუ მის გულში ჩაიხედავდით, მაინცდამაინც დიდ კმაყოფილებას ვერ ამოიკითხავდით, შეიძლებოდა მეტის მოყვანა. და რაც მთავარია, პირ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ველმა დამოუკიდებელმა შრომამ ნაქმის მრავალ ისეთ საიდუმლოებაში ჩაახედა, რომლის გახსნის გარეშეც წარმატების სადავეების ხელში აღება არ შეიძლებოდა.

დაკვირვებამ უჩვენა: ჩითილს დროზე ადრე თუ გამოიყვანდა, თუ მიწის ფართობს ჩითილის გადარგვამდე წინასწარ მოამზადებდა — შეიტანდა მინერალურ და ორგანულ სასუქებს (მანამდის კი დარგვის შემდეგ შეჰქონდათ) და ამის შემდეგ თამბაქოს ჩითილს დარგავდა, უხვი მოსავლის მიღებაც გარანტირებული იყო. ასეც მოხდა. სამჯერ მეტი მოსავალი მიიღო. 1975 წელს 170 კილოგრამი თამბაქო 800 კილოგრამამდე ავიდა. ამ გამარჯვებას დაერთო ისიც, რომ ნაზი ცეცხლაძე საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს. უცებ ამდენმა წარმატებებმა შეიძლება ადამიანს ზომიერება დაგაკარგვინოს, თავბრუ დაგახვიოს. არც ერთი მომხდარა, არც მეორე. მის გულმოდგინებას, უბრალოებას, თავდადებას, შრომისმოყვარეობას, ადამიანებთან დამოკიდებულებას ერთი ხნივაც არ მოჰკლებია, არც სხვაზე მეტად წარმოუდგენია თავი. ეწვიეთ ოჯახში ნაზის, გული გაგინათლდებათ, აბა, ადით სათიხარისა და ვერხვნარის თამბაქოს ნაკვეთებში და ნახავთ, რა უხვ მოსავალს ჰპირდება ქვეყანას მისი მოუღლელი მარჯვენით მოვლილი მიწა, აბა, ახლა მისი დეპუტატობის კვალს მიჰყევით, წყლის საკითხი ვინ მოაწესრიგა — ნაზიმ! სოფლის გზის გაკეთება ვისი ინიციატივით შევიდა მომავალი წლის გეგმაში — ნაზის!

ამას საქმე გვიჩვენებს, თორემ ერთ სიტყვას ვერ წამოაცდევინებთ თავის შესახებ.

ამჟამად ნაზი ცეცხლაძე მეათე ხუთწლედის სახელოვან ვახტზე დგას, იგი არც წელს შეირცხვენს თავს.

...წამოსვლისას გზაზე ნინო გიანაშვილის მეუღლე გადაგვიდგა, თიანეთური ხინკალი მზად არიო. ხათრი არ გავუტეხეთ მასპინძელს. ან კი უარს რატომ ვეტყოდით, ბედნიერი ოჯახი ხომ უნდა დაგველოცა.

გვიან წამოვედით. შორიდან ელექტრონათურებით გაჩახჩახებული სოფელი ჩაო ისე ჩანდა, ვარსკვლავიანი ცა იყო დაბლა ჩამოსული თუ სოფელი იყო მაღლა წასული, ახლა ამის გარჩევა ძნელი იყო.

ხულოს რაიონი, სოფელი ჩაო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



**რევაზ ჩაფარიძე**

# აკაკი წერეთელი და ისტორია

ყოველი ახალი წიგნის წაკითხვა ახალი სამყაროს აღმოჩენაა. სწორედ ერთი ასეთი ახალი სამყარო გადაიშალა ჩემს თვალწინ, როდესაც დავით ჩაკვეტაძის წიგნი „აკაკი წერეთელი და საქართველოს ისტორიის საკითხები“ წავიკითხე.

დავით ჩაკვეტაძე ქართველ ისტორიკოსთა ახალგაზრდა თაობას ეკუთვნის. ის ჩემს თვალწინ გაიზარდა და დავაჟკაცდა და ამ რამდენიმე წლის წინათ ნაადრევად დაამთავრა თავისი ხანმოკლე, მაგრამ ღრმა შინაარსით აღვსილი სიცოცხლე.

ფართო და ვრცელი იყო ახალგაზრდა მეცნიერის სულიერი ინტერესები. ის ცოტას წერდა, მაგრამ რასაც წერდა, წერდა საგულდაგულოდ, მთელი სერიოზულობითა და პასუხისმგებლობით, რითაც ჭეშმარიტი მკვლევარისა და მიუკერძოებელი მოქალაქის ყველაზე საუკეთესო თვისებებს ამჟღავნებდა.

ამის დასტურია ეს პატარა წიგნიც, რომელიც ესაა დავწუხე და რომლის ირგვლივაც მსურს მკითხველს ორიოდე მოსაზრება გავუზიარო.

საკითხი, რომელსაც დავით ჩაკვეტაძის ზემოთხსენებული ნაშრომი ეძღვნება, ახალია როგორც ჩვენს ლიტერატურისმცოდნეობაში, ისე ისტორიოგრაფიაში. დავით ჩაკვეტაძემდე ჯერ ამ კუთხით არავინ მისდგომია ჩვენს კლასიკურ მწერლობას, ჩვენს ლიტერატურას, ჯერ არავის უკვლევია რომელიმე ქართველი მწერლის დამოკიდებულება სამშობლოს ისტორიის და საერთოდ ისტორიის მიმართ, არავის უძებნია ისტორიული ფესვები და პირველწყაროები, საიდანაც ესა თუ ის მხატვრული ქმნილება ამოიზარდა, ხალხის ყოფაში შევიდა და მისი სულიერი ცხოვრების მუდმივი თანამგზავრი გახდა. არა და, რა დიდი მასალაა, რა ბევრი რამის გაკეთება შეიძლება!

ამ მხრივ დავით ჩაკვეტაძის „აკაკი წერეთელი და საქართველოს ისტორიის საკითხები“, შეიძლება ითქვას, პირველი მერცხალია და მკითხველის ცხოველ დაინტერესებასაც იწვევს. კითხულობთ წიგნს და თქვენს წინაშე თითქოს დროის უსასრულობიდან ამოდის სამშობლო ქვეყნის კეთილდღეობისათვის დიდად გარჯილი გოლიათის სახე, სახე ადამიანისა, რომელსაც არ გააჩნია სხვა ხატი და სალოცავი, გარდა საქართველოსი, ვისი ცხოვრების ყოველი წუთიც მამულის აღმავლობასა და აღორძინებას მოხმარდა.

დღეს საყოველთაოდ ცნობილია, რომ, დიდ ილია ჭავჭავაძესთან ერთად, აკაკი წერეთელმა გადაგვარების გზაზე დამდგარი სამშობლოს ჭირისუფლობა იკისრა და სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ხელიდან არ გაუშვია ერის წინამძღოლის წმიდათა-წმიდა დროშა.

ამ საბოლოოდ დადგენილ ჭეშმარიტებას ჩვენს დროში ყველა უყოყმანოდ აღიარებს, ვინც კი ცოტად თუ ბევრად მაინც იცნობს ქართული ეროვნული მწერლობის ისტორიას, მაგრამ როდესაც საქმე საქმეზე მიდგება ხოლმე, რა დასამალია, ზოგჯერ აღიარება ლიტონ სიტყვად რჩება და აკაკის მოწამეობრივი ღვაწლი სამშობლოს წინაშე მის რამდენიმე ზეგარდმო ნიჭიერებით აღბეჭდილ ლექსსა და პოემაზე დაიყვანება.

როდესაც ამას ვამბობ, მე სრულებითაც არა მსურს, რაიმე ჩრდილი მივაყენო ვისიმე შემოქმედებას, მით უფრო აკაკი წერეთლის ღვთაებ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რივ პოეზიას, ღმერთმა დამიფაროს, მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ აკაკის, როგორც დიდი ერისკაცის, სახეს ისე ვერ წარმოვიდგენთ, თუ მის მაღალ პოეზიასთან ერთად ჯეროვანი არ მივუზღეთ ერის მოჭირნახულე პოეტის მრავალმხრივ საზოგადო მოღვაწეობას.

პოეტი-მოღვაწე აკაკი, მას შემდეგ, რაც თავი პოეტად და მოღვაწედ იგრძნო, ილია ჭავჭავაძის გვერდით იდგა და მასთან ერთად გასაჭირში მყოფი ხალხის უანგარო სამსახურის მძიმე უღელს ეწეოდა.

წალმა-უკუღმა დაბეჭდილმა ზოგმა მოგონებამ ცოტა არ იყოს გაიოლებულად წარმოგვიდგინა ერის დიდი პოეტის პირადი ცხოვრება, მისი ცხოვრების წესი, მისი სულიერი მიდრეკილებანი.

დავით ჩაკვეტაძის წიგნის ერთი უპირველესი ღირსება ისიც გახლავთ, რომ იგი ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყვება პოეტის მოუსვენარ ცხოვრებას და მის მაღალ დანიშნულებას თვალნათლივ ხდის. წიგნი გვარწმუნებს, რომ აკაკი, როგორც ისტორიკოსი, იმდროინდელი ისტორიოგრაფიის დონეზე იდგა და ერის გმირული ისტორიის მასალას არა წარსულის გასაიდეალებლად, არამედ თანამედროვეთა გულში რწმენის ჩასანერგად, აწმყოსა და ხვალინდელი დღის სამსახურისათვის იყენებდა.

ასე და ამ მიზნით შექმნა მან ისტორიულ ქრონიკებზე დაფუძნებული უკვდავი „თორნიკე ერისთავი" და „პატარა კახი", „ნათელა" და „თამარ ცბიერი", „ბაში-აჩუკი" და „კიკოლას ნაამბობი".

დავით ჩაკვეტაძე საფუძვლიანად განიხილავს ყველა ამ ქმნილებას და მათს ყოველ ეპიზოდს ისტორიულ სინამდვილეს უსადაგებს.

იყო დრო, როდესაც ჩვენს საზოგადოებაში სულ სხვა მოსაზრებებსა და შეხედულებებს ჰქონდა ფეხი მოკიდებული. ეს ის დრო იყო, როდესაც ჩვენს დიდ კლასიკოსებს მექანიკური საზომით უდგებოდნენ და ყველას ერთად, მათ შორის ილიასა და აკაკისაც, მჩაგვრელი კლასის სულისკვეთების გამომხატველად, ფეოდალური საქართველოს აპოლოგეტებად და რეტროგრადებად თვლიდნენ. ერის ისტორიის სადღეისო სამსახურში ჩაყენება მათ დანაშაულად ეთვლებოდა. ცთუნებას, თანამედროვე დიდი პოეტის არად ჩაგდებას და დამცირებას, თვით ისეთი ნიჭიერი ლიტერატორიც კი ვერ ასცდა, როგორიც კიტა აბაშიძე იყო. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ქმნილება აკაკი წერეთლისა მას „სამშობლო ისტორიის იდეალიზაციად" მიაჩნდა და „პოეტის პირადი შეხედულების გამომხატველად" თვლიდა.

დღეს მკრეხელობად მიგვაჩნია ყოველივე იმის გახსენება და შავით თეთრზე განმეორება, რის უფლებასაც კრიტიკოსი შემდეგ თავს აძლევს და რის ამომწურავ შეფასებასაც დავით ჩაკვეტაძე ჩვეული ტაქტითა და მეცნიერული ობიექტურობით იძლევა.

აკაკი წერეთელს ქართველი მშრომელი ხალხი, ე. წ. დაბალი წოდება, ერის ბურჯად, მის ღესვებად, ყველა მისი კეთილი თვისების მატარებლად მიაჩნდა და ერის მომავალსაც „დაბალი წოდების" მომავალში ხედავდა. ძნელია დაასახელო უფრო დიდი დემოკრატი, ხალხის ცხოვრების, მისი ტკივილებისა და სიხარულის ღრმად მცოდნე და გამომხატველი ქართველ მწერალთა შორის, ვიდრე აკაკი იყო. პოეტი თვით მიგვანიშნებს თავისი მსოფლმხედველობის უმთავრეს და ერთადერთ წყაროზე. ეს გახლდათ მაშინდელი მაღალი წოდების თაობიდან თაობაში დამკვიდრებული ტრადიცია, ბავშვი ხალხში, გლეხებს შორის გაეზარდათ და იმთავითვე ხელი შეეწყოთ მისი სწორი, ნამდვილად ცხოვრებისეული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისათვის. მაღალი წოდება, თავადაზნაურობა, ვისი წრიდანაც ჩვენი დიდი პოეტი გამოვიდა, თვითვე გრძნობდა და საქმით კიდევაც აღიარებდა, რომ მაღალი ზნეობა, კაცური კაცობა, სამშობლოს სიყვარული, ყოველი სიკეთის საწყისთა საწყისი მიწაზე მიჯაჭვული გლეხკაცის განმასხვავებელი თვისება იყო და თუ გსურდა, შვილი ადამიანად გაგეზარდა და არა გარეწრად, იგი მშობელი ერის წიაღში — გლეხობის სულის ემბაზში უნდა მოგენათლა. აკი ბრძანებდა ჩვენი დიდი პოეტი, თუ რამ კარგი და ადამიანურია ჩემში, ყოველივეს იმას უნდა ვუმადლოდე, რომ ბალღობიდანვე სოფელში ვიყავი გაბარებული და თანატოლ გლეხის ბავშვებში ვიზრდებოდიო.

ბავშვობის წლებმა, ისევე როგორც ყოველთვის ხდება, უდიდესი გავლენა მოახდინა პოეტის მთელ შემდგომ ცხოვრებაზე და მას სოციალური სამართლიანობისათვის თავგამოდებული ბრძოლის სული შთაბერეს.

დამახასიათებელია, რომ პოეტმა და მოქალაქემ, აკაკიმ, როგორც სამართლიანად შენიშნავს დავით ჩაკვეტაძე, არამცთუ თავისი კლასი, თვით საკუთარი გვარიც არ დაინდო და ყოველგვარ მიკერძოებას პირუთვნელობა ამჯობინა.

მე აქ მხედველობაში მაქვს იმერთა ოთხი ათასიანი მაშველი ჯარის სარდლის ზურაბ წერეთლის დანაშაულებრივი ყოყმანი და ფეხის ათრევა სამშობლოსათვის ყველაზე უფრო საბედისწერო წუთებში — კრწანისის ომში. ზურაბ წერეთელი სამართლიანად ამხილა აკაკიმ და მომხდარი ფაქტი მთელი სიმართლითა და მამულიშვილური მიუდგომლობით შეაფასა. პოეტი იქვე ქება-დიდებას უძღვნის ყველა იმათ, ვინც წერეთლის ლაშქარი თვითნებურად დასტოვა და სამშობლოსათვის თავის დასადებად მოსული სამასი არაგველის მსგავსად ერეკლეს ლაშქარს შეუერთდა. ესენი ხომ ის უსახელო ჯარისკაცები იყვნენ,

რომელთა უმრავლესობამ ძმათა ბედი გაიზიარა და გმირული სიკვდილით დაეცა კრწანისის ველზე.

აკაკის, როგორც ისტორიკოსს, მეტად საყურადღებო მოსაზრებები აქვს გამოთქმული ქართველი ტომების წარმომავლობისა და საცხოვრისის, ქართული ენის ბუნების, ფოლკლორის, კერძოდ, პრომეთე-ამირანის სახის გენეზისის, საკაცობრიო კულტურაში ქართველი ერის მიერ შეტანილი წვლილისა და სხვათა და სხვათა გარშემო. ზოგი მისი მოსაზრება, მეცნიერებათა ახალი აღმოჩენების შუქზე, მართალია, დღეს მოძველებული ჩანს, მაგრამ მათ ამით თავისებური გონებამახვილობა და თავდაპირველი მნიშვნელობა არ აკლდება.

სად იყო კაპადოკია? ვინ სახლობდა უმთავრესად კაპადოკიაში? ვინ იყო „მოციქულთა სწორი ნინო“, კაპადოკიელი ასული, რომელმაც საქართველოში ქრისტიანობა შემოიტანა და ქართლის მეფე მირიანი მოაქცია? ვინ უნდა ყოფილიყვნენ სირიელი მამები, მეექვსე საუკუნის მოძღვარნი, რომელთაც იმდროინდელ ქართლ-კახეთში მონასტრები ააშენეს და დიდი სამონასტრო მოღვაწეობა გააჩაღეს? რა ურთიერთობა არსებობდა პონტოს სამეფოსა და ქართულ ტომობრივ გაერთიანებათა შორის? ვინ იყო თვით დიდი მითრიდატე, რომელიც მთელი კულტურული აღმოსავლეთის სახელით ებრძოდა მონათმფლობელური რომის ანექსიას?

განუზომელია საკითხთა წრე, პოეტი-ისტორიკოსი რომ შეჰხებია და ყოველი ნაკლებად შესწავლილი საკითხის ირგვლივ თავისი ღრმა, ყოველგვარ ლოგიკურ ძალდატანებას მოკლებული შეხედულება გამოუთქვამს.

აკაკი ფხიზლად ადევნებდა თვალს ყველაფერს, რაც მის ირგვლივ, საქართველოში და საქართველოს ფარგლებს გარეთ ხდებოდა. მის დროს საქართველო უკვე აღარ განიცდიდა თურქ-სპარსელთა ცამაპარტახებელ შემოსევებს, ამ მხრივ მრავალ ჭირსა და ვაებაში გამოვლილი ქვეყანა დამშვიდებული იყო, მაგრამ საშიშროებამ ახლა სულ სხვა მხრიდან გამოჰყო თავი და ეს საშიშროება ერის რჩეულ შვილთა გამუდმებულ სიფხიზლეს და დაუყოვნებელ რეაგირებას მოითხოვდა.

აკაკი შეუპოვრად, საქმის ღრმა ცოდნითა და ლოგიკური თანმიმდევრობით ებრძოდა ქართველი ერის ისტორიის გამყალბებელთ. პოეტს ჩინებულად ესმოდა, რომ ამა თუ იმ ხალხის წინააღმდეგ ბრძოლას ტყუილად არ იწყებენ ამ უკანასკნელის ისტორიის, მისი კულტურული წარსულისა და აწყმოს გაცუცურაკებით. ვისაც წარსული არ ჰქონია და აწმყოც არა აქვს, მას, ცხადია, არც მომავალი ექნება. ასე რომ, ისტორიის გამყალბებელნი, ვის ისტორიასაც არ უნდა აყალბებდნენ ისინი, დიდი თუ პატარა ერისას, ყოველთვის შორს უმიზნებენ და მათი ბილწი საქმიანობის გამომჟღავნება ყოველი სინდისიერი მამულიშვილი მოღვაწის ვალია!

წიგნში დავით ჩაკვეტაძეს მოჰყავს აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის ერთობ საყურადღებო გამონათქვამი თხზულებათა მეორე ტომიდან:

„თვითმპყრობელობის რეაქციის გაძლიერებასთან ერთად გაძლიერდა დიდმპყრობელური შოვინიზმის იდეოლოგია, რომელიც უარყოფდა რუსეთის იმპერიაში მცხოვრებ არარუს ხალხთა დამოუკიდებელი განვითარების უფლებას და მოითხოვდა მის ძალდატანებით რუსიფიკაციას“.

მაგრამ ვის უნდა გაეტარებინა ცხოვრებაში ცარიზმის ეს კაცთმოძულებრივი პოლიტიკა? მის მოხელეებს, იმდროინდელ სამეულს: დონდუკოვ-კორსაკოვს, ჩუდეცკის და ეგზარქოს პავლეს. მათ უნდა გაეთელათ ქართული სახელმწიფოებრიობის ნაშთი, მოესპოთ ქართული ენა — ერის საფუძველთა საფუძველი, საბოლოოდ დაემხოთ და გაერუსებინათ ქართული ეკლესია, გაედევნათ იქიდან ქართველი საეკლესიო მოღვაწენი, ანდა აეძულებინათ, ათასხუთასწლოვან ქართულ ქრისტიანულ საყდარში წირვა-ლოცვა მხოლოდ და მხოლოდ რუსულად ჩატარებულიყო.

ცდამ შედეგი გამოიღო: სკოლებიდან თითქმის მთლიანად განიდევნა ქართული ენა. ქართველი ხალხის ეროვნული ძალების დაქუცმაცების მიზნით არაქართველებად გამოცხადდნენ მეგრელები და სვანები. ცარიზმმა ე. წ. მცირე ერების მფარველის მანტია წამოისხა და ამით აშკარა ბრძოლა გამოუცხადა ქართველთა „დიდმპყრობელურ შოვინიზმს“... მეგრელებისა და სვანების მიმართ! გამოიგონეს მეგრული ანბანი. თარგმნეს თითო-ოროლა წიგნი მეგრულად. ეს გახლდათ მოქმედებაში გადატანილი შეგონება ნიკოლო მაკიაველისა; თუ გსურს დაამდაბლო შენს მიერ დაქვემდებარებული მცირერიცხოვანი ერი, მხარი დაუჭირე კიდევ უფრო მცირერიცხოვანი ერის პრეტენზიებს ამ ერის წინააღმდეგ!..

ფიზიკის ელემენტარული კანონის თანახმად, დაწოლას უკუქმედება მოჰყვა. მოკლეს ჩუდეცკი. ეგზარქოსმა პავლემ დასწყევლა და ანათემას გადასცა ქართველი ერი. თავის ღვიძლ ქართველობას გამოექომაგა დიმიტრი ყიფიანი. შეურაცხყოფილი ერის შვილს არ აპატიეს ეკლესიის მამის შეურაცხყოფა, შეიპყრეს, გადაასახლეს და ამ „მეორე დიმიტრი თავდადებულს“, როგორც აკაკი უწოდებდა, ნაჯახით სიცოცხლე მოუსწრაფეს. დიმიტრი ყიფიანის მოწამებრივ სიკვდილს მოჰყვა ეროვნული პოეზიის შედევრი — „განთიადი“...

1888 წელს „ნოვოე ობოზრენიეში“ იბეჭდება აკაკის სამეცნიერო-პუბლიცისტური წერილი „ისტორიული ცნობა“. ავტორის მახვილი მიმართულია ცარიზმის დამქაშთა იმ მოსაზრების გასაბათილებლად, რომლის თანახმადაც „კავკასიის ერები“, მათ შორის, რაჭა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კვირველია, ქართველები, განვითარების დაბალ საფეხურზე დგანან და თითქოს ისინი ჯერ კიდევ არ მომწიფებულან იმისათვის, რომ საკუთარი მმართველობის აპარატი ჰქონდეთ, როგორიც შიგა რუსეთის ყველა გუბერნიას აქვს.

არ დააყოვნა სამხარეო ოფიციოზმა „კავკაზმა“ და „ნოვოე ობოზრენიეს“ სარედაქციო წერილით უპასუხა. ყოვლად უზნეო, ბინძურ „პასუხში“ — „Созрели?“ გაბიაბრუებულია საქართველოს მთელი ისტორია. იგი, ეს ისტორია, ვახტანგისა და ბატონიშვილ ვახუშტის გამონაგონად არის მონათლული. თუ ეს მართალი არ არის და მე-11 საუკუნემდე მართლაც გაგაჩნდათ რაიმე ისტორია, რატომ ერთი ძველი მწერალი მაინც არ გიხსენიებთო? — კიცინებდა სტატიის ანონიმური ავტორი. — თქვენ იმ უძველეს ტომებს ნუ ეტმასნებით, ამ მიწაზე რომ ოდესღაც ცხოვრობდნენ და შემდეგ გაქრნენ, აბა რა არის საერთო თქვენსა და მათ შორისო!

აკაკი ოლიმპიური სიმშვიდით ალიჭურვა, აურაცხელი ისტორიული წყარო მოიმარჯვა და გამანადგურებელი პასუხი გასცა ისტორიის გამყალბებელთ. სამწუხაროდ, მაშინდელი წამოყვედრებანი შიგადაშიგ ახლაც გაისმის ხოლმე, ზოგიერთი ვაიმეცნიერის შრომებში, თანაც საკმაოდ სოლიდურ გამოცემებში და ამიტომ აკაკის მაშინდელი პასუხი, თითქმის ასი წლის წინათ რომ დაიბეჭდა, ისე ჟღერს, თითქოს სწორედ დღეს, ახალ ფალსიფიკატორთა და მაღემრწმენთა წინააღმდეგ იყოს დაწერილი.

დავით ჩაკვეტაძის წიგნის წაკითხვა გულს კანონიერი სიამაყითა და სიხარულით გივსებს. ეს წიგნი დიდების შარავანდედს ადგამს ერის სულმნათ პოეტს და ერთადერთ კეთილშობილურ მიზანს ემსახურება: დაგვანახოს, რა ეკლიანი გზის გავლა მოუხდათ ქართველი ხალხის რჩეულ შვილებს, მათ შორის აკაკის, ვინც ღირსეულად მოიხადა თავისი პატრიოტული ვალი და პირნათელი წარსდგა მადლიერი შთამომავლობის წინაშე.

მსგავს წიგნებს, ჩვენგან ნაადრევად წასულმა დავით ჩაკვეტაძემ რომ დაგვიტოვა, ბევრი სიკეთის მოტანა შეუძლია. ეს წიგნები, ჯერ ერთი, უფრო ღრმად გვახედებენ ჩვენი მრავალსაუკუნოვანი მწერლობის სულის წიაღში და, მეორე, კიდევ ერთხელ თვალწინ გვიცოცხლებენ ერის წარსულს, ურომლისოდაც წარმოუდგენელია აწმყო, მით უფრო მომავალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევაზ ჩხარტიშვილი

# მწერლის ახალი სიცოცხლე

ჟურნალ „ჩვენი თაობის“ პროზაიკოსთა შორის განსაკუთრებული სიყვარულით სარგებლობდა ახალგაზრდა ბელეტრისტი კოტე ხიმშიაშვილი, რომელიც ქართულ მწერლობას ახლახან დაუბრუნდა. იგი სულ 25 წლისა დაიღუპა, მაგრამ ცხოვრების ამ ხანმოკლე დროის მიუხედავად მკითხველს დაუტოვა 17 ნოველა და ერთი რომანი „ჯონქა ხორნაული“ (აქედან მხოლოდ ორი ნოველა დარჩა გამოუქვეყნებელი).

კოტე ალექსანდრეს ძე ხიმშიაშვილის ბიოგრაფია სულ ორიოდე სიტყვით გადმოიცემა: დაიბადა ქუთაისში 1917 წლის 20 თებერვალს. შემდეგ მისი ოჯახი გადმოსახლდა თბილისში. კოტე კოჯრის საშუალო სკოლას ამთავრებს. მოწაფეობის დროს არის სოფლის კომკავშირის უჯრედის მდივანი. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლას განაგრძობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ინგლისური ენის განყოფილებაზე ერეკლე ტატიშვილის ხელმძღვანელობით.

დაიღუპა 1942 წლის 17 ოქტომბერს.

წერა ძალიან ადრე დაიწყო. 17 წლის ყმაწვილი ბიჭი თავის პირველ ნოველებს აქვეყნებს. ამ ნოველებით კ. ხიმშიაშვილმა მკითხველს წერის მისეული მანერა შესთავაზა, რაც შეუმჩნეველი არ დარჩენიათ მხატვრული სიტყვის ისეთ დიდოსტატებს, როგორიც იყვნენ მ. ჯავახიშვილი და ლ. ქიაჩელი. 1935 წელს ლეო ქიაჩელი ჟურნალ „ახალგაზრდა მწერალში“ ათავსებს მიმოხილვითი ხასიათის წერილს „ჟურნალ „ახალგაზრდა მწერლის“ ახალგაზრდა პროზაიკოსები“, სადაც ცნობილი მწერალი განსაკუთრებული ყურადღების ღირსად მიიჩნევს კ. ხიმშიაშვილს. „ამას წინათ გამართულ ახალგაზრდა მწერალთა სალიტერატურო სადამოზე—აღნიშნავდა ლ. ქიაჩელი,—ჩვენმა მწერლებმა საკმარისად გაიცნეს დამწყები მწერალი კ. ხიმშიაშვილი. მიმდინარე წელს მან „ახალგაზრდა მწერალში“ დაბეჭდა ორი მოთხრობა: „ბებია ელისაბედი“ და „წერილი პოლიტხელთან“. ახლახან ჟურნალ „მნათობში“ დაიბეჭდა მისი საუკეთესო მოთხრობა „ღამე“, რომელმაც თავიდანვე მიიქცია ჩვენი ყურადღება. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს ახალგაზრდა ავტორი უტყუარი მხატვრული ნიჭით არის დაჯილდოებული. მას ემარჯვება უფრო მცირე ფორმის ნაწარმოები — მოჭრილი, მოკვეთილი ამბავი, სადა, სხარტულ ფორმაში ჩამოსხმული“. შემდეგ გამოჩენილი მწერალი კ. ხიმშიაშვილის პირველი ნოველების კონკრეტული ანალიზით ნათელყოფს თავისი დებულებების სისწორეს და დაასკვნის: „როგორც ზემოთ აღვნიშნე, კ. ხიმშიაშვილი დამწყებ პროზაიკოსთა შორის ენის სისუფთავით, ლიტერატურული დახვეწილობით გამოირჩევა. მას სხვა ღირსებაც აქვს: შეუძლია და ეხერხება მცირე მოცულობის მასალაზე საინტერესო და დამაფიქრებელი სინტეზი შეჰკრას. მცირე ფორმის ავტორისათვის ეს აუცილებელ თვისებად უნდა ჩაითვალოს“. ახალგაზრდა მწერლის მხატვრული ნიჭიერება ღრმად სწამდა ლ. ქიაჩელს. იგი დაბეჯითებით აცხადებდა: „საერთოდ უნდა ითქვას, რომ კ. ხიმშიაშვილი ბევრ ნიშანს გვაძლევს იმისას, რომ ის მცირე ფორმის ოსტატი დადგება, თუ თავისთავზე მუშაობა არ შეანელა და პირველი ნაბიჯის პატარა წარმატებით არ დაკმაყოფილდა“.

კოტე ხიმშიაშვილი კი, მისი დის, მწერალ დოდო ვადაჭკორიას გადმოცემით, დაუშურველი ენერგიით აორკეცებდა მხატვრულ სიტყვაზე მუშაობას, წერდა და კითხულობდა დაუსრულებლად, თითქოს სიცოცხლის ადრე დასრულებას გრძნობდაო. საოცრად უფრთხილდებოდა დროს, უნდოდა ყველაფერი მოესწრო, მეტი ეთქვა, მეტი დაეწერა. იმავე 1935 წელს დაუბეჭდავი ნოველები წარადგინა „განსახილველად მწერალთა კავშირში. 15 ნოემბერს მოეწყო კითხვა-განხილვა, რომლის შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანებაც ვრცელი ინფორმაცია იბეჭდება „ლიტერატურულ გაზეთში“. ამ განხილვაზე სიტყვით გამოსულან და კ. ხიმშიაშვილის ნოველებისათვის დადებითი შეფასება მიუციათ მ. ჯავახიშვილს, ლ. ქიაჩელს, დ. სულიაშვილს, გ. ქუჩიშვილს, ლ. მეტრეველს და სხვ. მათ ერთხმად აღუნიშნავთ, რომ კ. ხიმშიაშვილის ნოველები ამჟღავნებს ახალგაზრდა ავტორის კარგ მომავალს, რომ ავტორმა სხვა ახალგაზრდებთან შედარებით იცის ქართული ენა, აქვს სიტყვის მარაგი და წერის თავისებური სტილი. ცხადია, განხილვაზე ახალგაზრდა მწერალს კონკრეტული შენიშვნებიც მისცეს, მაგრამ ავტორს ფრთებს ასხამდა ის წარმატებები, რაც მას პირველმა ნაწარმოებებმა მოუტანეს.

პირველი მოთხრობა, რომელიც ახალგაზრდა მწერლების ჟურნალ „ჩვენი თაობის“ ფურცლებზე გამოაქვეყნა კოტე ხიმშიაშვილმა, იყო „ამხანაგი პოლკოვნიკი“. მწერლის შემოქმედების ძირითადი თემა თანამედროვეობა იყო. ეს უკანასკნელი ჩვენი საუკუნის 30-იან წლებს მოიცავდა, პერიოდს, როცა საბჭოთა ხელისუფლება თავისი არსებობის მხოლოდ ოციოდე წელს ითვლიდა, როცა საბჭოთა ადამიანები ენთუზიაზმით მიისწრაფოდნენ სოციალიზმის გამარჯვებისაკენ. ადამიანთა ფსიქოლოგიური სამყარო განწმენდილი იყო იმ მღვრიე მინარევებისაგან, განვლილი პერიოდის პოლიტიკურ ქარტეხილებში რომ წარმოიშვა. თუმცა სოციალურად განსხვავებული თვალსაზრისი თავისი ობიექტური საფუძვლების გამო (იგულისხმება სოციალური წარმომავლობა) ჯერ კიდევ ბოგინობდა. მართალია, ამ დროისათვის აშკარა კლასობრივ მტრობას ვერ ამჟღავნებდნენ, მაგრამ მათი ინდიფერენტული დამოკიდებულება საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებისადმი ერთგვარ მუხრუჭად ედობებოდა წინ სინამდვილის დადებითი მოვლენების გაშლა-განვითარებას. ერმილე ივანეს ძე თურასელი, „ამხანაგი პოლკოვნიკის“ ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი, სწორედ ამგვარი სოციალური წრის წარმომადგენელია. მისი წარსულის პატრონი, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლებამ ყველაფერი აპატია და თავისუფალი ცხოვრებისა და შრომის პირობები შეუქმნა, მაინც ცინიკურად უყურებს მის ირგვლივ მიმდინარე საკეთილო ცვლილებებს. მეფის რუსეთის ყოფილი კაპიტანი თავდაუზოგავად იბრძოდა ცარიზმის დასაცავად, მაგრამ ახლა, როცა ქვეყანას ხალხის ხელისუფლება მართავს და უფრო მეტად არის საჭირო თავდადება ალმშენებლობით მუშაობაში, ერმილე თურასელი მხოლოდ წარსულით ცხოვრობს და ოდნავადაც არ განიცდის იმ სინანულს, მისი მეთაურობით ათასხუთასი ქართველი ჭაბუკი ქურთების ურდოს რომ შეახოცა მეანტავის ხეობის ასაღებად, რათა მეფის რუსეთს ახალი ძიწები დაეპყრო. წარსული წლების სიმძიმე წარსულს ჩაბარდა და წარსული ცოდვების მონანიება ახალ დროს მიენდო, მაგრამ ერმილე თურასელის მახინჯი სული კვლავ იმ უწმინდურობით არის აღსავსე, თავის უსაფუძვლო წარმომავლობაში რომ ხედავს.

ერმილე თურასელი გამონაკლისი, მაგრამ ტიპიური წარმომადგენელია 30-იანი წლების საზოგადოების იმ მცირე ფენისა, რომელიც ჯერ კიდევ გულს არ იტეხდა და იმედი ჰქონდა მისთვის სასურველი წარსულის დაბრუნებისა. სინამდვილის სიძულვილით დაბრმავებული ვერ ხედავდა თანამედროვეობის მძლავრ გაქანებას. იგი ვერც მაშინ ამჩნევს სინამდვილის რეალურ საფუძველს, როცა პირისპირ შეხვდა მისი ესკადრონის ყოფილ პორუჩიკს, ახლა უკვე წითელი არმიის პოლკოვნიკს ოთარ ბუჩიშვილს. ოთარ ბუჩიშვილის განვლილი ცხოვრება და მისი დღევანდელი მდგომარეობა ერთი ნათელი მაგალითი უნდა ყოფილიყო ერმილე თურასელისათვის, რომ საბჭოთა სინამდვილე ადამიანის ბედ-იღბლით იყო დაინტერესებული, წარსულის ცოდვების მონანიების შემდეგ შეეძლო საზოგადოებისა და ქვეყნისათვის სასარგებლო ყოფილიყო. ერმილე თურასელის ეჭვს ყოველგვარი საფუძველი მოკლებული ჰქონდა. მიუხედავად ამისა, მისი ირონიული დამოკიდებულება სინამდვილისადმი უკიდურეს ცინიზმამდე მიდიოდა.

— „მაშ, ბოლშევიკებთან მსახურობ? — ჩაილაპარაკა ერმილემ.

ოთარმა თითებშუა გასტეხა პაპიროსი.

— როგორც ხედავ.

— ჩვენ ძველი კადრის ოფიცრები ვიყავით, ოთარ.

ოთარმა მოუთმენლად გაიხედა ქუჩისკენ.

— იცი რა გითხრა, ერმილე? მე ვემსახურები მშრომელ ხალხს. ხომ იცი, რომ ბოლშევიკებმა გააცოცხლეს და განაახლეს საქართველო...

ერმილემ მკლავში ხელი ჩაავლო მოსაუბრეს:

— დავანებოთ ამას თავი, ოთარ, ვთქვათ ეს ასეა. მაგრამ შენ? შენ ხომ გამოგიყენეს ბოლშევიკებმა და მეტი არაფერი, გესმის? გა-მოი-ყე-ნეს. სამხედრო სპეცი, იცი ეს რას ნიშნავდა სამოქალაქო ომის დროს? ერთი შეცდომა, ან გაუფრთხილებლობა და... კედელთან.

ოთარმა იგრძნო, რომ სისხლი მოაწვა სახეზე და ყურები აეწვა.

— უკაცრავად, — დაბალი ხმით სთქვა მან,— მე მენდობიან, მე ღრმა რწმენით, შეგნებულად

ვეხმარები მათ, შექმნან უმაღლესი ტექნიკით შეიარაღებული რეგულარული ჯარი, რომელიც ამჟამად ასე სჭირდება ჩვენს ქვეყანას და ისინი რომ არ მენდობოდნენ, პოლკოვნიკის ხარისხიც არ მექნებოდა.

ერმილემ ოთარის მკლავს ხელი გაუშვა.

— ღმერთმა იმედი ნუ მოგიშალოს".

იმედისა და უიმედობის დაპირისპირება დღევანდელობისა და წარსულის დაპირისპირებას ნიშნავს. ოთარ ბუჩიშვილი, წითელი არმიის პოლკოვნიკი, როგორც თავად ამბობს, ღრმა რწმენით ემსახურება მშობლიურ ქვეყანას, შეგნებულად იღვწის მისი სიძლიერის განმტკიცებისათვის, ხოლო ერმილე თურასელი, ძველი კადრის ყოფილი ოფიცერი, უიმედობასა და სიძულვილს შეუპყრია და მომავალზე გულგატეხილს სხვისი რწმენაც და გაბედული ნაბიჯიც საეჭვოდ გაუხდია.

ოთარ ბუჩიშვილიცა და ერმილე თურასელიც 30-იანი წლების ტიპიური წარმომადგენლები იყვნენ, მაგრამ პირველი ჯანსაღი საზოგადოების ღვიძლი შვილი იყო, რომელმაც თავისი მკვიდრი ადგილი ჰპოვა ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობაში, ხოლო მეორე თუმცა უვნებელი, მაგრამ მაინც საშიში ხორცმეტი იყო, რომელსაც მოკვეთა და სანაგვე ყუთში გადაგდება ესაჭიროებოდა.

ერმილე ივანეს ძე თურასელი, როგორც პერსონაჟი, ახალი ასპექტით წარმოჩნდება მწერლის სხვა მოთხრობაში. ეს არის ჟურნალ „ჩვენ თაობაში" გამოქვეყნებული მოთხრობა „უძლეველი რიტმი". ერმილე თურასელის ბედი, ანუ დრომოჭმული, ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობისათვის სრულიად ზედმეტი ადამიანის თემა განსაკუთრებით აინტერესებდა ავტორს. ამ მოთხრობაში ერმილე თურასელი საბოლოოდ განწირული და უარყოფილია ახალი ცხოვრებისაგან. ახალმა ცხოვრებამ და ერმილე თურასელმა ერთმანეთს ვერ გაუგეს, ერთმანეთი ვერ შეიცნეს, უფრო სწორად, წარსული დიდების დაკარგვით განაწყენებულმა თურასელმა ახალი სინამდვილე ვერ იგუა და განზე განუდგა. ეს იყო მისი ტრაგედია. ახალი სინამდვილის სიძულვილმა მოტეხა და დააბეჩავა მარტოხელა მოხუცი. თუმცა ოჯახური ტრაგედია ისედაც მძიმედ აწვა მის სულს. მისი ერთადერთი ვაჟიშვილი, ახალგაზრდა ოფიცერი ჯერ კიდევ ომის დროს იმსხვერპლა ავსტრიელების ყუმბარის ნამსხვრევებმა, მეუღლე სახადით გარდაეცვალა. სასოწარკვეთილ პოლკოვნიკს მისთვის ამ მძიმე მომენტში ნიკოლოზ მეორემ „უმტყუნა" — იგი ტახტიდან გადადგა. თურასელი ჰაერში გამოკიდებული დარჩა. აღარც ძველი დიდება, აღარც ახალი ყოფა. სად არ იხეტიალა. მერე ნაცნობმა ინჟინერმა უშველა — ქიმიურ კომბინატში მოაწყო დირექტორის კაბინეტის მეკარედ. და ითვლის გაწამებულ წამებს ოთხმოც წელს გადაცილებული მარტოხსული მოხუცი. ქიმიური კომბინატის დირექტორმა კომბინატის გუმბათზე მოთავსებული ვეება საათის მეთვალყურეობა დაავალა. საათის ამ ულმობელმა წიკწიკმა გული გაუწვრილა — დრო, რომელსაც ასე გამძაფრებით გაურბის მოხუცი თურასელი, წარამარა ახსენებს მის უაზრო არსებობას.

„საცხოვრებელი ოთახი პირდაპირ გუმბათის ქვეშ იყო მოთავსებული. და მას შემდეგ აწამებს მოხუცს ეს საათი. ფეხს შესდგამს თუ არა თავის ოთახში, მაშინვე საათის ხმაური იმორჩილებს. წამები განუწყვეტლივ ეჯახებიან კედლებს და ბებრის ყრუ ხველებით ამცნობენ, ახსენებენ, რომ სამუდამოდ დაიკარგა წარსული, ხოლო მომავალი ისევე მოსაბეზრებელი, ერთფეროვანი და უიმედო იქნება, როგორც ამ ქანქარის უწყვეტი რხევა, რომ ზის აქ ოთხმოცწლამდე მიღწეული მოხუცი და მისი არსებობა არავის აინტერესებს".

ავტორი არაჩვეულებრივი ოსტატობით სწვდება მარტოობით გაწამებული კაცის ფსიქოლოგიურ სამყაროს.

„დირექტორი ნახევარ დროს საწარმოებში ატარებდა. როცა კაბინეტში იყო, ყველას შეეძლო მასთან შესვლა, იშვიათად, სხდომის შემთხვევასას თუ სთხოვდნენ ხოლმე ხებართვას. მეკარე ფორმისათვის უფრო ჰყავდათ და მოხუცი თურასელი მალე დარწმუნდა, რომ ის აქ საერთოდ ზედმეტია".

ეს იყო მარტოობის, ზედმეტობის შეცნობის კიდევ ერთი ახალი მძაფრი პროცესი. თურასელის სულში ქარიშხალი აბორგდა. იგი განწირულობის უკიდურეს ზღურბლზე დგას.

„დილის ცხრა საათიდან ნაშუადღევის ოთხამდე იჯდა ტალანში და უსაქმობისაგან თვლემდა. ოთხის შემდეგ, გაჭირვებით აფოფხდებოდა გუმბათის კიბეებზე, თვალს გადაავლებდა საათის უზარმაზარ მექანიზმს და რამდენსამე ადგილას ზეთს ჩააწვეთებდა. მერე თავის ოთახში შევიდოდა, და იმის მაგივრად რომ დაღლილს ჩასძინებოდა, რიჟრაჟამდე თვალღია იწვა ტანგაუხდელი და ყურს უგდებდა როგორ აკაკუნებდა დრო და ამცნობდა სივრცეს თავის უკანმოუხედავ ქროლვას".

საშინელია დროის ულმობელი სრბოლის განცდა. დრო თურასელისათვის არ იხედება უკან, თორემ მოხუცმა კარგად იცოდა, რომ „იქ, ქვევით, ხალხი სიხარულით და იმედით ცხოვრობდა. მათთვის იმავე ქანქარის რხევას, მოხუცი სასოწარკვეთამდე რომ მიიყვანა, ახალი გამარჯვებანი და მეტი რწმენა მოჰქონდა, მაგრამ თურასელი უცხო იყო მათთვის და არც სურდა დაახლოება..."

სწორედ დრომ, დროის ულმობელმა სრბოლამ დააშორა თურასელი ხალხს, იმავე დრომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუცამტვერა ის პრინციპები, რომლითაც ცხოვრობდა და სულდგმულობდა იგი. „ოდესღაც სჯეროდა, რომ რაღაც პრინციპებით ცხოვრობდა. მაგრამ ისინი დაძველდნენ და ზედმეტნი გახდნენ, როგორც თვით თურასელი. აწლა აზრების ძაფი ქანქარების რხევამ დასწყვიტა თითქო, და ეს ძაფი ვეღარ ამაგრებდა მოხუცს გონიერი ცხოვრებისათვის. ქანქარამ გამოფიტა მისი სული და დარჩა მხოლოდ ბოროტი სასოწარკვეთილება ბებერი ცხოველისა“.

თურასელი გაბოროტებული პიროვნებაა. მისი უძალო სხეული უსასრულო სიძულვილს იტევს. სიძულვილი და ზიზღი კიდევ უფრო მძაფრდება, როცა მოხუცი სრულად შეიგნებს, რომ მას ახალი ქვეყნისათვის არავითარი ვნების მიყენება არ შეუძლია. მას ყველა და ყველაფერი სძულს. მან მხოლოდ ერთხელ სცადა კეთილი თვალით შეეხედა ადამიანებისათვის და აქაც იმედი გაუცრუვდა. „ერთადერთი ადამიანი, რომელსაც მოხუცი კარგი თვალით უყურებდა, მოლარე ყმაწვილი ქალი — იათამზე გახლდათ. როცა თურასელმა პირველად ნახა ეს მკვირცხლი, შავგვრემანი გოგონა და შეამჩნია, რომ ის ყველას თავაზიანად და ალერსით ეპყრობოდა, გაიფიქრა: „ჯიში სჩანს, ჯიში...“ საწერ მაგიდაზე გადაიხარა, იდაყვი მელნით დაისვარა და ისე წასჩურჩულა, თითქო რაიმე საიდუმლოს ჰკითხავდა:

— რა გვარისა ბრძანდებით, ქალიშვილო?..

მოხუცის უცნაური ტონით გაკვირვებულმა გოგონამ იდაყვი საშრობის ქაღალდით გაიწმინდა და ღიმილით მიუგო:

— კაკუტალია გახლავართ, ძია...

თურასელმა წარბები შეიჭმუხნა და უნებურად წამოსცდა თავისი „იშ“. მერე მოაგონდა: „ნაბუშარია უთუოდ“. თორემ ერმილე ივანეს ძე ვერ დაიჯერებდა, რომ ლამაზი და სანდომიანი ქალი „უბრალო“ გვარისა ყოფილიყო“.

მეორე დეტალიც:

„თურასელმა დღესაც მიიღო ჯამაგირი და როცა ჩვეულებრივ გაეხუმრა იათამზეს: როდისღა გათხოვდებიო, თვალებგაბრწყინვებულმა ქალმა მღელვარე სიცილით უპასუხა:

— ვთხოვდები, ძია, მართლა ვთხოვდები...

მოხუცი მიხვდა, რომ გოგონა აღარ ხუმრობდა, მიულოცა. საიდანღაც გამოძებნა დაუძლურებულ სხეულში შენახული სინაზე, ქალის პატარა, სათუთ ხელს თავისი მოყვითალო ულვაშით შეეხო და ფრთხილად შეეკითხა:

— საქმრო რა კაცია, გენაცვა?...

— დორეული, ჩვენი დირექტორი... — მიუგო გაწითლებულმა იათამზემ.

თურასელს ეს ამბავი უფრო მეტად არ ეწყინებოდა, იათამზე რომ მისი შვილი ყოფილიყო, მაგრამ თავი შეიკავა და არაფერი უთქვამს“.

ამ მრავლის დამტევ მხატვრულ დეტალებში ფართო ასპექტითაა მოცემული თურასელის სულიერი სამყარო. სიძულვილით გულგასენილს დღევანდელობის ნებისმიერი მოვლენა აღაშფოთებს. იგი დორეულისა და იათამზეს ბუნებრივ სიყვარულსა და ქორწინებას ღვთის რისხვად მიიჩნევს საკუთარ თავზე. თურასელს ისიც ვერ წარმოუდგენია, რომ უბრალო გვარის ქალი კაკუტალია ღვთაებრივი სილამაზითაა შემკული. მისი აზრით, ამგვარი მომხიბვლელი სილამაზე მხოლოდ დიდგვაროვანთა ხვედრია. დორეულისა და იათამზეს ქორწინება, თურასელის წარმოდგენით, მისი ჯიბრით მოხდა. დორეული, „ეს კუმელი მეშწვანილის, ბარათაანთ ნაყმევის შვილი“, ვეებერთელა ქიმიურ კომბინატს უდგას სათავეში და ცოლად ულამაზეს ქალს ირთავს. ამ ფაქტმა მის თვალში საბოლოოდ დაკარგა ცხოვრების აზრი და სასო სამუდამოდ წარეკვეთა. ამქვეყნიური სიძულვილით გაელენთილი თურასელი არყის ნაცვლად სპირტს მიეტანა და სიკვდილს მინებდა: „თურასელმა სცადა წამომდგარიყო, მაგრამ ვეღარ შესძლო. თვალებში შავი რკალები აუთამაშდნენ, ჭერზე დაკიდული ელნათური დაჰფარეს და ბგერებად აღივლივდნენ. რკალები გაიზარდნენ, ლაქებად იქცნენ, მოხუცს შემოეხვივნენ, მისი უღონო სხეული აიტაცეს და ქანქარის რხევას ააყოლეს. ყოველივე შავ ლაქად იქცა და ლაქა ბგერებისაგან ლივლივებდა. ბგერები რახუნით აღნიშნავდნენ დროის შეუჩერებელ სვლას.

მოხუცმა უღონოდ გააქნია თავი და მიხვდა, რომ გუმბათის საათი ასე ხმამაღლა და შეუბრალებლად მის უკანასკნელ წუთებს ითვლიდა.

დრო ისევ განაგრძობდა სვლას“.

თურასელი კი დროს ჩამორჩენილი კაცი იყო. მან ვერ იგუა ის სიახლეები, რამაც ძველი, დრომოჭმული ცხოვრება ძირფესვიანად გარდაქმნა და სრულიად ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობა ჩამოაყალიბა. თურასელი თავისი, შეიძლება ითქვას, შეუცნობი, გაუაზრებელი პრინციპების გამო, შეგნებულად განერიდა ამ საზოგადოებრივ ურთიერთობას და ნაგვიანევი შემოდგომის ფოთოლივით ფარფატებდა უჰაერო სივრცეში. დროის შეგრძნების აუცილებლობა მყარ ნიადაგზე დააყენებდა, მაგრამ მან დრო ვერ შეიგრძნო. დროს ჩამორჩენილი კაცი ცხოვრებისაგან განწირულია, ვინაიდან საათის ქანქარის მძლავრ რხევას აყოლილი დრო ულმობელი სისწრაფით მიჰქრის წინ და უკან იტოვებს ყოველივეს, რაც მას ვერ აჰყვება.

კოტე ხიმშიაშვილის პერსონაჟთა დიდი უმრავლესობა ღრმა ფსიქოლოგიზმით ხასიათდება.

---

რევაზ ჩხარტიშვილი

ჭღერლის ახალი სიცოცხლე

ამ ასპექტით გვხიბლავს „საქორწილო მუსიკის“ მთავარი პერსონაჟი, რომელსაც ავტორმა წინასწარი განსაზღვრით კონკრეტული სახელი არ დაარქვა და მას თალხი კაცი უწოდა. თალხი კაცი თავისი უცნაური ხასიათის გამო განერიდა საზოგადოებას, მასთან არც არავინ დადიოდა სტუმრად და არც ის დადიოდა ვინმესთან. ასეთმა განმარტოებულმა ცხოვრებამ მარტოობას მიაჩვია და ადამიანთა საზოგადოებას უფრთხოდა. მას ჰქონდა სამუშაო და ამ სამუშაოს პედანტის სიზუსტით ასრულებდა. მისი სამსახური სამგლოვიარო მუსიკის ბიურო იყო და თავისი სპეციფიკის გამო სამგლოვიარო პანაშვიდებსა და გასვენებებზე ვიოლინოზე დამკვრელი კაცი, ტანისამოსსაც შავი ფერისას იცვამდა. ამიტომ შეარქვეს მეზობლებმა ამ უენო კაცს თალხი კაცი. მარტოობამ და მუდამდღე სამგლოვიარო მუსიკის მოსმენამ თითქოს ქვეცნობიერად ჩაუკლა სიხალისისა და ადამიანებთან დაახლოების დაუცხრომელი ჟინი, იგი მიეჩვია მარტოობას და თავისი არსებობით არავის აწუხებდა. მაგრამ ადამიანური ურთიერთობის იმ ფარულმა აუცილებლობამ, რომელიც მის არსებაში წლების მანძილზე თვლემდა, ერთბაშად იფეთქა, როგორც კი საამისო საშუალება მისცეს. ადამიანებთან სიახლოვის სწრაფვა ყოველ კაცში ბუდობს პოტენციურად, მაგრამ ადამიანთა ხასიათების მრავალგვარობის გამო მეტნაკლები სიძლიერით იჩენს თავს. თალხი კაცი ადამიანთა იმ რიცხვს მიეკუთვნება, მორცხვობისა და გაუბედაობის განწყობილება რომ ძალავს, მაგრამ მის მიყუჩებულ სულს მთელი თავისი არსებობის მანძილზე აწვალებს ამ სიმორცხვის დაძლევის წადილი. ადამიანური ურთიერთობანი უამრავ ნიუანსს შეიცავს. საკმარისია შესაბამისი ნიუანსის მიგნება, რომ აქამდე მიყუჩებულმა სწრაფვის ჟინმა გახელებით იჩინოს თავი და უმალ თავისი კალაპოტი იპოვოს. „თალხი კაცის“ აქამდე მთვლემარე ჟინს საამისო საშუალება მისცეს — ახალმა მეზობელმა ქალმა ჩვეულებრივი ადამიანური ურთიერთობა შესთავაზა მარტოობით გაწამებულ კაცს და ამ უკანასკნელმა დაუყოვნებლივ მიიღო ეს ნანატრი წინადადება.

ნოველის ქვეტექსტი ღრმაა და დამაფიქრებელი. მარტოობის ხანგრძლივმა განცდამ, სამგლოვიარო მუსიკის ყოველდღიურმა ალქმამ თალხ კაცს ქვეცნობიერად ჩაუკლა მუსიკის სამხიარულო ჰანგების შეგრძნება. საკუთარ ქორწილში მუსიკოსმა კაცმა სამხიარულო, სიცოცხლის მომნიჭებელი მუსიკის ვერც ერთი ჰანგი ვერ გაიხსენა. ეს იყო მისი არსებობის მძაფრი ტრაგიკული განცდა. მიხვდა, რომ დაღუპვის გზაჯვარედინზე იდგა. სიხარულისა და სიხალისის განცდის სასიამოვნო წუთები მასში სამუდამოდ გამქრალიყო. გაოგნებული კაცი მეუღლემ იხსნა გაჭირვებისა და სირცხვილისაგან. „კაცმა უმწეოდ მიმოიხედა გარშემო. ოთახში სიჩუმე იდგა. სტუმრები სდუმდნენ. შავი ღვინო უცნაურად ლაპლაპებდა ბროლის თლილ ჭიქებში. მან შეხედა თავის საცოლეს. ერთ წუთს ისინი ერთმანეთს თვალებში შესცქეროდნენ და მას მოეჩვენა, რომ მეგობარმა გაუგო.

— ნუ დაუკრავ... — ჩურჩულით სთქვა ქალმა. იგი ახლა აღარ იღიმებოდა“.

ამ მარცხმა საბოლოოდ გამოაფხიზლა თალხი კაცი. სიცოცხლე და ადამიანური ურთიერთობანი ადამიანური ვნებების გაშიშვლებას მოითხოვდა. არ შეიძლებოდა კაცს მარტო სამგლოვიარო მუსიკის გულისგამაწვრილებელი ჰანგები ეულერებინა. ცხოვრება თავისი მრავალმხრივობით არის საინტერესო და მის შუაგულში უნდა გრძნობდე თავს. ამ ლოგიკურ და ბუნებრივ გადაწყვეტილებამდე განცდილმა მარცხმა მიიყვანა თალხი კაცი და მის არსებობას ახალი აზრი შთააგონა. კაცს გადაჭრით უნდა გაეწყვიტა კავშირი უაზრობით სავსე წარსულთან და ცხოვრების ახალ გზას უნდა დადგომოდა, რომელიც ბედნიერების განუცდელ სიხარულს პირდებოდა. „მეორე წუთში სტუმრებმა გაიგონეს რაღაც ზრიალი — კვნესის მსგავსი, ძლიერი ტკივილისაგან გათავისუფლებისას რომ აღმოხდებათ ხოლმე — თალხმა კაცმა, ხელიდან გააგდო რა მიზრაფი, თითების ერთი მოძრაობით დაწყვიტა თავისი ძველი საკრავის ყველა სიმი“. ეს ნიშნავდა გაწყვეტას იმ უხილავი სიმისას, რომელიც თალხ კაცს თავის უშინაარსო წარსულთან აკავშირებდა. ეს იყო სინამდვილესთან დაბრუნების ერთადერთი სწორი გზა.

ახალი სოფლის ადამიანების სულიერი სამყარო, მათი ფსიქოლოგია, საზოგადოებრივი დოვლათისადმი წრფელი დამოკიდებულება რელიეფური შტრიხებით დაგვიხატა მწერალმა მოთხრობაში „ჯიბის სარკე“. ამ მოთხრობით კარგად ჩანს, რომ მწერალი ახლოს იცნობდა მაშინდელ სოფელს, იცნობდა ადამიანების ფსიქოლოგიას, მათ მისწრაფებებს, სულიერ სამყაროს. მოთხრობის მთავარმა გმირმა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ საკუთარ ქორწილში მაყრიონთან ერთად განიერი ალაზანი უნდა გადალახოს ბორნით. სოფელში სტუმრად მყოფი ამერიკელი მოგზაური ეჭვის თვალით უყურებს ოქტომბრის მონაპოვრით აღფრთოვანებულ საბჭოთა ადამიანებს. იგი ვერ ხედავს იმ არსებით განსხვავებას, რაც ახალმა ყოფამ მოუტანა თანამედროვე სოფელს.

არსებითად მოთხრობა ამ ფაქტის არგუმენტაციას ეძღვნება. სოციალისტური ყოფის სიკეთე ყოველდღიურ ამბებში, უბრალო საგნებში და მოვლენებში შეიმჩნევა. ამისათვის სულაც არ არის საჭირო საბჭოთა ქვეყნის ყვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლა კოლმეურნეობისა და სოფლის შემოვლა. როგორც პატარა, ჯიბის სარკეში დაინახება საკუთარი თავი, ისე სოფლის ცხოვრების ყოველდღიურ მოვლენებში შეინიშნება არსებითი განსხვავება წარსულთან. კოლმეურნეობის თავმჯდომარის ამ ლოგიკურ არგუმენტებს დამაჯერებლობის ძალა აკლია ამერიკელი მოგზაურის თვალში. ფაქტობრივ არგუმენტებს კი იგი ვერ ამჩნევდა. ვერ ამჩნევდა ახალი ცხოვრებით გალაღებული ადამიანების გაღიმებულ სახეებს, შრომის უჩვეულო ენთუზიაზმს, სოფლელთა სიყვარულსა და პატივისცემას კოლმეურნეობის თავმჯდომარისადმი. მოთხრობის სიუჟეტურ სვლაში კომპოზიციური სიზუსტით იჭრება ახალი პასაჟი, რომელსაც სწორედ ფაქტობრივი არგუმენტის ძალა მიენიჭა ამერიკელის თვალში. ნაპირს მოახლოებული ბორანი უეცრად ალაზნის მღვრიე ტალღებმა ააყირავეს. წყალდიდობამ ერთბაშად აამღელვარა ალაზანი და ახალი ხიდის სამშენებლო მასალა ნაპირიდან დაითრია. „მოსახვევთან, წნორებში ჩაწოლილი, მღვრიე ალაზანი მძიმედ მოატივტივებდა ხის ბოძებს, გრძელ ფიცრებს, მორებს, ჯგუფჯგუფად ერთმანეთზე გადახლართულ და ცალცალკე გაფანტულ ყოველგვარ ხის მასალას... წყალმა პირველი მორები უკვე ბორანთან მიიტანა და მოსახვევთან კი ისევ მოსცურავდნენ დაუსრულებელ არმიად მასალის ახალ-ახალი ჯგუფები... ხალხი გულამღვრეული შესცქეროდა თავის უბედურებას. ყოველ მათგანს ოფლი დაეღვარა ამ მორების მოზიდვაში. დახეთქილი ხელები ეწვოდათ უნებურად და ბებრები ექავებოდათ, როდესაც ხედავდნენ წყალწაღებულ, გატიალებულ საკუთარ ნაშრომს“. საჭირო იყო გზის გადალობვა. კოლმეურნეობის თავმჯდომარის გამჭრიახმა თვალმა უმალ მონახა გამოსავალი გზა: ბორნიდან სასწრაფოდ გადაიყვანა სახელმწიფოსაგან მისთვის პირადად ნაჩუქარი მსუბუქი ავტომანქანა, ალაზნის ქვემოთ გააქროლა და მდინარეში დაურიდებლად, უფრო სწორად, დაუნანებლად შეაცურა და იმ ტინებთან მიაგდო, სადაც ალაზანს მოტაცებული ხიდის მასალა მიჰქონდა. გზის გადალობვა სწორედ აქ შეიძლებოდა. თავმჯდომარემ მანქანა ამ ტინებს შუა გაჩხირა. მოვარდნილმა მორებმა მანქანა ააყირავა, შუშები ჩალეწა, მაგრამ გზა ვეღარ იპოვა.

მანქანის დარდი აღარ ჰქონდა ხიდის მასალის გადარჩენით კმაყოფილ თავმჯდომარეს.

უკეთეს არგუმენტს ვერც ამერიკელი მოგზაური ნახავდა. ახალი ადამიანის ფსიქოლოგია ცხადად და ხელშესახებად იყო გამოკვეთილი. მსგავსი რისკი ადამიანს მხოლოდ იმ შეგნებას შეეძლო გაეღო, რომელსაც სოციალისტური ყოფის ეთიკური ნორმები ამკვიდრებდა ყოველდღიურ სინამდვილეში.

ზემოთგანხილული ნოველების მიხედვით შევეცადეთ შეძლებისდაგვარი სიცხადით გვეჩვენებინა კოტე ხიმშიაშვილის წერის ლაპიდარული მეტყველება, ასევე ამბის ლაკონური წარმოსახვის ოსტატობა. ახალგაზრდა პროზაიკოსს არ იზიდავს „დიდ ამბავთა“ ეპიკური თხრობა, მისი შემოქმედების ინტერესთა სფერო „მცირე ამბებია“, ოღონდ ამ „მცირე ამბებში“ ცდილობს „დიდ ამბავთა“, ანუ ღრმა შინაარსის დანახვასა და მის მხატვრულ განზოგადებას.

წერისა და მხატვრული აზროვნების მისეული სტილი კოტე ხიმშიაშვილმა, ჩვენი აზრით, განუსხვავებლად გამოავლინა რომანში „ჯონქა ხორნაული“. რომანის სიუჟეტი, ნოველების მსგავსად, ღრმა პერსპექტივებით, პარალელური პლანებით არ ხასიათდება, მაგრამ ამბის შინაარსი და ნაწარმოების ქვეტექსტი საკმაო სიღრმეს და მასშტაბს მოიცავს. შეიძლება ითქვას, „ჯონქა ხორნაული“ ყურადღებას იქცევს არა იმდენად ამბის თვალისმომჭრელი ეპიზოდებით, რამდენადაც თხრობის დინჯი მანერით, წერის მაღალი ოსტატობით, ხასიათთა ლოგიკური გაშლა-განვითარებით, ყოველგვარ მანერულობას მოკლებული მხჯელობებით, მთავარი გმირის სულიერი ვნებათა ღელვის კონკრეტული ნიშნების წარმოსახვით, მოტივაციათა დამაჯერებლობით და სხვა არსებით ნიშანთა ხორცშესხმულობით, რომლებიც ნაწარმოებს რომანის უველა თვისებასთან ერთად მხატვრულ სრულყოფილებასაც ანიჭებს.

ნაწარმოების ცენტრში ახალგაზრდა კაცი დგას. ჯონქა ხორნაული უნივერსიტეტის უკანასკნელი კურსის სტუდენტია. ეს ფაქტი არ არის შემთხვევითი. ავტორს სწორედ ამგვარი ახალგაზრდა კაცი აინტერესებს, ახალგაზრდა კაცი, რომელიც საცაა უმაღლეს სასწავლებელს დაამთავრებს და ცხოვრებისა და მოქმედების ახალ გზაზე დადგება. ამ ახალი გზის განსაზღვრა რომანის პრობლემაა. ჯონქა ხორნაული— ფშავიდან თბილისში სასწავლებლად ჩამოსული ახალგაზრდა კაცი — ორი თვის შემდეგ სახელმწიფო გამოცდებს ჩააბარებს და უმაღლესი სასწავლებლის დიპლომით ხელში საზოგადოებრივი ცხოვრების ფართო ასპარეზზე გამოვა.

სად უნდა წავიდეს იგი?

დაუბრუნდეს მშობლიურ ფშავს, სადაც ასე ნაკლებია ინტელიგენცია და სოფლისათვის ჰაერივით საჭიროა, თუ დარჩეს თბილისში, სადაც მის ცოდნასა და უნარს მეტი შემოქმედებითი გაქანების საშუალება აქვს?

ამ დილემის წინაშე დგას ჯონქა ხორნაული. მაგრამ საკითხის ასე მარტივად დაყენება, ცხადია, ნაწარმოებში დასმულ პრობლემას სიმწვა-

ვეს დაუკარგავდა, აქედან გამომდინარე, მკითხველის ინტერესსაც შეანელებდა. რაც მთავარია, არ გვექნებოდა მხატვრული სიმართლე. ამასთან ჯონქას სახე, როგორც ნაწარმოების მთავარი გმირისა, ნაკლებ საინტერესო და ნაკლებ სისხლხორცეული იქნებოდა. ყოველივე ეს სრულიადაც არ არის შემთხვევითი. ახალგაზრდა მწერალმა თავის ნაწარმოებში დასმულ პრობლემას — ახალგაზრდა კაცის ადგილის განსაზღვრას ცხოვრებაში — საკმაო სიღრმე და მხატვრული დამაჯერებლობა მისცა. თვით ის დილემა, რომელიც ჯონქა ხორნაულის წინაშე დადგა სწორედ მისი ცხოვრების იმ კონკრეტულ მომენტში, თუ როგორ გადაწყვიტოს მომავალი ბედი, თავის სიღრმეს, მნიშვნელოვანწილად ანგარიშგასაწევ ფაქტორს ეფუძნება. ბოლოსდაბოლოს, საკუთარი ადგილის პოვნა და საერთო-სასარგებლო შრომაში ჩაბმა ქალაქშიც შეიძლება და სოფელშიც, მაგრამ ჯონქა ხორნაულს თბილისი იმდენად იზიდავს, რამდენადაც მისი გაუმჟღავნებელი სიყვარულის საგანი მანანა ციხისელი, თბილისელი პროფესორის, მაშასადამე, არისტოკრატიული ოჯახის შვილი, ფშავში გათხოვებას სიზმრადაც ვერ წარმოიდგენს.

ჯონქას მანანა ციხისელი უყვარს.

მაგრამ როგორია ეს სიყვარული? მანანა ციხისელისადმი ჯონქას სიყვარული არსებითად შეუცნობელი გრძნობაა პირველ რიგში თვით ჯონქა ხორნაულისათვის. ჯონქა დარწმუნებულია, რომ მას მანანა უყვარს. დარწმუნებულია აგრეთვე, რომ მის სიყვარულს რამდენადმე თანაუგრძნობს მანანაც. დიახ, ჯონქა გრძნობს, რომ მანანა რ ა მ დ ე ნ ა დ მ ე თანაუგრძნობს მას. ახლა, ჯონქას ფიქრით, საჭიროა ამ თანაგრძნობის გაღრმავება, მანანას არსების დაპყრობა, ბოლოსდაბოლოს, მათი ურთიერთობის გარკვევა — შეუძლია თუ არა მანანას ჯონქას შეყვარება. მთელი ხუთი წელი, ვიდრე ისინი უნივერსიტეტში სწავლობდნენ, ამ საგანზე მათ სიტყვაც არ დაუძრავთ, ხოლო ის სიყვარულნარევი მოკრძალებული დამოკიდებულება, რაც მათ შორის სუფევდა, ამ ფაქიზი გრძნობის გაუაზრებელი შეცნობა იყო მხოლოდ. მანანასთვის ჯონქა ის სავარაუდო „ვარიანტი“ იყო, თუ ეს უკანასკნელი თავის „ფშაველობას“ დაივიწყებდა და „ინტელექტის“ გარკვეულ დონეს, დაიპყრობდა. ჯონქა სწორედ ამ უხილავი ბარიერის — ფშაველი ჭაბუკის დაუინებული სწრაფვა ციხისელთა ინტელექტუალურ სამყაროში — გადალახვას ცდილობდა მუდამ. მანანა, ვიდრე ფშაველი ახალგაზრდა კაცი დაკვირვებისა და შესწავლის საგნად ჰყავდა, გარკვეულ დისტანციას იცავდა. სიყვარულზე კი ერთხელაც არ უსაუბრიათ, არც ერთს არ უცდია ამ გრძნობის გამჟღავნება. ამ შეუცნობელი გრძნობის შეცნობის წადილი მძაფრად მოეძალა ახლა, როცა ცხოვრებისეულმა პრობლემამ დილემის წინაშე დააყენა ჯონქა — ფშავს დაუბრუნდეს თუ თბილისში დარჩეს.

ფშავში დაბრუნება მანანა ციხისელის სიყვარულის უარყოფას ნიშნავს, თბილისში დარჩენა — მანანას სიყვარულს.

ამის გარკვევა მანანა ციხისელის სიყვარულის გარკვევას ნიშნავს.

საკითხის ასე დასმა უკვე თავისთავად ბადებს ეჭვს — უყვარს თუ არ უყვარს ჯონქას მანანა ციხისელი?

საქმე ის არის, რომ ჯერჯერობით ჩვენ კარგად არ ვიცით, უყვარს თუ არ უყვარს ჯონქას მანანა ციხისელი. ჯონქას საქციელიცა და მისი მოუსვენარი ფიქრებიც ჩვენ გვარწმუნებს, რომ ჯონქას მანანა უყვარს. მაგრამ, რაც მთავარია, კარგად არც ჯონქამ იცის, უყვარს თუ არ უყვარს მანანა ციხისელი. მას ჰგონია, რომ უყვარს, უიმისოდ სიცოცხლე არ შეუძლია. მაგრამ ის ვერ გრძნობს, რომ იმ არჩევანით, რომლის წინაშეც ის თავისი სურვილით დადგა, — სოფელში წასვლა თუ თბილისში დარჩენა — ფაქტიურად უარჰყო მანანას სიყვარული. ამ გრძნობის გარკვევაში არჩევანის უფლება მანანას დაუთმო: თუ მანანა ჯონქას შეიყვარებს, ეს უკანასკნელი დარჩება თბილისში, თუ არ შეიყვარებს — სოფელს დაუბრუნდება, ვინაიდან თბილისში დარჩენას „აზრი“ არ ექნება. გამოდის, რომ ჯონქას ერთიც შეუძლია და მეორეც, წასვლაც შეუძლია და დარჩენაც. ეს ყველაფერი მანანას სურვილზეა დამოკიდებული. ჯონქა მხოლოდ იმას აღასრულებს, რაც კენჭის ყრის დროს შეხვდება. ყოველივე ეს ლოგიკურად გვაფიქრებინებს, რომ ჯონქას სიყვარულს პრაქტიკული საფუძველი უფრო აქვს, ვიდრე ჭეშმარიტი გრძნობისა.

სწორედ ამან გახადა საეჭვო მისი სიყვარული.

ბოლოსდაბოლოს, უყვარს თუ არ უყვარს ჯონქას მანანა ციხისელი?

ამ კითხვაზე პასუხს გმირის შემდგომი ცხოვრება გაგვცემს.

სწორედ იმ მომენტში, როცა ჯონქა ხორნაული არჩევანის წინაშე იდგა, მის ცხოვრებაში მოულოდნელად შეიჭრა ალფეზ ჩიქოვანი.

ვიდრე ალფეზ ჩიქოვანისა და ჯონქა ხორნაულის ურთიერთობაზე ვიტყოდეთ რამეს (ამ ურთიერთობას კი არსებითი მნიშვნელობა აქვს ჯონქას სულიერი ფორმირებისა და ცხოვრებისეული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების გზაზე), განსაკუთრებით უნდა შევჩერდეთ ალფეზ ჩიქოვანის მხატვრულ სახეზე, მის ტიპზე, როგორც სრულიად ახალ მოვლენაზე 80-იანი წლების ქართულ პროზაში და, კერძოდ, კ. ხიმშიაშვილის შემოქმედებაში.

ალფეზ ჩიქოვანი მაღალი თანამდებობის პირია — რესპუბლიკის მიწგანის სახალხო კო-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისარია. რომანში მისი შემოყვანა მრავალი ფუნქციით არის პირობადებული. ჯერ ერთი, იგი განსაზღვრავს საზოგადოებრივი ცხოვრების იმ ჩრდილოვანი მხარის ყოფას, რასაც ჯერ კიდევ თავისი ადგილი ჰქონდა 30-იანი წლების სინამდვილეში, მეორეც, გმირთა სამოქმედო ასპარეზი გაფართოვდა და ნაწარმოების ძირითადი თემა ვიწრო ინტიმური პრობლემიდან საზოგადოებრივი მნიშვნელობის პრობლემამდე ამაღლდა. რაც მთავარია, ალფეზ ჩიქოვანი არსებით და გადამწყვეტ როლს ასრულებს ჯონქა ხორნაულის სულიერ ფორმირებაში. მარტო ამ ფუნქციითაც შეიძენდა იგი მხატვრულ გამართლებას. მაგრამ მწერლის მახვილი თვალი, ცხოვრებისეული გამოცდილება, რომელიც ასე კარგად ჩანს ნაწარმოებში, უფრო ღრმად ჩასწვდა თავისი პერსონაჟის მხატვრულ ფუნქციას და ფაქტიურად მას რომანის სიუჟეტში მთავარი ხერხემლის როლი დააკისრა. ალფეზ ჩიქოვანის მხატვრულ-კომპოზიციური ფუნქციის სისუსტე ნაწარმოების იდეურ შინაარსს გააღარიბებდა და დასმულ პრობლემას სიმწვავეს დაუკარგავდა. ყოველივე ეს არიდებულია სწორედ ალფეზ ჩიქოვანის მხატვრული ფუნქციის სიძლიერით. ამდენად, ამ პერსონაჟის მხატვრული სახე ის ერთი ძლიერი რგოლია, რომელიც ჯაჭვს მტკიცედ ჰკრავს და მთლიან ანსამბლში შეუცვლელ ადგილს იმკვიდრებს. მისი იგნორირება ნაწარმოების მხატვრული ქსოვილის დაშლას გამოიწვევდა.

ეს კოტე ხიმშიაშვილის, ამ ახალგაზრდა მწერლის მხატვრულ ოსტატობაზე მეტყველებს.

ახლა მის მწერლურ გაბედულებაზე მოგახსენებთ.

ალფეზ ჩიქოვანი, როგორც აღვნიშნეთ, რესპუბლიკის სახალხო კომისარია. ეს პოსტი იმოდენაა, მისი მფლობელის დადებით ხარისხში ხსენებაც კი ფრიად საჭოჭმანო და სარისკო იყო იმ პერიოდისათვის. მით უფრო ერთიორად სარისკო იყო, თუ უმაღლესი თანამდებობის პირს უარყოფითი პერსონაჟის ფუნქციას დააკისრებდი. პირდაპირ უნდა ვთქვათ, ეს თითქმის შეუძლებელიც იყო იმ დროს. უკეთეს შემთხვევაში, მის უარყოფით თვისებებს ვერ გაუსვამდი მკვეთრ ხაზს. ეს ვერ შეძლეს იმ დროისათვის უკვე სახელმოხვეჭილმა მწერლებმა კ. გამსახურდიამ, მ. ჯავახიშვილმა, ლ. ქიაჩელმა, შ. დადიანმა და სხვ. და სხვ. დიდი თანამდებობის პირის უარყოფით როლში წარმოსახვის ცდა მოგვცა კონსტანტინე გამსახურდიამ „მთვარის მოტაცებაში", მაგრამ ეს პირი მაინც რაიონული მასშტაბისაა, რაიკომის მდივანია — არენბა არლანი.

ალფეზ ჩიქოვანი რესპუბლიკის სახალხო კომისარია. მისი წარსული ნათელია. სიცოცხლის რისკით მოუპოვებია ახალი ხელისუფლების ნდობა და პატივისცემა, მაგრამ ახლა რევოლუციური სიფხიზლე დაუკარგავს და საბჭოთა ხელისუფლების დაუძინებელ მტერთა კლანჭებში მოქცეულა. ჯონქა ხორნაულს კი იგი ვაჟკაცობისა და „დიად საქმეთა" რაინდად ჰყავდა წარმოდგენილი.

საგულისხმოა მწერლის მიერ ფაქტობრივი მასალის ფლობა და მისი მხატვრული გარდასახვა. ალფეზ ჩიქოვანი, როგორც ზემოთ მივუთითეთ, ცხოვრებისეულ დადებით მოვლენათა ის საპირისპირო სამყაროა, რომლის მიღმა არა თუ ჯანსაღი საზოგადოებრივი ინტერესების დამთრგუნველი ძალა გაიაზრება, არამედ აშკარად გაცხადებული კლასობრივი მტრის ნიღაბახდილი სიძულვილი. ალფეზ ჩიქოვანი და მისი ამფსონები, რომელთა ფარული, მაგრამ მკვეთრი სახეები რომანში გამოხატული საზოგადოებრივი ცხოვრების არაჯანსაღ ნაწილს წარმოადგენენ, ჩვენი აზრით, საოცარი მწერლური ოსტატობით არიან წარმოსახულნი. მწერალი თავიდანვე როდი გვაძლევს მათ გაშიშვლებულ სახეებს. მთავარი გმირის თვალით დანახული ის „უცნაური" მოქმედებანი, რომლითაც ალფეზ ჩიქოვანი და მისი დამქაშნი არიან დაკავებულნი, მხოლოდ მრავლისმეტყველნი მინიშნებებია იმ რეზულტატისა, რომელიც რომანის ფინალში იჩენს თავს. მწერალს არ აინტერესებს რომანის უარყოფით პერსონაჟთა საქციელის სოციალური საფუძველი იმდენად, რამდენადაც მისი სიღრმეების წარმოჩენა სხვა პრობლემას წარმოშობდა, რაც ნაწარმოების მხატვრული ჩანაფიქრის განსხეულების სწორ იმართულებას გზიდან აასცდენდა. ალფეზ ჩიქოვანი კლასობრივი მტრის კლანჭებში გამომწყვდეული ის უნებისყოფო ტიპია, რომელიც კარიერისტულმა ინსტინქტებმა დააბრმავეს და მტრის ბანაკში მოაქციეს. შემთხვევით როდი მოჰყავს მწერალს ჯონქასა და ალფეზის დიალოგი:

„...შენ რა დარგზე სწავლობ?

— ისტორიის ფაკულტეტზე.

— ისტორიკოსი გამოხვალ? იმ მღებავივით ხომ არ მოგდის — თავისთავს მხატვარს რომ ეძახდა. მოკლედ, მასწავლებელი იქნები, არა?

— რა ვიცი...

— ისევ ფშავში გაგისტუმრებს განსახკომი.

ჯონქას დაცინვა მოეჩვენა ალფეზის სიტყვებში და გული ეტკინა — მას ძლიერ უყვარდა ეს კაცი და თავისიანადაც ჰყავდა მიჩნეული.

— რატომ უფრო მაღლა არ უმიზნებ, ბიჭო? — სთქვა ალფეზმა, — ნიჭი გაკლია თუ ვაჟკაცობა?"

ამ ნაწყვეტში ხელშესახებადაა გამოკვეთილი ალფეზის მორალური სახე, კარიერისტული ჟინით შეპყრობილი მისი ბუნება. ჯონქას პირ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველი შეცბუნება აქ იწყება. ალფეზი სხვა პიროვნება იყო მისთვის (ჯონქა ბავშვობიდანვე იცნობს მას, მამის მეგობარი იყო თავის დროზე). ჩვენი პირველი არსებითი ნაცნობობაც აქ იწყება ამ პერსონაჟთან. მერე და მერე კიდევ უფრო ღრმავდება ეს ნაცნობობა და რაკი ნაცნობობა ღრმავდება, ალფეზის სულიერი სამყაროს შეცნობაც იოლდება — იგი გაორებული პიროვნებაა: „მე შენ ისე გელაპარაკები, როგორც უმცროს ძმას, შენს ამხანაგებს კი, ხომ იცი, როგორც ოფიციალური პირი, სულ სხვა რამეს ვეტყოდი". უფრო ზუსტ შტრიხებს ავტორი ალბათ ვერც მონახავდა პერსონაჟის დასახატავად. რა უთხრა მან ჯონქას, რას ურჩევს იგი ახალგაზრდა კაცს, რა მიზანი აქვს თავად მას? „არვარგა ცხოვრებისადმი ეგრე უნდილად მიდგომა. დარჩენილხარ ისტორიის მასწავლებლად და ეგ არის". ჯონქასთვის ამ სიტყვების აზრი გაუგებარია. განა ისტორიის მასწავლებლობისათვის არ ემზადებოდა მთელი ხუთი წელი? ეს მისთვის საამაყო იყო და არა დასაძრახისი. მაშ, ალფეზ ჩიქოვანი რატომ ელაპარაკება ასე იქედნურად. რა არის ამაში ცუდი? ჯონქამ გარკვევა სცადა: „ჩემი მოწოდება?" ალფეზი შორს არის ამ „ბავშვური გულუბრყვილობისაგან": „ოჰ, ისევ მოწოდება!" მისთვის ცხოვრებას სხვა აზრი და სხვა დანიშნულება აქვს. მისი ცხოვრებისეული ფილოსოფია მარტივია: „ამბობენ, რომ ადამიანს ერთი უცნაური თვისება აქვს და ეს ბავშვობაშივე ეტყობა. რა გინდ კარგი გაზრდილი ბავშვი იყოს, ზევითა სართულიდან თუ გადაახედე, უსათუოდ გადააფურთხებს ქვევით მყოფ ტოლებს. ეს კი არც ისე სასიამოვნოა, ფშაველო, არა? ვიღაც ოხერი ზევიდან გაფურთხებდეს. დაბლიდან ჩვეულებრივ კენჭის სროლით პასუხობენ ხოლმე. და აი, მთელი ცხოვრება ეს არის — ქვევიდან ბრაზით ქვის სროლა და ზევიდან ზიზღით ფურთხება". ალფეზი „დიდი მოთხოვნილებისა" და პრაქტიკული ჭკუის კაცია და ზევით ყოფნას ამჯობინებს: „მე პირადად ზევით ყოფნას ვარჩევ, რადგან ქვევიდან ნასროლი ქვა იშვიათად თუ მოხვდება მიზანში და გინდაც მოხვდეს — მაინც უკან ბრუნდება". ალფეზი ცხოვრებაში „ღრმად" ჩახედული კაცია და საკუთარი დასკვნები აქვს გამოტანილი: „ცხოვრება ძუნწი მასპინძელივით ერთ ჭიქას დაგალევინებს, მადას აგიშლის და მერე მშრალზე გამოგისტუმრებს, მიტომაც თავიდანვე მარანში უნდა მიუხდე, ქვევრის თავზე მოიკეცო. თუ მარანიც არ უდგას და ქვევრში კატა უჩხავის — მიაფურთხე. კაცს გული მუდამ შემოგტირის, როგორც ბავშვობაში დედას შესტიროდი, აჩემებულ სათამაშოს ითხოვს, ჟინის მოკვლა სწადია. რაც უფრო გაალაღებ — მეტს მოინდომებს. ჰოდა, ყველა სათამაშოს ხელი ვერ შესწვდება, თუ მაღალი არა ხარ. მაღლა, სულ მაღლა, აი, რა უნდა იყოს ახალგაზრდა კაცის დევიზი".

ამაზე არასოდეს უფიქრია ჯონქას, ასე „პრაქტიკულად" არასოდეს ჩაფიქრებია ცხოვრებას. მისი მიზანი სწავლის მიღება იყო და ამ მიზანს მიაღწია კიდეც. ამაზე მეტი სიმაღლე მას არც უნდოდა, უფრო სწორად, არც ეგონა თუ იყო კიდევ სხვა „მწვერვალები". ალფეზის სიტყვით, ყოფილა ისეთი „სიმაღლე", საიდანაც შეიძლება სხვას გადმოაფურთხო თავზე. ამ შეგრძნების განცდა ამაზრზენია ჯონქასათვის. ასეთ რამეზე არასოდეს უფიქრია მას და ვერც ალფეზს წარმოიდგენდა ამ აზრის მატარებლად. ალფეზს იგი ვეღარ ცნობს, სრულიად გამოცვლილი ეჩვენება. მისი შინაგანი ბუნება დიამეტრალურად ეწინააღმდეგება ჯონქას წარმოდგენას. შეცნობის წადილი ქვეშეცნეულად უღრმავდება: „ჰო, მაღლა, ძია ალფეზ, მაგრამ როგორ?" „როგორ? უმოკლესი გზით". ალფეზს პასუხი მზად აქვს. ეს პასუხი ოდითგანვე ნაგრძნობი და ნაფიქრი აქვს: „ახალგაზრდობაში მხოლოდ მაშინ შეიგნებ რა უნდა ყოფილიყო შენი ბედნიერება, როცა ფრთები შეგეკვეცება და სამუდამოდ მიუღწეველი გახდება ის, რაც თურმე მთელი გულით და სულით გსურდა, მაგრამ ნაკლებად მოქმედებდი და მეტს ოცნებობდი. ამიტომ თავიდანვე საჭიროა თავგამეტებით იბრძოლო, კბილით მოექიდო. ან უნდა გასცილდე ყველას და საკუთარ ნიჟარაში ჩაიკეტო კიბო-განდეგილივით, ან, რაკი ჯოგში დარჩენა გსურს, ალქაჯი გახდი, წინამავალი, თორემ თუ რჩეული არა ხარ, გულის წადილს ვერ შეისრულებ, და ეგ კიდევ არაფერი, რაც მთავარია, შური დაგახრჩობს, შური".

ჯონქა შესძრა და თავზარი დასცა ალფეზის სიტყვებმა. ამ უკანასკნელის „სიბრძნე" და ცხოვრების დევიზი სრულიადაც არ თანხვდება ჯონქას ცხოვრებისეულ თვალსაზრისს. ალფეზი საკუთარი ფილოსოფიის ტყვეობაში მოქცეულა: „კაცს თუ ძალა შეგწევს, კიბეზე ჩამოჯდომა რად უნდა იკადრო... მაღლა ადი და შემდეგ იქიდან კიდეც რომ გადმოგაგდონ, ნუ ინაღვლებ, ჭკვიან თხუნელას მაინც გიჟი არწივი სჯობს..." ამიტომ — „მაღლა, სულ მაღლა... მაღლა, ვიდრე ცა თავზე არ ჩამოგენგრევა".

ალფეზის ამ დაუინებულ სწრაფვას სიმაღლისაკენ მყარი საფუძველი არ გააჩნია. ამიტომ ჩიქოვანის მხილებას, რაშიც თავად ჯონქას მიუძღვის მნიშვნელოვანი წვლილი, არც გამოუწვევია მასში გაოცება. შემდეგ არც ის გაკვირვებია, ალფეზის ჯგუფში მანანა ციხისელის მამა, უნივერსიტეტის პროფესორი დავითიც რომ აღმოჩნდა. ამ უკანასკნელის ბნელი საქმიანობა იმთავითვე შემჩნეული ჰქონდა ჯონქას, როგორც კი მის ოჯახში დაადგა ფეხი და უნებური მოწმე გახდა დავითისა და ეგნატე ლაზი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვილის დიალოგისა. „ჩვენი უნივერსიტეტის მრავალფანჯრიან თეთრ შენობას რომ შევხედავ ხოლმე, ყოველთვის თავში გამიელვებს — უნიჭობის ინკუბატორი...“ დავით ციხისელის ღვარძლი კიდევ უფრო შორს მიდის: „ეს ახალგაზრდობა დაბა-სოფლებიდან მოისწრაფვის არა ცოდნის წყურვილით, მეცნიერებისადმი ინტერესით, არამედ იმისათვის, რომ უმაღლესი სასწავლებელი დაამთავროს და ამით უკეთესი თანამდებობა მიიღოს. სწავლა სარფიანი გახდა, სარფიანი და ამიტომ ეტანება სოფლის ხალხი. ისევე ოცნებობს ახლა გლეხი თავისი შვილი ექიმად გამოზარდოს, როგორც უწინ ოცნებობდა პირველი გილდიის ვაჭრად გახდომას. ეს იმიტომ, რომ ყველაზე მეტი შემოსავალი ახლა „ნასწავლ კაცსა“ აქვს. ასეთი სულისკვეთების მქონე თაობისაგან შეუძლებელია მეცნიერებისა და კულტურის აყვავებას მოველოდეთ. ოთხი-ხუთი წლის განმავლობაში მათი უნივერსიტეტში ყოფნა ხალტურაა და არა სწავლა, სწავლა ისეთი მნიშვნელობით, როგორც ეს ჩვენ გვესმოდა სტუდენტობის დროს...“

დავით ციხისელის ეჭვითა და სიძულვილით გულდასენილი პიროვნება სხვა აღსასრულს ვერც პოვებდა. მაგრამ ჯონქა ხორნაულის წინაშე დასმულ ცხოვრებისეულ პრობლემაზე გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონია მისთვის მოულოდნელმა ერთმა ფაქტმა — მანანა ციხისელს, რომელიც წინა დღით შეხვდა ჯონქას და ოჯახშიც მიიწვია, იმავე დღეს თამაზ იათაძესთან მოეწერა ხელი და საქორწილო მოგზაურობაში წასულიყო მოსკოვს.

აქ ისევ უნდა დავუბრუნდეთ კითხვას: უყვარს თუ არ უყვარს ჯონქას მანანა?

გაიგო თუ არა ჯონქამ მანანას გათხოვება, იმავე დღესვე დაუფიქრებლად გადაწყვიტა კითხვის ქვეშ დატოვებული საკითხი — ჯონქამ მიზანშეწონილად მიიჩნია დაბრუნებოდა მშობლიურ სოფელს და თავისი ცოდნა და შემოქმედებითი უნარი ადგილზე გამოეყენებინა. მაშასადამე, გაირკვა მანანასადმი დამოკიდებულებაც: მანანა ციხისელი არსებითად თბილისში დამამაგრებელი ის სუსტი ძაფი აღმოჩნდა, რომლის გაწყვეტა ადვილად შეეძლო ჯონქას. მანანას გათხოვებით უბრალოდ დარწმუნდა, რომ მას მანანა არ ყვარებია — ის მხოლოდ გატაცება ყოფილა, რომლისადმი თავდავიწყებამაც გაორებულ გრძნობამდე მიიყვანა.

ჯონქას სულიერი განწმენდის პროცესი მანანა ციხისელის გათხოვებით დამთავრდა. მოასწრო ცხოვრებისეული მორევის მღვრიე ნაკადების ნახვაც. ერთ-ერთმა ასეთმა ნაკადმა მისი ჩათრევაც სცადა. მტკიცე ნებისყოფამ და ნათელმა გონებამ საშუალება მისცა იმ მღვრიე ნაკადს არ ჩაჰყოლოდა და მხოლოდ ცხოვრების დიდი მდინარის ანკარა დინებას მიჰყოლოდა.

ახალგაზრდა ისტორიკოსმა გეზი მშობლიური სოფლისაკენ აიღო.

ვფიქრობთ, რომანის მთავარი გმირის სულიერი ცხოვრებისა და მხატვრული სახის ჩვენეული ანალიზით ცხადად გამოიკვეთა ნაწარმოების მთავარი პრობლემა — ახალგაზრდა კაცის ადგილის განსაზღვრა ცხოვრებაში. უდავოა, რომ 40 წლის წინათ არსებული პრობლემა დღესაც დღის წესრიგში დგას. რაკი ეს პრობლემა ჯერაც მოუხსნელია დღის წესრიგიდან და იგი ასევე იარსებებს მუდამ, ვიდრე ახალგაზრდა კაცი თავის ადგილს ეძებს ცხოვრებაში, არც კოტე ხიმშიაშვილის რომანის პრობლემა მოძველდება ოდესმე, ხოლო მისი მაღალი ლიტერატურული ღირებულება ახალი ძალით გაბრწყინდება თანამედროვე მკითხველის თვალში, როცა უახლოეს ხანში ცალკე წიგნად დაისტამბება ახალგაზრდა მწერლის ამ რომანისა და ნოველების პირველი კრებული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თეიმურაზ მირიანაშვილი

# უდროოდ წასული პოეტის პორტრეტი

განა ჩვენ გაქცევა გვჩვევია, —
გავარღვევთ, გავშლით და გავიტანთ.
კაპიტან, სამშობლო ჩვენია,
ჩვენია სიცოცხლე, კაპიტან!

**სევდიანია** ამ მშვენიერი სტროფის ავტორის თავგადასავალი... მრავალ ხელოვანს დაბედებია უიღბლობა დიდ მოწოდებასთან ერთად. ამ სტროფის ავტორიც იმათგანი იყო, ოღონდ მის თავგადასავალს არაფერი აქვს საერთო კლასიკურ ისტორიასთან „უიღბლო ხელოვანზე“ — ყოველი ჩვენთაგანისათვის ნაცნობ, მრავალჯერ წაკითხულ და გაგონილ ისტორიასთან, თანამედროვეთა მიერ სიცოცხლეში გარიყულ და სიკვდილის შემდეგ გენიოსად შერაცხულ ხელოვანზე.

ბედი ამ სტროფის ავტორისა სევდიანია და უცნაურიც. მისი თავგადასავალი პირუკუ ვარიანტია კლასიკური ისტორიისა „უიღბლო ხელოვანზე“: მალე მიაღწია პირველ ჭეშმარიტ წარმატებას პოეზიაში; დამწყები პოეტის კვალობაზე არც ყურადღება დაჰკლებია... სიცოცხლეში უღიმოდა ბედი, ოღონდ ძალიან ცოტა იცოცხლა. დიდი შემოქმედებითი გზისთვის გამზადებული პირველივე ნაბიჯის შემდეგ დაეცა.

არ დასცალდა. მაგრამ სიკვდილი ხომ ხელმეორედ ბადებს ნიჭიერ ხელოვანს, სიკვდილით იწყება ნიჭიერი ხელოვანის მეორე, დიდი სიცოცხლე.

ჩვენს პოეტს კი უიღბლობა მეორე სიცოცხლეში ეწერა თურმე — უდროო გარდაცვალების შემდეგ მის ხსოვნას ნელნელა დაეფინა მივიწყების ჩრდილი, მისი საუკეთესო ლექსები კი მივიწყებას არ მისცემია. ამიტომ არის უცნაური ბედის პოეტი.

იმ საუკეთესო ლექსების პოპულარობა დროის სვლასთან ერთად იზრდება — „ცისარტყელა“ სიმღერადაც გავიდა ხალხში. და თითქოს საკუთარმა ლექსებმა დაჩრდილეს შემოქმედი. ჩემს მიერ გადმოწერილი ოთხი სტრიქონიც კი, ალბათ, უფრო მეტისთვისაა ცნობილი, ვიდრე მისი ავტორის სახელი — ალექსანდრე საჯაია.

ალექსანდრე საჯაია იყო ერთი იმ ახალგაზრდა პოეტთაგანი, რომლებიც „მოკრძალებით შემოვიდნენ ქართულ პოეზიაში, ჩუმად დაანთეს სანთლები და ასევე უხმოდ, ფეხაკრეფით წავიდნენ“ (გურამ ასათიანი).

უიღბლობა საზოგადო ხვედრი იყო იმ თაობის პოეტებისა. მრავალი მათგანის შემოქმედებითმა ცხოვრებამ ერთ ათწლეულსაც არ გასტანა. დიდ ლიტერატურულ ასპარეზზე ომის წინა წლებში გამოსულნი, ომის მიწურულს აღარ იყვნენ ცოცხალთა შორის. მაგრამ თავიანთი კვალის დატოვება შესძლეს, მარად ჩაუქრობლად დარჩა მათგან დანთებული სანთლები.

მათი ლირიკა თვითმყოფადია — აი, უმთავრესი ღირსება. თუმცა არ მოუხდენიათ „გადატრიალება“ პოეზიაში, არ დაუმუშავებიათ ახალი მეთოდი, არც ახალი თემები შემოუტანიათ... 30-იან წლებში გამოსულ პოეტთა ლირიკაში მხოლოდ პირველი ცდები ჩანს დამოუკიდებელი გზის გაკვლევისა, მაგრამ მათს ლექსებში გამოსჭვივის ჭაბუკური სული. ამითაა თვითმყოფადი.

უსაზღვრო აღფრთოვანებით უმღეროდნენ სამშობლოს სილამაზეს, ჩვენი ერის ტრაგიკული და გმირული წარსულისადმი მიძღვნილ მათ ლექსებში ჭაბუკური, მწველი ტკივილი და უდიდესი სიამაყე იკითხება, უსაზღვროა მათი ოცნება საქართველოს ბედნიერ მომავალზე...

უსაზღვრო, უდიდესი, განუზომელი... — აუცილებლად მოგვიხდება ამ სიტყვების მოხმობა „ჩვენთაობელთა“ შემოქმედებაზე საუბრისას. მათი შემოქმედება ხომ ერთიანი და მრავალფეროვანი ჭაბუკური სიმღერაა. მაგრამ მუდამ ხალისიანი და უზრუნველი არ არის ამ სიმღერის გამა. მისი გამა ზოგჯერ ტრაგიკულია. ეს გარემოება ანიჭებს განსაკუთრებულ თავისებურებას, განუმეორებლობას.

...სიცოცხლის უკანასკნელ წლებში რემბრანდტს, გატაცებულს ულრმესი სულიერი ტკივილების გადმოცემით, ახალგაზრდა კაცის პორტრეტის შექმნა ჰქონია განზრახული („ქა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლარა ჭაბუკის პორტრეტი“ — ასე უწოდებს ჩანაწერებში).

მის ნაკვთებში, დიდი მხატვრის ჩანაფიქრით, მნახველს უნდა ამოეკითხა ოცნებათა უსაზღვროება და უსაზღვრო სიყვარული სიცოცხლისადმი. ამასთანავე, მის ნაკვთებში უნდა ყოფილიყო აღბეჭდილი მძაფრი ტკივილიც, შობილი ჟამთასიავისა და კოშმარული მომავლის მოლოდინისაგან.

რემბრანდტს სწამდა, რომ ახალგაზრდა კაცის სიცოცხლით სავსე და თან ტრაგიკული პოზა, მისი მზერა ერთდროულად ენერგიული და უსასოო უფრო მეტად შესძრავდა ადამიანებს, ვიდრე მისივე სახელგანთქმულ მოხუცთა განაწამები და ღონედაშრეტილი სახეები.

„ჭაღარა ჭაბუკის პორტრეტი“ არავის უნახავს. ვერ მოასწრო რემბრანდტმა მისი განხორციელება, მაგრამ მე მუდამ დიდი ნიდერლანდელის ამ ჩანაფიქრს მახსენებს უნებურად ალექსანდრე საჯაიას და სხვა მის თანატოლ პოეტთა ზოგიერთი ლექსი. რემბრანდტისეული ჭაღარა ჭაბუკის ასოციაციას ბადებს, მწუხარე იერით, მათი ზოგიერთი ლექსიდან წარმომდგარი ახალგაზრდა კაცის — ავტორისა თუ ლირიკული გმირის სახება.

ავმა წინათგრძნობამ ნაადრევად გაუჩინათ დარდი და მათ ხალას, ომახიან სიმღერას ყრუ შინაგანი მინორი ჩააქსოვა.

გულმა უგრძნოთ კატასტროფის მოახლოება. მიხვდნენ, რომ საშინელი ხვედრი ელოდათ და სევდიან ლექსებად უკვდავყვეს თავიანთი ტკივილი.

ამიტომ აქვს მათ ლექსებს ესოდენ მძლავრი ზემოქმედების ძალა. გულის სიღრმემდე სძრავს მკითხველს სიცოცხლისა და შემოქმედების ჟინით შეპყრობილი ახალგაზრდების სევდა, მათი უსასოობა გარდუვალი კატასტროფის წინაშე.

აუხდათ ახალგაზრდა პოეტებს წინათგრძნობა; ახდა ალექსანდრე საჯაიას მიერ წინასწარმეტყველურად ნათქვამი:

ახალგაზრდები ვიქნებით მარად,
ჩვენ არასოდეს არ დავბერდებით.

ცხოვრების ზღურბლზე მოუსწროთ ომმა და ფრონტზე დამთავრდა მრავალი მათგანის სიცოცხლე. ომის არაპირდაპირი მსხვერპლნი გახდნენ ფრონტიდან შორს, საქართველოში გარდაცვლილი ლადო ასათიანი და ალექსანდრე საჯაია.

უხმოდ, ფეხაკრეფით წავიდნენ და თითქოს მივიწყებასაც მიეცნენ ერთხანს. მაგრამ „[illegible]ვდავია ჭეშმარიტი პოეზია!“ არასოდეს მტყუნდება ეს ფრაზა, ძველი, როგორც თვით პოეზია. „ჩვენთაობელთა“ უნიჭიერესმა წარმომადგენლებმა მირზა გელოვანმა და ლადო ასათიანმა თანდათან „გაგვახსენეს“ თავი და რაც დრო გადის, სულ უფროდაუფრო პოპულარული ხდება მათი ლექსი.

სხვები კი კვლავ ჩრდილში რჩებიან. ჩრდილშია ალექსანდრე საჯაიას სახელიც. არადა, არ არის მივიწყებისათვის გასამეტებელი. ის ნამდვილად ნიჭიერი, ორიგინალური ხელწერის მქონე პოეტია. აი, თუნდაც ეს ფრაგმენტი, პოეტის მიერ 19 წლის ასაკში დაწერილი ლექსიდან:

თოვლი თოვს. თეთრი ქარია,
თეთრ სამოსელში ვირთვები.
ჩიტებო, რა გიხარიათ,
რისთვის მღერიხართ ჩიტები.
დიდი ზამთარი იქნება?
ნეტამაც ასე ინებოს!
თქვენ მაინც რა გეფიქრებათ,
რა გენანებათ, ჩიტებო?..

ეს საჯაიასებური სტრიქონებია. ადვილად იცნობა ალ. საჯაიას ლირიკა, ადვილად გამოირჩევა სხვა პოეტთა ლირიკისაგან. ინტიმურია მისი ლექსი. ქვეტექსტის ღრმა აზრობრივი განზოგადებისთვის მის ლექსს ჯერ არ მიუღწევია. არც მისწრაფება ჩანს ღრმა აზრობრივი განზოგადებისაკენ. პირად განცდას, ოცნებას და გულისტკივილს გადმოსცემს ჭაბუკი პოეტი სტრიქონებში და ამ გზით საკუთარ სულს, საკუთარ პიროვნებას ხატავს დიდი სიცხადით.

ალექსანდრე საჯაია იშვიათად მიმართავს ლირიკულ გმირს. მისი შემოქმედება, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა დამწყები პოეტისა, ფაქტიურად თვითგამოხატვაა, ავტორისეული განცდების გამჟღავნებაა და ავტორის ბიოგრაფიის, მისი პიროვნების უკეთ გაცნობა თანამედროვეთა მოგონებებიდან გვაძლევს გასაღებს მისი პოეზიისა.

დღეს ცოტასღა ახსოვს ალექსანდრე საჯაია. მოგონებებიც ძალზე ცოტა მოგვეპოვება. ყველაფერს, რაც კი დაწერილა მასზე, სულ რამოდენიმე გვერდი დაიტევს და მაინც ძნელია დასახელება სხვა ქართველი პოეტისა, რომელიც ამდენი აღფრთოვანებული ეპითეტით იყოს შემკული თანამედროვეთაგან.

ერთი დაჯდომით გადავიკითხავთ ყველაფერს,

1. „ჩვენთაობელებს“ უწოდებდნენ იმ თაობის პოეტებს, რადგან ჟურნალ „ჩვენი თაობის“ ირგვლივ იყვნენ შემოკრებილნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც ჩვენი პოეტის შესახებ დაწერილა და თითქმის ვერსად შევხვდებით მისი შემოქმედების ანალიზს. მოგონებების დიდი ნაწილი ეძღვნება ამ უდროოდ დაღუპული ახალგაზრდა კაცის პიროვნების ქებას და ლამის ყოვლისმხრივ შემკულ ადამიანად წარმოსდგება იგი ჩვენს წინაშე.

ბუნებამ დიდი და მრავალმხრივი ნიჭით და კლასიკურად ნატიფი გარეგნობით დააჯილდოვა. არც იღბლისაგან ეთქმოდა სამდურავი, ზრუნვა და სიყვარული გარემოიცავდა მუდამ და ყველგან; ყველაფერში, რაც ცხოვრების საქმედ გაიხადა — პოეზიაში, უცხო ენების შესწავლაში, თარგმანში, — სწრაფად მიაღწია წარმატებას...

განგების რჩეულიაო, რომ იტყვიან, იმ ადამიანთაგანი იყო. თუ როდისმე წიგნი დაიწერება მის შესახებ, მენანდრეს ცნობილი ფრაზა იქნება ყველაზე შესაფერი ეპიგრაფი იმ წიგნისათვის: „ვინც ღმერთებს უყვართ, ის ადრეც კვდება, მალე მიჰყავთ ღმერთებს თავიანთ სამყოფლოში“.

ბავშვობიდან ლაღი და უზრუნველი იყო მისი ცხოვრება. თანატოლთა უმრავლესობისგან განსხვავებით, გაჭირვება არასოდეს უწვნევია. მის მშობლებს, გამრჯე მეგრელ გლეხებს ღონიერი ოჯახი ჰქონდათ და დედისერთა კოკის უსაზღვროდ ანებივრებდნენ (კოკის ეძახდნენ შინაურები).

არც სტუდენტობის წლებში გამოუვლია გაჭირვებული, „ნამდვილი სტუდენტური“ ცხოვრება. ყოველთვის ჰქონდა პირობები მშვიდი, ბეჯითი სწავლისა და შემოქმედებისა და სწორედ სტუდენტობის პერიოდში, თბილისში ჩამოსვლის შემდეგ დაწერა პირველი საყურადღებო ლექსები. ამ პერიოდში შეუდგა განსაკუთრებით გულმოდგინე მეცადინეობას — მზადებას დიდი შემოქმედებისთვის.

უფროსი თაობის თბილისელთაგან ზოგს ალბათ ეხლაც ემახსოვრება ზედმიწევნით მომხიბვლელი გარეგნობის ჭაბუკი, რომელიც 30-40-იანი წლების მიჯნაზე ხვდებოდათ ქუჩებში, ომის შემდეგ კი აღარსად გამოჩენილა.

თბილისის ქუჩებში მშვიდი ნაბიჯით დადიოდა იგი, ტანმაღალი, მუდამ ელეგანტურ კოსტუმსა და თეთრ, ქათქათა პერანგში გამოწყობილი. გამვლელები უჩუმარი მზერით აცილებდნენ, თავად კი შორს იმზირებოდა ოდნავ ელამი თვალებით, თითქოს ვიღაცა შენიშნაო ესხსაა და შორიდანვე ესალმება ძლივსშესამჩნევი, გულკეთილი ღიმილით.

ემახსოვრებათ თბილისის ხანდაზმულ მკვიდრთ ალექსანდრე საჯაია, ოღონდ უმრავლესობამ ალბათ არც იცის მისი ვინაობა, შეიძლება საერთოდ არ სმენიათ მისი სახელი.

მართლაცდა უცნაური ბედის პოეტია. გარდაცვალებიდან ორი-სამი ათეული წლის შემდეგ მისი ლირიკის საუკეთესო ნიმუშებმა „გახალხურდა“, ჩამოსცილდა შემოქმედის სახელს და თითქოს დაჩრდილა კიდეც შემოქმედი, როგორც აღვნიშნეთ.

სიცოცხლეში კი ალექსანდრე საჯაიას პიროვნება გაცილებით მეტისთვის იყო ნაცნობი, ვიდრე მისი პოეზია. თაყვანისმცემლებიც მის პიროვნებას მისსავე პოეზიაზე ბევრად მეტი ჰყავდა.

„შეუძლებელი იყო იგი გაგეცნოთ და ერთბაშად არ მოხიბლულიყავით. ჯერ გარეგნობა განგაწყობდათ განსაკუთრებული სიმპათიით“, — წერს ვახტანგ ჭელიძე და ფერებს არ იშურებს მისი „ვაჟკაცური სილამაზის“ აღსაწერად.

ნიკა აგიაშვილი დიდ ადგილს უთმობს ალექსანდრე საჯაიას „ყოველმხრივი კეთილშობილების“ აღწერას წიგნ-მოგონებაში „ჭაბუკები დარჩნენ მარად“.

„ნატიფი და მოხდენილი, პირმწყაზარი საჯაია, ჩვენი კოკი — ალიოშა“, — ასე იხსენიებს ერთ პირად წერილში ლადო ასათიანი.

ალექსანდრე საჯაიას საოცარი უნარი ჰქონდა, პირველი გაცნობით, პირველი შეხვედრითაც კი დაეპყრო კაცის გული. ნ. აგიაშვილის მოგონებიდან ვტყობილობთ, რომ ერთხელ გადიმებული გალაკტიონი მიახლოებია მას ქუჩაში და ღიმილით უთქვამს:

ერთდროს მეც ვიყავ შენებრ ლამაზი,
მაგრამ არ ვიყავ შენსავით ნაზი.

მამაკაცთაგანს იშვიათ თუ ვისმე სმენია ამდენი ქათინაური თავისი მისამართით. იშვიათად თუ ვისმე უგრძვნია გარშემომყოფთაგან ესოდენ დიდი კეთილგანწყობილება. ალექსანდრე საჯაიასადმი ნაცნობ-მეგობრების მოპყრობაში იყო რაღაც თავისებური, ნაერთი მოკრძალების, აღფრთოვანებისა და პატივისცემის. დღესაც ყველა, ვინც კი იგონებს, თავს მოვალედ სთვლის, ილაპარაკოს მის სპეტაკ და ფაქიზ ბუნებაზე, მის პატიოსნებაზე, თავაზიანობაზე, ტაქტზე...

„იმ მრავალრიცხოვან ახალგაზრდათა ჯგუფში, რომლებიც ოცდაათიან წლებში მოევლინა ქართულ ლიტერატურას, ალექსანდრე საჯაია ყველაზე ინტელიგენტური იყო“ (ვ. ჭელიძე).

„მე იგი მესამე-მეოთხე თაობის ინტელიგენტი მეგონა და განცვიფრებული დავრჩი, როცა მის დაკრძალვაზე სოფელში ჩავედი და მშობლები გავიცანი“ (სიმონ ჩიქოვანი).

კიდევ მრავლად შეიძლება ჩვენი პოეტის საქებ სიტყვათა ციტირება. აკი აღვნიშნეთ, რომ აღფრთოვანებული ეპითეტებით ამკობენ მის პიროვნებას ნაცნობები.

ტაქტით, გულწრფელობით, პატიოსნებით ინადირებდა ალექსანდრე საჯაია გარშემომყოფთა გულებს და ეს არ იყო არც პოზა, არც შეძენილი ჩვევა. ქართული ხასიათის ტრადი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციური თვისებაა ეს, მისთვის დაბადებიდან დაყოლილი, მისი პოეტური სულის თვისება და ლექსებშიც ამგვარად გამოსჭვივის მისი ხული; ლექსები თითქოს ავტორის სულის სარკეა — ავტორის პიროვნება იხატება მათში და ამიტომ აფენიათ თავისებური, მხოლოდ საჯაიას ლირიკისათვის დამახასიათებელი სითბო და სინაზე:

შემიყვარდა მე შრიალი როგორღაც,
აბრეშუმის სიყვარული მეც დამყვა.
ყელსახვევი მომიქსოვე, გოგონა,
ო, ცისფერი ყელსახვევი, გეთაყვა!

ეს სტროფიც საჯაიასებურია. ამ სტროფშიც ჩანს ალექსანდრე საჯაიას შემოქმედებისათვის დამახასიათებელი ზოგადი ნიშნები, მისი თავისებურება, კოლორიტი.

და თვით ის ფაქტიც, რომ ახალგაზრდა პოეტის შემოქმედების ზოგად ნიშნებზე, თავისებურებასა და კოლორიტზე ვლაპარაკობთ, გულისხმობს მის მიერ საკუთარი, მხოლოდ მისი ლირიკისათვის დამახასიათებელი ხელწერის, მანერის გამოკვეთას. გულისხმობს, რომ მან შესძლო ორიგინალური სიტყვის თქმა.

ჭეშმარიტი პოეტია ალექსანდრე საჯაია.

ჭეშმარიტი პოეტია ყველა, ვინც თუგინდ ერთადერთ გულშიჩამწვდომ და თვითმყოფად ლექსს დაწერს სიცოცხლეში.

გენიოსის სახელით შევიდა ფრანგული ლიტერატურის ისტორიაში კაპიტან დე ლილი. ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე მას ერთადერთ ღამეს ეწვია ზეშთაგონება და ერთადერთი ჭეშმარიტი ლექსი შეაქმნევინა — „მარსელიეზა“.

მაგრამ გაუკვდავდა საფრანგეთში „მარსელიეზა“. ფრანგები მღერიან ამ ლექსს, ვერ ივიწყებენ და არც მისი ავტორი დაივიწყეს. თუმცა კი გვიან — გარდაცვალებიდან დიდი ხნის შემდეგ, მაგრამ მაინც გადმოასვენეს იგი ინვალიდების სახლში და ნაპოლეონის სარკოფაგის სიახლოვეს დაკრძალეს.

დე ლილის ღვაწლი გადაჭარბებით არ დაუფასებიათ მის სამშობლოში; ხსოვნის ღირსია ყველა ის პოეტი, ვინც ერთ ლექსს მაინც დაახსომებს სამუდამოდ თავის ხალხს.

ჩვენც გვმართებს ალექსანდრე საჯაიას გახსენება. მისი პოეტური მემკვიდრეობა მეტად მცირე მოცულობისაა, მაგრამ „ცისარტყელა“ ხომ იმღერება საქართველოში. ზოგი სხვა ლექსიც, ფოლკლორთან რომ არის შენივთული, მუდამ აღელვებს ქართველს.

ფოლკლორთან შენივთება, გახალხურება საუკეთესო ლექსებისა უიღბლობად ჩავუთვალეთ ჩვენს პოეტს, მაგრამ ეს ხომ გამარჯვებაცაა! რა არის უკეთესი დასტური პოეტის გამარჯვებისა, ვიდრე მისი ლექსის ხალხში გასვლა.

და მაინც, რად გახალხურდა ალექსანდრე საჯაიას ლექსი, რად ჩამოსცილდა შემოქმედის სახელს?

ამას აქვს კანონზომიერება და მისი არსი უმთავრესად ალ. საჯაიას ლირიკის ქართულ ფოლკლორთან სიახლოვეშია.

მისი ლექსები, ხალხურივით სადა და თავისებურად ტკბილი, ხალხურს მოგვაგონებენ ფორმითაც, მუსიკითაც, ჩვეულებრივი, ყოფითი სიტყვებითაა ნათქვამი ისინი და ყოველ მათგანში გამოსჭვივის პასტორალური უბრალოება.

ხალხური ლირიკის დამატყვევებელი ძალა არის არა იმდენად ნათქვამის სილამაზეში, რამდენადაც მთქმელის გრძნობათა სიმძაფრესა და სიწმინდეში. იგივე შეიძლება გავიმეოროთ ალექსანდრე საჯაიას ლირიკის შესახებაც.

ის უბრალოებას ესწრაფვოდა, ამით შესძლო მიღწევა უშუალობისა და ერთგვარი გულუბრყვილობის, რაც მისი შემოქმედების ყველაზე სახასიათო ნიშანია. ამასთან, მის ლექსში გამოსჭვივის დიდი, წრფელი გრძნობა და ეს ანიჭებს დამატყვევებელ ძალას.

მისი შემოქმედება ინტიმურია და ვერ ვიტყვით, რომ რთულია ან ღრმად პრობლემატური, მაგრამ ძალიან ეროვნულია. ამით არის განსაკუთრებით ფასეული.

ლირიკის ნამდვილი პოეზიის სიმაღლემდე აყვანა შესძლოს ხელოვანმა, ნიშნავს შთაბეროს მის ყველა მოტივს — სატრფიალოს, პატრიოტულს თუ ნებისმიერ სხვას — ეროვნული სული, შესძლოს ფიქსირება სამშობლოსადმი, სატრფოსადმი, მეგობრისადმი სიყვარულის თანამემამულისებური განცდისა, ჩასწვდეს მის ტკივილს და სწრაფვას... მოკლედ, თანამემამულისებურად აღიქვას, განიცადოს ცხოვრება. ვერ შესძლებს ამას და ვერ აღელვებს თავის ხალხს (არც უცხოელისათვის იქნება გასაგები).

ალექსანდრე საჯაიას პოეზია კი გვაღელვებს, გვაღელვებს, რადგან ეროვნულია, ქართულია. ვთქვი და ვიმეორებ: მისი ლირიკა ინტიმის ფარგლებს ვერ სცდება და, რა თქმა უნდა, სრულად ვერ მოიცავს ერის სულიერ ცხოვრებას, — მაგრამ ქართულია მისი ინტიმი. მის ლექსშია ქართველისეული განცდა სიყვარულისა, ქართული აღტაცება მამულის სილამაზით, მამულისადმი ქართული ერთგულება და შეუდრეკელობა მტრის წინაშე...

მის ლექსში უკიდურესად პირადული განცდა გამოსჭვივის — ერთი კაცის განცდა, ოღონდ ქართველი კაცისა. ალექსანდრე საჯაიას ლექსში იკითხება მშობლიური, ჩვენებური ნაღველი და აღტაცება.

ნათქვამს ყველაზე უკეთ ალბათ „ცისარტყე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლა“ დაასაბუთებს და მასზე უნდა შევაჩეროთ ახლა ყურადღება.

ალექსანდრე საჯაია თავისი მეგობრის ლადო ასათიანის „სალოლობოს“ ასათიანურს უწოდებდა (და, მგონი, ეს სათაური უფრო მეტადაც შეეფერება ამ ლექსს, ვიდრე „სალაღობო“), რადგან მასში ლადოს პოეზიის პათოსი გამოსჭვივის, მის უაღრესად კოლორიტულ, „ასათიანურ“ ლექსებს შორის, ესაა ალბათ ყველაზე „ასათიანური“.

ალექსანდრე საჯაიას პოეზიის პათოსი კი განსაკუთრებით „ცისარტყელაშია“ გამოკვეთილი და ამიტომ შეიძლება ვუწოდოთ მას „საჯაიასებური“:

განა იმისთვის ვეწამე ამდენს,
რომ განშორება მეგლოვა ბოლოს.
შენი ბაგენი ალუბლებს ჰგავდნენ,
მეც ალუბლები მიყვარდა მხოლოდ.
მჯერა: ნიავიც ამაოდ ქროდა,
არ მსურს ამაოდ ვარსკვლავნი ვთვალო...
შენ ღვინისფერი თვალები გქონდა,
მეც შავი ღვინო მიყვარდა, ქალო.
ჩვენ ერთად ვნახეთ ბავშვი მოცარტი,
ფერად ყვავილებს ფანტავდა ქარში,
ილიმებოდი და საოცარი
მე ცისარტყელა მიყვარდა მაშინ.
ვინ იცის, მოვა კიდევ შხაპუნა?
ვიცი ერთხელაც იქნება გვიან...
მე შენმა ზეცამ ცვარი მაპკურა,
მე უშენოდაც მიჯნური მქვია.

სითბო და სინაზე აფენია ალექსანდრე საჯაიას ლექსებს. მაგრამ, ცხადია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მისი პოეზია მონოტონური და ერთფეროვანია. „საჯაიასებურობაში“ ხელწერის ორიგინალურობა, თვითმყოფადობა იგულისხმება და არა პოეტური სახეების და ფერების ურთიერთმსგავსება. მრავალმხრივი ნიჭით იყო იგი დაჯილდოებული. მრავალფეროვანია თემატურად ჩვენგან დანატოვარი პატარა წიგნი, მასში ხშირად შევხვდებით ცეცხლოვანი რიტმით დამუხტულ სტრიქონებსაც:

„ახლებთან შედარებით ალიოშა საჯაია უფრო მშვიდი და თავდაჭერილი ჩანდა, — წერს ნ. ბგიაშვილი და იქვე დასძენს, — მაგრამ ყოველთვის მზად ჰქონდა ცეცხლი დასაკვესებლად“.

ამავეს მოწმობს ე. ჭელიძის მოგონებაც: „იშვიათად მინახავს ამგვარი სიფიცხის ადამიანი“.

ალექსანდრე საჯაია დიდი, შეფარული ტემპერამენტის კაცი იყო. ეს მის ლექსებშიც აირეკლა და დაკვირვებული თვალისათვის აშკარაა ახალგაზრდა პოეტის უნარი მძაფრი შინაგანი ტკივილების გადმოცემისა:

არაფერია, წვიმას აპირებს!
ქარი, ავდარი და მისტერია!..
ფიქრებმა ერთხელ მეც ამატირეს,
შენ კი მითხარი: — არაფერია!
ლამაზი იყო, მზე იყო მხოლოდ;
თეთრი სიზმარი, თეთრი ფერია.
მე სიყვარულიც დავკარგე ბოლოს
შენ კვლავ მითხარი: — არაფერია!
ცრემლები დაშრნენ. დღეს დღენი მიმყვა...
გზებს იავარდი დაუფენიათ.
არაფერია, მე ბავშვი ვიყავ,
თორემ ცრემლები არაფერია...
მოიტათ ღვინო... სულში ფარული
არ დარჩეს კიდევ ცრემლი პატარაც,
ვხედავ მეწვია მე სიხარულიც,
მაგრამ ძნელია ახლა ატანაც.
მოიტათ ღვინო... ღვინო სისხლს ერთგვარს
შეგათრთოლებს და სისხლის ფერია...
ვგიჟდები... ახლაც მაღირსე ერთიც
ძმავ, ეგ ძვირფასი: — არაფერია!
(„ქარია“).

**Разбил палатку** — დაამსხვრია კარავი, **Сливочное масло** — ქლიავის ზეთი, კაკალგულში — **в орех сердца**... ეს სალაღობო თარგმანები ალექსანდრე საჯაიასია. მასვე ეკუთვნის მრავალი მწვავე ეპიგრამა; სხვა თავის თანატოლ პოეტებთან ერთად იხილავ ე. წ. „ლუსაგორიების“ ხელნაწერი კრებულის ავტორი. ალექსანდრე საჯაიას ბედი მჭიდროდ დაუკავშირდა თბილისში ჩამოსულ და ჟურნალ „ჩვენი თაობის“ ირგვლივ შემოკრებილ ახალგაზრდა მწერალთა ბედს. საერთო მიზნები, მაღალი და კეთილშობილური მიზნები აკავშირებდათ მათ და დღეს არ გააცდენდნენ, რომ არ შეკრებილიყვნენ.

გადიოდა დრო ხმაურიან ლიტერატურულ კამათებსა და თბილისის ქუჩებში გუნდ-გუნდად სეირნობაში, უბოროტო ხუმრობა-ქილიკსა და შემოქმედებითი გეგმების ურთიერთგაზიარებაში. ხშირად აკითხებდნენ ერთიმეორეს ახლად დაწერილ ლექსებს, დადიოდნენ თბილისის ახლომახლო ისტორიულ და ჩვენი ერისთვის წმინდა ადგილებში, არ აცდენდნენ თეატრების თითქმის არც ერთ ახალ წარმოდგენას, ქომაგობდნენ თბილისელ ფეხბურთელებს, ქეიფობდნენ ღარიბულად, ახალგაზრდულად... მოკლედ, ცხოვრობდნენ, როგორც შეჰფერის ახალგაზრდებს.

თან მუშაობდნენ, მუშაობდნენ თავდავიწყებით და უმტკიცდებოდათ ხმა, იზრდებოდა დღითიდღე მათი პოეტური ოსტატობა.

სხვებსავით გულმოდგინედ სწავლობდა და შრომობდა ალექსანდრე საჯაია, იფართოებდა ერუდიციას, სრულყოფდა უცხო ენების ცოდნას, თარგმნიდა (მისი ზოგიერთი თარგმანი, განსაკუთრებით შელის შემოქმედებიდან — თარგმნითი ხელოვნების შესანიშნავ ნიმუშებადაა მიჩნეული), ცდიდა კალამს პროზაშიც (მის ზღაპრებში პროზაიკოსის უდაო ნიჭი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩანს), მუშაობდა „უტუ მიქავაზე“ — მშვენიერ პოემაზე, რომლის დამთავრებაც არ დასცალდა. მაგრამ განსაკუთრებული ხალისით და მონადინებით მაინც ლექსებს წერდა, დიდ ჯაფას, ენერგიას აქსოვდა მათში და კიდეც ეტყობა მის ლირიკას თანდათანობითი სრულყოფის კვალი.

დიდ მიზნებს ისახავდა, ყველაფრიდან ჩანს. ძალაც შესწევდა მათი განხორციელებისა, მაგრამ უიღბლობა ჰქონდა დაბედებული მის თაობას და ძალიან მალე მოადგათ კარს დიდი უბედურება.

1943 წლის ივნისის მიწურულს ალექსანდრე საჯაია მუხლებზე დაემხო ლადო ასათიანის კუბოსთან და მოთქმით ატირდა.

ლადოს სიკვდილის დღეს დაიწყო კატასტროფა. იმ დღიდან ზუსტად ერთი წლის სიცოცხლეღა ეწერა მირზა გელოვანს, წელიწადზე ცოტა მეტისა — ალექსანდრე საჯაიას.

თითქოს იგრძნო მოახლოებული სიკვდილის შავი სუნთქვა. სიცოცხლის უკანასკნელ წელს აჩქარდა ეს მუდამ დინჯი ახალგაზრდა კაცი და სიცოცხლის უკანასკნელი წელი ყველაზე ნაყოფიერია მის შემოქმედებაში.

მეგობრები მწუხარებით და განცვიფრებით შლიდნენ ხელებს მისი მოულოდნელი სიკვდილის შემდეგ. რამდენიმე მათგანისთვის უთქვამს თურმე — გარდუვალი აღსასრულის წინათგრძნობა არ მასვენებსო.

ერთ-ერთ უკანასკნელ ლექსშიც გაამხილა თავისი ტკივილი:

…აგერ კუბო ფერადი, აი ჩემი აკვანი
ო, სათქმელო სიმღერავ, ნუკი
დამიოკდები
კიდევ ცოტა და, უცხო ყვავილივით
მოვკვდები.

მაგრამ ის ხომ დიდი შემოქმედებითი ცხოვრებისათვის ემზადებოდა, დიდ მიზნებს ისახავდა და არ სურდა სიკვდილის აჩრდილთან შეპუება. სიცოცხლის უკანასკნელ წელს ზედმეტად დაიწყო ზრუნვა ჯანმრთელობაზე. ჯანის გასაკაჟებლად და „სვანური მოტივების“ ციკლის დასაწერად აგვისტოს მიწურულში სვანეთს გაემგზავრა.

ეს გამოდგა მგზავრობა უკანასკნელი გზისკენ. სვანეთის მთებში გარდაიცვალა ოცდაოთხი წლის ალექსანდრე საჯაია.

სამეგრელოში, ბარისა და მთის შესაყართან, პატარა სოფელია — ოდიში. კოლხეთის ვაკეზე ამოზრდილი მცირე გორაკები, რომლებითაც კავკასიონის ქედი იწყება, თვალწარმტაცს ხდიან ოდიშის მიდამოებს.

განსაკუთრებით კოხტა არის ერთი გორაკი, ცაცხვის ხეებით დაბურული, ხედიც მშვენიერ-დამატყვევებელი იშლება მისი თხემიდან: ერთ მხარეს აყვავებული კოლხეთის ველი, ჩრდილოეთით კი — მეორე მხარეს — კავკასიის ცისფერი მთები. ამ გორაკზეა შეფენილი ოდიშის სასაფლაო.

თუ სოფელში იყო, მუდამდღე ამოირბენდა ხოლმე აქ ალექსანდრე საჯაია. უყვარდა ცაცხვებით დაბურული გორაკი, ოცნებისთვის თავმიცემული ზოგჯერ საათობით რჩებოდა აქ და სამუდამო ბინაც აქვე დაიდო 1944 წლის სექტემბერში.

ახალგაზრდა პოეტი დედისადმი მიძღვნილი სტრიქონებით ამთავრებს ერთ-ერთ უკანასკნელ ლექსს — „სვანური მოტივებიდან“ და — თითქოს საკუთარი სიკვდილის შემდეგ დაინახაო მშობლები — ეს რამდენიმე სტრიქონი საოცრად ესიტყვება დედამისის განწყობილებას მას შემდეგ, რაც გათლილი ქვა დაადეს ერთადერთი შვილის სამარეს და რკინის მესერით შემოღობეს:

მზე მთის საფარს ეფარება,
ეზოს მწუხრი ეპარება
და ჩრდილები ხეთა
ფერად ნისლში იძირება,
აივნიდან იმზირება
მოწყენილი დედა.

ვერ გადაიტანეს კოკის სიკვდილი. გატყდნენ მისი ჯერ კიდევ ახალგაზრდა მშობლები და დიდხანს აღარც მათ უვლიათ ამ ქვეყანაზე. ლამაზ გორაკზე, რკინის მესერით შემოღობილ სასაფლაოში განისვენებს უშთამომავლოდ გადაგებული ოჯახი.

…ასე ამბობენ — ახალგაზრდობაში გარდაცვლილ პოეტთა ნაკვთებს დრო ჩამოაცილებსო სინანულის მწუხრს და რჩება მხოლოდ ერის კულტურის საგანძურში შესული მათი ლექსები, მათი მზიური სულის ანარეკლი.

მაინც მგონია, რომ ქართული კულტურის გულშემატკივარს მუდამ მოჰგვრის ნაღველს ლადო ასათიანის, მირზა გელოვანის, ალექსანდრე საჯაიას და მათი შესანიშნავი თაობის სხვა პოეტთა უდროოდ წასვლით გამოწვეულ მარადაუნაზღაურებელ დანაკლისზე ფიქრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქეთევან ნიკოლეიშვილი

# უძილოდ ნანახ სიზმართა ექო

პირველი წიგნის გამოცემიდან ოთხი წლის შემდეგ, გასულ წელს, თეიმურაზ ლანჩავამ გამოსცა მოთხრობათა მეორე კრებული — „დაუძინებლად ნანახი სიზმრები“. ეს დრო საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ავტორის ხელწერის დადებითი ტენდენციები კიდევ უფრო გაღრმავებულიყო, მწერლური ალღო და ინტუიცია დაწმენდილიყო, ფრაზას მეტი ელვარება და სიხასხასე შეეძინა.

წიგნში თავმოყრილი ნოველების უმეტესობა კარგად მიგვანიშნებს, რომ ახალგაზრდა მწერლის ზრდისა და დაოსტატების პროცესი გრძელდება, უკუგდებულია ერთხელ მიღწეული წარმატების შტამპად ქცევის საფრთხე.

თ. ლანჩავას საყვარელ თემად კვლავ რჩება ყოველდღიური, ცხოვრებისეული მოვლენებისა და რიგითი ადამიანების შინაგანი სახასიათო თავისებურებების მხატვრული წარმოსახვა. ამ ნოველებში მახვილი თვალითაა დანახული ჩვენი ცხოვრების ცალკეული მომენტები, იუმორნარევი ლირიკული უშუალობითაა გაანალიზებული პიროვნების სულიერი სამყაროს ბუნება.

კიდევ უფრო დაკონკრეტდა მოთხრობების სამოქმედო გეოგრაფია თუ ეთნოგრაფიული კოლორიტი. იმერული სოფლის დღევანდელი სახის ჩვენება რჩება ახალგაზრდა მწერლისათვის გატაცების მთავარ ობიექტად. და ჩანს, რომ ავტორი კარგად იცნობს ამ გარემოსაც და ადამიანებსაც. იმერული დიალექტური ფორმებისა და ფსიქიკური თავისებურებების ზომიერი გამოყენება პირველხარისხოვან როლს თამაშობს მწერლის კარგ ნოველებში.

თ. ლანჩავას ეხერხება შეამჩნიოს და გამოკვეთოს პიროვნების ცხოვრებიდან ის არსებითი მომენტები, რომლებიც ყველაზე მკაფიოდ და ნიშნეულად გამოხატავენ ამ პიროვნების ხასიათს. მწერლის მიერ დახატული პერსონაჟები ბევრს მოძრაობენ და საქმიანობენ. ავტორის თხრობისთვის თითქოს შეუთავსებელია სტატიკური სიტუაციების, გაქვავებული ხასიათებისა და უმოძრაო ეპიზოდების აღწერა.

წიგნის მკითხველი იმაშიც დარწმუნდება, რომ ზოგ შემთხვევაში ავტორის მახვილი თვალი, ალღო და ინტუიცია უფრო მეტს გრძნობს და ხედავს, ვიდრე ამ ქვეცნობიერად განცდილის ტექნიკურ ხორცშესხმას ახერხებს. ე. ი. სხვანაირად რომ ვთქვათ, ოსტატობა, წერის პროფესიული კულტურა ყოველთვის არ შეესაბამება ჩანაფიქრს, ავტორისეული შინაგანი ხედვის ძალასა და ენერგიას. მაგრამ ჩემთვის, როგორც მკითხველისათვის, თანაფარდობის ამდაგვარი დარღვევა უფროა სასურველი, ვიდრე პირიქით, რადგანაც ტექნიკა, მწერლური ოსტატობა, ძირითადად გამოცდილებისა და ხანგრძლივი შრომის შედეგია; მიკვლევის, მოვლენაში მთავარისა და არსებითის დანახვის უნარი კი ის თანდაყოლილი ნიჭია, რომელიც შემდგომში აღარ შეიძინება.

სარეცენზიო წიგნიდან უხვად გამოსჭვივის გულითადი სითბო და ღიმილი; მის ფურცლებზე რომანტიკული განცდის სურნელიც იგრძნობა და კაცური წუხილიც კვნესის. და ეს ყოველივე როგორც ძალდაუტანებელი, მახლობელი შეგრძნება, ისე შემოდის და მკვიდრდება ჩვენში.

კრებულის ერთ-ერთი საუკეთესო ნოველა „ორღობეში“ ასეთი რიგითი, სხვათაგან განურჩეველი ყოველდღიური ყოფითი დეტალის მხატვრული გააზრების წარმატებულ ცდას წარმოადგენს. მარტივია ნოველის სიუჟეტი, ფრაგმენტულია მისი სამი პერსონაჟის ხასიათთა წუთიერი ხილვა, მაგრამ ავტორი ახერხებს ამ ეპიზოდური შეხვედრითაც ნაწარმოების ჩანაფიქრი, — ერთი პატარა, მართალი და პატიოსანი ოჯახის ბინადართა სულისმიერი სითბო ჩვენთვისაც მახლობელი გახადოს.

სავსე მთვარით განათებულ ორღობეში სამნი მიდიან. სხვადასხვა ფორმისა და სიგრძის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მათი ლანდები ერთ სისხლს შეუდუღაბებია ერთმანეთთან. ეს ლანდები ერთი პატარა ქართული ოჯახის ნათელი სხივებია. ამ ოჯახური იდილიის სამივე წევრი — ღვინით შეზარხოშებული, ნაომარი ისიდორეც, მისი კეთილი და მოყვარული, ქალის სიკაპასით ჩამოძერწილი მეუღლეცა და პატარა ცხვირპაჭუა გოგოც თავიანთი სიმყუდროვითა და პატიოსნებით, სიკეთისა და მიწის სურნელით დაყურსულში შემოდიან ჩვენს ცნობიერებაში.

ცოლ-ქმრის ნაწყვეტ-ნაწყვეტა საუბრიდან მოვუონავს ჯარში წასული შვილის მონატრება, მის ჩამოსვლაზე ფიქრი და შემდეგ დაცოლშვილებაზე ოცნება. მთვარე, — ამ ოჯახური იდილიის მოწმე, — „ნათელივით ადგათ თავზე და დაუმადლებლად უნათებთ გზას“. მიუხედავად იმისა, რომ მკითხველისათვის უცნობია ამ ოჯახის ასავალ-დასავალი, ძუნწი და მიგნებულად ჩართული წვრილმანი ფრაზებით ჩვენი ცნობისმოყვარეობა ივსება იმ საჭირო და აუცილებელი მონაცემებით, რომელთა გაუთვალისწინებლადაც ამ ოჯახურ იდილიას მიწიერი საყრდენი გამოეცლებოდა.

— „გაისამდე რამდენჯერ უნდა დაღამდეს და გათენდეს, — კითხულობს ცხვირპაჭუა, ჩალისფერ კიკინებზე ბაბთებდაფრენილი გოგო და მამის ხაოიან ხელისგულს ლოყას აფხანს“. ამ ფრაზაში ერთადერთმა სიტყვამ — ხაოიანმა ნათელი წარმოდგენა შეგვიქმნა იმაზე, რომ ამგვარი ხელების პატრონი აუცილებლად მშრომელი გლეხკაცი იქნება.

თითქოს სხვათა შორის ნახმარ ერთ სიტყვაში თავი მოიყარა ისიდორეს მთელმა შრომითმა ბიოგრაფიამ, მისმა სიმართლემ და პატიოსნებამ. ასეთი ხაოიანი ხელისგულების პატრონი კაცის ოჯახში უკეთურმა ფიქრმა არ შეიძლება გაიჭაჭანოს. ეს კერია მშვიდობიანი ცხოვრების ერთი საიმედო საყრდენთაგანია. ნოველის ბოლო სტრიქონებში ყოველგვარი ხმაურისა და მყვირალობის გარეშე ვლინდება ავტორის ჰუმანისტური თვალსაზრისი:

„ცოტა ხნის შემდეგ ქრება სინათლე, გრძელ პერანგში ჩაფლული პატარა ქალი ერთი-ორჯერ გადაბრუნდ-გადმობრუნდება დედის მკლავზე და ისმის ხმადაბალი ფშვინვა. მარტო ფანჯრის მინებზე მიყურებული სავსე მთვარე ხედავს, როგორ დგება (სიზმარში) ისიდორე საწოლიდან, როგორ ფეხაკრეფით მიიპარება ოროლბეში, ფრთაშესხმული ფრენით გადადის ქალაქიდან ქალაქზე, საზღვრიდან საზღვარზე და ეფერება შვილს. ხმადაბლა, ჩურჩულით არიგებს: ფრთხილად იყავი, დაუფიქრებლად სახელეტს თითი არ დააჭირო, ეშმაკის მოგონილია მაგიო.

ბედნიერია მთვარე, იგი ერთდროულად მთელ ქვეყანას დასჩერებია“.

თანამედროვე სოფლის საჭირბოროტო საკითხების მხატვრულ წარმოსახვას კრებულში თვალსაჩინო ადგილი დაეთმო. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მინდა გამოვყო „დაყანგული თოხები“ და „უცნობი“. პირველ ნოველაში საინტერესოდ, ტრაგიკული ფერების გამოყენებით, ნაჩვენებია საქართველოს ერთ-ერთი მთიანი სოფლის გაუკაცრიელების ამბავი. მიგნებული სიმბოლიკებისა და ალეგორიების მოშველიებით მწერალმა მოძებნა საკუთარი კუთხე, საიდანაც დაგვანახვა და განგვაცდევინა თანამედროვე ქართული სოფლის ერთ-ერთი არსებითი პრობლემა.

ახალგაზრდა მწერლის მხატვრული სიტყვის სიძლიერე განსაკუთრებით შესაგრძნობია ნაწარმოების დასაწყისსა და დასასრულში. თედორე ბაბუას სახეს ნოველის ძირითადი ჩანაფიქრის გამოსავლინებლად ყველაზე მეტი დატვირთვა მიანიჭა ავტორმა. სწორედ მის სახეს დაუკავშირდა მოუთმენელი შეშფოთება თუ განგაში მამაპაპისეული კერების გაქრობის მტანჯველი საფრთხისა. ნაწარმოების დასაწყისში აღწერილი სიზმრისგან ჩვენთვის უკვე ნათელი ხდება ის სინამდვილე, რომელიც თვითონ სიზმრის შთაგონების საფუძველი გამხდარა. ნოველის ლირიკული გმირისა და მკვდრეთით წამომდგარი გარდაცვლილი მოხუცის დიალოგი, რითაც ავტორი იწყებს ამბის თხრობას, შთამბეჭდავად ავლენს იმ მთავარსა და არსებით ნიშნებს, რომელთა ფონზეც უნდა ალვიქვათ ერთი პატარა რაჭული სოფლის გაუკაცრიელების ტრაგიკული ვითარება.

„თვალი გავაყოლე, საჩვენებელი თითი გაზრდილა თედორე ბაბუას. გზა შორს, გლერტა ბალახით დაფარულ სახნავთან მთავრდებოდა.

სახნავზე სახრჩობელასავით აღმართულ ძელებივით იდგნენ პირდაყანგული თოხები.

— სად მიდიან ისინი?! — კვლავ იკითხა თედორემ და ხპილენძის ვარცლისოდენა დაკოჟრილი ხელი გულთან მიიდო.

ნაცნობი ლანდები ზურგშექცევით იდგნენ პირდაყანგულ თოხებთან, გაურკვეველი მიმართულებით მიდიოდნენ და თანდათან პატარავდებოდნენ.

მიტოვებულ თოხის ტარებზე ყრანტალით ჯდებოდნენ ყვავები, ფრთების თამაშით აქეთ-იქით არყევდნენ და გულისწამღებად ჩხაოდნენ.

თედორე ბაბუამ ძვალი ამოიღო საცრიდან, ყვავებს მოუქნია და შეუკურთხა.

— შეხედე? — მკითხა თედორემ, როცა ყვავებმა ეკლის ხეზე გადაინაცვლეს.

— შევხედე.

— ცხონებული მამაჩემის ძვლით დავაფეთე მაგ ოხრები, — თქვა და გზა განაგრძო“.

ავტორი შეეცადა ეს სიზმრისეული ალეგო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რია განევრცო სოფლის ცხოვრებიდან მოტანილი კონკრეტული დეტალებით. ამ მიზნით მან მოინდომა რაჭული დიალექტის (მოქმედება რაჭის ერთ-ერთ სოფელში — თხმორში ხდება) გამოყენებით გამოეკვეთა ეთნოგრაფიული ფონი მოქმედების განვითარებისათვის. მაგრამ ამ ეთნოგრაფიულ-დიალექტურმა კოლორიტმა ვერ შეიძინა ავტორისეული თხრობისათვის დამახასიათებელი უშუალობა და სინატიფე, მაგალითად, ისეთი, როგორი სურნელიც ახლავს თ. ლანჩავას მიერ დახატულ იმერეთის მკვიდრთა ხასიათებს. „დაჟანგულ თოხებში" ასეთ სუსტ ადგილებად მიმაჩნია სოფლელების საუბარი სოფლის წყაროსთან და ნოველის ქალაქელი გმირის სოფელში მგზავრობის აღწერის ამბავი.

მაგრამ ნაწარმოების მომდევნო ეპიზოდებში ავტორმა აღადგინა მხატვრული წონასწორობა და მისი თვალთახედვის არეში მოქცეული სოფლის ტრაგიზმი შთამბეჭდავად აისახა.

დაცარიელების, სოფლის კერაზე ცეცხლის გაღაქრობის საფრთხემ შეაკავშირა ერთმანეთთან სოფლის მკვიდრნი. თითქოს გამყარდა მათი ნათესაური სიახლოვე. ავტორი ახერხებს გასაჭირის გამო ერთმანეთთან კიდევ უფრო მჭიდროდ შეკავშირებული მშრომელების სულში ჩახედვას. როცა გერონტია ცალთვალას სიკვდილის ამბავი შეიტყვეს, მთელი სოფელი დაჯდა მის ჭირისუფლად.

— „მთელი სოფელია მაგის პატრონი, გერონტიასგან ცუდი არავის ახსოვს, — ხმამაღლა თქვა კოდზე ჩამომჯდარმა ლიომიდემ.

— ლაფაროში ხუთი წლის მახალა მიწყვია, გამოიტანეთ, რად მინდა მაინც, რა, — კეფა მოიფხანა კირილემ და კარებთან ატუზულ თავის ბერწ ქალს ნაღვლიანად გახედა".

ეს ერთი დეტალიც (ქალის მისამართით ნახმარი სიტყვის — ბერწის გამოკლებით, რომელიც გაუმართლებელ სიუხეშეს ანიჭებს ფრაზას) კარგად გამოხატავს სოფლის მკვიდრთა საერთო მწუხარებას.

ასეთივე გამორჩეული ინტერესით წავიკითხე მეორე ნოველა — „უცნობი", რომელშიც ნაჩვენებია მშობლიური სოფლისაგან ხანგრძლივი მოწყვეტის შემდეგ წუთიერად უკანმობრუნებული გაქალაქელებული კაცის განცდები.

ზაფხულის ერთ ცხელ დღეს მოგონებებით გულათრთოლებულმა გიორგიმ მოულოდნელად თავისი ბავშვობისდროინდელი ადგილების მონახულება გადაწყვიტა. ავტობუსში ახული მგზავრი ყველასთვის უცნობია; თანასოფლელები ცნობისმოყვარეობით უცქერიან უცხო კაცს, რომელიც ინტერესითა და დაფიქრებით გაცქერის ერთ დროს მახლობელ, მშობლიურ გარემოს, ბავშვობის შემდეგ აღარ ყოფილა აქეთ. ბაბუას სიკვდილის მერე მამამ მიაყიდა იქაურობა და მიატოვა სოფელი. ეს ნაჩქარევად გადადგმული ნაბიჯი შემდეგ მოუნელებელ სევდად იქცა მისთვის. წუხილი განსაკუთრებით გაზაფხულზე მიეძალებოდა, როცა მის სახელზე ამ ქვეყნად ერთი ხეც კი არსად აყვავდებოდა. ეს ნაღველი მემკვიდრეობით მიიღო გიორგიმ მამისგან. და აი, მიწის, მშობლიური კერიის ყივილმა საკუთარი სოფლისათვის უკვე გაუცხოებული, განსხვავებული კაცი თავისი ბავშვობის ნატერფალების საძებნელად მოიყვანა. ამ წუთიერმა შემოხვეტებამ თითქოს დაარღვია სოფლის ცხოვრების ყოველდღიური სითბო და ღისონანსი შეიტანა მის რომანტიკულ ჰარმონიაში. მაგრამ ერთიანად გაწყვეტილი აღმოჩნდა ყველა ძაფი, რომლითაც გიორგი ოდესღაც განუყოფლად იყო დაკავშირებული ამ გარემოსთან. იმედის მიმცემი, ხელჩასაჭიდებელი ხავსიც კი აღარსად დარჩენილა თითქოს.

„რცხვენოდა ახლა თავისითავის, ამ ორღობეებში გატარებული ბავშვობის, საკუთარი სინდისის. ყველა ჭიშკართან შეეძლო დაეძახა, თავის ვინაობა გაემხილა და აღარ ერქმეოდა უცხო, აღარ დაუწყებდნენ გზაზე მიმავალს ღობეებიდან, ფანჯრებიდან ჭვრეტას, ვიღაც მაინც მოიგონებდა იაკობის თეთრ წვერს, შეიპატიჟებდნენ, ამბავს ჰკითხავდნენ, რა ეთქვა? როგორ ეთქვა? რით დაეწყო? რანაირად გამოესყიდა ვიღაცის ხელში გადასული ბაბუის ფუძევენახი?"

სოფლის შუკებში მოხეტიალე კაცისთვის ერთადერთი მახლობელი ადგილი, სადაც მისვლის უფლება ჯერ კიდევ დარჩენია, ეს ბაბუის უპატრონოდ მიტოვებული საფლავია. ამ საფლავის ძახილს მიყვება გიორგი და მის სულში სევდიან სილამაზედ ილვრება ძლივსღა ნაპოვნი, გლერტა ბალახითა და ჯაგნარით გადავლილი სამარისაგან მონაბერი მემკვიდრეობითი სითბო და სოფლის ანაბარა მიტოვებული წინაპრის მარადიული განსასვენებელი ადგილის უთქმელი საყვედური.

ახალგაზრდა მწერალს ეხერხება, არა მარტო სასურველ კალაპოტში მოაქციოს განწყობილება და მკითხველიც გახადოს ჭეშმარიტი მხატვრული განცდის თანაზიარი, არამედ დროულად დასვას წერტილი. წერტილის დასმის ფასი და მნიშვნელობა რომ კარგად ესმის ავტორს, ეს ჩანს ამ ნოველიდანაც.

სარეცენზიო კრებულის ერთ-ერთი ღირსება მხატვრული თხრობის უშუალობასა და ლირიზმში ვლინდება. ავტორი წერს თავისუფლად, ძალდაუტანებლად, რაც თავიდანვე ამყარებს ურთიერთგაგებისა და ნდობის ატმოსფეროს მწერალსა და მკითხველს შორის.

თ. ლანჩავას ნოველების უმეტესობა სევდიანი იუმორით შეფერადებულ განცდებს აღძრავს. ბუნებრივი დიალოგებით იძერწება დასამახსოვრებელი ხასიათები, იქმნება ფსიქოლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიური სიღრმე, იხსნება პერსონაჟის შინაგანი ბუნების ცალკეული მხარეები.

ახალგაზრდა მწერლის შთაგონება ხშირად რომანტიკული განცდის საფუძველზეა აღმოცენებული. ეს რომანტიკა ნოველიდან ნოველაში გადადის, როგორც ავტორის ხელწერის მკვეთრად განმსაზღვრელი ნიშანი.

მაგრამ ხდება ისეც, რომ განწყობილების რომანტიკული შინაარსი ცილდება ცხოვრებისეულ რეალობას და არადამაჯერებელ, მარტივ გულუბრყვილობად აღიქმება. ასეთი უკმარისობისა და ხელოვნურობის შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე, როგორც მკითხველზე „ფოთოლცვენამ“. ეს ორგვერდიანი ნოველა მეტისმეტად კომპრესირებული, შეიძლება ითქვას, ბოლომდე გაურკვეველ და დაუსაბუთებელ ტრაგიკულ სურათს წარმოგვიდგენს. ნოველის შესავალში აღწერილი დიალოგით მწერალმა ძალზე ფრაგმენტული, უფრო ზუსტად, არაფრისმთქმელი შტრიხები მოხაზა თვითმკვლელობისთვის გამზადებული ოთხი კაცის სულიერი მღელვარებისა. ამ მოკლე დასკვნებით, რითაც თითოეული მათგანი თავის სასოწარკვეთას და უიმედობას გამოხატავს, ჩვენთვის ბუნდოვანია ის ფაქტი, რამ მიიყვანა ისინი ასეთი ტრაგიკული ნაბიჯის გადადგმამდე. მხატვრულ და ლოგიკურ მოტივირებას მოკლებულად მიმაჩნია ის ენერგიული და საქმიანი სიმშვიდე ნოველის პერსონაჟებისა, მითუმეტეს რომ ისინი ყულფებში გაუყრიან თავებს და ქალაქის ცენტრალურ ბაღში მუხის ხეზე კისრით ჩამოეკიდებიან.

„ერთმანეთს მოუსმინეს ოთხივემ, ერთხელ კიდევ აიხედეს ცისკენ, გულისჯიბეებიდან დააძვრეს ახალთახალი თოკები, გამონასკვეს, თავზე გადაიცვეს, ერთმანეთს მოუსინჯეს და ცოცხალი კიბე გააკეთეს.

მაღალი იყო მუხის ხე, უფრო მაღალი, ვიდრე ფიქრობდნენ. დაღლილებმა ცოტა ხნით შეისვენეს. ყელზე გამობმული თოკის ბოლოები მაგრად შემოუჭირეს ტოტებს და როცა ვარდისფრად შეღებილ სახლის ერთ-ერთი აივნიდან დაგუდულად იყივლა მეორე დღისათვის დასაკლავად გამზადებულმა მამალმა, ფეხები თანდათან ააშორეს ხის ტანს“. ამ დეტალის მხატვრული ძალმოსილება რომ ყალბია და არადამაჯერებელი, ვფიქრობ, უკომენტაროდაც ცხადია.

თ. ლანჩავას წიგნში ბევრი დასამახსოვრებელი ხასიათის პერსონაჟი შემხვდა. პირველ ყოვლისა, ეს პიროვნებანი თავიანთი შინაგანი პატიოსნებითა და სიკეთით იქცევენ ყურადღებას. ეს პატიოსნება, მათი გულიდან და უმანკოებიდან მომდინარე, ჩვენამდე აღწევს ავტორისეული მსუბუქი, ძალდაუტანებელი იუმორით.

სიცილი მწერლისათვის გაკილვის, პერსონაჟის გამასხრებისა და დამცირების ფორმა როდია. ეს სევდანარევი იუმორი პიროვნების სულიერ განწყობილებასთან სიახლოვის ლოგიკური შედეგია („ზღვა და ტარასი“, „ზამთარში მარტო კაცის წასაკითხი მოთხრობა“, „მოთმინება“, „მებორნე“...).

ახალგაზრდა მწერლის ხელწერა არაა დაბინდული და ხელოვნურად გაბუნდოვანებული. მსუბუქი და გამჭვირვალე ფერებით იძერწება პერსონაჟის ტკივილი თუ სიხარული.

ეს ბუნებრივი სინათლე იშვიათად თუ დაიჩრდილება უმიზნო და არაფრისმთქმელი დეტალებით. დიალექტური ენობრივი ფორმები ზომიერადაა გამოყენებული. მიუხედავად იმისა, რომ ავტორი ძალიან ხშირად წერს სიკვდილზე, მისი წიგნის საერთო შთაბეჭდილება სიცოცხლის მოყვარული და ჯანსაღია.

ერთი შენიშვნა, რომელიც აქვე მინდა მივცე მწერალს, ესაა მისი ზედმეტი გატაცება მხატვრულ სახეთა სიმკვეთრით. მაგალითად: ერთ ნოველაში შემხვდა ასეთი ფრაზა: — „ქვე რატომ იგვიანებს აწი ეს ოხერი, — ასანთის ღერით კბილებს იჩიჩქნიდა ერთი თეძომოქცეული რაჭველი და ეკალნაკრავ ბურთივით დაჩუტულ ძუძუზე ბავშვმიხუტებულ ქალს თვალმოუცილებლად მისჩერებოდა“. ამ წინადადებაში ენერგიულად ხაზგასმული ორი ტროპი მინდა გამოვყო: თეძომოქცეული რაჭველი და ეკალნაკრავი ბურთივით ძუძუდაჩუტული ქალი. თითქოს ამ ხაზგასმაში უჩვეულო და გაუმართლებელი არაფერია (თუმცა ეკალნაკრავი ბურთივით დაჩუტული ძუძუს თვალმოუცილებლად ყურება შეიძლება კი იყოს დამაეჭვებელი). მაგრამ როცა ასეთი მკვეთრად გამორჩეული მახინჯი ადამიანების გალერეა (იმ ადამიანებისა, რომლებიც ასე ეპიზოდურად, მხოლოდ ერთ თუ ორ წინადადებაში მოსახსენიებლად სჭირდება ავტორს და მეტი არაფრისათვის) თვალშისაცემად იზრდება და მოთხრობიდან მოთხრობაში გადადის, მკითხველს მისი შეზღუდვისა და განტვირთვის სურვილი უჩნდება ხოლმე. ასეთ ეპიზოდური სახეები „თეძოამოვარდნილი რაჭველი“ თუ „ეკალნაკრავი ბურთივით ძუძუდაჩუტული ქალი“ ნაწარმოებში რაიმე ფუნქციას რომ ასრულებდეს, მაშინ რა გვეთქმის.

ზემოთ ხაზი გავუსვი თ. ლანჩავას ნაწარმოებთა ენის ხატოვანებას. მაგრამ ისეთი წინადადებანიც შემხვდა, რომელთა მხატვრულობის ხარისხი დაწმენდასა და მეტ პროფესიონალიზმს საჭიროებენ. მაგალითად: „პირიდან წამოსული ლორწო ცხელ კეცზე მინაწვავ დრუნჩიან ბიქტორას სამ ნომერ კალოშამდე გაიჭიმა“; „ფეხები გააფიჩინა ღმერთმა“; „ახროტინდა ფერწასული ღმერთი და ღრუბლის ფთილაში ცხვირით ჩაემხო“; „ერთ წვიმიან დღეს მდინარეში ცხვირპირით ჩამხობილი იპოვეს

ავთანდილ ნიკოლეიშვილი

უძილოდ ნანახ სიზმართა ექო

დათას გვამი. გამთენიისას მოედო სოფელს მისი ღვინით გაგუდვის ამბავი“ (თუ მდინარეში ცხვირ-პირით ჩამხობილი იპოვნეს, მაშინ დამხრჩვალი ყოფილა და არა ღვინით გაგუდული).

ცხადია, ეს შენიშვნები წვრილმან ხასიათს ატარებენ. მათ დასაძლევად ფრაზაზე, ნაწარმოებზე მეტი გულისყურით მუშაობაა საჭირო. ხოლო ასეთი, გულისყურით მუშაობის შედეგად ავტორს შესწევს ძალა ტექნიკურადაც დაძლიოს და საინტერესო სიტყვიერ სამოსელშიც გაახვიოს გონებამახვილურად გააზრებული მოვლენა თუ ხასიათი. აი, მაგალითად, „ცეცხლი“, რომელშიც ასახულია ერთი მართალი ხელოსანი კაცის — ამროსი მეკუბოვის სულიერი ტრაგიზმი. გარეგნულად, სხვათა დასანახად, თითქოს უდრტვინველად, მშვიდად მიდიოდა ამროსის ცხოვრება. მაგრამ ავტორი გვიჩვენებს, როგორ ნზადდება მძაფრი შინაგანი კონფლიქტი ხელოსნის სულში. ამროსისთან სიახლოვეს ყველა გაურბის. არავის ეხალისება საქმე დაიჭიროს მეკუბოვესთან. მხოლოდღა საჭიროების ჟამს მოაკითხავენ მას და, უსიამოვნო გრძნობით შეწუხებულნი, სწრაფადვე გაეცლებიან. თითქოს შეეჩვია ამროსი თავის უმადურ ხელობასა და ადამიანებთან ამგვარ დამოკიდებულებასაც. ეს იყო მხოლოდ, ხანდახან, საქმეზე გულაცრუებული, პატარა ჯორკოს სახელოსნოს წინ დაიდგამდა და ხალხზე უაზროდ მიშტერებული თავის საფიქრალს ფიქრობდა: მექტრობით ხე-ტყე იყო მოსაჭრელი და გასანადგურებელი ამ ხალხის საბოლოო გაპატიოსნებისათვის.

მწვავედ გრძნობდა ამროსი, როგორი შიში ახლდა ამის გაფიქრებას, მის უმადურ და მაინც ყველასათვის აუცილებელ, გვერდაუვლელ ხელობას. „ვინც საბოლოოდ პატივი სცა მიცვალებულს, საიმქვეყნო გაუმზადა და მოუჩუქურთმა, ვინც სამარე ამოუჭრა და...“ ჩაესმოდა ამროსის ყურებში და გრძნობდა, როგორი შიშითა და მორიდებით სცემდნენ მის სადღეგრძელოს საცხა-საცხა“.

ასე თანდათან, წვეთ-წვეთობით ჩაგუბდა ამროსის სულში ტრაგიკული მიუსაფრობა, რამაც ნოველის ბოლოს ერთბაშად ამოხეთქა, როგორც წლობით გულში ნაგროვებმა პროტესტმა. მთვრალ ხელოსანს კიდევ უფრო უფაქიზდებოდა გრძნობები, საკუთარ თავს ებრძოდა, რატომ მაინცდამაინც მე უნდა ვიყო ამ უმადური საქმის გამკეთებელიო, პარიკმახერობა მესწავლა, ვინმეს გარღვეული ფეხსაცმელი გამეკერა, რადა ეს ხელობა ავირჩიეო.

და აი, ერთ დღეს შეგუბულმა ბოღმამ ერთად იჩინა თავი: ამროსი მეკუბოვის მიერ გაჩენილმა ცეცხლმა გადაბუგა სახელოსნო. ავტორმა კარგად დაგვანახა ამროსის სულში მიმდინარე ფიქრთა ჭიდილი, ფსიქოლოგიური დამაჯერებლობა შეიძინა ამ რომანტიკულმა, ტრაგიკული ფერებით დათალხულმა ამბავმა.

წიგნის მრავალრიცხოვან პერსონაჟთაგან კი თავის თავთან განმარტოებული და საკუთარ ფიქრებში დრამატულად ჩაღრმავებული მრავალი პერსონაჟი გამახსოვრდებათ, მათი ამხედრება მარტოობის წინააღმდეგ, მათი ქცევა და ჭიდილი საკუთარ სულთან თუ ცხოვრების უკუღმართობასთან, ზოგჯერ იქნებ არაბუნებრივადაც გამოვლენილი, გიზიდავთ თავისი უშუალობით (მაგალითად, გავიხსენოთ ნოველები: „ზამთარში მარტო კაცის წასაკითხი მოთხრობა“, „სიჩუმე“, „მარტო დარჩა სახლი“, „ბენო“, „ზღვა და ტარასი“...).

ამ ადამიანებს, მიუხედავად ცალკეულ შემთხვევაში ქცევათა უცნაურობისა, არა აქვთ რაიმე განსაკუთრებული ტკივილი თუ სიხარული. ჩვეულებრივი ყოველდღიურობიდან გამომდინარეობს მათი უცნაურობა, საერთოდ, მათი მოქმედების ყოველი ნიუანსი. ისინი უბრალო, მართალი, პატიოსანი ადამიანები არიან, საოცრად უპრეტენზიონი. მათ საყოფაცხოვრებო რომანტიკაში წრფელი ლირიზმი შეაქვს ავტორს მოჭარბებული აღსარებების, მონოლოგებისა და მსუბუქი იუმორით გაფაქიზებული დიალოგების გამოყენებით.

თუმცა ზოგიერთი ხასიათი ფრაგმენტულია და ეპიზოდური, მაგრამ პერსონაჟის სულიერი ცხოვრებიდან ამოკრეფილი ცხოვრებისეული დეტალები, ხშირად, სწორედ იმ ნიშნებით მკვიდრდებიან ჩვენს ცნობიერებაში, რისთვისაც გაისარჯა ავტორი.

აი, მაგალითად, მარტოხელა მოხუცი ქალის ცხოვრებაზე დაწერილი ნოველა — „სიჩუმე“. ღმერთის ანაბარა მიტოვებული, მარტოდმარტო ცხოვრობს თავის ერთოთახიან ბინაში უთვისტომო ელო. მოხუცის ერთფეროვანი და უპერსპექტივო ცხოვრება თავისი მყუდრო, აუმღვრეველი მდინარებით მარადიული სიცარიელის შესართავს მიახლოებია. არავის ელის ელო. არც არავინ მოდის. ესაა მხოლოდ, პატარა, ონავარი ბიჭი თუ დარეკავს კარზე ზარს ხანდახან და იგი დააფრთხობს სახლში დასადგურებულ ნესტიან სიჩუმეს.

ელოს კი ხმაური უნდა, ხმაური, რომელიც გაღვიძებული, ღონიერი სიცოცხლის მაცნე იქნება. სამწუხაროდ, ასეთმა ხალისიანმა ხმაურმა კარგა ხანია „ჩაილულის წყალი დალია“. ერთადერთი სულიერი, რომელსაც ელოსთან ერთად ჭერქვეშ დაუდევს ბინა, თაგვია. თითქოს უცნაურია, მაგრამ ამ თაგვის გამოჩენას განსაკუთრებული სიხარულით ელის ელო. ესღა დარჩენილა მისთვის ერთადერთ დღესასწაულად. მაშ, ელო მარტო აღარაა, კიდევ სუნთქავს მის ჭერქვეშ ერთი სულდგმული.

ასეთი დეტალებით იკინძება მარტოხელა ქალის უსიხარულო ცხოვრების ისტორია (ამ სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერესო ნოველაში, ჩემი აზრით, ღისონანსი შეაქვს ელექტროენერგიის აღმრიცხველისა და ელოს საუბარს პოეტებზე. „ელექტროენერგიის აღმრიცხველმა იხუმრა ამას წინათ, ზოგიერთ პოეტს მაგონებს მაგ საათი, ტიკტიკებს, მაგრამ დროს არ უჩვენებსო“. ეს და მომდევნო სტრიქონები თავისი ნაძალადევი იუმორითაც და შინაარსობრივი გამიზნულობითაც გაუმართლებელ შეუსაბამობად მეჩვენება ნაწარმოებში).

კრებულის მეორე განყოფილებაში თავმოყრილ ნახევარზღაპრებში ავტორი შეეცადა ახლებური კუთხით გაეაზრებინა ადამიანური ცხოვრების უარყოფითი მხარეები. ამ მამხილებლობითა და მანკიერებებთან შეურიგებლობის პათოსით იქცევენ ისინი ყურადღებას.

ნახევარზღაპრებში ფანტასტიკური ელემენტი, მართალია, ძირითად ადგილს იჭერს მოქმედების განხავითარებლად, მაგრამ ეს ფანტასტიკა როდი ანიჭებთ მათ მომხიბვლელობას; მთავარი ამ ფანტასტიკის სიმბოლური გამიზნულობა და მისი მეშვეობით ადამიანურ მანკიერებათა კრიტიკაა. ესაა ზღაპრები, რომლებშიც ავტორი ცდილობს კეთილისა და ბოროტის მარადიული ჭიდილი, ცხოვრებისეული სიბრძნე და გონიერება ახლებური კუთხით დაინახოს.

ჩანაფიქრი ნახევარზღაპრებში ძირითადად მითიურ პლანში ვლინდება. ამითაა განპირობებული ტენდენცია, — რიგითი ადამიანების სული ჩაუდგას ავტორმა ღმერთსა და ანგელოზებს. აქ მკითხველი შეხვდება ზღაპრული სამყაროს საუკუნოვანი მონაპოვრიდან გამოხმობილ უხორცო არსებათა მდიდარ გალერეას, რომლის ბინადარნი ისევე მოქმედებენ, იღვწიან და საქმიანობენ, როგორც რიგითი ადამიანები.

მათ ყოველდღიურ მოქმედებასა და ქცევაში ვლინდება სიკეთისა და ბოროტების უკომპრომისო ურთიერთჭიდილი. იქნებ ზოგ შემთხვევაში ეს დაპირისპირება და ჯადოსნური საუფლოს წარმომადგენელთა გამიწიერება ავტორის ზედმეტ რისკსაც და სითამამესაც ემყარებოდეს (ეს განსაკუთრებით ითქმის ბებერი ღმერთისა და ცბიერი ანგელოსების მოჭარბებულ დიალოგებზე, რომლებსაც ასევე ზედმეტად და გაუმართლებლად დაეტყო ტენდენცია — იმერული დიალექტური გამოთქმების თხრობაში შემოტანისა), მაგრამ, საბოლოო ჯამში, მაინც ახალგაზრდა მწერლის მახვილმა თვალმა გაიმარჯვა.

საილუსტრაციოდ მინდა შევჩერდე ორ ნახევარზღაპარზე. ესენი გახლავთ „პრაწა“ და „ყიყინათა ქალაქი“. „პრაწაში“ მოცემულია სიმბოლური გააზრება სიკეთისა და ბოროტების მარადიული ბრძოლისა. სიკეთისა და ბოროტების შეუღლების შედეგად, — გვიამბობს ავტორი, — ქვეყნად გაჩნდა პრაწა, რომელიც ცალფეხა იყო. დედას ბავშვობაშივე მოეტეხა მისთვის ის ფეხი, რომელიც მამისკენ ექაჩებოდა პრაწას. გაჯავრებულ მამას ცოლი მოეწამლა, თვითონაც სიბრაზისაგან გაბერილა, შუაზე გამსკდარა, ჰაერში გაბნეულა და ქალაქის მცხოვრებლებს ჟანგბადთან ერთად ჩაესუნთქა.

ამიტომაც იყო, რომ ქალაქში ბევრი ბოროტი ადამიანი ცხოვრობდა. ასე საინტერესო, ფანტასტიკური და გულუბრყვილო ახსნა მოუძებნა მწერალმა ქვეყნად ბოროტების არსებობას.

მსგავსი სიმბოლიკები ნოველაში უხვად გვხვდება. ნაწარმოები ბოროტების დათრგუნვის ძლიერი სურვილით და ამ წადილის ეფექტური გამოხატვის ნიშნითაა აღბეჭდილი.

ნახევარზღაპრის სიმბოლიკა ყველაზე უფრო ფინალში ვლინდება. ერთ დღეს, დაღვრემილი და ხელფეხშეკრული პრაწას ოთახში სინდისი გაჩნდა, რომელმაც გაათავისუფლა იგი მარადიული ბორკილებისაგან. გათავისუფლებულ პრაწასა და სინდისს შვილი გაუჩნდათ, რომელსაც სახელად სიმართლე დაარქვეს. „უცებ, გაღებული სარკმლიდან ეშმაკი შემოძვრა, აკვანს რომ თვალი მოჰკრა, საზარლად ჩაიხითხითა, პატარა სიმართლეს ხელ-ფეხზე არტახები მაგრად შემოუჭირა და თავისი ყრანტალა ხმით იავნანა წამოიწყო.

სიმართლემ როდი დაიძინა, იგი ყოველ წუთში იზრდებოდა, ძლიერდებოდა, როცა არტახები დაგლიჯა და აკვანშიც აღარ დაეტია, შეშინებულმა ეშმაკმა იფიქრა, არ მომახრჩოსო, გუდა-ნაბადი აიკრა და გაუჩინარდა.

ოთახში შემოსულმა პრაწამ შვილი რომ ფეხზე დაინახა, გაკვირვებისაგან თვალები დააფახულა. მერე, როცა სიმართლეს ოთახიც ეპატარავა, კარები გამოუღო და გზა დაულოცა“.

„ყიყინათა ქალაქის“ მამხილებელი პათოსი კი უფრო კონკრეტულ ვითარებას შეეხება. ეფექტურია ამ ნახევარზღაპრის ამბავი, ხოლო ალეგორია ადვილად ახახსნელი.

ჩემს მიერ წამოჭრილი საკითხებით, რა თქმა უნდა, არ ამოიწურება წიგნის ღირსება-ნაკლოვანებანი. მე შევეცადე კრებულის მხატვრული სახის განმსაზღვრელი ნიშან-თვისებები წამომეწია წინა პლანზე და მკითხველისთვის მეჩვენებინა, რომ „დაუძინებლად ნანახი სიზმრებით“, თ. ლანჩავამ კიდევ უფრო განამტკიცა და განავითარა მისი ადრინდელი ნოველებისათვის დამახასიათებელი დადებითი ტენდენციები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უშანგი რიჟინაშვილი

# ისტორიული მეცნიერების ინფორმაციით უზრუნველყოფა

სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში მეცნიერული კვლევის ინფორმაციით უზრუნველყოფა ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა. ინფორმაციის მოქნილობაზე, ოპერატულობაზე, ფუნდამენტურობაზე ბევრით არის დამოკიდებული თანამედროვე სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის დონე და ხარისხი.

ჩვენს ქვეყანაში საბუნებისმეტყველო და ტექნიკური დარგების სამეცნიერო-საინფორმაციო სამსახური დიდი ხანია ვითარდება და საკმაოდ მაღალ დონეზე დგას. ამას ვერ ვიტყვით საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგებში სამეცნიერო-საინფორმაციო მოღვაწეობაზე. საბჭოთა კავშირში საზოგადოებრივი მეცნიერებების სამეცნიერო ინფორმაციით უზრუნველსაყოფად ბოლო წლებში შეიქმნა სპეციალიზებული საინფორმაციო დაწესებულებების ფართოდ გაშლილი ქსელი. პრაქტიკულად ამ ქსელმა ჰუმანიტარული ცოდნის ყველა დარგი მოიცვა. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგების სამეცნიერო ინფორმაციის ინსტიტუტი სამეცნიერო-საინფორმაციო მოღვაწეობის სფეროში მოთავე დაწესებულება გახდა.

რეფერატული ჟურნალების, პრობლემური კრებულების, ბიულეტენების, ბიბლიოგრაფიების, ექსპრეს-ინფორმაციების გამოცემებმა უზრუნველყო საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგებში მომუშავე მკვლევარები ოპერატიული და ფუნდამენტური ხასიათის მრავალფეროვანი ინფორმაციით, საზღვარგარეთელი ავტორების ყველაზე მნიშვნელოვანი ნაშრომების თარგმანებით. მოქნილი და კარგად დამუშავებული რუბრიკატორი სამეცნიერო ინფორმაციის მოზღვავების პირობებში საჭირო სამეცნიერო დოკუმენტების მოსაძებნად მეცნიერებისათვის საიმედო გზამკვლევი გახდა.

სამეცნიერო-საინფორმაციო სამსახურის სისტემაში მნიშვნელოვანი რგოლია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში სამეცნიერო ინფორმაციის სექტორი და საზოგადოებრივ მეცნიერებათა ინსტიტუტების სამეცნიერო ინფორმაციის განყოფილებები. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში რამდენიმე წელია წარმატებით მუშაობს სამეცნიერო ინფორმაციის განყოფილება, რომელსაც უ. სიდამონიძე ხელმძღვანელობს. გასულ წელს გამომცემლობა „მეცნიერებამ“ გამოსცა მისი წიგნი „ისტორიული მეცნიერება და სამეცნიერო ინფორმაციის საკითხები“, რომელიც რესპუბლიკაში არსებითად პირველი ნაშრომია საზოგადოებრივ მეცნიერებებში სამეცნიერო-საინფორმაციო მოღვაწეობის შესახებ.

უ. სიდამონიძის ნაშრომში ყოველმხრივ და ფართოდ არის გაშუქებული ისტორიულ მეცნიერებაში მეცნიერებათმცოდნეობისა და ინფორმატიკის ძირითადი პრობლემები. როგორც ცნობილია ისტორიულ მეცნიერებაში დიფერენციაციის ღრმა პროცესები მიმდინარეობს. განვითარების თანამედროვე დონეზე, ისტორიული კვლევის სამეცნიერო ინფორმაციით უზრუნველყოფის თანამედროვე საშუალებები აშკარად არასაკმარისია. ავტორი ასაბუთებს აზრს იმის თაობაზე, რომ ისტორიული კვლევის პროცესში სამეცნიერო-საინფორმაციო მოღვაწეობა გამოიყოფა, როგორც მეცნიერული მუშაობის ნაირსახეობა. სწორად ახასიათებს რა სამეცნიერო-საინფორმაციო მოღვაწეობის ყველა ასპექტს, ავტორი დაწვრილებით აშ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უქებს ისტორიულ მეცნიერებაში სამეცნიერო ინფორმაციის დაცვისა და გადაცემის საშუალებებს. ისტორიული თხზულებები და წყაროები, რომელიც მკვლევარისათვის პირველადი ინფორმაციაა, მეცნიერული დამუშავების პროცესში წარმოგვიდგება, როგორც მეორადი ინფორმაციის შექმნის საფუძველი.

ავტორი სწორ დასკვნებს აკეთებს, როცა წერს: პირველადი სამეცნიერო დოკუმენტები — ისტორიული თხზულებები არ ემორჩილება დროს და არ კარგავს თავის მეცნიერულ ღირებულებას. მაშინაც კი როდესაც ისტორიული თხზულება კარგავს სამეცნიერო ინფორმაციის სიახლეს, იგი მეცნიერულ მიმოქცევაში მაინც რჩება, მაგრამ, ამჯერად, როგორც ისტორიოგრაფიული კვლევის წყარო.

საყურადღებოა ფ. სიდამონიძის თეზისიც იმის შესახებ, რომ ისტორიულ მეცნიერებაში სამეცნიერო-საინფორმაციო მოღვაწეობა ინტეგრირებულია სპეციალურ ისტორიულ დისციპლინასთან — ისტორიული მეცნიერების ისტორიასთან. ავტორი განიხილავს და აანალიზებს მეცნიერული კვლევის ინფორმაციით უზრუნველყოფის საშუალებებსა და გზებს, შესაძლებლად მიიჩნევს მათ შემდგომ გაფართოებასა და გაღრმავებას.

ნაშრომს აქვს სტრუქტურული ხასიათის ხარვეზი. ზოგად ნაწილს, რომელიც ინფორმატიკის თეორიის პრობლემებს ეხება, წიგნში უფრო დიდი ადგილი უჭირავს, ვიდრე ისტორიულ მეცნიერებაში მისი კონკრეტული გამოყენების საკითხებს. მაგრამ ეს და სხვა მსგავსი ხარვეზები იმის გამო აქვს წიგნს, რომ იგი პრაქტიკულად პირველი ნაშრომია საქართველოში მეცნიერებათმცოდნეობასა და ინფორმატიკაში; ამიტომ ავტორს სურს დაწვრილებით გადმოგვცეს ინფორმატიკის ძირითადი დებულებები და მისი ეს სურვილი გასაგებია.

ფ. სიდამონიძემ დაწერა ძალიან საჭირო და სერიოზული თეორიული ხასიათის ნაშრომი, რომელიც გარკვეული აზრით თავისებური სტიმული იქნება ჩვენში საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგებში სამეცნიერო ინფორმაციის თეორიის შესწავლის დასაწყისისათვის და დაეხმარება მკვლევარებს, მეცნიერებათმცოდნეებს თანამედროვე საინფორმაციო მოღვაწეობის მთელი რიგი საკითხების გარკვევაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კრიტიკა

ვიქტორ კახნიაშვილი, გიორგი ნიშნიანიძე

## მანძილი არსებულსა და არარსებულს შორის

ჟურნალ „ცისკრის" წლევანდელ №4-ში დაიბეჭდა კრიტიკოს ჯ. ღვინჯილიას წერილი „მანძილი უკმარისობასა და თვითკმაყოფილებას შორის", რომელიც შარშან „ცისკრის" №6-ში დაბეჭდილი ოთარ ნოდიას წერილის („მხატვრული თარგმანის პრობლემები") ერთგვარ პასუხს წარმოადგენს და სადაც კრიტიკოსი მკითხველს საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების მთავარი სარედაქციო კოლეგიის მუშაობის ზოგიერთ ნაკლოვანებაზე მიუთითებს.

როგორც წერილის სათაურიდანვე ჩანს, ჯ. ღვინჯილია ბრალს გვდებს ერთგვარ თვითკმაყოფილებაში, რაც, კრიტიკოსის სიტყვით, იმაში გამოიხატება, რომ მიუხედავად ქართული ლიტერატურის რუსულ ენაზე თვითდინების გზით შექმნილი უხარისხო თარგმანებისა, კოლეგია „ზედმეტად უწევს ანგარიშს ჩვენში გავრცელებულ ერთ ავადმყოფურ ჩვევას" (სტილი დაცულია), ერიდება მავანთა განაწყენებას, არ ებრძვის, არ უკიჟინებს მათ და ურიგდება შექმნილ სავალალო მდგომარეობას.

როგორც ვხედავთ, თურმე საკმაოდ მძიმე სურათი შექმნილა, რაც თავის მხრივ, აუცილებლად სერიოზულ ყურადღებასაც მოითხოვს, მაგრამ დამაფიქრებელი ის არის, რომ პატივცემულ კრიტიკოსს სრულიად განუპირობებლად, თვითნებურად გამოაქვს ასეთი დასკვნა, რადგან ო. ნოდიას წერილში მსგავსი რამ არ იგულისხმება. პირიქით, წერილის ავტორი სწორედ მდარე თარგმანებზე ვალალებს: „კამათს არ იწვევს ის გარემოება, რომ ხშირ შემთხვევაში ქართული ლიტერატურის ნაწარმოებები რუსულ ენაზე მხატვრულად დაბალ დონეზეა თარგმნილი, ერთფეროვანია, დაკარგული აქვთ სტილური მხატვრული თავისებურებანი, ზოგ შემთხვევაში კი არაფერი აქვთ საერთო თვით ორიგინალთანაც, ისე, რომ ავტორი ვერც კი სცნობს საკუთარ ნაწარმოებს". აქვე უნდა გავახსენოთ პატივცემულ კრიტიკოსს, რომ მსგავსი თარგმანების შეზღუდვისა და ალაგმვის მიზნით, კოლეგიამ მოაწყო საჯარო განხილვები, თავისი შემდგომი მუშაობისათვის დაახარისხა დღემდე არსებული თარგმანები და აუცილებლობად მიიჩნია მრავალი მათგანის ხელახლა თარგმნა; გამომცემლობებიდან სარეცენზიოდ გამოითხოვა გამოსაცემად გათვალისწინებული ბევრი სათუო თარგმანი და შეაფასა მათი ხარისხი; დაუგზავნა სათარგმნი ლიტერატურის რეკომენდაციები გამომცემლობებს; შექმნა ქართულ ნაწარმოებთა რუსულ ენაზე თარგმნის სპეციალური რედაქცია; სისტემატურად იწვევს გამოჩენილ რუს მთარგმნელებს, კონსულტაციებს უწევს მათ და ამარაგებს დამხმარე ლიტერატურით, ზოგიერთ მათგანს ასწავლის ქართულ ენას, და სხვ.

პატივცემული კრიტიკოსი ძირითადად ო. ნოდიას წერილის ერთ ადგილს ეურჩნობა და აქედანაა მისი საპასუხო რეცენზიის მთელი პათოსიც. აი, ეს ადგილი: „თუ საკითხის გადაწყვეტას ამ თვალსაზრისით მივუდგებით, უნდა ვთქვათ, რომ ცალკეული ნაკლოვანების, კურიოზის გამო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩხრეკა დიდს არაფერს მოგვცემს. არ არის სწორი, საკითხის გადაწყვეტა ნეგატიური კუთხიდან ვცადოთ. გარდა ამისა, ასეთ ეზას, საბოლოო ჯამში, თუ უსაფუძვლო კამათამდე, თუ კინკლაობამდე არ მივყავართ, ფაქტების უბრალო აღმნუსხველის როლში მაინც გამოგვყავართ. ეს კი მუდამ დაგვიანებული რეაქციაა".

ჯერ ერთი, უნდა აღვნიშნოთ, რომ აქ გამოთქმული აზრი კოლეგიის წევრთა საერთო აზრს წარმოადგენს. მართლაც, როცა კოლეგია, ერთის მხრივ — მუშაობა და მეორის მხრივ — „ბრძოლა", რასაც ასე დაჟინებით მოითხოვს ჩვენგან პატივცემული კრიტიკოსი, გამოიკვეთა და კონკრეტული ფორმები მიიღო, რაკიდა ჩვენთვის ეს საქმე თანდათან უფრო სერიოზული და სისხლხორცეული გახდა, გზადაგზა იმ დასკვნამდე მივედით, რომ საქმეს უშველიდა არა იმდენად მდარე თარგმანების თათხვა, ხარვეზებზე წუწუნი თუ ნეგატიურის გამოჩხრეკა და ფიქსაცია, არამედ შემოქმედებითი, აღმშენებლობითი სამუშაოების გაშლა და პოზიტიური გზების ძიება, რაც სრულიადაც არ ნიშნავს ნეგატიურ მომენტებზე ყურადღების მოდუნებას, პირიქით თათხვა და კიჟინი ახალს მართლაც არაფერს იძლევა და სწორედ ამაზეა ო. ნოდიას წერილში ლაპარაკი, სადაც იგი ამბობს, რომ ასეთი რამ მუდამ დაგვიანებული რეაქციაა, რადგან დეფექტის აღმოფხვრაზე მის შექმნისთანავე უნდა ეზრუნათო. პატივცემული კრიტიკოსი ალბათ დაგვეთანხმება, რომ „ბრძოლაში" პოზიტიურ გზებზე გადასვლა ბრძოლის უფრო დიდი და სერიოზული ეტაპია. ბრძოლაა ისიც, რომ დღეს საქართველოში კონკრეტდება და ყალიბდება მთარგმნელის ტიპი, ისევე როგორც არსებობს მწერლის ტიპი; ბრძოლაა ისიც, რომ თარგმანება ჩვენს საზოგადოებრივ შეგნებაში ქმედით, სისტემურ, თითქმის ყოველდღიურ ობიექტად იქცა, რომ კოლეგიის სწორედ ამ პოზიტიური მცდელობის შედეგად მთარგმნელობით-შემოქმედებით შრომაში ჩაბმულია გაცილებით მეტი, ვიდრე ოდესმე, ქართველი და რუსი, საბჭოთა და უცხოელი მწერალი თუ მთარგმნელი.

მაგრამ პატივცემული კრიტიკოსი რატომღაც ღრმად არის დარწმუნებული, რომ თარგმანის ბედზე მთელ საქართველოში მარტო თვითონ ფიქრობს და წუხს. ასე რომ არა, საიდან უნდა მოდიოდეს ესოდენ დიდი „გულისტკივილი" და შეშფოთება, ან ასეთი ფრაზები და გამოთქმები, ესოდენ ხშირად რომ გვხვდება ერთ წერილში: „მტკივნეული პრობლემები", „საქმეს შველა უნდა", „რა დიდი მიზეზი გვაქვს უკმაყოფილებისათვის, შეშფოთებისათვის", „შეგუება ღალატია", „მასზე ფიქრი სასიცოცხლო მოთხოვნილებაა და რეაგირებას მოითხოვს", „შექმნილი ვითარების მეტი მოთმენა აღარ შეიძლება", „გარკვევით უნდა ითქვას ყველაფერი", „ჩემი წერილი დღემდე არსებულ ვითარებასთან შეურიგებლობის პათოსით არის ნაკარნახევი", „სიმართლისათვის თვალის გასწორების გარეშე ნათელ მიზანს ვერავინ დაისახავს", „მოდუნდა ქართული კრიტიკული აზროვნებისა და ლიტერატურის ძარღვები" და სხვ.

მაგრამ ეს კიდევ არაფერი. პატივცემული კრიტიკოსი შიშობს, რომ მომავალში, მსგავსად მწერალთა კავშირისა, „მერანის" რუსულ გამოცემათა რედაქციისა, მოსკოვის გამომცემლობებისა და სხვ., კოლეგიაც აუცილებლად წავა კომპრომისებზე და ათასგვარ, ჭრელ ავტორთა მოძალებისას თვითონაც ხელს მიჰყოფს მდარე თუ უფერული ნაწარმოებების რუსულ ენაზე თარგმნას. თუმცა მსგავსი შემთხვევა ჯერჯერობით არ ყოფილაო, — დასძენს პატივცემული კრიტიკოსი,— მაგრამ თურმე ამან „შეიძლება სიფხიზლე მოგვაკლოს და თვითკმაყოფილებისაკენ მიგვაბრუნოს". მე ნაკლებად მჯერაო, — აღნიშნავს ჯ. ღვინჯილია, — რომ „კოლეგია შესძლებს იმას, რაც მწერალთა კავშირმა და გამომცემლობებმა, როგორც ორგანიზაციებმა ვერ შესძლეს, რადგან კოლეგიაც ერთი ორგანიზაციააო".

პირდაპირ გაოცებას იწვევს ცუდის გარდუვალობის ესოდენ შეუვალი რწმენა. ასეთი დიდი ამოცანა, რომლის „გასრულება", ჯ. ღვინჯილიას აზრითაც, თაობების საქმეა, არასოდეს იქნება ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვეტილი. დღეს უნდა შევიძლოთ ის, რასაც ქართული მწერლობისაგან, ქართული მთარგმნელობითი ლიტერატურისაგან, ლიტერატურულ-საგამომცემლო დაწესებულებებისაგან თანამედროვეობა მოითხოვს, რაც აუცილებელი და საჭიროა მომავალი თაობებისათვის, მშობლიური ქართული ლიტერატურის შემდგომი განვითარებისა და გაფურჩქვნისათვის. გარდა ამისა, ო. ნოდია თავის წერილში კოლეგიის საქმიანობაზეც ლაპარაკობდა, რაც, როგორც ჩვენ ვიცით, მომავალი გეგმებისა და სამუშაოების საზოგადოებისათვის გაცნობასა და ერთგვარ პოპულარიზაციასაც ითვალისწინებდა, პატივცემულმა კრიტიკოსმა კი ასეთი ლაპარაკი ნაკლად და უტაქტობადაც ჩათვალა: „ის, რაც კოლეგიის პორთფელში დევს, არ შეიძლება ლიტერატურულ ფაქტად ჩაითვალოს გამოქვეყნებამდე... კრიტიკას მხოლოდ ლიტერატურულ ფაქტებზე შეუძლია მსჯელობა, კულისებში გაწეულ სამზადისზე ან ავის თქმა, ან კარგისა — მკრეხელობაა"... — ე. ი. არავის აქვს უფლება მომავლის გეგმები დღევანდელ რეალობად მოგვაჩვენოსო. თვითონ ჯ. ღვინჯილია კი არარსებულ შეცდომებზე, კოლეგიის მიერ მომავალში თითქოსდა გაუთვალისწინებელ კომპრომისებზე აღშფოთებული მიუთითებს.

პატივცემული კრიტიკოსი ეტყობა კარგად ვერ

---

ვიქტორ კახნიაშვილი
გიორგი ნიშნიანიძე
მანძილი არსებულსა და არარსებულს შორის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გარკვეულა ო. ნოდიას წერილში წამოჭრილ საკითხებსა თუ კოლეგიის საქმიანობის ამსახველი ფაქტობრივი მასალის შინაარსში. როცა საქმე ქართული ლიტერატურის ნიმუშთა რუსულ ენაზე თარგმნას ეხებოდა, არც კოლეგიას გამოუტანია უპრინციპო დასკვნა და არც მწერალთა კავშირს გაუცია ამ დასკვნის საწინააღმდეგო რეკომენდაცია. ეს საკითხის ერთი მხარეა და სულაც არ ნიშნავს იმას, რომ კოლეგიამ ამ სფეროში არსებული ხარვეზები მთლიანად გამოასწორა. ქართულიდან რუსულ ენაზე თარგმნის საქმე, უპირველესად და უპირატესად, რუსული ლიტერატურის სფეროს განეკუთვნება და არა ქართულისა. ამ საქმის წარმატების აუცილებელი პირობაა ნიჭიერი ქართველი და რუსი მწერლების ერთობლივი შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის საჭირო პირობებისა და ატმოსფეროს შექმნა, შემოქმედებითი კონტაქტების, ურთიერთთანამშრომლობის მაღალ დონეზე წარმართვა და არა ექსტრაორდინალური მკაცრი ზომების განხორციელება მწერლებისა და მთარგმნელების მიმართ.

ჯ. ლვინჯილიას აზრით, რაკილა, მსგავსად დღემდე არსებული ყველა სათანადო დაწესებულებისა, ვერც კოლეგია დააღწევს თავს ცთუნებებს და კომპრომისებზე წავა, ამ საქმისათვის თურმე საჭიროა კიდევ რაღაც ახალი, განსაკუთრებული ფორმის შექმნა (გავბედავ და ამ ფორმას აქვე შემოგთავაზებთო): „რუსულ ენაზე სათარგმნი კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობის ნიმუშების შერჩევა განხორციელდეს სახელმწიფოებრივ დონეზე, მკაცრად კონსპირირებული, საგანგებოდ ამ საქმისათვის შექმნილი ჟიურის მიერ“ — აცხადებს იგი.

აქ ჩვენ მხოლოდ იმას დავუმატებდით, რომ ვერც ჯ. ლვინჯილიას შემოთავაზებული ეს „საგანგებო“, ნახევრადპოლიციური ჟიური გაართმევს თავს მოსალოდნელ სიძნელეებს, რადგან ლიტერატურული პრობლემების გადასაწყვეტად პატივცემული კრიტიკოსი იძულებული იქნება ჟიურის წევრებად ისევ ლიტერატორები და მწერლები შეარჩიოს, როგორც ამ შემთხვევაში ერთადერთი კომპეტენტური პირები. საინტერესოა, რატომ არ დაებადა სურვილი პატივცემულ კრიტიკოსს, მიახლოებით მაინც გასცნობოდა, რა პრაქტიკული მუშაობაა დაწყებული იმ სფეროში, რომელშიც თავად ასეთ კარდინალურ რჩევებს იძლევა. იგი რომ საქმის ვითარებაში ნამდვილად გარკვეულიყო, მაშინ მისი მოსაზრებებიც (რაკილა აუცილებლად ჯ. ლვინჯილიას უნდა მოემზადებინა წერილი ქართულიდან რუსულ ენაზე მხატვრული თარგმანის პრობლემებთან დაკავშირებით) ალბათ უფრო მისაღებიცა და გასათვალისწინებელიც იქნებოდა. ძველად ნეგატიურზე უფრო ფრთხილად ლაპარაკობდნენ — ნაკლი და მანკი არ შეამჩნიო, ხოლო თუ აღიარებ, დასძლიე კიდეცო. ზოგნი იმასაც აღნიშნავდნენ, რომ ნეგატიური იგივე პოზიტიურია, ოღონდ განვითარების გაცილებით უფრო დაბალ საფეხურზე დგასო. ე. ი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ნეგატიურის პოზიტიურად გარდაქმნისათვის აუცილებლობად მიიჩნევდნენ დროის ფაქტორს, ხანგრძლივ ევოლუციურ ხანას, ხოლო პოზიტიურის ბედით შეწუხებული ადამიანები ნეგატიურთან ბრძოლის საუკეთესო ხერხს პოზიტიურის აქცენტირებასა და ემფატირებაში ხედავდნენ — მათი გაგებით სწორედ პოზიტიურის ზრდას უნდა გაენეიტრალებინა და მიეჩქმალა კიდეც ყოველგვარი ნაკლი. ასეთ სიფრთხილესა და პასუხისმგებლობას გულისხმობდა ყოველთვის ნეგატიურთან ბრძოლის ტაქტიკა და დიალექტიკა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ახალი წიგნები

## საფო

საფო — ლირიკა, ძველბერძნულიდან თარგმნა ნანა ტონიამ, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, რედაქტორი ც. ჯეთერელი, 1977 წელი.

ჩვენს წინაშეა პლატონის მიერ მეათე მუზად წოდებული, ანტიკური სამყაროს „საკვირველი მოვლენის“ — საფოს ცხოვრებისა და შემოქმედების შემცველი ლამაზი წიგნი. არ შეიძლება, რომ პოეზიით დაინტერესებული ან ანტიკურ სამყაროს ნაზიარები თითოეული ქართველის სიხარული არ გამოიწვიოს ამ წიგნის გამოჩენამ. მართალია საფოს რამდენიმე ლექსი ადრეც თარგმნილა ქართულად (გ. წერეთელი, რ. მიმინოშვილი, კ. ჭიჭინაძე, გ. სარიშვილი), მაგრამ საფოს ცხოვრება და მოღვაწეობა სრული სახით აქამდე არ გვქონია არც ქართულ და არც რუსულ ენაზე.

სარეცენზიო წიგნში თავმოყრილია დღეისათვის ცნობილი, საფოს მთელი შემოქმედება, სულ 250 ფრაგმენტი. ეს ფრაგმენტები ძველი ბერძნულიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ჩვენს უნივერსიტეტთან ჩამოყალიბებული „ბერძნულ-ლათინური ბიბლიოთეკის“ უფროსმა რედაქტორმა, ახალგაზრდა ანტიკოსმა და ლიტერატორმა — ნანა ტონიამ.

ამ თარგმანებით იგი წარმოგვიდგება კარგ მოქართულედ, პოეტური ნიჭით დაჯილდოებულ, მეცნიერული ალღოს მქონე პიროვნებად, რაც ჭეშმარიტად მოეთხოვებოდა ამ წიგნის შემქმნელს. კრებულში წარმოდგენილია აგრეთვე ფრაგმენტთა ბერძნული ტექსტი, რაც კიდევ უფრო ამაღლებს ამ წიგნისა და მისი შემქმნელის ავტორიტეტს. ჩატარებულია საკმაოდ ძნელი სამუშაო. ძნელია თარგმნო ფრაგმენტულად (ფრაგმენტებსაც გააჩნია) მოღწეული ნაწარმოები ისეთი რთული ენიდან, როგორიც ძველბერძნული ენაა. თუ არ გავითვალისწინებთ ზოგიერთ უზუსტობას, რაზეც არც ღირს ლაპარაკი ჩატარებულ სამუშაოსთან შედარებით. სასიამოვნოა აღინიშნოს, რომ მთარგმნელი კარგად ფლობს სათარგმნელი ტექსტის ენას, რაც ესოდენ სავალდებულოა ყოველი მთარგმნელისათვის. თუმცა ყველასათვის ცნობილია, რომ მხოლოდ იმ ენის ცოდნა, საიდანაც ვთარგმნით, არ არის საკმარისი კარგი შედეგის მისაღებად, მაგრამ იმის თაობაზე, რომ ნანა ტონია კარგი მოქართულეა, უკვე გვქონდა საუბარი; ამის საილუსტრაციოდ აქ წარმოვადგენთ მხოლოდ ერთ სტროფს მისი თარგმანიდან:

მიგაბარებენ სამარეს ოდეს, სახელი შენი
წარხდება უმალ,
ვერ ეზიარე რამეთუვარდთა,
წარმოჩინებულთ პიერიიდან,
ასე იდუმალ ბნელი ჰადესის
სამფლობელოში ჩანასვენები,
უსხეულო და უცხო ლანდების
გარემოცვაში იბორიალებ...

იგივე სტროფი იმის ნიმუშადაც გამოგვადგებოდა, რომ მთარგმნელი დაჯილდოებულია პოეტური ნიჭით, ურომლისოდაც ხელი არავინ უნდა მოკიდოს საერთოდ მხატვრული ნაწარმოებისა და განსაკუთრებით ლირიკული პოეზიის თარგმნას.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ძველბერძნულ პოეზიაში არ იყო რითმა და ჯერ კიდევ არაა დადგენილი ქართულ ენაზე რითმით ითარგმნოს ბერძნული ლექსი თუ ურითმოდ. რაც შეეხება ბერძნული სხვადასხვა სალექსო საზომის ქართულად გადმოცემას, ეს ძნელდება და არ შეესაბამება ქართულად აჟღერებული ლექსის რიტმს. სარეცენზიო წიგნში წარმოდგენილი თითქმის ყველა თარგმანი, რომელიც ასე თუ ისე სრული სახითაა მოღწეული, რომელშიც შეიძლება კარგად გამოჩნდეს როგორც ავტორის, ისე მთარგმნელის პოეტური ნიჭი და ალღო, ჩვენი აზრით იმისი ნათელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დადასტურება, რომ საერთოდ ბერძნული და კერძოდ საფოს ლირიკისათვის სრულებით არაა სავალდებულო რითმა.

იმდენად, რამდენადაც წინამდებარე წიგნში წარმოდგენილია ბერძნულ-ქართული პარალელური ტექსტი, გაადვილებულია თარგმანის სიზუსტის შემოწმებაც.

წიგნის ბოლოს (გვ. 138-144) წარმოდგენილია „სხვათა სიტყვანი", თქმულნი საფოს შესახებ, ამის შემდეგ კი ძველი დროიდან მოღწეული „ბიოგრაფიული ცნობები" (გვ. 144-157), რაც, თავი რომ დავანებოთ იმას, რომ წიგნს ახლავს მოზრდილი წინასიტყვაობა (გვ. 5-28), კომენტარები (გვ. 175-226) და სხვა, გვაფიქრებინებს, რომ წიგნის სათაური სწორად არ არის გააზრებული, მას უნდა ეწეროს არა ასე: „საფო — ლირიკა", არამედ უბრალოდ „საფო", მით უმეტეს რომ საფოს ხსენებაზე ყველას წარმოუდგება მისი მხოლოდ ლირიკა და არა სხვა სახის რომელიმე ნაწარმოები.

ნოდარ გაფრინდაშვილი

## „მზე და ჩრდილები"

დავით ჯავახიშვილი — მოთხრობები, გამომცემლობა „მერანი", რედაქტორი ც. ქაროსანიძე, 1978 წ.

დავით ჯავახიშვილის მოთხრობების კრებული, რომელიც გასულ წელს „მერანმა" ცალკე წიგნად გამოსცა, ავტორისვე სიტყვებით რომ ვთქვათ, „ყრმობასთან განშორების პრინციპით" არის შედგენილი. ეს მოთხრობები მწერლის ადრეული შემოქმედების ნაყოფია და მკითხველთა სამსჯავროზე მათი პირველი გამოტანის შემდეგ საკმაო დროა გასული.

ახალგაზრდობის ასაკში შექმნილმა შემოქმედებითმა ნიმუშებმა რომ მის ავტორს შემდგომში ველარ მიანიჭოს ის სიამოვნება, რაც მათი პირველი გამოქვეყნების დროს განიცადა, ეს გასაგებია. იზრდება მწერლის გემოვნება და მხატვრული ოსტატობა, რაც საკუთარი ნაწარმოებების მიმართ მეტი მოთხოვნის სურვილს ბადებს. ამჯერად კი მთავარი ისაა, მჟღავნდება თუ არა პერსპექტივა, რაც გარკვეული ვარაუდის გამოთქმის შესაძლებლობას მოგვცემს მწერალზე, უკვე მოპოვებული შემოქმედებითი ფაქტის ანალიზის საფუძველზე. აი საკითხი, რომელიც აინტერესებს მწერალს და რომელსაც გვაგრძნობინებს კიდეც თავისი წიგნის წინასიტყვაობაში.

ჩემი აზრით, დ. ჯავახიშვილის მოთხრობები იმსახურებენ მკითხველის ყურადღებას. მწერალი თავისი წიგნის დასაწყისშივე ახერხებს შექმნას მხატვრული ოსტატობის უტყუარი ატმოსფერო, მის მოთხრობებში ასახული ხინამდვილე უშუალო და გულწრფელ შთაბეჭდილებას ტოვებს. დარწმუნებული ვარ, რომ ბევრი თანამედროვე ქართველი ახალგაზრდა კაცი ჰპოვებს საერთოს დ. ჯავახიშვილის პროზაულ თხზულებათა პერსონაჟებთან.

კრებულში გამოქვეყნებული მოთხრობების უმრავლესობა მცირე ზომისაა, მაგრამ ეს არ უშლის ხელს მწერალს მხატვრულად დამაჯერებელი სახეების შექმნაში. ავტორს წერის ისეთი მანერა აქვს მომარჯვებული, სადაც ასახული მასალა მჭიდროდ უკავშირდება ნაწარმოების სიუჟეტურ მდინარებას და იქმნება ერთიანი რკალი, რაც საბოლოოდ ხელს უწყობს მასში იდეურ-მხატვრული მთლიანობის სრულყოფილ გამოვლენას. ასეთად მესახება კრებულში წარმოდგენილი პირველივე, სხვებთან შედარებით ვრცელი მოთხრობა, რომელსაც „მზე და ჩრდილები" ჰქვია.

ნაწარმოებში თხრობა პირველ პირში მიმდინარეობს და მკითხველი მთავარი პერსონაჟის ხილვებისა და განცდების თანამონაწილეა. ეს ფაქტი, ხშირ შემთხვევაში პროზაულ თხზულებაში მოჭარბებული ლირიზმის სათავედ იქცევა ხოლმე, მაგრამ ამ ნაწარმოებს თავისი ხასიათით, მთლიანად ლირიკულს ვერ ვუწოდებთ. დავით ჯანდიერი (ასე ჰქვია მთავარ პერსონაჟს), ახალგაზრდა ინტელიგენტი კაცის ჩვეულებრივი, ერთი შეხედვით მოსაწყენი ცხოვრებით ცხოვრობს. იგი ბანალობამდე დასულ, უხალისო შემთხვევითობაზე აგებულ თავგადასავლებს მაშინ გამოეთიშება, როდესაც სახლში საინტერესო წიგნი ელოდება. წიგნის წაკითხვის შემდეგ კი, როგორც მწერალი გვამცნობს: „...დიდხანს გრძელდებოდა მისი მაგიური ძალის გავლენა, ინერციასავით თანდათან კლებულობდა და ნელა ქრებოდა. იწყებოდა კვლავ უწიგნო, მოწყენილი საღამოები".

მწერალი, თავის მთავარ პერსონაჟს, სამსახურებრივ ურთიერთობაშიც გვიჩვენებს, სადაც ვერ ვიტყვით, რომ მისთვის სასიამოვნო ატმოსფერო იყოს შექმნილი. სხვა მდგომარეობაა, როდესაც მას მეგობრების წრეში ვხედავთ.

მოთხრობაში, სამი მეგობრის: დავით ჯანდიერის, ლევან ქვარიანის და ზურაბ წერეთლის შეხვედრაა აღწერილი. მათი შეხვედრისას ირკვევა, რომ ერთ-ერთ მათგანს, კერძოდ ზურაბ წერეთელს ცოლის შერთვა გადაუწყვეტია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესტორანში შედგება ზურაბ წერეთლის საცოლის მეგობრებთან გაცნობის ცერემონიალი და აქედან იწყება ნაწარმოებში მთავარი იდეის გამოკვეთის ტენდენცია. ის ტენდენცია, რომელიც მოთხრობაში მანანა ნებიერიძის გამოჩენას უკავშირდება, თანამედროვე ქართული პროზის ერთ-ერთი წამყვანი მოტივია. ეს არის ბოლოდროინდელ ქართულ ხინამდვილეში თავჩენილი ე. წ. ნეგატიურ მოვლენებთან საზოგადოების დამოკიდებულების საკითხი. ამ საკითხს ეძღვნება თანამედროვე ქართველ პროზაიკოსთა უკანასკნელი ხანის ნამუშევართა დიდი ნაწილი. საკმარისია გავიხსენოთ ნ. დუმბაძის და გ. ფანჯიკიძის რომანები. დავით ჯავახიშვილის მოთხრობა „მზე და ჩრდილები" ამ პრობლემის მხატვრული გააზრების ერთ-ერთი თვალსაჩინო ნიმუშია.

ცნობილია რომ ნაწარმოებებში, სადაც შიშვლადაა გამოკვეთილი ესა თუ ის ტენდენცია, სრულებით არ იქმნება ამ ნაწარმოების, როგორც მხატვრული ფაქტის გამარჯვების პერსპექტივას. რასაკვირველია მისასალმებელია, როდესაც მწერალი ამჩნევს და ასახავს სწორ მიმართებას აქტუალური საკითხებისადმი, რომელსაც სოციალური ჟღერადობა აქვს, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, თუ როგორი მხატვრული საშუალებებით ახერხებს მკითხველზე ზემოქმედებას. დ. ჯავახიშვილის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მისი მოთხრობა თამამად ამოუდგება გვერდში ამ თემაზე შექმნილ გამარჯვებულ ნაწარმოებებს.

კომბინატორი მამის ოჯახში აღზრდილ ლამაზ ქალიშვილს, მოსალოდნელი იყო გამომჟღავნებოდა ისეთი თვისებები, რომელსაც ვერ შეეგუებოდა ფაქიზი სულის მქონე ადამიანი. ეს თითქოს ინტუიციურად იგრძნეს ზურაბ წერეთლის მეგობრებმა, რამაც სულ მალე რეალურად იჩინა თავი. მოსალოდნელი მოხდა. სიყვარულისაგან დაბრმავებულ ზურაბ წერეთელს სულ მალე აუხდა მისი მეგობრების წინათგრძნობა და მან გადაიფიქრა ცოლად შეერთო მანანა ნებიერიძე. მწერალი ამ ნაწარმოებში არ ასახავს შეყვარებულთა დაშორებით გამოწვეულ განცდათა სიმძაფრეს, რადგან საკუთარ თავში სიყვარულის დათრგუნვა თითქმის შეუძლებლის გადალახვას ნიშნავს. მამის ცოდვები და მისი ქალიშვილის ხასიათების გამომჟღავნება საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ზურაბ წერეთელს სიყვარულის გრძნობა განქარვებოდა.

საინტერესოა ის გარემოება, რომ დავით ჯავახიშვილი მოთხრობის ჟანრისათვის დამახასიათებელ მოცულობაში ოსტატურად ქმნის გამოკვეთილ, მხატვრულ სახეებს, მისი პერსონაჟები, თითქოსდა მოსაწყენი, ძალზე ჩვეულებრივი ცხოვრების ფონზე, ქმნიან სიყვარულისა და მაღალი იდეალებისადმი მისწრაფების ატმოსფეროს.

თავისი უშუალობით და მართალი ადამიანური განცდების გამომზეურებით გვიზიდავს მოთხრობა „გიგი". ამ ნაწარმოებში, სადაც დიალოგების სიჭარბე იგრძნობა, ავტორი არქეოლოგების ცხოვრების არცთუ ისე რომანტიკულ გარემოს გვიხატავს. საინტერესოდაა აღწერილი თუ როგორ ცდილობს ახალგაზრდა კაცი, ერთფეროვანი, მონოტონური სამუშაო დღეების მომაბეზრებელი ატმოსფეროს განმუხტვას. მწერალი გვიჩვენებს, რომ ზოგჯერ შესაფერისი ატმოსფერო და სიტუაცია საკმარისია იმისათვის, რათა ყმაწვილ კაცში ინტიმური ურთიერთობის შინაგანმა მოთხოვნილებამ ერთბაშად იჩინოს თავი. გიგისა და ნანას ურთიერთობას სიყვარულს ვერ დავარქმევთ, მაგრამ ის, რაც მათ შორის მოხდა, მართალი ადამიანური განცდაა და მკითხველში არ შეიძლება არ გააღვიძოს სიჭაბუკის წლებში განცდილი, ზოგჯერ. თითქოსდა უცაბედი, ინტიმური ურთიერთობის დეტალები. ნაწარმოების ბოლოს ირკვევა, რომ გოგონას სხვა უყვარს. მწერალი არ ცდილობს ტრაგიკული სიტუაციის შექმნას, ხოლო მეორე მხრივ, ბედნიერი დასასრული — ამ მოთხრობას სენტიმენტალურ იერს მიანიჭებდა, რასაც მკვეთრად ემიჯნება დ. ჯავახიშვილი, როგორც რეალისტი მწერალი

სხვა ნაწარმოებთაგან შედარებით განსხვავებული ფორმა მოუძებნია მწერალს მოთხრობისათვის „ცხელი დღე". საინტერესოა ის გარემოება, რომ ცხელი დღეებისა და ზაფხულის თაკარა მზის მხურვალების ფონზე იშლება დ. ჯავახიშვილის თითქმის ყველა მოთხრობის სიუჟეტი. ამ ნაწარმოებში ნაჩვენებია თუ როგორ მოქმედებს სიცხის მოუთმენელი ძალა ადამიანის გონებაზე. „ადამიანი ყველაფერს ეჩვევა, ბოლოსდაბოლოს ეგუება იგი სიცხესაც, რაც იმით გამოიხატება, რომ ნელდება მისი მოძრაობა და არა მარტო მოძრაობა, აზროვნებაც კი", — ამბობს მწერალი.

ყურადღების ღირსია დ. ჯავახიშვილის სხვა მოთხრობებიც; იქნება ეს „ბაიდა", „უდაბნო", „შემთხვევა სადგურზე", თუ სხვა, მაგრამ ისინიც, რომელთა განხილვასაც შევეცადეთ, ვფიქრობთ იძლევიან იმის პირობას, რომ ეს წიგნი დავით ჯავახიშვილის მომავალი შემოქმედებითი გამარჯვების საწინდრად მივიჩნიოთ.

ამირან როგაქიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კულტურული ცხოვრების ქრონიკა

## ამერიკა

### განძეულზე მონადირენი

ოქრომჭედლური ნაკეთობანი, რამდენიმე ტონა ვერცხლის ზოდები, ფაიფური, ძველი მონეტები და სხვა ძვირფასეულობა — აი, ასეთია იმ ამერიკელ მყვინთავთა „ნადავლი“, რომლებიც წლევანდელი წლის იანვრიდან კარიბის ზღვაში, დომინიკანელთა რესპუბლიკიდან ოთხმოცი მილის მოშორებით ეძებენ განძეულს.

სწორედ აქ ჩაიძირა მე-17 საუკუნეში ესპანეთის გალეონი „კონსეპსიონი“, რომელიც განძეულით იყო დატვირთული. გალეონიდან ამოღებული საგანძური, რასაც უდიდესი არქეოლოგიური მნიშვნელობა აქვს, რამდენიმე მილიონი დოლარი ღირს.

### დელფინები ნესის მოსაძებნად

წლეულს ორი დელფინი მიიღებს მონაწილეობას ნესის — შოტლანდიაში მდებარე ლოხ-ნესის ტბაში მობინადრე ურჩხულის ძებნაში. ექსპედიციას აწყობს ბოსტონის გამოყენებითი მეცნიერების აკადემია. დელფინების ზურგზე მიმაგრებული იქნება ფოტოკამერები წყალქვეშა გადაღებისათვის, აგრეთვე ოპტიკური ხელსაწყოები.

მაძებარი დელფინები სავანგებო წვრთნას გადიან ფლორიდაში. ისინი სურათს გადაუღებენ წყლისქვეშ მოძრავ სხეულებს: ზვიგენს, ზღვის კუს, თვით ნესის, თუკი იგი მართლა არსებობს, ასევე ექსპედიციის წევრებს. ადამიანის ორი უჩვეულო თანაშემწე უკანასკნელ სიძნელეებს ძლევს: თანდათანობით ეჩვევა ცივ წყალში ცურვას. ვარაუდობენ, რომ დელფინები მხოლოდ რამდენიმე საათს „წაიმუშავებენ“ დღეში, დანარჩენ დროს კი მათთვის მომზადებულ აუზში გაატარებენ, რომელიც ზღვის წყლით იქნება სავსე.

## გდრ

### ზარების რეკვა

მაგდებურგში გაიმართა... ზარებზე მუსიკალური ნაწარმოებების შემსრულებელთა მესამე საერთაშორისო შეხვედრა.

მაგდებურგის რატუშის გუმბათში დაკიდებული ორმოცდაშვიდი ზარის მელოდიური რეკვა პირველად გაისმა ელბაზე გაშენებულ ქალაქში 1974 წელს. წლევანდელი შეხვედრა გახსნეს გდრ-ის, ჰოლანდიის, გფრ-ის და დასავლეთ ბერლინის წარმომადგენლებმა; მათი კონცერტი მესაყვირეებთან ერთად გაიმართა. მუსიკოსები სამი დღის განმავლობაში ასრულებდნენ ზარებისათვის საგანგებოდ არანჟირებულ ნაწარმოებებს.

## ინგლისი

### რომაელთა კვალი ბრიტანეთის კუნძულებზე

აუხდა ორ ინგლისელ მუშას ფათერაკების მაძიებლის ოცნება. ამას წინათ ინგლისის ქალაქ მარლბოროს მახლობლად აღმოაჩინეს 60000 მონეტით სავსე თიხის სურა. განძი 1700 წლისაა და იმ დროისა უნდა იყოს, როცა ბრიტანეთის კუნძულები რომის ლეგიონებმა დაიპყრეს. კოლექცია, რომელიც სასამართლო ორგანოებმა „საარვისოდ“ ჩათვალეს, გადაეცა ბრიტანეთის მუზეუმს გაწმენდისა და კატალოგიზაციისათვის.

სურა 20 სანტიმეტრზე იყო მიწაში ჩაფლული და იგი „ლითონმძებრით“ იპოვეს. განძი რომაული მონეტების ყველაზე მნიშვნელოვანი ნაპოვნი აღმოჩნდა, რაც კი აქამდე ბრიტანეთის კუნძულებზე აღმოუჩენიათ. სპეციალისტებმა გამოიანგარიშეს, რომ ეს თანხა იკმარებდა 200 ლეგიონერის ერთი წლის განმავლობაში შესანახად. მონეტების უმეტესობა ვერცხლისაა და ჩვენს წელთაღრიცხვამდე 290—249 წლებს განეკუთვნება. თვით ვაზა კი ორი საუკუნით ადრეულია.

### უჩვეულო თვითმფრინავი

ინგლისში პირველი გაფრენა შეასრულა ახალი ტიპის თვითმფრინავმა, რომელიც მზის ენერგიით მოძრაობს. 103 კილოგრამი სიმძიმისა და 20 მეტრი სიგანის აპარატი რამდენიმე წუთს იმყოფებოდა ჰაერში და 1100 მეტრი გაიფრინა. თვითმფრინავი კონსტრუქციით პლანერს მოგვაგონებს, რომლის მფრინავის კაბინაზე დამონტაჟებულ ხრახნს ოთხი მოტორი ამოძრავებს. მზის ენერგია ელექტრონულად იქცევა მზის ბატარეებით, რომლებიც დედამიწის ხელოვნურ თანამგზავრებზე დადგმულ ბატარეებს ჩამოგავს. ამგვარად მიღებული ენერგია საკმარისია იმისათვის, რომ თვითმფრინავმა 15 წუთს იფრინოს საათში 64 კმ. სიჩქარით.

„მზის თვითმფრინავს“ მისი გამომგონებლის, არქიტექტორ ფრედერიკ თოუს თქმით, ჯერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდევ ბევრი გადაკეთება-გადმოკეთება დასჭირდება, თუმცა ახლავე შეიძლება მისი სპორტული მიზნით ფართოდ გამოყენება.

## კვიპროსი

### საინტერესო აღმოჩენა

კვიპროსზე არქეოლოგებმა აღმოაჩინეს მიწით დაფარული ქალაქი, რომელიც ჩვენს ერამდე მეთერთმეტე საუკუნეში უნდა იყოს გაშენებული.

პირველად ქალაქს ადგილობრივი გლეხები წააწყდნენ, რომლებიც აქ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს ასრულებდნენ. როცა მიწასათხრელმა მანქანებმა მიწის სქელი ფენა აიღეს, გაოცებულმა გლეხებმა დაინახეს ძველისძველი ქალაქის საკმაოდ კარგად შენახული კედლები. აღმოჩენის ადგილზე მოსულმა არქეოლოგებმა ფრთხილად, ნელ-ნელა გაწმინდეს ნაგებობათა მთელი წყება, რომელიც კარგა მოზრდილ მოედანზე იდგა, აგრეთვე ძველი ქალაქის გალავანი. როცა არქეოლოგებმა შენობებში შეაღწიეს, იპოვეს კერამიკული ჭურჭელი, სხვადასხვა საოჯახო ნივთები, სპილენძისა და რკინის იარაღი, ოქროს სამკაულები. სპეციალისტების აზრით, ყველაზე ძვირფასი ნივთი სპილენძის ღეროა, რომელიც, როგორც წარწერიდან ჩანს, ვინმე ოფელთოსს ეკუთვნოდა.

## მექსიკა

### კონკურსი ქვიშაზე

იშვიათი საერთაშორისო კონკურსი გაიმართა ამას წინათ მექსიკის ქალაქ აკაპულკოს მახლობელ ზღვის სანაპიროზე. 37 ქვეყნის 200 ბავშვი ეჯიბრებოდა ერთმანეთს, ვინ გააკეთებდა საუკეთესო ქანდაკებას სანაპიროს ქვიშისაგან.

კონკურსის მონაწილეებს, რომლებიც ორ ასაკობრივ ჯგუფად იყვნენ დაყოფილი — ექვსიდან ცხრამდე და ათიდან თორმეტ წლამდე, უნდა გამოეყენებინათ ზღვის გამონარიყი ნიჟარები, ხვინჯა, წყალმცენარეები და შეექმნათ ნებისმიერი კომპოზიცია.

გამარჯვებულების დაჯილდოებისას უკრავდა ხალხური ანსამბლი, ხოლო მომღერალმა მარია კორონამ შეასრულა სპეციალურად ბავშვებისათვის დაწერილი ჰიმნი.

## მონღოლეთი

### იშვიათი წიგნები

სამი მილიონი წიგნი და ხელნაწერი ინახება მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის ფონდებში. ეს წიგნსაცავი ერთ-ერთი უდიდესია აზიაში. საწიგნობელში თავმოყრილია იშვიათი და ძვირფასი ხელნაწერები, წიგნები მონღოლურ, ტიბეტურ ენებზე, აგრეთვე სანსკრიტზე.; აქ ინახება აბრეშუმში გახვეული და ბამბუკის კალმით დაწერილი ფოლიანტები.

აქ არის წიგნები, რომელთაც იქნებ ბადალი არც მოეპოვებოდეთ მსოფლიოში: თითოეული ფურცელი სანდლის ხითაა გაწყობილი და ძვირფასი თვლებითაა მორთული, ასოები ოქროსგანაა გამოკვეთილი. ბიბლიოთეკის საცავებში სულ 500 კილოგრამი ძვირფასი ლითონი ინახება.

## ჰოლანდია

### მატა ჰარი თუ ზელე?

ლეუვარდენში, ჰოლანდიის ჩრდილოეთ მხარეში, აღმართულია მარგარეტ გერტრუდ ზელეს ქანდაკება, რომელიც ამ ქალაქში დაიბადა 1876 წელს. იგი პარიზის მახლობლად, ვენსენეში დახვრიტეს 1917 წელს. მას ჯაშუშობა ბრალდებოდა. ისტორიაში ეს ქალი უფრო ცნობილია მატა ჰარის — თავისი სცენური ფსევდონიმით. მატა ჰარის ბიოგრაფია ლეგენდებითა და ათასნაირი შელამაზებული ამბებითაა მოსილი, მაგრამ ლეუვარდენელები უარყოფენ იმ ვერსიას, თითქოს ზელე იღბლიანი ავანტიურისტი ყოფილიყოს და მას აისედორა დუნკანის დარად თავისი დროის კოლორიტულ ფიგურად მიიჩნევენ. ლეუვარდენის მკვიდრნი ახლა აპირებენ მუზეუმი აუშენონ სახელგანთქმულ თანამოქალაქეს და შემოსული სახსრებით დაიწყონ მისი რეაბილიტაციის კამპანია. მაგრამ ამ კანპანიის მესვეურებს ერთი რამ ავიწყდებათ: როცა მატა ჰარის დაზვერვის სარბიელზე „დამსახურებას“ ჩამოაცილებენ და მას ქალბატონ ზელეს უწოდებენ, ამით, ალბათ, იმას „მიაღწევენ“, რომ ლეუვარდენს მოაკლდება ერთი ღირსსახსოვარი ადგილი, რომელიც ყველა ქვეყნის ტურისტს აგრერიგად იზიდავდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გარეკანის მეორე გვერდზე — „გოგონები", მესამეზე — „ბანაობა". მხატვარი **ნანა მესხიძე.**

კრიტიკისა და პუბლიცისტიკის განყოფილება მასალებს მიიღებს არა უმეტეს ერთი საავტორო თაბახისა.

**ტელეფონები:** მთავარი რედაქტორი — 99-85-81, მთ. რედაქტორის მოადგილე — 72-26-32, მდივანი — 72-44-78, განყოფილებათა გამგეები — 72-26-35, პროზის — 72-26-30, ლიტერატურული თანამშრომლები — 72-47-62, „ცისკრის" დამატება — 72-17-01, საკორექტორო — 72-43-75.

---

გადაეცა ასაწყობად 16. 7. 79 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 22. 8. 79 წ., ქაღალდის ზომა 70×108. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14 სააღრ.-საგ. თაბახი 15.85. შეკვ. № 1983. უე 00786. ტირაჟი 36.650.

---

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის 14
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



„განაოგბა“

6 12/133

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 60 კაპ.

*ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ*

**«ЦИСКАРИ»**

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ

ინდექსი 76236